ბიბლ. № 683

სექტემბერი ⁄ ოქტომბერი, №№ IX ⁄ X, 1902 წელი.

1 - 70

მოგზაური

წელიწადი მეოთხე.

4 70

თბილისი
სტამბა ეკვთიმე ივანეს ძის ხელაძისა, სპიორის ქუჩა, № 4.
1902

შინაარსი №№ 10—9:

გვერდი:

I. პედაგოგია:

1. სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი, ალ. ტატუნა-შვილისა . . . . . 529.
2. ხასიათის აღზრდა სკოლაში, მისივე. . . 548.
3. რა არის კარგი გაკვეთილი? . . . 559.
4. სილაქები და ჯოხები სასწავლებელში . . 564.

II. მეურნეობა-მრეწველობა:

4. წერილი სოფლელ მუშას, ტ. ართმელაძისა . 566.

III. ჰიგიენა-მკურნალობა:

5. დიფტერიტი, ი. ალხაზიშვილისა . . . 603.

IV. სამეცნიერო ნარევი:

6. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ა. კვერკველაძისა . . . . . 635.
7. ფონოგრაფი და მისი გამოყენება ეტნოგრაფიისთვის, თ. სახოკიასი . . . . . 675.

V. ისტორია-არქეოლოგია:

8. სოფელი მეტეხი და მისი ნაშთი . . . 683.

წარსული წლის „მოგზაურის“ ყველა ნომრები, კარგის ფასით და წარწერათ დირს გაგზავნით სამი მანეთი.

სექტემბერი & ოქტომბერი, №№ 9 & 10, 1902 წელი

მოგზაური

6979

დღეიდან ჟურნალი

„მოგზაური“

მთავრობის ნება-დართვით

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. უკეთეს წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე **5 მანეთია**, ხოლო მასწავლებლებისათვის, წიგნთ-საცავ-სამკითხველო-სკოლებისთვის და საზოგადოთ ხელ-მოკლე ხელის-მომწერთათვის — 4 **მანეთი**.

ადრესი ფოსტით: *Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая ул. № 72).*

რედაქტორ-გამომცემელი ი. ვ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა, საპიოროის ქუჩა, საკუთარი ზახლი

1902

Библиотека-М имени Акад. И. Гдешили Академия наук

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Августа, 1902 года.

პედაგოგია.

სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი *).

იეზუიტთა სკოლები.

მეცნიერების აღორძინების ეპოქიდგან მოკიდებული დღემდე სწავლა-აღზრდაზე ისეთი თვალსაჩინო გავლენა არავისა ჰქონია, როგორც იეზუიტებსა ჰქონდათ. თავიანთ ჩვეულებრივ შორ-გამჭვრეტელობით იგინი ძალიან მალე მიხვდნენ, რომ ახალგაზრდათა აღზრდით ერთ ნაბიჯს წინ წარსდგამდნენ ძალისა და ბატონობის უფლების მოპოვებისაკენ. თავიანთი ორგანიზატური ნიჭით მათ შეიტანეს სკოლაში იმისთანა სისტემა, რომლის წყალობით მალე მოიშორეს თავიდგან ყველა ისინი, ვინც კი ბედავდა ამ ასპარეზზედ სამოქმედოთ გამოსვლას და შეიქმნენ აღმზდელებად მთელი კათოლიკე ევროპისა და თითქმის ნახევარ პროტესტანტებისაც; მათი გამოჩენილი ნიჭი და მოხერხება სწავლა-აღზრდის საქმეში აღიარებულია იმისთანა სახელ-განთქმულ ავტორიტეტებისაგანაც-კი, როგორც იყვნენ ბეკონი და დეკარტი. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში მათს სკოლებში ღებულობდნენ სწავლა-განათლებას ისინი, რომელნიც შემდეგში ხდებოდნენ შესანიშნავ და სახელ-გან-

---

*) იხ. «გამოსადეგი ცნობანი» მეექვსე წიგნი.

თქმულ მოღვაწეებად როგორც სახელმწიფო, ისე საეკკლესიო საქმეებში. უმეტეს შემთხვევაში მათს სკოლებში სწავლადამთავრებულნი დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეკიდებოდნენ თავიანთ ძველ მასწავლებლებს.

მართალია, დღესაც არსებობენ იეზუიტთა სკოლები, მაგრამ ესენი გაცილებით დაბლა სდგანან მათ ძველ სკოლებზე და აღარც ისეთი Ანიშვნელობა აქვთ, ამიტომ უმჯობესად ვსთვლით მხოლოდ მათ წარსულზედ ვილაპარაკოთ.

პირველად იეზუიტები ფორმალურად იქმნენ მიწვეულნი პაპა პავლე მესამისაგან, 1540 წ.; სხვათა მოვალეობათა შორის, რომელიც კისრად ყდვა იეზუიტთა ორდენს, უპირველესი ადგილი ეჭირა ახალგაზდობის სარწმუნოებრიულ სწავლა-აღზრდას; ძმობამ ძალიან მალე შეიგნო, რომ სარწმუნოებრიული საგნების სწავლების მაგიერ უფრო საჭიროა სხვა საგნების სწავლება და ამიტომ იგი შეუდგა ისეთი სწავლა-აღზრდის გავრცელებას, რომელიც უფრო შეეფერებოდა საზოგადოების ახალ მოთხოვნილებას; იეზუიტები რაც დრო მიდიოდა, იმდენი უფრო და უფრო აფართოვებდნენ თავიანთ ნება-უფლებას; სხვა-და-სხვა პაპებისაგან ღებულობდნენ მეტ შეღავათს სკოლებისა და კოლლეგიების გასხნაში, დიპლომების მიცემაში და უნივერსიტეტებში ლექციების კითხვაში.

მათი სკოლები ჩქარის ნაბიჯით ვრცელდებოდნენ ევროპის ყოველ კუთხეში გარდა საფრანგეთისა, სადაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს სამღვდელოებამ და პარიჟის უნივერსიტეტმა; ტევტონთა და სლავიანთა ქვეყნებში იეზუიტებმა მოიპოვეს გავლენა მხოლოდ იმ კოლლეგიებით, რომელნიც დაარსებულ იქმნენ მათ-მიერ რომში, სადაც სწავლის მისაღებად ყოველი მხრიდგან იყრიდა თავს ახალგაზდობა; ამით არ დაკმაყოფილდნენ იეზუიტები და მათ მალე დაიპყრეს მტრის ქვეყნის შუაგული ადგილიც.

იეზუიტთა სკოლებში მიღებული სისტემა ჯერ ისევ

ლოიოლასაგან იყო შემოღებული, მხოლოდ სამუდამოდ დამტკიცებულ იქმნა ძმობის (ორდენის) გენერალ აკვავისაგან. მან 1584 წ. დანიშნა კომისსია, რომელიც შესდგებოდა ევროპის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან მოწვეულ ექვსი პატერისაგან. ამ კომისსიამ მთელი ერთი წელიწადი იშრომა რომში და შედეგი ამ შრომა-მოღვაწეობისა იყო თხზულება: «Patio atyue Institutio Studiorum Societatis Ieso.»—ამ კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამმა პაპისაგან იქმნა მოწონებული, რომლის შემდეგ გარდაეცა კომიტეტს, რომელიც ცამეტი წევრისაგან შესდგებოდა და ბოლოს მოწონებულ იქმნა მეხუთე საერთო ყრილობისაგან და მიღებული როგორც სამოსწავლო დებულება (უსტავი). ეს პროგრამმა ხმარებაში იყო 1832 წლამდე, როდესაც იგი გაფართოვებულ იქმნა ბუნების საგნების და თანამედროვე ახალის ენების დამატებით.

ის იეზუტები, რომელნიც შეადგენდნენ Societas professa, ე. ი. ისინი, რომელნიც კისრულობდნენ ყველა აღთქმათა შესრულებას, რამდენსამე წელიწადს ემზადებოდნენ თავიანთ მოქმედებისათვის; ორს წელიწადს მორჩილობას სწევდნენ, შემდეგ ერთ წელიწადს ერთნაირ გამოცდაში ატარებდნენ დროს, რომლის განმავლობაში უფრო სარწმუნოებრიულ ვარჯიშობას მისდევდნენ; ამის შემდეგ სამს წელიწადს სწავლობდნენ მათემათიკას და ფილოსოფიას, ოთხს წელიწადს ღვთის-მეტყველებას (თეოლოგიას) და ბოლოს ყველაზედ უნიჭიერესნი და უფრო განვითარებულნი რჩებოდნენ კიდევ ორ წელიწადს შესწავლილის გასამეორებლად და ღვთისმეტყველ ების სავსებით შესასწავლად. საზოგადოთ, გაივლიდნენ თუ არა ფილოსოფიას, სტუდენტები სამოსწავლო ასპარეზზე გამოდიოდნენ სამოქმედოთ; ყოველი სტუდენტი ვალდებული იყო ესწავლებინა დაბალს კლასსებში; ამ მოვალეობიდგან არავის შეეძლო თავის განთავისუფლება, რა გინდ გაეჩენილი ნიჭის პატრონი ყოფილიყო. ამ ნაირად ჩვენა

ვხედავთ ბობადილლს მასწავლებლად ნეაპოლში და ბორ-ჯიოს კორდოვში.

იეზუიტები ვიდრე მასწავლებლობის მოვალეობას ასრულებდნენ, ვალდებულნი იყვნენ დაეტოვებინათ დანარჩენი ყველა საქმეები, სარწმუნოებრივი მოვალეობათა აღსრულებაც კი უნდა შეემცირებინათ და სულით და გულით შესდგომოდნენ თავიანთ ახალ საქმეს და მისთვის მიეხმარებინათ თავიანთი ყოველი ძალ-ღონე. თვითეული მათგანი დაბალ კლასებიდგან იწყობდა მასწავლებლობას და კლასიდგან კლასში გადასდევდა თავისს მოწაფეებს და მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ შორდებოდა თავისს მოწაფეებსა; ამ სისტემის მიზანი ის იყო, რომ მასწავლებელს დაახლოვებით და სავსებით გაეცნო თავისი მოწაფეების ხასიათი და მათი ზნეჩვეულება. ამ ნაირი სისტემა დღემდე ხმარებაშია შოტლანდიაში.

დიდი ყურადღება იყო აგრეთვე მიქცეული იმაზე, რომ მასწავლებელთა ხშირ გადაყვან-გადმოყვანას არ დაერღვია სკოლაში ერთხელ მიღებული სწავლების წეს-რიგი. მასწავლებლები ვალდებულნი იყვნენ ესწავლებინათ მხოლოდ მიღებული და მოწონებული მეთოდით. მათს მოვალეობის აღსრულებას სასტიკად თვალ-ყურს ადევნებდნენ და სულ უბრალო და უმნიშვნელო წეს-რიგის დარღვევასაც კი მაშინათვე ატყობინებდა ზედამხედველი მახლობელს მთავრობას; იეზუიტთა ძმობის სათავეში იდგა ძმობის გენერალი; თვითეულ სასწავლებლის უფროსად ითვლებოდა რექტორი, რომელიც სამი წლის ვადით ინიშნებოდა გენერლისაგან; რექტორს ორი თანაშემწე ჰყავდა, რომელნიც პრეფექტებად იწოდებოდნენ.

დაბალი სკოლები და საშუალო სასწავლებლები (კოლლეგიები) იხსნებოდნენ და ინახებოდნენ კერძო შემოწირულებით; სწავლა მათს სკოლებში ყველას უფასოდ ეძლეოდა; თუ სასწავლებელს იმდენი საშუალება ჰქონდა, რომ ჰყოფნი-

და მასწავლებელთა ჯამაგირებს, რომელთა რიცხვი თორმეტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, მაშინ სასწავლებლის აყვავებას და გაძლიერებას წინ აღარაფერი ედგა; თუ სასწავლებლისათვის საჭირო თანხა მცირე იყო, მაშინ იეზუიტები კერძო შეწირულებას აგროვებდნენ და ამისათვის არა თაკილობდნენ სახლიდგან სახლში სიარულს და ფულის მოგროვებას; აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ფულის უქონლობა მაგდენად არ აწუხებდა მათ.

იეზუიტების ყოველგვარი სასწავლებელი ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა: დაბალ და მაღალ განყოფილებისაგან. პატარა კოლლეგიებში კმაყოფილდებოდნენ დაბალის განყოფილებით, რომელზედაც მექნება აქ მხოლოდ ლაპარაკი. ყმაწვილებს ღებულობდნენ ათი წლიდგან, სწავლას ათავებდნენ 16 წლისანი.

კოლლეგიებში მოსწავლენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: პირველს შეადგენდნენ ისინი, რომელნიც ორდენის სამსახურისათვის ემზადებოდნენ და რომელთაც უკვე გამოეცხადათ მორჩილობა, მეორე ჯგუფს—გარედგან მოსიარულენი; სასწავლებელში თუ თავისუფალი ადგილი დარჩებოდა სხოლასტიკებს გარდა, რომელნიც შიგ სკოლაში ცხოვრობდნენ ხოლმე, სხვა პანსიონერებსაც იღებდნენ, რომელთაც შესანახავი ხარჯის ფული შეჰქონდათ, თუ მათთვინ ეს სამძიმო არ იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მუქთად ინახებოდნენ. „უსასყიდლოდ მიიღეთ“ „უსასყიდლოთვე მიეცით“, შეადგენდა იეზიუტების დევიზს.

მოწაფეთა ჩამომავლობას და სიმდიდრეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ იეზუიტები. სიღარიბეს და უბრალო გვარიშვილობას არავისთვის არ დაუშლია მიეღო განათლება იეზუიტთა სასწავლებელში; აი რას ურჩევს მათ საკიმი: „იზრუნეთ თქვენ მოწაფეებზედ, როგორც მდიდრებზე, ისე ღარიბებზე თანაბრად, ნურაფერს განსხვავებას ნუ მი-

სცემთ მათ, გახსოვდეთ ყოველთვინ, რომ ჩვენ ყველანი ქრისტეს მიერ ძმანი ვართო".

იმ მოსწავლეთ, რომელთაც უადგილობის გამო ვერა ღებულობდნენ თვით სასწავლებელში, იღებდნენ ამ შემთხვევისათვის ცალკე დაარსებულ სასწავლებელში (ლიცენციატში), რომელიც აგრეთვე ექვემდებარებოდა რექტორს.

დაბალ განყოფილებაში ხუთი კლასი ითვლებოდა, რომელთა შორის სულ დაბალი კლასი იყოფოდა ორად. შეგირდთა რიცხვი თუ აღემატებოდა ჩვეულებრივს რიცხვს და ხუთი მასწავლებელი ვერ გაუძღვებოდა მათ, მაშინ პარალელურს კლასებს უმატებდნენ.

პირველს ოთხს კლასში თითო წლის კურსი იყო დადებული, უკანასკნელ კლასში კი სწავლა ორს წელიწადს გრძელდებოდა.

იეზუიტთა სკოლების სისტემას ძალიან მცირედი განსხვავება ჰქონდა შტურმს და ჰუმანისტთა სკოლებში მიღებულ სისტემისაგან. გრამმატიკა შეადგენდა დასაწყისს, რეტორიკა კი მიზანს გიმნაზიების სწავლისას. პირველი ადგილი ეჭირა ლათინურის ენის შესწავლას; მოწაფეთ სასტიკად აკრძალული ჰქონდათ სამშობლო ენაზედ ლაპარაკი; ის სიტყვები, რომლებიც იყო უსაჭიროესი უბრალო ლაპარაკისათვის, აღბეჭდილნი იყვნენ ამ შემთხვევისათვის დანიშნულ წიგნებში და ყმაწვილები მათ ზეპირად სწავლობდნენ.

მიუხედავათ იმისა, რომ სკოლებში სახმარებლად მრავალი, მშვენივრად შედგენილი სახელ-მძღვანელოები ჰქონდათ, სწავლა მაინც სიტყვიერად ანუ ზეპირად სწარმოებდა; მასწავლებელი წარმოადგენდა ნამდვილს ლექტორს, რომელიც, ან ბერძენთა და ლათინთა მწერალთა ნაწერებიდგან მოუთხობდა რასმეს თავის მოწაფეთ, ან კიდევ გრამმატიკის წეს-წყობილების (ფორმების) მაგალითები მოჰყავდა; მოწაფე ვალდე-

ბული იყო დაეხსომნა მასწავლებლის-მიერ ნაამბობი და ზეპირად დაესწავლა თვით ტექსტი და გრამმატიკული ფორმები; თვით მასწავლებლები გაკვეთილისთვის ყოველთვინ ბეჯითად უნდა მომზადებულიყვნენ ხოლმე. საწერი სავარჯიშო და თარგმანი, ყოველ დღე ეძლეოდათ გაკვეთილად, გარდა შაბათისა; მასწავლებელს თვითეული მოწაფის ნაშრომი მის წინაშევე უნდა გაესინჯა და გაერჩია; გაკვეთილებს ამ ნაირის მეთოდით სწავლობდნენ: დეკურიანები, ე. ი. უკეთესი მოწაფენი კლასში ხსა-მაღლად იმეორებდნენ მიცემულს გაკვეთილს მასწავლებლის წინაშე, ხოლო შემდეგ, სანამ იგი (მასწავლებელი) ასწორებდა მოწაფეთა ნაწერებს, იგინი ამეორებინებდნენ დანარჩენ მოწაფეთ გაკვეთილს.

იეზუიტთა სკოლების ერთს განსაკუთრებულს თვისებას შეადგენდა ის, რომ შეჯიბრებას (соревнованіе) დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, რადგან მას სთვლიდნენ აღზრდის ერთ უმთავრეს და უძლიერეს საშუალებად; ყოველს კლასში მოწაფეს თავის მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომელიც ყოველ წამს მზად უნდა ყოფილიყო, რომ თავის მოპირდაპირის შეცდომა არ გამოჰპაროდა და მაშინათვე შეენიშნა. ამას გარდა თვითეული კლასი გაყოფილი იყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად, ერთი რომის სახელით იწოდებოდა, მეორე კართაგენის სახელით. მათ შორის ხშირად ხდებოდა ხოლმე გაცხარებული ბაასი (დისპუტი) ხან მასწავლებლის თანა-დასწრებით, ხან უმისოდაც; ამ ნაირ შეჯიბრებას არ შეიძლება ცუდი გავლენა არა ჰქონოდა მოწაფეთა კეთილ-განწყობილებაზედ; ყმაწვილი ყოველთვინ იმის მონატური იყო, რომ დაეჭირა რაშიმე თავისი ამხანაგი და მასხარად აეგდო იგი; ცუდი სამწერლო შრომისათვის მოწაფეს სჯიდნენ ლიტერატურულის სასჯელით—სვამდნენ მას სხვა სკამზედ და იმდენს ხანს იჯდა ასე მარტოთ, სანამ თავის ამხანაგზე უკეთესად არ დასწერდა და არ აჯობებდა მას.

მაღალ კლასებში კი შეჯიბრებას უფრო სხვა ნაირი

ხასიათი ჰქონდა; მოწაფენი წარმოადგენდნენ საზოგადოებას, აკადემიას, სადაც იკრიფებოდნენ ერთად რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების, ან კლასიკთა ნაწერების წასაკითხავად და გასარჩევად. აკადემიისათვის საჭირო ახალ წევრებს ღებულობდნენ ძველი წევრები; ადვილი არ იყო აქ შესვლა, რადგან ძალიან დიდათ ფასობდა აკადემიის წევრობის სახელი. აქ ეჩვეოდნენ კაზუისტიკას და მჭევრ-მეტყველებას, რომელთაც იმ დროს ასეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

იეზუიტებს მრავალი საშუალება ეპყრათ ხელში შეჯიბრების ხასიათის ასაღორძინებლად; ყოველ კვირისათვის ადგენდნენ ახალ სიებს, სადაც ნუსხამდნენ მოწაფეთა ყოველ ნაირ დანაშაულს; კარგი ყოფა-ქცევის და ბეჯითი მოწაფენი ღებულობდნენ საჩუქრებს და ყოველ-ნაირ ნიშანს გამარჯვებისას. ეს საშუალება ძალიან აადვილებდა მასწავლებლის შრომა-ზრუნვას და ძალიან იშვიათ შემთხვევაში სჭირდებოდა მას მოწაფეთ დასჯა.

მოწაფეებს გაკვეთილების მომზადებით არა ჰქანცავდნენ; სწავლა დიდხანს არა გრძელდებოდა; დილით მეცადინეობდნენ ყმაწვილები ორ საათ-ნახევარს; სადილს შემდეგ კიდევ ამდენსავე ხანს. ყოველ კვირაში ერთს ანუ ორს დღეს ატარებდნენ სეირნობაში, მოგზაურობაში, თამაშობაში და დასვენებაში.

აი როგორ ჰქონდათ განაწილებული გაკვეთილები: პირველ ნახევარ საათს, ვინემ მასწავლებელი გაასწორებდა მოწაფეთა ნაწერ სავარჯიშოებს, დეკურიანი ჰკითხავდა გაკვეთილს მოწაფეებს, რომელთაც ზეპირად უნდა სცოდნოდათ გაკვეთილი; შემდეგ თვით მასწავლებელი ჰკითხავდა წინადღით მიცემულს ლათინურს გაკვეთილს და უმთავრეს ყურადღებას აქცევდა სიტყვათა დანაწევრებას (анализъ), კანკლედობას და ბრუნვას; შემდეგ ამისა მასწავლებელი უხსნიდა მეორე დღისათვის ახალს გაკვეთილს, რომელიც სამი ან ოთხი სტრიქონისაგან შესდგებოდა; დილის უკანასკნელ ნა-

ხევარ საათს ანდომებდნენ გრამმატიკის ახსნას, რომელიც სწარმოებდა მძიმეთ და მუყაითად.

— „განიმეორეთ ერთი და იგივე წესი (правило) რამდენსამე დღეს“,—ამბობს Rotio Studiorum.

სადილს შემდეგ პირველი საათი მოწაფეთ ხელთნაწერების გასწორებაში გადიოდა; თავისუფალი დრო, თუ დარჩებოდა, მასწავლებელი გაამეორებინებდა მაშინ დილით ახსნილს გაკვეთილს; უკანასკნელს საათს ისევ გრამმატიკის ვრცლად შესწავლას ანდომებდნენ, შემდეგ ნახევარ საათს შეჯიბრებით ბაასობდნენ და ამით თავდებოდა გაკვეთილები.

მაღალს კლასებში კი პროგრამა ფართოვდებოდა ბერძნულის ენის და მათემათიკის დამატებით.

ყველა ზემო-ნათქვამიდან ცხადათ სჩანს, რომ იეზუტთა სკოლებში სწავლის საძირკველს შეადგენდა ლათინური ენა; ლათინურად არამ თუ უნდა ეკითხად, არამედ უნდა ეწერად და ელაპარაკნათ კიდეც; დანარჩენ ცოდნასაც, მაგ., გეოგრაფიულს და ისტორიულს, ისევ კლასიკური ნაწერების შესწავლის დროს იძენდნენ ხოლმე. ჟუვენ ის სიტყვით თვითეულ თხზულების გარჩევის დროს შემდეგ მხარეებზედ აქცევდნენ მეტს ყურადღებას: 1) თხზულების საზოგადო მნიშვნელობაზე; 2) ყოველი წინადადების გრამატიკული წესწყობილების ახსნაზე, 3) ტექსტში მოხსენებულ ისტორიულ ამბების, ზნე და ჩვეულებათა განმარტებაზე; 4) იმაზე, თუ როგორ აკმაყოფილებდა თხზულება რიტორიკისა და პოეზიის მოთხოვნილებას; 5) თხზულების ენაზე და 6) ზნეობრივ დასკვნაზედ

მოწაფეთ დიდი ყურადღება უნდა გამოეჩინათ გაკვეთილის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სასჯელს ვერ ასცდებოდნენ; თვითეულს მოწაფეს უნდა განემეორებინა კლასში გაგონილი და თავისი შენიშვნები ეჩვენებინა; ჟუვენსი ურჩევს მასწავლებელთ დრო-გამოშვებით გაკვეთილის შეჩერების, კითხვების მისაცემად; იგი ათავებს შემდეგი

სიტყვებით: „ყურადღების დასაცველად ძალიან ბევრი საშუალებანია; ეგინი დაძოკიდებულნი არიან მასწავლებლის გამოცდილებასა და მეცადინეობაზედ. გაკვეთილები, საწერ სავარჯიშოს გარდა, სხვის დაუხმარებლად უნდა მოემზადებინათ ხოლმე მოწაფეებსა; იეზუიტები სრულებით დამყარებულები იყვნენ მოწაფეთ პატიოსნურ გრძნობაზე და სიმართლეზედ, მით უფრო, რომ უკეთესი შრომისათვის ყოველთვინ ჯილდოს ღებულობდნენ მოწაფენი.

ერთ უმთავრესს წესს იეზუიტურ სწავლა-აღზრდის სისტემისას შეადგენდა: განმეორება ცოდნის დედაა. ყოველ გაკვეთილზედ მოწაფენი იმეორებდნენ წინადღით ნასწავლს და მასწავლებლის-მიერ ამ წამში ახსნილს; ამის გარდა კვირაში ერთი დღე განსამეორებლად იყო დანიშნული; პირველს სამს კლასში, სადაც იდებოდა მტკიცე საფუძველი ყოველგვარის ცოდნისა, უკანასკნელს ექვს თვეს ანდომებდნენ იმის განმეორებას, რასაც პირველს ექვსი თვის განმავლობაში სწავლობდნენ; ამ ნაირი საშუალებით შუათანა ნიჭის მოწაფენი 18 თვეში სწავლობდნენ და ითვისებდნენ იმას, რის შესწავლასაც სხვა გზით ჰოუნდებოდნენ სამს წელიწადს.

იეზუიტები ძალიან დიდს ყურადღებას აქცევდნენ თვითეულის საგნის საფუძვლიანად შესწავლას.—„უკეთესია,—ამბობს საკკინი,—ვიცოდეთ ცოტა, მაგრამ მტკიცედ და საფუძვლიანად“.

მოწაფენი ექვს წელიწადს უნდებოდნენ სწავლის დამთავრებას; თითო წელიწადს რჩებოდნენ პირველ დაბალ ოთხ კლასში, ორს წელიწადს კი მაღალს კლასში; გამოცდისათვის (ეგზამენისთვის) მოწაფენი დიდის გულმოდგინებით ემზადებოდნენ, და სხვათა შორის არამც თუ მარტო შესწავლილს და გავლილს იმეორებდნენ, არამედ თხზულებებსაც სწერდნენ იმ ნიმუშების მინაგვარად, რომელიც ამ შემთხვევისათვის ჰქონ-

დათ დანიშნული. მოწაფეთ სცდიდა განსაკურთრებული კომისსია რომლის წევრთა შორის პირველი ადგილი ეჭირა პრეფექტს; მასწავლებლებს უფლება არა ჰქონდათ ამ კომისსიაში მონაწილეობის მიღებისა; კომმისიის წინაშე გამოჰყავდათ სამ-სამი მოწაფე; გამოცდის ნიშნებს, როგორც სიტყვიერს, ისე თხუზულებისას, წარსული წლის გამოცდის ნიშნებთან აერთებდნენ და საჯაროდ დიდებით აცხადებდნენ სახელ' და გვარს იმ შეგირდებისას, რომელნიც კარგად იჭერდნენ ეგზამენს; მათი გვარი და სახელი შეჰქონდათ ერთნაირ სიაში, რომელსაც ან ანბანის რიგზედ ადგენდნენ და ან მოწაფის სამშობლო ადგილ-მდებიარობის კვალობაზედ.

იეზუიტები მეტად დიდს ყურადღებას აქცევდნენ მოწაფეთა სარწმუნოებრივ და ზნეობრივ განვითარებას; საკკინი აგონებს მასწავლებლებს მათ მაღალ და დიდ მნიშვნელოვან მოწოდებას; მისი სიტყვით, მათი მოვალეობა მარტო გრამატიკის სწავლებაში როდია; მათ ყოველ წამს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ტვირთად აწევთ დიდი მოვალეობა ახალგაზდობის ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ცხოვრებისათვის მომზადებისა; ყოველი გაკვეთილი უნდა მცირე ლოცვით იწყობოდეს; ყმაწვილები ყოველ დღე დილით წირვას ისმენდნენ; ყშირად ამბობდნენ აღსარებას და ღებულობდნენ წმ. საიდუმლო ზიარებას; მოძღვრად ყოველთვინ იეზუიტი იყო ხოლმე, მხოლოდ იგი არ ეკუთვნოდა სასწავებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა გუნდს.

ფიზიკურ განვითარებასაც იეზუიტები დიდს ყურადღებას აქცევდნენ; გაკვეთილები არა ღალავდნენ მოწაფეებსა; საღილს შემდეგ ყმაწვილები ერთს, ან ორს საათს ისვებდნენ ხოლმე. კვირაობით ქალაქ გარედ მიჰყავდათ სასეირნოდ; ამას გარდა გიმნასტიკასათვის და სხვა-და-სხვა სათამაშოებისათვის განსაკუთრებული დრო ჰქონდათ დანიშნული; იეზუიტთა სკოლებში ძალიან იშვიათად სჯიდნენ ხოლმე მოწაფეებსა; მათს უბრალო და მცირე დანაშაულს მიგდენს ყურადღებას

არ აქცევდა მასწავლებელი; დიდ დანაშაულისათვის კი წკეპლითა სჯიდნენ მოწაფეებს. ამ შემთხვევისათვის იბარებდნენ განსაკუთრებულს კორრექტორს, რომელიც ორდენს არ ეკუთვნოდა, თუ ხოლო გაწკეპლა ვერაფერს შველიდა, მაშინ სასწავლებლიდგან ითხოვდნენ ყმაწვილსა.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს თუ რითი გაითქვა ასეთი დიდი სახელი იეზუიტთა სკოლამ? ზემოდ ჩემ-მიერ მოხსენებული განსაკუთრებული ხასიათი იეზუიტთა სკოლებში მიღებულ სწავლა-აღზრდის მეთოდისა, იძლევა ერთის მხრით ამის პასუხსა: იეზუიტები ძალიან გამოცდილი და მოხერხებული პირები იყვნენ; მათი Ratio studiorum ერთ ცარიელ წესსაც არ შეიცავს, იგი მხოლოდ საქმეს შეეხება და პირდაპირ უჩვენებს ადვილად მისაღწევს მიზანს და ამასთანავე გულმოდგინეთ აღნიშნავს ამ მიზნისაკენ მიმავალ გზას; შეიძლება მათი მეთოდი არც ისეთი უკეთესი იყო, რადგან იგი ყოველთვინ არ მისდევდა უმაღლესს მიზანს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი მაინც უფრო ნამდვილად გადაჭრილი და განსაზღვრული იყო. ამით განირჩევოდა იეზუიტური სკოლა ყველა მათ დრომდე არსებულ სკოლებიდგან და მითვე განირჩევა იმ სკოლებიდგანაც, რომელთაც მისი ადგილი დაიჭირეს; ეხლანდელ დროში მასწავლებლები მოუთხრობენ მოწაფეთ მხოლოდ იმას, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იმ საგანთან, რომელსაც იგინი ასწავლიან; იგინი მაგდენ ყურადღებას არ აქცევენ მოწაფეთ საზოგადო ანუ საერთო განვითარებას. ცხადია, რომ ის სწავლების კურსი, რომელშიაც მეფობს ერთგვარი, დანიშნული მიზნისაკენ მიმყვანელი მეთოდი, ბევრით უფრო უკეთესია იმ კურსზედ, როდესაც ყმაწვილი იძულებულია შეეჩვიოს სხვა-და-სხვა მეთოდებს, რომელთაც ამასთანავე თავისი განსაკუთრებული მიზნები აქვთ.

მე უკვე მოვიხსენიე, რომ იეზუიტები სწავლა-აღზრდის საქმეში უმაღლეს მიზნებს არ მისდევდნენ; იგინი მოწაფეთა

ყოველმხრივ განვითარებას არ მეცადინეობდნენ; იგინი მხოლოდ იმის მეცადინეობაში იყვნენ, რომ მოწაფეებში განვითარებინათ მიმღებელი და აღმომცენებელი ნიჭი; ახალ-გაზდა თუ კარგათ ლაპარაკობდა ლათინურად, შეთვისებული ჰქონდა თავის აღმზრდელთა ფილოსოფიური და თეოლოგიური შეხედულობანი, განვითარებული ჰქონდა მეხსიერება და კამათობიდგანაც (დისპუტიდგან) გამარჯვებული გამოდიოდა, ამით იგი ადიოდა იმ უმაღლეს საფეხურზე, რომელზედაც სურდათ იეზუიტებს მისი აყვანა. გონებით დაშოუკიდებლობა, სიმართლისადმი სიყვარული, ნიჭი თავისუფალი მოაზროვნისა და ჭეშმარიტი შეურყეველი შეხედულობისა, ყველა ესენი ერთად სისტემატიურად იჩაგრებოდნენ იეზუიტთა სკოლაში. თავიანთ განზრახულ მიზანს ყოველთვინ ახწევდნენ იეზუიტები და მათი ყოველისფერში გამუდმებული გამარჯვება სძენდა მათ სახელს და დიდებას.

იეზუიტები ცნობილნი იყვნენ თავიანთი მოხერხებული ყმაწვილებთან ქცევა-მოპყრობით; იგინი სწავლაში ძალას არ ატანდნენ მოწაფეებს და ისე მოხერხებულად ასწავლიდნენ, რომ მოწაფეთ არამც თუ სძულდათ სამოსწავლო საგნები, არამედ უყვარდათ კიდევაც. გონებით განვითარებულნი პირები როგორც ძველი დროის, ისე ახალისა, ამბობს საკკინი, ყოველთვინ გრძნობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ყველაზედ უკეთესი სწავლა ისაა, რომელიც მოსწონს თვით ახალგაზდობას; მოწაფენი უფრო ადვილად ითვისებენ და იმახსოვრებენ იმას, რაც თითონ მოსწონთ და რაც მათ აინტერესებს; ბავშვთა წლოვანობის სინაზე მოითხოვს ლმობიერ და ალერსიან მოპყრობას; მასწავლებლები უნდა შეცადინეობდნენ მოწაფეთა სიყვარულის და მინდობილობის მოპოვებას; როდესაც მოწაფეთ უყვართ მასწავლებელი, ამბობს სხვა ადგილას საკკინი, იმ საგანსაც უეჭველად შეიყვარებენ, რომელსაც ასწავლის იგი". დეე მასწავლებელმა დაახლოვებით გაიცნას თავის მოწაფენი, მათი ზნე-ხასიათი, იხაროს მათის სიხარულით და იმ-

წუხაროს მათის მწუხარებით; დეე, ვითარცა მოციქულები, გახდეს ის ერთ მორჩილთაგანი, რათა გახადოს მოწაფენი თვისნი ქრისტეს მოზიარენი. დაე მან მამის ავტორიტეტს შეუერთოს დედის ტკბილი სიყვარული...

ყმაწვილებისათვის სწავლა რომ სასიამოვნო და სანუკარი იყოს, არ უნდა შეკაწუხოთ იგინი მეტი შეუსაბამო მუშაობით; ამიტომ მასწავლებელი მოვალეა შეისწავლოს ზნე, ხასიათი და ნიჭი თვითეულის თავის მოწაფისა; იგი იძენს განსაკუთრებულ ჟურნალს, რომელშიაც შეაქვს თავისი დაკვირვებანი და შენიშვნანი თავის მოწაფეთა ბეჯითობაზე და გონებით წარმატებაზედ. ამ ნაირი საშუალებით იგი უფრო ადვილად შეიტყობს თავის მოწაფეების ნიჭის და მეცადინეობის შედეგს და ამის მიხედვით მისცემს მათ სამუშაოს, რომელიც ყოველ შემთხვევაში უეჭველად კარგათ უნდა იყოს შესრულებული.

ყმაწვილები არამც თუ არ უნდა მოვლალოთ მეტის სწავლით, არამედ იმისთანა საგნები არც კი უნდა გავაცნოთ, რომელნიც მათის წლოვანობისათვის ძნელად გასაგებნი არიან; მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ გრამმატიკაც კი ადვილი გასაგები და შესასწავლელი იყოს მათთვინ; „საჭირო არ არისო,—ამბობს საკკინი, გრამმატიკის უძნელესი ფორმების ადრე შესწავლაო; დეე ჯერ მათ ცხადათ შეითვისონ ის, რაც მათთვინ ადვილ გასაგებია; მხოლოდ ის, რაც ეხლა მათთვინ ძნელი და გაუგებარია, თავის დროზედ, როცა განვითარდებიან, შეიქმნება მათთვინ ადვილი და ცხადი. უფრო უკეთესი იქნება გრამმატიკის წეს-წყობილების შესწავლა სალიტერატურო ნიმუშების გარჩევის დროს; ასე უფრო ადვილად და საფუძვლიანად ითვისებს გრამმატიკას ახალგაზდების გონება“.

ევროპაში ისეთ სიძულვილს არავინ იწვევდა, როგორც იეზუიტები; კინგლესი, ამბობს ფრიდრიხ მორისი, მზად იყო ყველაში მარტო ერთი კეთილი აღეარებინა, მაგრამ

იეზუიტებში კი ვერა ხედავდა რამე კეთილსა". რითი დაიმსახურეს ამნაირი სიძულვილი იმათ, ვინც, თითქოს, ღირსნი იყვნენ დიდის პატივისცემისა და ყურადღებისა, როგორც ღირსეული აღმსრულებელნი თავიანთ ქრისტიანული მოვალეობისა? საქმე იმაშია, რომ იეზუიტთა შეხედულობა და წარმოდგენა არსებითად განსხვავდებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტ მიმდევართა შეხედულობისაგან; იგინი კაცობრიობის კეთილ დღეობაზე კი არა ზრუნავდნენ, არამედ რომის კათოლიკე ეკკლესიის უფლების გაფართოვებაზე და და განდიდებაზე, რომელიც მათთვინ ამ ქვეყნად მოვლინებულ ღვთის სასუფეველს შეადგენდა. ყოველივე ის, რაც კი ხელს შეუწყობდა ეკკლესიის უფლების გაფართოვებას და გაძლიერებას, ღვთის სასიამოვნო საქმედ იყო მათ-მიერ აღიარებული; იესო ქრისტეს ძმობა გარდიქცა პაპების და რომის ეკკლესიის უძლეველ და მოუღალავ ლაშქრად და მიიღო ნამდვილი სამხედრო წეს-წყობილება.

6979

მთავარ-სარდალი, თუ ჭეშმარიტი პატრიოტი და ნამდვილი გენერალია, თავის ლაშქრის გასაძლიერებლად და ასაღორძინებლად თავის მხრივ არაფერს ზოგავს და აკეთებს ყოველისფერს, რაც კი შეუძლიან; იგი ზრუნავს ჯარის-კაცთა ჯანმრთელობაზე, ზნეობაზე და სწავლა-აღზრდაზედ, იგი ყოველ თავის ძალ-ღონეს ხმაროს, რომ თვითეული მის ლაშქარში ახლად შესული დადგეს რაც შეიძლება უკეთეს ჯარის-კაცად; მაგრამ ამ ჯარის-კაცს თავის-თავად როდი აქვს მისთვის მნიშვნელობა, იგი საჭიროა მისთვის მხოლოდ როგორც ერთგული წარმომადგენელი ლაშქრისა, როგორც ერთი შემადგენელი წევრი მისი. ჰაულსენი ლაპარაკობს რა იეზუიტებზედ, სამართლიანად შენიშნავს: შეუძლებელია, რომ უდიდეს დაწესებულებას თავისი განსაკუთრებული, ცხადი და გადაჭრილი მიზანი არა ჰქონდესო. უდიდესი მიზანი და დედა-აზრი კი იეზუიტთა არმიისა მთელი მის კრებულისათვის თავის განწირვა და საკუთარი პიროვნობის მოსპობა იყო,

მეცნიერებათა აკადემ. ... ...

რომლითაც იგი პოულობდა დიდს ძალას და მნიშვნელობას; ლაშქარი (არმია) მოქმედობს ერთგულად და ერთსულად, და ყოვლისფერში ემორჩილება ერთის სურვილს და ნებას და ამაშია მისი უძლიერესი და გაუტეხელი სიმაგრე.

ეგნატე ლაიოლამ და შემდეგ მისმა მოადგილე იეზუიტთა ორდენის გენერლებმა ამ სახით შეადგინეს ეკკლესიის არმია (ლაშქარი), რომელიც მცირე ხანში მთელი კაცობრიობის საკვირველ და საშიშროების საგნად გარდაიქცა; არასოდეს ამ ხნობამდე არ ყოფილა, ამბობს Compaqre, ასე გონივრულად დაარსებული და მოწყობილი (საზოგადო) დაწესებულება, რომელსაც ხელთ ჰქონოდა ამდენი საშუალება კეთილისა და ბოროტების გასაკეთებლად.

ჩვენებურ ინგლისელ პედაგოგებს უნდა მოსწონდეთ იეზუიტები თავიანთ პრაქტიკული მოქმედებით. მაგრამ პედაგოგიკაში ინგლისელებისათვის წარმოუდგენელია უანგაროობა. ყოველნაირი გამოურკვევლობა არაფრად მოსწონს ინგლისელ პედაგოგს; იგი მიზანს არ ელტვის, მის გამოკვლევაზე არა ჰკარგავს ძალ-ღონეს, რადგან იგი უკვე გამოკვლეულია წინაპართა სიბრძნის-მიერ; იგი (მასწავლებელი) მთელს თავის ყურადღებას აქცევს მხოლოდ იმას, რაც მას თითონ აინტერესებს და მოსწონს, ე. ი. პრაქტუკულს მხარეს; ამაში იგი მიემსგავსება იეზუიტებს; სწავლა-აღზრდის მიზანი განსაზღვრული და გარკვეული იყო ორდენის დამფუძნებელ ლაიოლას-მიერ, დანარჩენნი წევრნი მოვალენი იყვნენ ეშრომნაა ამ მიზნის მისახწევად; ამაში იგინი შეუდარებელი და დაუფასებელნი იყვნენ; ურიგო არ იქნებოდა ჩვენც ცოტა რამ გვესწავლა იმათგან; ჩვენი ratio studiorum, ამბობს Eqre, მიაგავს უფრო მეთოდს, ანუ სწავლების სისტემას, ვინემ წესდებულებას.

იეზუიტთა სკოლებში მიღებული მეთოდი სამი საუკუნის

განმავლობაში იყო ხმარებაში და დიდი სახელიცა ჰქონდა მოხვეჭილი.

ახალ სკოლას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ანვითარებს მოწაფეთა ჭკუა-გონებას იმ საგანთა შესწავლით, რომელნიც მოსწონთ და აინტერესებენ მათ, მაშინ როდესაც იეზუიტთა სკოლა აძლევდა იმ ნაირ ცოდნას, რომელსაც არ შეეძლო აღეძრა მოწაფეთა ცნობის-მოყვარეობა; იძულებული იყვნენ ორი საშუალებით გამოეწვიათ მათი ინტერესი და ყურადღება—შეჯიბრებით და მასწავლებლის პირადი გავლენით.

მოწაფეებზე გავლენის მოპოვება შეადგენდა იეზუიტების უპირველეს მოთხოვნილებას და ამით იგინი განირჩევიან დანარჩენ აღმზრდელებისაგან, რომელთაც ამაზე ზრუნვა ფიქრადაც არ მოსდით.

აი რას ამბობს აღმზრდელ კონფერენციაზე (ყრილობაზე) 1884 წელს მამა ჟერარი: „სწავლება ხელოვნებათა ხელოვნებაა; კარგი აღმზრდელი და მასწავლებელი კარგათ უნდა იცნობდეს თავის მოწაფეთ, ესმოდეს მათი ზნე-ხასიათი და უყვარდეს იგინი; იგი ვალდებულია ყოველ წამს ზრუნავდეს მათ ყოველ მხრივ განვითარებაზე და კეთილის და სიმართლის იმ ნიშნების გაუმჯობესობაზე, რომელნიც მოიპოვებიან მათში.

იეზუიტები არაფერ საშუალებას არა ზოგავდნენ ახალგაზდების გულის მოსაპოვებლად და ხელში ჩასაგდებად; მათ სავსებით ისარგებლეს ძლიერი, მაგრამ საშიშო საშუალებით—ყმაწვილებში შეჯიბრების და ქიშპობა-ცილობის გავრცელ-აღორძინებით; ინგლისის სკოლაში საჩუქარს მხოლოდ პირველ სამ-ოთხ მოწაფისათვის აქვს მნიშვნელობა, იეზუიტთა სკოლაში კი თვითეული კლასი იყოფებოდა რამდენსამე პატარ-პატარა გუნდებად, რომელშიაც შედიოდნენ რამდენიმე კაცი—ერთნაირად განვითარებულნი და ერთნაირი ნიჭის პატრონნი,—თვითეული გუნდი ღებულობდა თავის სა-

ჩუქარს; და ეს ქიშპობა და შეჯიბრება სუსტთ შეგირდთა შორის უფრო გავრცელებული იყო, ვინემ უკეთეს მოწაფეთა შორის.

დასასრულ, მოვიყვან იეზუიტურ სისტემის უმთავრეს მუხლებს ერთის მათის მოწაფის სიტყვებიდგან, რომელიც დიდი თაყვანის-მცემელი იყო იეზუიტთა კოლლეგიებისა: „შევაერთოთ ერთად ამ რთული დაწესებულების ყველა განსაკუთრებული თვისებანი; ჩვენ ვნახეთ, რომ ყმაწვილები უპატრონოდ და უყურადღებოდ არას ოდეს არა რჩებოდნენ; თვითეული მათი ნაბიჯი გაზომილი იყო მასწავლებლისაგან, რომელმაც იცოდა მათი სულის ყოველივე მიხვრა-მოხვრა, ყოველდღე ბეჯითი მოწაფენი გაკვეთილის კარგათ მომზადებისათვის ღებულობდნენ საჩუქარს; ის მოწაფენი, რომელნიც იმარჯვებდნენ ეგზამენზე, რომელიც ყოველ სამ თვეში ერთხელ ხდებოდა ხოლმე, იძენდნენ საპატიო სახელს, რომელიც აძლევდა მათ ზოგიერთ უპირატესობას, როგორც კლასში და ეკკლესიაში, ისე მათ გარეშეც; თვითეული მასწავლებელი, რომელიც საქმით დაამტკიცებდა თავისს ნიჭს სწავლების საქმეში, უეჭველად ექვს წელიწადს უნდა დარჩენილიყო მასწავლებლად —მოწაფეთა სწავლის დამთავრებამდე; ცხადია, ამბობს შეილი, რომ მოწაფენი თავიანთს ხასიათს, ცოდნას და შეხედულობას იძენდნენ თავის აღმზრდელისაგან და ამაში ერთად-ერთი მისი მადლობელნი უნდა ყოფილიყვნენ; ასეთ დაახლოვებიდგან მიმდინარეობდა მოწაფეთა ერთგულობა და სიყვარული მასწავლებლისადმი, რომელიც თავის მხრივ სარგებლობდა ამით, და ტყობულობდა მოწაფეთა გულის სიღრმეში მიმალულ და მიჩქმალულ საიდუმლოებას.

ამ ნაირად მივიღებთ რა მხედველობაში იეზუიტური სისტემის ყოველ განსაკუთრებულ თვისებას—შეჯიბრებას და ქიშპობას და მათი შემწეობით მიღებულს შედეგს სწავლისას, ლოცვა-ვედრებისას და კეთილ საქმეებისას, ჩვენ ვადგებით იმ დასკვნას, რომ, შეიძლება ქება-დიდების ღირსი არ იყოს

იეზუიტთა სკოლებში მიღებული სისტემა, შეიძლება იგი სხვებზედ ცუდი იყოს, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდეთ, რომ იგი ყოველ შემთხვევაში იყო სისტემა და ამასთანავე სისტემა, რომლის გასაუმჯობესებლად გასწიეს ამდენი შრომა და ღვაწლი იმ დროის უუნიჭიერესმა და უუგანათლებულესმა პირებმა. *).

ალ. ტატუნაშვილი.

---

*) აქ მოვიყვანთ ზოგიერთ აღგილების ერთიხ იეზუიტის ოხზულებიდგან, რომელიც ნათელს ჰფენს იეზუიტთა პედაგოგებს. „მასწავლებელი, რომელსაც აბარია უმაწვილების თვალ-ყურის გდება, უნდა ერიდოს, განსაკუთრებით თამაშობის დროს და პირველ თავის მათთან დამოკიდებულებაში, იმის ფიქრსა, რომ მისი უფლება და გავლენა განმტკიცებულია, ნამეტნავად პირველ ხანებში, თუ შეამჩნია მათში თავისადმი პატივისცემა. მასწავლებელი, რომელიც თავდაპირველადგე ფიქრობს, რომ იმაზე უბრალო და ადვილი არაფერია, რაგორც დაწესებული წესების შესრულება, რომელიც პირველ საათიდგანვე ცდილობს შეგირდებს შორის თავის გამოჩენას და თვით საქმეზე კი არა ზრუნავს, ასეთი მასწავლებელი დირსია შებრალებისა. მისი საქმე წაგებულია. მას ორში ერთი დარჩენია: ან უნდა სრულიად თავლები დახუჭოს უმაწვილების უწესობა და ურიგობაზე, ან ტაქტი გამოიცვალოს და დაავიწყებინოს უმაწვილებს წინანდელი თვისი მოწყალებითი ქცევა (снисходительность).

მიუხედავათ გამოცდილ პირთა გაფრთხილებისა, მასწავლებელთა უმეტესობა თავის პედაგოგიურ აპპარეტზე პირველად გამოსვლის დროს ფიქრობს უმაწვილებთან კეთილ-განწყობილებით თავის ავტორიტეტის დამყარებას. იგინი ემზადებიან შენობის დამთავრებას და დარწმუნებულნი კი არ არიან შენობის საძირკვლის სიმაგრეში.

გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ პირველ ბიჯზეა დამოკიდე-

ხასიათის აღზრდა სკოლებში *).

როგორ უნდა მოქმედოგდეს მასწავლებელი?

ყველაზე პირველად მას ის უნდა ახსოვდეს, რომ მიჩვევანი (навыки) იბადებიან ფიზიკურ და ნივთიერ დამოკიდებულებათა ნიადაგზე. ამიტომ მოწაფის ნერვებში უეჭველად შესაფერი ცვლილება უნდა მოხდეს. რის გაკეთებაც მისთვის პირველ ხანებში ძნელია, შემდეგ ადვილია, ამიტომ მასწავლებელი სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცეს, თუ პირველში მისმა მოწაფესთან, ან მთელ კლასთან მეცადინეობამ ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოიტანა. ამ შემთხვევაში მან არ უნდა დაივიწყოს ის ფიზიკური გარემოება,

---

ბული სამსახურის მთელი შემდგომი ბედი და ამიტომ გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ჩემს რჩევა-დარიგებას. სკოლაში შესვლისათანავე უეჭველად უნდა გაიცნოთ როგორც თვითეული მოწაფის ხასიათი, ისე მთელი კლასის გრძნობა და მიმართულება; გახსოვდეთ ისიც, რომ მოწაფენიც ცდილობენ თქვენს შესწავლას და გულმოდგინეთ ადნიშვნეს თქვენს სუსტ მხარეებს; თქვენი ლაპარაკის და ბძანების მოწერა, თქვენი ხმის კილო და მიხვრა-მოხვრა მოწმობენ თქვენს ხასიათს, თქვენს გეშოვნებას და თქვენს ნაკლს, რომელსაც მაგრად იხსომებენ თქვენი მოწაფენი. იგინი უფრო ადრე შეადგენენ თქვენზედ თავის აზრს და შეხედულობას, ვინემ თქვენ მათზე; ამიტომ ეცადენით იყვნენ მარად მიუწდომელი და დარაჯი თქვენის თავისა, ვიდრე არ გახდებით სრული ბატონი თქვენის თავისა.

*) იხ. „გამოსადეგი ცნობანი", წიგნი მეექვსე.

რომელზედაც მიჩვევა უნდა დამყარდეს. სისუფთავეს და სიფაქიზეს რომ მივაჩვიოთ მოწაფე, საჭიროა, თვით იგი სუფთად და ფაქიზად შევინახოთ და განა ეს შეიძლება დაუგველ, დაუსუფთავებელ და მოუწყობელს ოთახში? ამნაირი გარეგანი მოწყობილობით მასწავლებელი ამკვიდრებს სკოლაში დისციპლინისათვის საჭირო და სასარგებლო ატმოსფერას, რომ იქ შესვლა ყველასათვის ადვილი იყოს.

მოწაფენი პირველად მცირე რამეში უნდა მიეჩვივნენ დისციპლინის ასრულებას, რომ მათ მცირე საქმეშიაც კი შეეძლოთ თავის დაჭერა, ე. ი. წეს-რიგის დაცვა. შემდეგ, როდესაც იგინი შეითვისებენ ამ ზნე-ჩვეულებას, მასწავლებელს შეუძლიან მიენდოს მათ და ბევრშიაც მიანიჭოს თავისუფლება, მაგ., მაშინ მასწავლებელს შეუძლიან მისცეს მთელს კლასს სამუშაო და დასტოვოს იგინი მარტოდ და იმედიც ჰქონდეს, რომ თვითეული მათგანი დამოუკიდებელად შეასრულებს თავის სამუშაოს; მაგრამ, აქაც უმთავრესად იმაზედ უნდა იყოს მიქცეული ყურადღება, იმას უნდა ცდილობდეს მასწავლებელი, რომ ყმაწვილი მიეჩვიოს დამოუკიდებელ შრომას. შეგნება საკუთარი ძალ-ღონისა და თვისით გაკეთებულის-მიერ აღძრული საამო გრძნობა შეადგენს ერთ უდიდეს საალმზრდელო საშუალებას. ეს შეგნება აიძულებს მის წინ-სვლას და გაუმჯობესებას. ყოველგვარი გადაჭარბებული გონებითი მუშაობა ასე თუ ისე ძნელია, და სასწავლებლის ცხოვრებაში კი ხშირად დაატყდება ხოლმე მოწაფეს ისეთი მძიმე და უსიამოვნო სამუშაო, რომელიც საჭიროებს ნების ძალ-დატანებას. ყოველ ამ გვარს შემთხვევით მასწავლებელი უნდა სარგებლობდეს და თვალ-ყურს ადევნებდეს, რომ ნების ძალის-ხმევა რაც შეიძლება ხშირი პრაქტიკით გამაგრდეს და განმტკიცდეს და არ შესუსტდეს. უმისოდ შეიძლება შესუსტდეს თვით-მოქმედება და მეხანიკურს ზნე-ჩვეულებაში გაიყინოს. აი რატომაა ხოლმე ძნელი იმ ყმაწვილების მოქცევ-მორჯულება, რომელნიც აღზრდილან

ოჯახში სასტიკი დისციპლინის და მექანიკური მორჩილების ქვეშ, რადგან ეს უკანასკნელნი არავითარს ადგილს არ უთმობენ ნების განვითარებას და გაძლიერებას. რასაკვირველია, სკოლაშიაც ვერ მოაქვს ხეირიანი ნაყოფი ამ ნაირ გარეგნულ დისციპლინის სისტემას, რომლის დაცვა, მიუხედავად ამისა, ითვლება კარგი ყოფა-ქცევის ნიშნად.

გონებითი განვითარების სისტემა შეიძლება გამოიხატოს სამი სიტყვით, რომელნიც (სიტყვები) აღნიშნავენ მის საფეხურებს (ступени). „ვეცდები", „გაავაკეთე", „წავალ წინ". პირველი საფეხური სამუშაოდ ძალ-ღონის მოკრეფაა; მძიმე და ძნელი სამუშაო ითხოვს მეტს ძალ-ღონეს, ჰბადავს სიძნელეს, რომლის გათვალისწინება და წარმოდგენა სასიამოვნო არ არის; საჭიროა ამ სიძნელის ძლევა მეტის ძალ-ღონის მოკრეფით. დისციპლინა აიძულებს მოწაფეს ძალა დაატანოს თავის თავს, რომ მიაღწიოს განზრახულს მიზანს, ე. ი. გააკეთოს ის, რაც საჭიროა. ამ გარდამეტებულის შრომის პირველი ჯილდო ის იქნება, რომ მოწაფე მიიღებს წარმატებას; მეორე ისა, რომ შემდეგში მისთვის საჭირო აღარ იქნება ასეთი ძალ-დატანებითი შრომა, საქმე გაუადვილდება და მით წინ წავა და საბოლოვო შედეგი კი ასეთი შრომისა ის იქნება, რომ მოწაფე სრულიად გამოიცვლის ხასიათის თვისებებს. ფიზიოლოგიური ენით რომ ვსთქვათ, ასე გამოვა: მოწაფის მთელი ნერვიული გუნებობა (нервное настроеніе) მიიღებს ცვლილებას, ე. ი. არა ნორმალურიდგან გარდიქცევა ნორმალურად და დაადგება სწორე გზას.

ჩვენ ხშირად ვხედავთ ხოლმე, რომ თითონ დიდებიც უზრდელად იქცევიან საზოგადოებაში, ხშირად ჩენულობენ, როგორც საქმეში, ისე სიტყვა-პასუხში, რეგვნობას, თავხედობას და უაზრო თავ-მოყვარეობას. მათი ასეთი არა საკადრისი საქციელი მომდინარეობს, რასაკვირველია, მათი გაუნათლებლობისაგან და არა მათი ბუნების განსაკუთრებული თვისებისაგან. აი რატომ უნდა იყოს მიქცეული აღმზრდელის

ყურადღება ამ დიდ მნიშვნელოვან საგანზე. აღმზრდელმა იმავ პირველ ხანებში უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება თავ-მოყვარეობას (ეგოიზმს) და მოუდრეკ-მოუხეშაობის პირველ ნიშნებს და შეაჩეროს მათი გავრცელება, მაგრამ ამავე დროს იგი უეჭველად უნდა სარგებლობდოს ყოველ იმ შემთხვევით, რომელშიაც მოწაფე თვით ეჩვევა თავის შემაგრებას და შეკავებას. უზრდელობა, ჩხუბი, ცუდ-უბრალო ბღარძუნობა და სხვა უეჭველად განდევნილნი უნდა იყვნენ პატარა ყმაწვილთა წრიდგან; შემდეგ, როდესაც იგინი მოიზრდებიან, საჭიროა, შეითვისონ მათ, თუ რა არს საერთო ინტერესი, პატიოსნება და მთელი კლასის მოვალეობა. ამისათვის კი სასარგებლოა ზოგიერთ სკოლების-მიერ მიღებული წეს-რიგი, სადაც თვით მოწაფენი ზრუნავენ მთელის კლასის საჭიროებაზე და წეს-რიგის დაცვაზედ და აგრეთვე თვალყურს ადევნებენ, როგორც მეცადინეობის, ისე თამაშობის და შესვენების დროს და ყოველ ამაში პასუხის-მგებელნი თითონვე არიან. ამისათვის კარგია მონიტორების, პრეფექტების და უფროსების დანიშვნა; ჩვენ ყოველთვინ უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ თვითეული მოწაფე ოდესმე გახდება მოქალაქედ და იძულებული იქნება მიიღოს მონაწილეობა საზოგადო საქმეთა მართვაში, ამიტომ სკოლამ ისე უნდა აღზარდოს მოწაფე, რომ შემდეგში ასეთს დიდ მნიშვნელოვან საქმეში იგი თავისი საკუთარი ინტერესით და პირადულის თავ-მოყვარეობით არ ხელმძღვანელობდეს. მოწაფემ სკოლაშივე უნდა შეიგნოს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება თვითნებობაში კი არა მდებარეობს, პირიქით, რომ ყველას შეეძლოს თავისუფლებით სარგებლობა, საჭიროა, რომ ყველას მტკიცეო ჰქონდეს შეგნებული ის, თუ რის გაკეთება შეიძლება და რის არა, რას უნდა ვერიდოთ და რას არა.

დიდი საქმეა ყმაწვილებისთვის მართლის თქმის მიჩვევა. სიცრუის ფესვები ძალიან ღრმადაა დამალული თვითეული ყმაწვილის ბუნებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთის

ბუნებაში მას უფრო მტკიცეთა აქვს გადგმული ფესვები, მეორესაში კი უფრო სუსტად, რადგან ყველას ერთგვარი საღი ბუნება და გონება არა აქვს. ამ ბოროტების მოსასპობად აღმზრდელმა უნდა იქონიოს თავისი ზედ-გავლენა ყმაწვილის როგორც გონებაზე, ისე სულზე და გულზე, ყველაზე უწინ კი მასწავლებელმა თავისს მოწაფეებთან დამოკიდებულებაში უნდა გამოიჩინოს ძიუდგომელი სიმართლე, რომელმაც უნდა თვითეულ მოწაფეში დაჰბადოს (გააღვიძოს) ჭეშმარიტების და სიმართლის შეგნება-დაფასება. უმეტეს შემთხვევაში ეგოიზმის ანუ პირადი თავმოყვარეობის მოსაზრებანი ხდებიან ხოლმე სიცრუვის წყაროდ; მაგ., რაიმე სარგებლობის შეძენის, ანუ სასჯელის თავიდგან აცილების სურვილი, დანაშაულის დაფარვა და სხვ. აღმზრდელმა უნდა მოჰკიდოს ამ ავადმყოფობის წამლობას ხელი, მაგრამ ძალიან ფრთხილად კი. მას იმდენათ მეტი სიფრთხილე ჰმართებს, რამდენადაც დამნაშავე უფრო პატარაა. ამ სენის განკურნვა არ შეიძლება არც შიშითა და არც მკაცრის ბრძანებით. ღმერთმა გვაშოროს, რომ ყმაწვილს ერთსა და იგივეს ჩავჩიჩინებდეთ: რომ იგი გაფუჭებული და რეგვენია, რომ მასში ხეირი არ არის და სხვა. ამით მთელ აღზრდის საქმეს გავაფუჭებდ. ამ სენის აღმოფხვრას მხოლოდ მაშინ შევიძლებთ, როდესაც ნელ-ნელა მივიზიდავთ ყმაწვილის სულსა და გულს და დავაყენებთ მის გონებას ჭეშმარიტების და სიმართლის გზაზედ; ყველაზედ უფრო კი საიმედოა მასში საკუთარი ღირსების გრძნობის გაღვიძება და მისკენ მისი მიმართვა; ვაჟკაცად გახდომა შეადგენს ყმაწვილის იდეალს, საჭიროა, რომ მან შეიგნოს და შეითვისოს ის, თუ როგორ ფუჭდება და ჰკარგავს თავისს ღირსებას ეს იდეალი ტყუილის ლაპარაკით და სიცრუით.

საჭიროა მასწავლებელმა სწავლაშიაც დაიცვას გონებითი სიმართლე. კლასში ყველასათვის ყოველგვარი გონებითი სამუშაო ისე უნდა იყოს წარმოდგენილი-დასურათხატებუ-

ლი, როგორც ნამდვილათაა იგი. რასაც უნდა მუშაობდნენ კლასში, არას დროს არ უნდა მისცენ იმას ნება, რომ გაუკეთებელმა და შეუსრულებელმა საქმემ მიიღოს გაკეთებული საქმის სახე, უვიცობამ დაიჭიროს ცოდნის ადგილი, ან რომელიმე სიტყვა, ანუ ფრაზა აუხსნელად და შეუგნებელად იყოს მიღებული და შეთვისებული. თვით მასწავლებელმაც, როდესაც უხსნის რასმეს მოწაფეებს, ანუ პასუხს აძლევს მათ რომელსამე კითხვაზედ, თვალ-ყური უნდა ადევნოს თავისს თავს, რომ მისი აზრი და სიტყვა ცხადი და გარკვეული იყოს; თვით იგი მოწაფეებთან ერთად უნდა სწავლობდეს-ემზადებოდეს გაკვეთილისთვის. თუ მოწაფე არ მიეჩვია საქმეში კეთილ სინიდისიერობის და წესიერების დაცვას და ჩვეულებად არ მიიღო სიტყვის საქმედ ქცევა და ასრულება, მთელი მისი სწავლა ცუდად ჩაივლის. ამ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა შეადგენდეს მისთვის მისაბაძ მაგალითს. თუ მოწაფემ შენიშნა თავის მასწავლებელში გაკვეთილზედ ცუღლუტობა და ტყუილი, მისი ავტორიტეტი მაშინათვე დაჰკარგავს მოწაფის თვალში თავისს ძალას და მნიშვნელობას. გონიერი მასწავლებელი, როდესაც რომელსამე კითხვის ახსნა-გადაწყვეტაში შენიშნავს თავისს სისუსტეს, მაშინათვე იშველიებს მოწაფეს, რომ მისი დახმარებით და მონაწილეობით განმარტოს განსამარტებელი საგანი. ამით იბადება ინტერესი და მტკიცდება მოწაფეში კეთილ სინიდისიერი შრომის ნაყოფის შეგნება და საჭიროება.

ყოველგვარ სწავლაში უნდა გამოსჭვიოდეს ზნეობრივი სწავლა,—ორივე განუყოფელად უნდა მიდიოდეს ერთად; მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზნეობრივი გრძნობის აღძვრა-გაღვიძება ცარიელი დარიგებით არ შეიძლება. საფრანგეთის პედაგოგები ზნეობას სამოსწავლო საგნად ხდიან; ადგენენ მის შესახებ სახელ-მძღვანელო წიგნებს და თვით ზნეობრივ სწავლას აძლევენ ასეთს თუ ისეთს სისტემას. ეს სისტემა ჰყოფს ზნეობას, „კატეგორიებად (ნაწილებად) და

ხანდისხან ისეთი რაიმე საქმის ჩადენას უკრძალავენ, რომელზედაც ყმაწვილს ჯერ არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ამ ნაირ სწავლას მხოლოდ ვნება მოაქვს და არა სარგებლობა. რასაკვირველია, შესაძლებელია ამა თუ იმ სათნოების ვანყენებულ თვისებათა და კარგი ყოფა-ქცევის წესების წარმოდგენა, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებათ მათ, (თუ) ცხოვრებაში მათი მოხმარებ-გამოყენების შემთხვევა არ იქნება? ხასიათი ვითარდება თან და-თანობით, ნელა-ნელა და ნორჩი, მოუმწიფებელი გონებისთვის ძნელია განყენებულ ცნების ანუ სახეთა ცოცხლად წარმოდგენა. მართალია მასწავლებელს შეუძლიან ხანდისხან ამნაირად ახალგაზრდის გახალისება და მასში ცხოველი გრძნობის გაღვიძება, მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილება იქნება და თუ, რამდენჯერმე განმეორდა მას შეუძლიან გამოიწვიოს მხოლოდ „სენტიმენტალობა“, თუ ცხოვრება და გარემოება მზა შემთხვევას არ მისცემენ მოწაფეს საქმით თავისი თავის და წესების გამოცდისას. მარტო გონებით ანუ ოცნებით წარმოდგენილ სათნოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იგი ჰბადავს მხოლოდ თვით-მოტყუებას. სამართლიანად შენიშნავენ, რომ როდესაც გონება გატაცებულია ნამეტანის განყენებულის საგნებით, მაშინ ნების ენერგიაც სუსტდება ხოლმე.

ხშირ დარიგებას და დაშლას, ანუ აღკრძალვას, რა გინდ დამარწმუნებელი და მკაცრი იყვნენ იგინი, ძალიან მცირე სარგებლობა მოაქვთ, რადგან ხშირი განმეორებით ჰკარგავენ თავიანთ ძალ-ღონეს და გავლენას. მაგრამ სკოლის ცხოვრება, შეიძლება ვსთქვათ, ყოველ ნაბიჯზედ აძლევს მასწავლებელს მზა შემთხვევას, დროზედ ნათქვამი სიტყვით გააღვიძოს მოწაფეში კეთილისადმი სიყვარული და მისწრაფება და ბოროტისადმი სიძულვარე.

განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია **საჩუქრები** და **სასჯელნი** (**награды и наказанія**). ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში, რომ კაცთა შორის ასპარეზზედ, ყოველგვარი მოქმედება

უბრძოლველად ვერ ღებულობს გამარჯვებას და რამდენადაც მეტია ამა თუ იმის მაძიებელი, იმდენადვე საინტერესო და ცხარეა თვით ბრძოლა. ყველაზე დიდს ჯილდოს ის ღებულობს, რომელიც მრავალ მოწინააღმდეგეთ ამარცხებს და ცხარე ბრძოლიდგან გამარჯვებული გამოდის. ცოტა რამ განსხვავებით ეამასვე ვხედავთ სკოლაშიაც. ბრძოლა სახელისა და დიდების მოსაპოვებლად შეადგენს ყოველგვარის მოქმედების უმთავრესს ჭახრაკს და იგივეა მეცნიერების და ხელოვნების წინ-წამწევი ძალაც. მაგრამ სკოლაში ამნაირი შეჯიბრეაა გამოსაყენებელი და სახეირო არ არის, რადგან მას მოსდევს არა სასურველი შედეგი, იგი აღვიძებს და ანვითარებს მოწაფეში პირადი ინტერესების დაცვას. ჩვენ ვეჩვევით ჩვენი საკუთარი ღირსების აწონ-დაწონვას და დაფასებას მხოლოდ იმითი, რის გაკეთებაც მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან, მაგრამ ეს საშუალება შემაცდენელი და უხერხულ-გამოუსადეგარია; ღირსების ნამდვილი საზომი შინაგან კაცშია და პირველი საზომი თუ სჭარბობს, შეუძლიან დაჰბადოს კაცის ცხოვრებაში და ურთიერთ დამოკიდებულობაში მიუკარებელი მიუდგომელ-მედიდური გრძნობანი, შური, მტრობა, ამპარტავნობა და დიდების მოყვარეობა. რასაკვირველია, ამ მიმდინარეობათა და მიმართულებათა შეთანხმება-გათანასწორება დამოკიდებულია აღმზრდელის გონიერ მოსაზრებაზე და მეცადინეობაზედ. პატარა ყმაწვილებს დიდი გაფთხილებით უნდა ეძლეოდეთ საჩუქრები და ყოველ შემთხვევაში უპირატესობა უნდა ეძლეოდეს უფრო კეთილ სინდიერ მუყაითობას, ვინემ თვით გაკეთებულ საქმეს, რადგან თვით საქმე იმდენად არა ღირს, რამდენად საქმის კეთების თვისება. მომეტებულ სკოლურ საჩუქრების გაყოლას შეუძლიან ცუდი შედეგი იქონიოს ნორჩი ყმაწვილების განვითარებაში და შეიძლება მომავალ მათ სამოქმედო ასპარეზზედ გარდაიქცეს ცარიელ ქება-შესხმათა და საჩუქრების მიღების ვნებად. ყოველგვარ ჯილდოთა და საჩუქართა შორის ყველაზე უკე-

თესი, ყველაზე ნამდვილი და ღირსეული არის კეთილ-გონიერი მასწავლებლის-მიერ დროზედ თქმული სიტყვა მოწონებისა და ქებისა. მაგრამ ყოველგვარ მოღვაწისათვის თვით ბუნებით და არსებით ჯილდოს შეადგენს მის-მიერ გაკეთებულ საქმით გამოწვეული საკუთარი კმაყოფილების გრძნობა. თუ მასწავლებელი შეიძლებს მოწაფეთა იმდენად განვითარებას, რომ მათ თვითონ ცხადად შეეძლოთ თავიანთი ბეჯითობის და მეცადინეობის კმაყოფილების წარმოდგენა და გათვალისწინება, მაშინ მათი წარმატების და განვითარების საქმე გადაჭრილ-გადაწყვეტილია. როდესაც მუშაკი დაინტერესებულია თავისი საქმის გაუმჯობესობაში და წარმატებაში და კეთილ სინიდისიერად აკეთებს მას და შეუძლიან თავის სინიდისის ქვეშ შეგნებულად სთქვას „კარგათაა გაკეთებული", ეს მის-თვის უდიდესი საკუთარი ჯილდოა.

რიგიანი დისციპლინა, რასაკვირველია, უსასჯელოდ ვერ დადგება, მაგრამ როგორც საჩუქრების დარიგებაში, ისე დასჯაშიაც, დიდი სიფთხილე და გონიერება ჰმართებს მასწავლებელს. სკოლა, რომელშიაც, სასჯელი პანტასავით ხშირია და წამ-და-უწუმ ხმარებაში, უხეირო, უნიადაგო და ავადმყოფი სკოლაა. ფიზიკური ბუნების სფერა უფრო მეტად იპყრობს პატარა ყმაწვილების შეგრძნებათა და ამიტომ მათთვინ ნივთიერი მხარე როგორც ერთისა, ისე მეორისა (საჩუქრის და სასჯელისა) უფრო საგრძნობელია, თუმცა რამდენადაც ასაკში შედიან, ეს მხარე ჰკარგავს თავისს მნიშვნელობას. კარგად და რიგიანად მოწყობილს სკოლაში ყველაზე უდიდეს სასჯელად უნდა ითვლებოდეს მასწავლებლის და ამხანაგების საყვედურის გამოცხადება.

გონებითს სფერაში აზრის მოძრაობა, მიმდინარეობა და განვითარება ხდება იდეათა ასოციაციის დახმარებით. აზრი იმ დრომდე იმალება ხოლმე სულში, ვიდრე მას არ შეეხება და მოძრაობაში არ მოიყვანს ამა თუ იმ მოვლენით გამოწვეული მეორე აზრი. სწორეთ ესევე ხდება ზნეობრივ შე-

გრძნებათა სფერაშიაც: აღგზნებულ-გაღვიძებული აზრი მოდის რა მოძრაობაში, ცდილობს გარეშე მოქმედობაში თავის გამოჩენას და გამოხატვას. სადაც ორი და სამი კაცი თავს იყრის ერთად, იქ მაშინათვე იწყობა მათი ურთიერთ შორის ჩაგონება და ზედგავლენა და ეს განუწყვეტლივ ხდება ხოლმე ასე. ხანდისხან ხდება, რომ კაცი თუ ხშირად ხედავს ცუდ ზნე-ჩვეულებას და გარყვნილ მოქმედებას, თვითონაც ითვისებს ამ ჩვეულებათა და ვარდება მათ გავლენის ქვეშ; სწორეთ ესევე ემორჩილება ამ ჩაგონების და მიმღებლობის შეთვისების კანონს კეთილისადმი მიდრეკილებაც და მჭიდროთაა დაკავშირებული მიმბაძველობის მიდრეკილებასთან, რომელიც ასე თუ ისე შეჰფერ-შეჰშვენის თვითეულ ადამიანს. თუ კარგათ ჩავუკვირდებით ჩვენს ამ თვისებას, უეჭველად შევნიშნავთ, რომ ბევრს შემთხვევაში იგი მოქმედობს ავტომატიურის იძულებით, პირველად ნების დაუკითხველადაც კი. ჩვენ ამ მნიშვნელობით შეგვიძლიან მიმბაძველობა ჩავთვალოთ კაცობრიობის დაწესებულებათა და ზნე-ჩვეულებათა სულის ჩამდგმელად და წყაროდ და ამიტომ, როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ გრძნობათა და შეხედულობათა სფერაში ძნელია გონივრული მოსაზრებით და ნების ზედ-მოქმედებით იმის გასწორება, რაც მიმზიდველობისაგანაა აღძრული და განმტკიცებული.

უეჭველია არსებობს რაღაც შინაგანი ფარული ძალა, რომელიც მოღვაწე კაცის ხილვის დროს იწვევს მაყურებლის სულში თანაგრძნობის მოძრაობას და იმონებს ოცნებას. ეს თვისება უნდა ჰქონდეს აღმზრდელს სახეში მოწაფეებთან თავის დამოკიდებულობის მართვა-განწყობაში. ცხოველი სიტყვა მასწავლებლის, ცხოველი მაგალითი მისი შეადგენენ უმთავრეს საშუალებას, რომლითაც მოქმედობს იგი მოსწავლეებზედ, აღძრავს რა მათ სამოქმედო ძალას, ზრდის რა მათს ნებას კეთილ-გაზრახვით და ზნე-ჩვეულებით, ამყარებს და ამტკიცებს მათს გონებაში ცხოველ იდეებს და შეხედუ-

ლობათ. მძლავრი და მტკიცე ხასიათის თვისება მდგომარეობს სხვათა დამორჩილების და მათზე ზედ გავლენის ნიჭში, ე. ი. ჩაგონების, თანაგრძნობის და მიმბაძველობის გაღვიძების და გაცხოველების ნიჭში და უნარში. ამ ნაირად პირველი მოვალეობა მასწავლებლისა იმაშია, რომ გაფაციცებით თვალყური ადევნოს თავის თავს, რადგან მთელ მის მოქმედებას მოწაფეებთან დამოკიდებულობაში აქვს მის ავტორიტეტულ მდგომარეობაში დიდი ძალა და მნიშვნელობა. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ყოველი კაცი საქმის კეთების დროს იმაზედაც ფიქრობს, თუ როგორ უყურებენ მას, ან რას გამოელიან მისგან. ძალიან სასარგებლო და სახეიროა იმის შეგნება-წარმოდგენა, რომ მისგან გამოელიან მხოლოდ კეთილს და არა ბოროტს. მოწაფეს თუ ჩვეულებრივ ერთსა და იმავეს გამუდმებით ჩასჩიჩინებენ, რომ იგი უხეირო და ზარმაცია, ისიც ითვისებს ამ აზრსა და ნამდვილად გამოუყენებელი და უსარგებლო დგება.

აღმზრდელი იმდენათვე უნდა იყოს მოწაფეზედ დაიმედებული და ენდობოდეს მას, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაიმედებული იძნება იმაზე, რომ აღმზრდელს უყვარს იგი და ენდობა მას. პირ-იქით, უნდობლობას, იჭვნეულობას, შიშს, დარიგებას, აღკრძალვას და სხვა ამგვარ საშუალებათა შეუძლიანთ სრულიად გარყვნან და გააფუჭონ მოწაფე და შეასუსტ-შეამცირონ მისი შემოქმედებითი ძალ-ღონე და ენერგია.

როდესაც ჩაგონებაზედ ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ისიც, თუ რა ძრიელი ჩამაგონებელი საშუალებაა, განსაკუთრებით ჩვენს დროში, ლიტერატურა, როგორც მწიგნობრული, ისე გაზეთური. ღღეს ყველას ხასიათი ვითარდება და მტკიცდება წიგნების კითხვის ზე-გავლენით. წიგნებიდგან ამოღებული და შეთვისებული იდეიები და შეხედულობა-წარმოდგენანი იპყრობენ ოცნებას და შემდეგ ნელ-ნელა მოქმედობენ მის ნერვულ ორგანიზაციაზედ.

აი რატომ აღმზრდელმა უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს იმ წიგნების შინაარსი, მიმართულება და ხასიათი, რომლების კითხვასაც მისდევს მოსწავლე ახალგაზდობა.

ალ. ტატუნაშვილი.

რა არის კარგი გაგვეთილი?

ამ სათაურით რუსულს ენაზედ არსებობს ერთი წიგნი, თხზულება ნ. ბობროვნიკოვისა, რომელიც შეიცავს ბევრს საგულისხმო აზრებს და ამიტომ მოგვყავს იქიდამ ზოგიერთი მათგანი.

უწინდელს დროში,—აბობს ბობროვნიკოვი,—ბევრმა სახელითაც არ იცოდა რა არის პედაგოგიკა, მაგრამ მაინც ბევრი გამოჩენილი მასწავლებელი და აღმზრდელი მოიპოვებოდა მაშინაო. ადვილი ასახსნელია ესაო. **სწავლის კადაცემა ანუ სწავლება არის ხელოვნება** და, როგორც სხვა ყოველგვარი ხელოვნება, იგიც თავისებურს ნიჭს თხოულობსო. აი ამ საგანგებო ნიჭის მადლიერი უნდა იყოს კაცობრიობა, რომ უპედაგოგიკოდაც, არა იშვიათად იბადებოდა ბევრი შესანიშნავი მასწავლებელი და აღმზრდელიო. რა ნიჭებია ეს საგანგებო ნიჭი?

სამასწავლებლო ნიჭი შესდგება ორი ელემენტისაგან: ერთია—გულ-კეთილობა და მეორე—მტკიცე, ნათელი ჭკვაგონება და ცხადი წარმოდგენა და შეგნება იმ სასწავლო საგნებისა, რომლებსაც ასწავლიო. გულ-კეთილობა ბევრს რაშიმე გაუწევს მასწავლებელს პედაგოგიკის მაგიერობას, რადგანაც მისის წყალობით მასწავლებელი ადვილად უახლოვდება მოსწავლეებს, ცდილობს მათის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას, სწავლების ამა თუ იმ საშუალების გაადვილებით, ხოლო მეორე—იცავს მას აბდა-უბდა სწავლებისაგან,

რომელიც ხშირად ხდება უმთავრეს მიზეზად სწავლების დაქვეითებისა. თუ მასწავლებელი მოკლებული არ არის ამ ორს თვისებას, იგი უპედაგოგიკოდაც ადვილად შესძლებს კარგს მასწავლებლობას, კარგის გაკვეთილების ძლევასო.

დღევანდელი მასწავლებელი დატვირთულია მრავალ-რიცხოვანის კლასით, აუარებელის გაკვეთილებით, ხშირად ორსა და სამს სასწავლებელ'ში, ასე რომ მასწავლებელმა ბევრჯელ სახელ-გვარიც არ იცის თვისის მოსწავლეებისა და აბა რა გვარი გულითადი დამოკიდებულება შეიძლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ასეთს ყოფაში?!

ასე და ამ გვარად, რასაც უწინდელი მასწავლებლები მიაღწევდნენ პირადულის შეგულიანებით და ბუნებითის შემოქმედებით, მისივე გაკეთება ჩვენს მრავალფეროვანსა და გართულებულს დროში ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს სამეცნიერო პედაგოგიკის გარეთ...

სწავლება და აღზრდა ორი განუყოფელი საგანია. ყოველი მასწავლებელი იმავ დროს აღმზრდელიც არის, ყოველი გაკვეთილი ასეთის მასწავლებლისა იმავ დროს საალმზრდელო მიზნებსაც ემსახურება. ბუნებით ანუ მოწოდებით მასწავლებელნი ყოველს ამას მიაღწევენ ბუნებითის ნიჭით და შემოქმედობით, ჩვეულებრივ მასწავლებელთათვის კი საჭიროა ანალიზი, საჭიროა ცხადი წარმოდგენა იმისა—რის გაკეთება, რის სწავლება და აღზრდა მინდა.

აღზრდა ნიშნავს—შექმნა სულიერ და ფიზიკურ მიჩვევათა, გახსნა და განვითარება ადამიანის ამა თუ იმ ნიჭთა. ჩვეულებრივს, ყოველ-დღიურს ცხოვრებაში კარგად აღზრდილად იმას ეძახიან, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ მიჩვეულია ასე თუ ისე თავის ჭერას, დაკვრას, მოკითხვას, ადგომ-დაჯდომას, ჩაცმას, დახურვას და სხვა. ეს არის ეგრედწოდებული გარეგანი აღზრდა. ზოგიერთს ქვეყნებში, მაგალითად, იაპონიაში, ეს გარეგანი აღზრდა შეადგენს ცალკე სასწავლო საგანს, მისთვის იქ შედგენილია საგანგებო, სა-

კმაოდ რთული პროგრამმა და აი ამით აიხსნება ის განსაცვიფრებელი მოვლენა მოგზაურებისათვის, რომ მთელს იაპონიაში, მის ყოველ კუთხეში თქვენ ნახავთ ერთსა და იმავე ზნესა და ჩვეულებას, რომელიც ჰქმნის გარეგან ერთობას ადამიანებისას, ერისას. თქმა არ უნდა, რომ სამშობლოში აღზრდილი იაპონელი თითით საჩვენებელი გახდებოდა ჩვენს სოფელში.

რადგანაც სკოლებში თავს იყრიან მოსწავლენი საზოგადოების ყოველი წრიდამ და წოდებიდამ, ამიტომ ეს გარეგანი აღზრდა ჩვენში მხოლოდ უმთავრესით განისაზღვრება. რა გაკვეთილიც უნდა იყოს, მასწავლებელი ყოველთვის მოსთხოვს მოსწავლეს ზოგიერთის გარეგანის წესების შესრულებას, რომ, მაგილითად, მოსწავლენი მოდიოდნენ სკოლაში პირდაბანილები, დავარცხნილები, ქამრით შემოსილები, სუფთად ჩაცმულები და სხვა. მალეც მიაღწევს ხოლმე ყველაფერს ამას სულ ცოტაოდნად მტკიცე ხასიათის მასწავლებელი!..

სულ სხვაა—შექმნა გონებითისა და გულის მისწრაფებაჩვეულებათა; იგი გაცილებით უფრო ძნელი, რთული საგანია და ამიტომ უფრო მეტს დროსაც და შრომა-უნარსაც თხოულობს თვის მიზნამდის მისაღწეველად.

მოგეხსენებათ რა საგანიც არის გიმნასტიკა. გარეგნობით იგი სავსებით მატერიალური სასწავლო საგანია, გაკვეთილები მისი მხოლოდ სხეულის სხვა-და-სხვა მოძრაობისაგან შესდგება. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ თვით ეს საგანიც ისე შეიძლება მოვაწყოთ, რომ მასაც დიდი აღმზრდელობითი გავლენა ჰქონდეს მოსწავლეებზე, რადგანაც, როცა მოსწავლენი ასრულებენ გიმნასტიკის რომელიმე სავარჯიშოს, ამით ისინი იმავ დროს სწავლობენ და ეჩვევიან უწყებულს წეს-რიგს, ძალისხმევას, სიძნელეთა დაძლევას, გამბედაობას, სიმამაცეს და სხვა. აი რატომ არის, რომ წესიერებას მოკლებული გიმნას-

ტიკის გაკვეთილი გაცილებით უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო...

მოვჭრათ მოკლეთ და ვსთქვათ—რა არის კარგი გაკვეთილი?

1) კარგი გაკვეთილი იგია, რომლის საგანს შეადგენს ერთი ცნება, წარმოადგენს ერთს დასრულებულს მსჯელობას. გაკვეთილის ეს პირობა იმდენად უფრო დიდ-მნიშვნელოვანია სწავლებაში, რამდენადაც პატარები არიან მოსწავლენი. ეს გარემოება კარგათა აქვსთ შემეცნებული ამერიკელებს და ამიტომ არის, რომ იქ, ხშირად, ხანგრძლივობა გაკვეთილისა იცვლება სასწავლო საგანთან ერთად, მაგ., იმ დროს, როცა ზეპირ ანგარიშისთვის დანიშნულია მხოლოდ 15 წამი, მართლწერაზე 30 წამია დანიშნული და ასე სხვა საგნებზედაც, იმის მიხედვით, თუ რომელი საგნის ანუ მისი რომელიმე მხარის სწავლება უფრო მეტს დროს მოითხოვს. ამიტომ, როგორც გამოცდილი და ხელ-მარჯვე ვაჭარი, რომელიც ერთის დაყრით, სწორედ იმდენს გირვანქა ბრინჯსა ჰყრის სასწორზედ, რამდენსაც მუშტარი თხოულობს, სწორედ ასევე, კარგი და მარჯვე მასწავლებელი იგია, რომელიც ზედმიზეწნით შეუფარდებს გაკვეთილის საგანს გაკვეთილის ხანგრძლივობას, ე. ი., რომ მის საფუძვლიან შეთვისებას არც დააკლდეს დრო და არც მეტი მოუვიდეს დადებული დრო. ეს არის დაფასება გაკვეთილის საგნის რაოდენობითის მხარისა.

2) გაკვეთილის საგნის რაოდენობითის მხარის სავსებით დასაფასებლად კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნათლად წარმოდგენა გაკვეთილის საგნისა, მისი სრული სიგრძე-სიგანე და სიადვილე-სიძნელე მოსწავლეთათვის. ეს კი მაშინ შეიძლება, როცა მასწავლებელს წინათვე სავსებით აქვს გაკვეთილის საგანი შემუშავებული, გაწყობილი. ამას ჰქვიან გეგმა გაკვეთილისა. უკანასკნელი იმდენად მარტივი უნდა იყოს, რომ მიზეზი მისი ასეთი თუ ისეთი დაწყობილობისა ადვილ-

გასაგები იყოს თვით მოსწავლეთათვისაც. ამიტომ კარგად იქცევიან ის მასწავლებლები, რომლებიც წინათვე მოკლეთ აცნობებენ ხოლმე მოსწავლეთ, თუ რის ახსნას და შესწავლას უპირებს მათ მასწავლებელი, მაგ., ასე: „ჯერ გაგაცნობთ, როგორ უნდა მარდათ გაამრავლოთ ზეპირად ორ-ნიშნიანი რიცხვი, და შემდეგ გაჩვენებთ ამისავე შესრულებას წერით დაფაზედ თუ ქაღალდზედ“. ასე წინასწარ გაფრთხილება მოსწავლეთა იმიტომ არის საჭირო, რომ მოსწავლეებს ხშირად სრულიად არ ესმისთ, რისთვის და ვისთვის ლაპარაკობს და ასე მრავლად და ხანგრძლივად მსჯელობს მასწავლებელი. ხოლო, რომ მასწავლებელს შეეძლოს ასე მოკლეთ უთხრას მოსწავლეებს გაკვეთილის რიგი, აუცილებლად საჭიროა კარგად მოფიქრებული და დალაგებული გეგმა გაკვეთილის საგნისა.

3) კარგი გაკვეთილი იგია, რომელსაც არა მარტო გადასცემს მასწავლებელი მოსწავლეთ, არამედ კარგად საფუძვლიანადაც გააგებინებს და შეასწავლის მათ. ისე არაფერია მოსწავლეთათვის ცუდი, ისე არაფერი აუბედურებს მათ მომავალში, როგორც ის გაკვეთილი, რომელიც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი მარტოოდენ ისმენს და გადასცემს გაკვეთილს, თუნდაც რომ თანაც აუხსნიდეს გაკვეთილს. ვიმეორებთ, კარგი გაკვეთილი იგია, როცა მასწავლებელი ყოველს ახალს გაკვეთილს უთუოდ სავსებით შეაგნებინებს და შეასწავლის მოსწავლეებს კლასშივე.

4) კარგი გაკვეთილი იგია, რომელიც სამუდამოთ ჩაებეჭდება მოსწავლეს, გახდება მისი ხსოვნისა და გულის სრულ საკუთრებად. ეს კი მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ამის ზემოთ მოხსენებულ გაკვეთილს საფუძვლიან შესწავლასთან ერთად ახალს გაკვეთილს შეძლებისა კვალად დაუკავშირებთ უკვე შესწავლილს, როცა ახალის გაკვეთილის გამო, ყველა საჭირო აღგილას, მასწავლებელი გაახსენებს მოსწავ-

ლეებს უკვე განვლილ გაკვეთილებს და იქ შეძენილს ცოდნას. და

5. კარგი გაკვეთილი იგია, რომელიც საგნის შესწავლასთან ერთად, თვით-მოქმედებითს ფიქრსა, ჰსჯელობასა და მუშაობასაც ასწავლის, რადგანაც, მოკლეთ რომ ვსთქვათ, მთელი სწავლა-განათლების დანიშნულება უმთავრესად იმაშია, რომ, დასასრულ, მოსწავლე საზოგადოების თვით-მომქმედ წევრად გამოზარდოს. ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გაკვეთილის გეგმაში შესულია თვით-მოქმედებითი, მასწავლებლისაგან დამოუკიდებელად და შეუწევნელად, რომელიმე სამუშაოს შესრულება. თქვენ, მაგ., გსურთ აუხსნათ და შეასწავლოთ მოსწავლეებს, თუ როგორ გავარჩიოთ ზედ-შესრული სახელები სიტყვის დანარჩენი ნაწილებისაგან. როცა გაათავებთ ამის ახსნას, თქვენ შეგიძლიანთ დაავალოთ მოსწავლეებს გამოწერონ რომელიმე უკვე წაკითხული სტატიიდამ ყველა ზედ-შესრული სახელები, ერთის რომელიმე სახით თუ ფორმით, ერთად განმარტებითი არსებობის სახელთან.

სილაქები და ჯოხები სასწავლებელში.

ისე არაფერი ამცირებს სასწავლებელს და მასწავლებელს, როგორც სილაქებისა და ჯოხის ხმარება იქ, სადაც მხოლოდ ყურადღებით სავსე მეცადინეობას და სწავლას უნდა ჰქონდეს ადგილი. სამწუხაროდ, ხმა დადის ჩვენს საზოგადოებაში, რომ ზოგიერთი ჩვენი მასწავლებლები, თვით ჩვენს გაბრწყინვებულს ტფილისშიაც კი, არა იშვიათად ხმარობენ სილაქებს და ჯოხს შეგირდების ამა თუ იმ ბავშვური სიცელქის ასალაგმავად. ჯერ კიდევ ამ სამასი წლის წინათ სთქვა დიდებულმა კომენსკიმ (დ. 1592 წ.), რომ წკეპლა და ჯოხი, რისხვა და ბორგვა, სიძულვილი და ბოროტება, ყვირილი და ქადილი, ეს იარაღნი ძონობისა, სრულიად არ შეჰფერის ადამიანთა

კეთილშობილებას,—და ამიტომ არც ადგილი უნდა ჰქონდესთ მათ სასწავლებლებში, ჩვენ ისინი სავსებით უნდა გამოვდევნოთ უკანასკნელებიდან, როგორც უვარგისნი მონობისათვისაც კიო... ჩვენ რაღა დაგვემართა, რომ მეოცე საუკუნის რიჟრაჟზედაც ვერ შეგვიგნია ესენი... სილაქისა და ჯოხის მაგიერ სასწავლებლებში უნდა მეფობდეს მხოლოდ სიყვარული და თანაგრძნობა ბავშვთადმი, ნაზი ქცევა და ძლიერი სიტყვა-დარიგება, საკუთარი მაგალითი მაღალ ზნიანობისა, სიმართლისა, შრომისა და სწავლა-სიბრძნის შეძენისა.

გვერწმუნეთ, მასწავლებლებო, რომ ჯოხი და სილაქი თვით თქვენი საკუთარი ღირსების დამამცირებელი საშუალებაა, თქვენი საკუთარი სისუსტის და უღონობის, პედაგოგის უუნაროობის მაჩვენებელი. ერიდენით მას, როგორც ცეცხლს თივაში, თუ გინდათ, რომ თავისუფალი მოქალაქენი აღუზარდოთ მამულსა და არა ყურ-მოჭრილი მონები და უენო არსებანი... დრო მონობისა, ღვთით, დიდი ხანია ჩაჰბარდა ისტორიას, დროა მასვე გავატანოთ მსგავსივე იარაღი მორჩილება-წესიერებისა...

მეურნეობა-მრეწველობა.

წერილი სოფლელ მუშას.

ჩემო ერთგულო მეზობელო ბიჟან!

როგორც სჩანს შენგან მინაღები წერილებიდგან, შენ გაკვირვებს ის გარემოება, რომ ბაბუა შენი, კელენჯუხი, შენს მეათედსაც არ აკეთებდა, მაგრამ ოჯახი კი მაინც მსუყე ჰქონდა ყველაფრით; ხოლო შენ კი, თუმცა დღე და ღამ ოფლში იწურები, ვალისა და ვახშის მეტი არა გაგაჩნია-რა! დიახ, ეს მართლა ასეა და ასეც იქნება იმ დრომდის, სანამ შენ კელენჯუხის დროს ყოფილ ცხოვრების მოთხოვნილებას არ გაითვალისწინებ, მაშინდელი გაურჯელობის მიზეზს არ გაიცნობ, მაშინდელ ცხოვრების მოთხოვნილებას დღევანდელ მოთხოვნილებას არ შეუდარებ და სანამ შენს მაშინდელ შრომა-მუშაობას და შეხედულობას სულ ერთიანათ არ გამოსცვლი და დღევანდელი დროის შესაფერად არ გარდაქმნი. მიტომ მეც, ვიდრე შენს კითხვებზედ პირდაპირ პასუხს მოგცემდე, ვეცდები ცოტათი მაინც გაგაცნო ის მიზეზები, რომლის გამოც იმ დროის გაურჯელი მუშა უფრო იოლად ეწეოდა ცხოვრების უღელს, ვინემ დღევანდელი გამრჯელი და დღე-და-ღამ შეუსვენებელი მუშა. ეს მით უფრო საჭირო იქნება შენთვის, რომ შენი კითხვების პასუხი ამავე მიზეზებშია მიმალული. მე ვიწყებ ამ საკანზედ შენთან ბაასს შენგანვე ნაამბობით. აი ესეც:

„ერთხელ საღამოს წავყევი მამაჩემს, გლახუნს, სასირეზედ *); არ გასულა ათი წუთი, რომ ორმა ტყის ქათამმა ჩამოგვინავარდა და შიგ ბადეში კი გაეხვია; ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; სასიროობაც ამით გათავდა. მამა-ჩემმა, გლახუნმა, ბადე ათოკა, მე ქათმებს ხელი დავავლე და გამოუდექით ორივე სახლში. როცა მამამ ჩემი აღტაცების მიზეზი გაიგო, შემომჩივლა: „ჰაი, ჰაი, შვილო, ეს რა არის!? როცა ცხონებული ბაბუა-შენი, კელენჯუხი, თავისი ძმით წავიდოდა სასირეზედ, გოდორი თან მიჰქონდათ და ერთი საათის განმავლობაში გოდორი ველური ბატებით, იხვებით, ტყის ქათმებით და ბოლოშავ-ჩიჩხინაკებით ამსებული მოჰქონდათ სახლშიო.“ ესენი ყველა შენგან მაქვს, ჩემო ბეჟან, გაგონილი და მის სინამდვილეში არც მე შემაქვს ეჭვი. ამ შენგან ნაამბობს მე შემიძლია დავსძინო მხოლოდ შემდეგი: ეს ის დრო იყო, როცა ახლო-მახლო 'ტყიანი მთა-ველი სავსე იყო შკელ-ირმებით, კურდღლებით და გარეული ღორებით. აქედგან შენც კი მიხვდები, თუ როგორ მუქთად აძლევდა ბუნება მაშინდელს მუშას გარეულ ფრინვლებს და ნადირებს, ეხლანდელი შინაური ფრინველების და ცხოველების მაგივრად! ამნაირად, ბუნებისგან საზრდოს მხრით უზრუნველ-ყოფილ მაშინდელ მუშის წლიურ შრომას შეადგენდა მხოლოდ ერთად-ერთი ქცევა **) საყანის დამუშავება (დათესვა). შენ, ვიცი, საეჭვოთ მიიჩნევ ასე ცოტა სათესით ოჯახის დაკმაყოფილებას, მაგრამ ამასთან ნურც ის დაგავიწყდება, რომ მაშინდელი ბუნება მოსავალის მხრითაც უხვად აჯილ-

---

*) მთაში ან ვაკეში გაუელვდნენ (გამოკაფვდნენ) ტყეს, რომელსაც სიგანე ორ საუნამდის ჰქონდა. ერთ გამორჩეულ ადგილას, ხესა და ზეს შუა, გაუკიდებდნენ სასირე ბადეს, რომელსაც სიგანე გამოკაფული ადგილის ოდენა ჰქონდა და სიმაღლე (სიგრძე) კი ექვს საუნამდის. აი, ამას ეძახდნენ სასირეს (ე. ი. საფრინველოს).

**) ქტევას აქვს 900 ოთხ-კუთხი საჟენი.

დოვებდა მუშას. იმ დროინდელი ნოყიერი ერთი ქცევა სათესი ოთხმოც ფუთზედ მეტს ნაყოფს იძლეოდა ხოლმე და ამაზედ მეტი აღარც მაშინდელს ოჯახს სჭირდებოდა სარჩოდ. აბა, სხვა რა საზრუნავი უნდა ჰქონოდა მას მაშინ? ფეხსაცმელისთვის და ტანისამოსისთვის ის თავს არ იწუხებდა, რადგანაც მას ამაებს დიასახლისი უმზადებდა ოჯახშივე. შეშის მოძებნა და მოზიდვა მას რათ დასჭირდებოდა, როცა მისი ეზო ისეც სავსე იყო ამ უკანასკნელით! მისვლა-მოსვლა და შორეული მტერ-მოყვარე, იმ დროს, მისთვის კიდევ უცხო ხილი იყო და ამასთან არც სხვა-და-სხვა მოთხოვნილება აწუხებდა მას მაინც-და მაინც. ამ ნაირად, ბაბუა-შენის, კელენჯუხის, დროს მუშის ავლა-დიდებას და მის საზრუნველ საგანს შეადგენდა ერთად-ერთი, ჩალით ან ისლით დახურული, ფაცხა და ერთიც პატარა სასიმინდე. თქმა არ უნდა, რომ თვით მისის ოჯახი მოწყობილებაც მაშინ ასეთივე ღარიბული იყო. მამა-შენის, გლახუნის, დროს ბუნებამ, ცოტა არ იყოს, ფასი დაადო თავის სიუხვეს: გარეული ფრინველების და ცხოველებისგან სარგებლობა უხარჯოდ (თოფი და წამალი) და უტანჯველოდ აღარ მოეწყო, რის გამო გლახუნს დასჭირდა ცოტათი მაინც ფრინველების და ცხოველების მოშენება. ამ უკანასკნელთათვის საჭირო შეიქმნა თავ-თავის შესაფერი სადგომები (საღორე, საქათმე, საბატე და სხვა...). საქონლის გაჩენასთან ერთად გლახუნს მოემატა ხარჯი (სახარჯავი), რამაც გამოიწვია მისგან მეტი შრომა და ტანჯვა. ამას ზედ მოჰყვა კუთვნილებათა უფლების წამოყენება. კელენჯუხის დროს თუ მინდორ-ტყიდან სარგებლობა ყველას დაუკითხავათ და უსასყიდლოთ შეეძლო, გლახუნს ახლა ამაებისთვინ დასჭირდა ქრთამის გამოღება (მებატონის მოურავთან!). ამ დროს სწავლა-განათლების სურვილმაც იწყო გამოღვიძება, ალაგ-ალაგ, უფრო-კი თავად-აზნაურობაში. ამან გამოიწვია მეტი მისვლა-მოსვლა და შორეული მტერ-მოყვრის გაჩენა, რამაც, რასაკვირველია, ერთი-ორად გაადიდა ოჯახის

სახარჯავი (გასავალი). ამ უკანასკნელს ზედ მოჰყვა, ამდენს ხანს, თითქმის საერთო კუთვნილებათა (ბუნების სიუხვენი და სხ...) კეოძ-კეოძო კუთვნილებად გარდაქმნა. აი, აქედგან იწყება ცხოვრების მოთხოვნილების ათას ნაირად გართულება, რომლის დასაკმაყოფილებლად საჭირო შეიქმნა ფული, ფული და ფული. აი, სწორეთ, შენც ამ დროს მოსწრებიხარ მამა-შენს, გლახუნს. ბაბუა-შენი, კელენჯუხი, ბუნების სიუხვეში ასე დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, თავის შვილს გლახუნს სულ სხვანაირად მოამზადებდა და მაშინ ხომ მამა-შენი, გლახუნიც, აღარ გამოვიდოდა ცხოვრების ასპარეზზედ ასე დაძაბუნებული. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. არც ერთმა მათგანმა, რასაკვირველია უცოდინარობის გამო, არ მიაქცია ყურადღება ბუნების სიუხვეთა ცვალებადობას და ამიტომ, დარწმუნებულებმან არსებულ სიუხვეთა შეუმცირებლობაში და მაშინდელ მოთხონნილებათა შეუცვლელობაში, შენც მოუმზადებლად და შეუიარაღებლად გაკვრიეს თავი დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებათა მძიმე უღელში. რომ სიმართლე სთქვას კაცმა, იმ დროს ბუნების სიუხვე ისე ნელ-ნელა ცოტავდებოდა და ცხოვრების მოთხოვნილებანი ისე ნელ-ნელა რთულდებოდა, რომ ამაების შემჩნევა გლახუნისთანა და კელენჯურისთანა უცოდინარი კაცებისგან, მართლაც, გასაჭირი იყო. შენ კი, ჩემო ბეჟან, სულ სხვა დრო მოგესწრო.

მას აქეთ, რაც შენ გამოსულხარ ცხოვრებაში, ქვეყანა სულ ერთიანათ გადატრიალდა. ბუნების ის სიმდიდრე-სიუხვენი, რომლისგანაც მაშინდელი უცოდინარი სოფლელი მუშა ასე ადვილათ სარგებლობდა, სულ ერთიანად გაჰქრნენ, ხოლო ცხოვრების მოთხოვნილებანი კი ერთი ათასად გართულდნენ. და მაშ, რაღა გასაკვირია, რომ შენ შენი ძველებური დღე-მუდმივი მუშაობით ვერ გაუსწორდე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებას?! აქ განსაცდელში მარტო შენ კი არა ხარ ჩავარდნილი, შენთან ერთად, დღეს, შენი

მეუღლეც დიდს გაჭირვებაშია. ირინეს ბებიას, ძილხანს, და დედას, დილვარდისას, არც ერთი დღევანდელი ოჯახის მოთხოვნილებანი არ აწუხებდათ. ერთად-ერთ საზრუნავ და სამუშაო იარაღს იმათთვინ შეადგენდნენ: ჩერია, დგიმ-სავარცხალი და წინდის ჩხირები, რომლის შემწეობითაც ისინი ამზადებდნენ თავიანთი მამაკაცებისთვინ ტანისამოსს. ეს იყო და ეს. ეხლა? ეხლა კი ამაების კეთება ხელს როდი მისცემს ირინეს. მისი საზრუნავი საგანი დღეს სულ სხვაა. ეხლა, რომ ირინემ ჩერიას დაუწყოს პინტილი *) და ან დგიმ-სავარცხალს მიუჯღინეს, ოჯახი სულ დაეღუპვის. დღეს ის ალიონზედ უკვე ამდგარია და ხელ-პირ დასუფთავებული ძროხას სწველის. არ გაუთავებია ჯერ ეს საქმე, რომ მას წიწილების ბზიაქი და ქათმების კარკალი შემოესმება; რასაკვირველია, ამათ დაპურება ეჭირვება. ირინე გარბის კუთხეში, იქიდგან ჩხო ანუ სიმინდის ღერღილი მოაქვს და აძლევს წიწილებს; ახლა მიუბრუნდება ქათმებს, მაგრამ დახე, ამ დროს, ბატების ჭრიალიც შემოესმება და ინდაურების ჭუკ-ჭუკი. ირინე გარბის, ინდაურებს და ბატებს უშვებს და ქათმებთან ერთად იმათაც აპურებს. ქათმების და ბატ-ინდაურების დაპურების შემდეგ, ირინე სწრაფათვე გარბის საღორისაკენ, ღორებს კარს უღებს და იმათაც აძლევს საჭმელს. ახლა ძროხებს და ხარებს უნდა გამოშვება და საბალახოზედ შეპირება. ირინე ამასაც სწრაფათ ასრულებს, მაგრამ ამ დროს ირინეს აგონდება, რომ მას ბავშვები სკოლაში ჰყავს გასამგზავრებელი და, რასაკვირველია, მათთვინ საუზმე უნდა მომზადდეს. საქონლის საბალახოზედ შეპირების შემდეგ, ირინე მოეშურება სახლში და თან გზა-გზა ფიჩხა-ფუჩხას აგროვებს (სახმელებლად); ირინე შემორბის სახლში და ცეცხლს ანთებს; მაგრამ, სანამ ბავშვებს ყვერბში კვერს ჩაუგდებდეს, სახლის ჩამოხვეტა არის

*) სოფელში პინტილს ეძახიან ჩერიების დაბრუნებას, დატრიალებას, სტვის დროს.

საჭირო. ცეცხლის დანთების და სახლის ჩამოწმენდის შემდეგ ირინე დოქით წყალზედ გარბის და შემდეგ ამისა კი მისდგება, ხელ-დასუფთავებული, კვერის ჩაგდებას. ამ უკანასკნელი საქმის შემდეგ, ირინე გარბის სასტუმრო სახლში და თავის „კოლას“ და „სონიჩკას“ აღვიძებს: „ადექით, ჩემო გვრიტებო, დროა სკოლაში წასვლისაო“. ბავშვები დგებიან. ირინე ახლა სამზად სახლში გარბის: მას საჭმლის მომზადება დაავიწყდა. ირინე დერგს (რომელშიაც ყველს ინახვენ) მივარდება, მაგრამ დახე უბედურებას, დერგში ყველის ერთი ნაჭრის მეტი აღარ დახვდება და ეგ ხომ ბეჟანისთვინ დასჭირდება ყანაში გასაგზავნათ. ირინე აქედგან ახლა სწრაფად სხკენზედ შერბის, საბუდრიდგან ორი კვერცხი მოაქვს და შესაწვავათ ღადარში ჰფლავს; სანამდის კვერცხი შეიწოდეს და კვერიც გამოცხვებოდეს, ირინეს, კვერცხისთვინ მარილი მოაქვს, ჰყრის ფილში და დაჩქარებით ჰნაყავს. ამის შემდეგ ირინე ბავშვებს ხელ-პირს დაბანინებს, დაასაუზმებს და ამნაირად გაამგზავრებს სკოლაში. აი, ყველა ის აუცილებელი საქმეები, რომელნიც ირინემ უნდა მოათავოს, თითქმის დილის შვიდ საათამდის! აქედგან კი ადვილი წარმოსადგენია, ჩემო ბეჟან, თუ რამოდენა აუარებელი საქმის გაკეთება მოელის ირინეს დღის განმავლობაში. ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ირინე, იმდენს საქმეს, რამდენსაც ძილხანი (მისი ბებია) აკეთებდა თორმეტი საათის განმავლობაში, მარტო ერთს საათში აკეთებს, მაგრამ ოჯახის მოთხოვნილებას მაინც ვერ ასდის!...

— რა არის ამის მიზეზი?—იკითხავ შენ. მიზეზი, რასაკვირველია, ეხლანდელი ცხოვრების მოთხოვნილების გართულებაა და კიდევ ის, რომ რაც აქამომდე მუქთად იშოვებოდა, დღეს იმას ყველაფერს ფასი დაედო. ამ უკანასკნელის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიგონოთ, თუ რა შეადგენდა იმ დროს კელენჯუხის ოჯახს, რა შეადგენდა გლახუნის

ოჯახს და რა შეადგენს დღეს შენს ოჯახს და მის მოწყობილობას.

ბაბუა-შენის, კელენჯუხის, ოჯახურ ქონებას აი რა შეადგენდა მაშინ:

1) ერთი, მიწით შელესილი, ფაცხა.

2) ერთი პატარა სასიმინდე, ან და ბეღელი (ხულა).

3) ცული, წალდი და დანა.

4) თოხი და ერთიც ფოცხი.

5) კეცი, გობი, საცერი, ხის კოვზი, ქოთანი.

6) რამდენიმე ჭური და დოქი.

7) ხის ჯორკო და სამ-ფეხა სკამები.

8) უბრალო ძელის სუფრა და რამდენიმე ხის ჯამი.

9) თანაქის სასანთლე და თანაქისვე კრუჭკა.

10) სახლში დგომ-სავარცხალი, რომელზედაც დიასახლისი ტანისამოსს ამზადებდა ოჯახისთვის.

ამაების გაკეთება კელენჯუხს (გარდა ორიოდე იარაღისა და ჭურჭლისა) თვითონვე შეეძლო და მასთან მასალაც (ხეტყე) მუქთად ეშოვებოდა. აი, ესენი შეადგენდნენ კელენჯუხის ქონებას და იმ დროინდელი ოჯახის მოწყობილებას.

მამა-შენის, გლახუნისთვინ, ეს ქონება ცოტა შეიქმნა და ამიტომ მან კიდევ შემდეგი შეიძინა:

11) ერთი ფიცრული სახლი; 12) საღორე; 13) ბეღელი; 14) დაიწყო ღორების და ძროხების მოშენება; 15) საგარეოთ ტანთ-საცმელის და გარეგანის (სახელმწიფო და სხვა) ხარჯის ფულად შოვნა.

სახლისთვინ მასალა გლახუნსაც მუქთად ეშოვებოდა თითქმის. შენ კი, ჩემო ბეჟან, გლახუნის დანატოვმა ოჯახმა სრულებით ვერ დაგაკმაყოფილა და ამიტომ საჭირო შეიქმნა შენთვის, როგორც ხედავ, მიგემატებია მამისგან დანატოვ ქონებისთვის კიდევ შემდეგი:

1) ოთხ-თვალიანი ოდა; 2) მეორე სასიმინდე; 3) სამარნე სახლი; 4) ძროხები და ულლად ხარები; 5) ცხენი თავისი

უნაგირით; 6) კავ-გუთანი და ურემი თავისი მოწყობილებით; 7) ფრინველების და ცხოველებისთვის შესაფერი კონახები; 8) ოჯახში მოწყობილება: გასაშლელი სუფრა; 9) სამი მაგიდა და ამაებისთვის გადასაფარებლები; 10) ერთი შკაფი; 11) ტაბურეტკები და სელის სკამები; 12) რამდენიმე დანაჩანგალი და ხელ-სახოცები; 13) ღვინისა და ჩაის ჭიქები; 14) ფინჯნები და ჩაის კოვზები; 15) საინები და ბოთლები, 16) სტუმრებისთვინ ჩაი და შაქარი. ოჯახში ფულად სახარჯავი: 17) ბავშვების სკოლაში მიცემა და იმათი გამოზდა; 18) მოყვრების მილოცვა და წაბურვა და ამასთან კიდევ სხვა-და-სხვე გადასახადიც. აი, ყველა ის ზედ-მეტი ქონება და სახარჯავი (გლახუნთან შედარებით), რომელნიც დღეს შენთვის აუცილებელ საჭიროთ გამხდარა. ახლა თუ შეუდარებ ამ შენგანვე შენაძენ (ზედმეტი ქონების ფასოვნებას (ღირებულობას), კელენჯუხის და გლახუნის დროს შენაძენ ნივთების ფასოვნებას, ცხადათ დაინახავ, თუ, ამ ცოტა ხნის განმავლობაში, რამოდენა აუარებელი სახარჯავი მოგმატებია შენ!. აი, სწორეთ ეს არის ერთი მიზეზთაგანი დღევანდელი შენი სილარიბისა; ხოლო უმთავრესი კი შენი შრომა-მოქმედების უთავ-ბოლობა, ოჯახის შემოსავალ-გასავლის უცოდინარობა და შენგან ზარალ-სარგებლიანი მოქმედების გაურჩევლობაა. დღევანდელი მოთხოვნილების რიგიანად დაკმაყოფილება თხოულობს შენგან საზოგადოთ დიდს შრომას, სარფიანი მოქმედების შერჩევას, ცოტა დროის შრომა-მოქმედებით ბევრის გაკეთებას და დამაზარალებელ ჩვეულებათა ან მთლათ გადაგდებას, ან და იმათის (ჩვეულებათა) დროს შესაფერად გარდაქმნას. აი, ის საშუალებანიც, რომლების შემწეობითაც შენ შეგიძლია დღეს ქონებრივის მხრით შეძლებული კაცი გახდე. მაგრამ ჯერ, ვინემ შენს მუშაობის თადარიგს შევეხებოდე, საჭიროთ მიმაჩნია მივაქციო შენი ყურადღება ისეთ რამეებს, რომლების ყოლა ან ქონვა დღეს შენივე დამაზარალებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, შენ ვერც კი შეგიმჩნევია! მაგალითის-

თვინ შორს არ დაგვჭირდება წასვლა: დღეს ეგ შენი ცხენიც ისეთ პირუტყვთაგანს ეკუთვნის, რომლისგანაც ოჯახმა ზარალის მეტი არა იცის-რა. რატომაო? იქნება იკითხო შენ! აი, რატომ: რა კი დღეს შენ ამ ცხენს არ ამუშავებ (მისი ყოლით არ სარგებლობ), ამიტომ მისგან არც რაიმე სარგებლობა გაქვს შენ. დღეს ცხენი შენ თავისთვინაც იშვიათად გჭირდება *), ასე რომ შენს საჭიროებაზედ ცხენის ქირავობაში, ბევრი-ბევრი ხუთ-ექვს მანეთამდის დაგეხარჯოს წელიწადში. ხოლო რაც შეეხება ცხენისთვინ საჭირო წლიურს ხარჯს, ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უღირს ოჯახს. ეს შენც კარგად იცი, ჩემო ბეჟან, რომ წინეთ საბალახოები ყოველგან ბლომათ იყო და ამიტომ, რასაკვირველია ცხენიც უზრუნველყოფილი იყო საკვების მხრით. დღეს კი ცხენი შენ ზამთრიან-ზაფხულიანა სახლში გიბია, რომლის რჩენას სჭირდება წლიურად (სულ 'ცოტა რომ ვსთქვათ) ორმოცდა-ათ ფუთამდის სიმინდი, ათას კონამდის ჩალა და სხვა კიდევ მის მოვლა-მოხედვაზედ ცდენა, რაც ფულად შეადგენს (ცდენიანა) არა ნაკლებ ორმოცდა-რვა მანეთისა. აქედგან ჩვენ ვტყობულობთ, რომ შენ ექვსი მანეთის (სახარჯავის) ადგილას ორმოცდა-რვა მანეთამდის ხარჯავ, რის გამოც შენს ოჯახს, წლიურად, ორმოც მანეთამდის წმინდა ზარალი ეძლევა!..

მითხარი ახლა, ჩემო ბეჟან, რომელი შემოსავლიდგან შეგიძლია დაჰფარო წლიურად ამოდენა ზარალი?! ეს კიდევ ცოტაა. შენ გყოლია კიდევ ოჯახში ათ სულამდის ღორი და სამ სულამდის თხა. ათ სულს ღორს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორმოცდა-ათ ფუთამდის სიმინდი ხომ მაინც დასჭირდება და ამასთანავე აპრილიდგან მოკიდებული გიორგობისთვემდის მარად მოვლა-მწყემსვა, რაც ხარჯიან-

---

*) სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მატარებლით მისვლა-მოსვლას უფრო რჩეულობ.

ცდენიანა (ფულად რომ ვიანგარიშოთ) სამოცი მანეთის ღირებულობას აღეძატება. ხოლო შენი ღორების ფასოვნება (ღირებულობა) კი, ერთი-მეორეზედ, ოცდა-ათ მანეთსაც არ ასცილდება. გამოდის, რომ შენს ოჯახს კიდევ ოცდა-ათ მანეთამდის ზარალი ამ ათის ღორის ყოლის გამო ედება. არც სამი თხის ყოლა მოგცემს შენ ხეირს, რადგანაც დღეს შენ იმათ მოსავლელად არა გცალია და უმწყესურად კი ისინი შენს ნაკვდავ ბალჩეულობას და ნამყენებს სულ ერთიანად გაგინადგურებენ. ასე, რომ (თუ შენს შრომას რადმე აფასებ) ერთ ოც მანეთამდის ზარალს ეს სამი თხაც მისცემს შენს ოჯახს. სულ კი შენს ოჯახს აქვს ზარალი—ცხენისგან, ღორებისგან და თხებისგან, წელიწადში, ოთხმოცდა-ათ (90) მანეთამდის!.. დღეს, შენ თუ გინდა, რომ ზემოხსენებული საყოლებისგან ზარალი არ მოგეცეს, ამ ნაირად უნდა მოიქცე: ცხენი იმდენი უნდა ამუშავო, რომ ამ მუშაობით შემონატანმა ფულებმა ცხენისთვინ საჭირო ხარჯიც დაჰფაროს და შენი შრომაც დააჯილდოვოს. ღორებისა და თხებისგან თუ ზარალი არ გინდა ნახო, ისინი ათამდის კი არა, ას-ორასამდის, მაინც უნდა გყავდეს და მაშინ იმათთვინ მწყემსიც რომ დაიქირავო, ზარალში მაინც არ იქნები; ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სჯობს ისინი სულაც არ გყავდეს.

ახლა დავიმახსოვროთ ყველა ზემოხსენებული და რა კი ზარალზედ მიდგა საქმე, ცოტა ისეთ ჩვეულებაებსაც შევეხოთ, რომელნიც პირდაპირ შენისთანა კაცის ამოგდებელია. ერთ ასეთ ჩვეულებათაგანს წარმოადგენს დღეს თქვენშივე არსებული ჩვეულებრივი ტირილი. რადგანაც ამ წერილში მე არც დრო და არც ადგილი მაძლევს ნებას შევეხო ყველა იმ ჩვეულებებს, რომელნიც ქონებრივის მხრით, თქვენი გამათახსირებელია, ამიტომ მე მხოლოდ ამ ერთ ჩვეულებას ვიღებ მაგალითისთვინ. ხსენებული ტირილის დანიშნულებას და მის დღევანდელ გადაგვარებას მე აქ ვრცლად არ შევეხები, რადგანაც ამის შესახებ (ორი წლის წინეთ) ჩემი აზრი

უკვე გამოვსთქვი (იხ. ცნ. ფურცელი 1899 წლის №№: 872, 873, და 874 ამ სათაურით: „აბურვიანი ტირილი გურიამეგრელიაში“). ამ ჩვეულების შესახებ, აი რას ვკითხულობ შენგანვე მონაწერ წერილში:

„მამა ჩემის, გლახუნის, ტირილზედ, შინაურს ხარჯს გარდა, ორას მანეთამდის ვალი დამედვა და ამან უფრო დამაკოლინაო“ *). დიახ, მართლაც, რომ დიდი ვალია ეს შენთვინ; მაგრამ აქ უბედურება ის არის, რომ მაშინ თუ მამის ტირილზედ ორას მანეთამდის ვალი დაგედო, დღეს კი ღმერთმან გიხსნას ასეთი მწუხარებისაგან, თორემ ოთხასი მანეთიც ვერას გიშველის... რატომო, იკითხავ შენ. აი რატომ: ბაბუა შენის, კელენჯუხის, დროს ტირილი შესაწიერით იცოდნენ ხოლმე და ამასთანავე მაშინ ტირილში შორეულ მოყვარეს იშვიათად შეხვდებოდი, რადგანაც მოყვარეც და მტერიც, იმ დროს, თვითეულს მათგანს თავიანთ სოფელშივე ჰყავდათ. კელენჯუხი თუ ვინმეს სტიროდა თავის ოჯახში, ამ შემთხვევაში მას მარტო თავისი სოფლის მეზობლები ჰყავდა თავთავისი ხარჯით, ე. ი. შესაწიერით, რომელსაც შეადგენდა შემდეგი: ერთი დოქი (ორ მანეთამდის) კარგი ღვინო, ერთი კოთხო (6 გირი) ღომი **) და ერთი ოყა ლობიო. ამ ნაირად, კელენჯუხს (გარდა იმისა, რომ მას სასყიდი არა ჰქონდა-რა) ხსენებული შესაწიერიდგან ნახევარიც არ ეხარჯებოდა და დანარჩენი კი, რა თქმა უნდა, მასვე რჩებოდა ოჯახში. მამა-შენის, გლახუნის, დროს, შესაწიერი შეიცვალა ფულზედ, რომელსაც უწოდეს წასაბურავი, ე. ი. შესაწიერის მაგივრად შემოიღეს ფულით წაბურვა ანუ შეწევნა. ამავე დროს გახშირდა შორეული მოყვრების შეძენაც და გაძლიერდა თვით ტირილის ცერემონიაც (უფრო კი გლეხ-კაცებისთვინ). ამ

*) დამაკოდინა— დამწია წელში, ჩამოამარჩინა სხვებზედ.

**) ეს ასე იმერეთში იცოდნენ; ვისაც ღომი არა ჰქონდა, იმათ სამაგიეროთ ფქვილი მოჰქონდათ.

ღროს, მოყვარეს მოყვრის სატირლად სჭირდებოდა წამოსაყოლად არა ნაკლებ ოცდა-ხუთის კაცისა (სამი ან ოთხი მოზარე, ოთხამდის ქალი და, კაცი, ხელის მომტანებლები და და ღანარჩენნი კი ისე გამყოლად და დამამშვენებლად).

ახლა ვნახოთ, თუ რა უმიზნო ხარჯს აძლევდა ასეთი ცერემონია გლახუნს და რამოდენა ზარალს აძლევდა ასეთი მისვლით თვით გლახუნი თავისი მოყვრის დამწუხრებულს ოჯახს. თქმა არ უნდა, რომ ეს ოცდა-ხუთი ქალი და კაცი გლახუნს ცხენებით მიჰყვებოდა შორეულ მოყვარეთან და შემდეგ თვითეული ამათგანი მისგან, რასაკვირველია, სამაგიეროს ითხოვდა, რაც გლახუნს ყოველთვინ ძვირად უჯდებოდა. გლახუნს არც ამოდენა ხალხის გამასპინძლებაზედ ეხარჯებოდა ცოტა; ასე, რომ თითო ასეთის წასვლით მოყვარესთან (მაინდის *) გადახდიანა და იმათი გასამასპინძლებელი ხარჯიანა), გლახუნის ოჯახს ედებოდა ზარალი არა ნაკლებ, ოცი ოცდა-ხუთი მანეთისა. ასეთი ცერემონიით მიმავალ გლახუნს მიჰქონდა მოყვარესთან ხუთ მანეთამდის წასაბურავი (შესაწიერი), ხოლო თავიანთი მისვლით, დამწუხრებულს მოყვარეს, აძლევდა ზარალს თუთხმეტ მანეთამდის!.. შენს დროს კი, ჩემო ბეჟან, ჯერ ცოტა არ იყოს, ცერემონიით მისვლა-მოსვლა ტირილში შემცირდა და შემდეგ არამც თუ მარტო ცერემონია, არამედ ბევრგან წასაბურავიც მოისპო. მაგრამ დახე უგუნურებას: ტირილის დროს არსებული ხარჯი და ამაების მომზადებაზედ ტანჯვა და ცდენა კი ისევ დარჩა! და, აი სწორეთ ამიტომ არის, რომ დღეს მიცვალებულით დამწუხრებულს ოჯახს, ტირილის დროს, ოთხას (400 მ.) მანეთამდის ვალი ედება. აბა ერთი შენ კარგად ჩაუკვირდი, ჩემო ბეჟან, ამ ჩვეულების დღევანდელ უადგილობას და შეუფერებლობას! თვითეული თქვენგანი იხა-

---

*) მაინდი იმას ჰქვია, როცა მეზობელი მეზობელს იხმარებს უფულოდ (უქირავოთ) და სამაგიეროს მიხმარებითვე უხდის.

რჯვის და ვალში ვარდება მხოლოდ იმიტომ, რომ თავისივე მოყვრის, ისედაც დამწუხრებული ოჯახი (ნუგეშის და შემწეობის მაგივრად) უსათუოდ დაავალიანოს! და ნუ თუ ასეთი ჩვეულება ქრისტიანული გრძნობის წინააღმდეგი არ არის და თქვენგას გასაკიცხავი?!..

თქვენ თუ გინდათ დღეს შეძლებული კაცები გახდეთ, ქონებრივის მხრით, უსათუოთ საჭიროა ზემოხსენებული ჩვეულების გადაგდება და მისს სამაგიეროთ ეგრედ წოდებულის სამარხი კასსის დაარსება *). ზემოხსეებული ჩვეულების გამო, შენ დღეს (გარდა სხვა-და-სხვა ხარჯისა და ცდენისა) შვიდრვა მანეთამდის მარტო გზაში გეხარჯება ყოველ წელიწადს. ხოლო, რაც შეეხება სამარხ კასსას, იმის დაარსება შენგან ამაზედ (8 მ.) მეტ ხარჯს არც ქე მოითხოვს წელიწადში. ამ ნაირად, სამარხი კასსის შემწეობით, შენისთანა სოფლელი მუშა, სიკვდილით დამწუხრების დროს, სამასი-ოთხასი მანეთის დახარჯვის მაგივრად, ხუთას მანეთს პირაქეთ აიღებს, რაც სამუდამოთ წამოსწევს მისს ოჯახს ნივთიერის მხრით.

ცოტა ზარალს არც ეპლანდელი მილოცვიანი ქორწილი გაძლევს თქვენ, რადგანაც ამ მოლოცვიდგან შემოსული ფული, მომლოცველთა დღევანდელ გასამასპინძლებელ ხარჯსაც ველარა ჰფარავს. გარდა ამისა, ორმოცი მანეთი შენ, წელიწადში, მარტო მისალოცავათ არ გყოფნის და ამას თუ

---

*) როგორ შეიძლება ამ კასსის დაარსება, რამდენათ სასარგებლო იქნება იგი თქვენთვინ და ან რამოდენა ხარჯს მოითხოვს თვითეული თქვენგანიდგან ამ კასსის დაარსება, ესენი უკვე ახსნილია «მოგზაურის» დამატების მეხუთე წიგნში. ავტ.

„მოგზაურის" რედაქცია დიდი სიამოვნებით მიაწვდის ყოველ-გვარ პრაქტიკულ ცნობას (თუ როგორ უნდა დაარსონ) ყველას, ვინც მოისურვებს სამარხი კასსის დაარსებას სადმე ჩვენს დაბა-ქალაქებში. ოდონდ პასუხისთვის 7 კაპ. მარკა გამოგზავნეთ.

მიუმატებთ კიდევ წასვლა-მოსვლის ხარჯს და ამაზედ სამუშავო დღეების გაცდენას, მაშინ ხომ ოჯახის წლიური ზარალი ორმოც-და-ათ მანეთსაც აღემატება! ხსენებულ ზარალს თუ გინდა გვერდი აუარო, მაშინ შენ, როგორც მილოცვას, ისე ქორწილში წვეულებასაც თავი უნდა დაანებო, ან და ეს ჩვეულება დროს შესაფერად უნდა შესცვალო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უფრო მეტი დრო გავა, იმდენად სულ უფრო და უფრო გაღარიბდები-დაჩაჩანაკდები. აბა ერთი აქაც დავუკვირდეთ ჩვენ ჩვენს მოქმედებას. როგორც თითონ ამბობ ორმოც-და-ათი მანეთი შენ მარტო მისალოცავში გეხარჯვის წელიწადში; მაგრამ ჩვენ ორმოცდა-ათი მანეთი წელიწადში ორივე ჩვეულებისგან (წაბურვიან-მილოცვიანა) ვითვალოთ. იმ საზოგადოებაში, რომელშიაც შენ ცხოვრობ, ექვსას ოჯახამდის ითვლება. თუ თითო ოჯახი ამ ჩვეულების გამო ყოველ წლობით 50 მანეთს დახარჯავს, მაშინ ექვსას ოჯახს გაუვა ყოველ წლობით, ხარჯი ოცდა-ათი ათასს (30,000 მ.) მანეთამდის! ხოლო, თუ მარტო ერთ საზოგადოებას ეხარჯვის ამოდენა ფული წელიწადში, მაშინ მთელი ქუთაისის გუბერნიის საზოგადოებებს ერთად ხომ მილიონზე მეტი დაეარჯება ამ ყოვლად უსარგებლო ჩვეულების წყალობით!..

ამოდენა მილიონები რომ დატრიალდეს (დაბრუნდეს) ჩვენს საკეთილდღეოდ, განა ასე გაჭირებულები ვიქნებით?! აი, რას გვიშვრება ჩვენ უმეცრება (გაუგებლობა)! მილიონებს წყალში გვაყრევინებს და ამ უკანასკნელის გადაყრით (უსარგებლოთ დახარჯვით) სხვა მილიონებს (სამაგიეროთ) კიდევ ვალად გვადებს კისერზედ!.. ნუ თუ, ბეჟან, ეხლაც არ შეიგნებ ყველა ზემოხსენებულს და ქონებრივის მხრით შენს გამათახსირებელს ჩვეულებას აწიც უკუ აღარ აგდებ?!

ქვევით შენ იწერები, რომ თითქმის ყოველ ზაფხულობით ცოლ-შვილს მიციებს და უფულობის გამო, წამლის სყიდვაც კი ვერ მომიხერხებიაო. სწორეთ რომ გასაკვირია

შენი საქმე, ჩემო ბეჟან! თუ კი შენ ორმოცი და ორმოცდაათი მანეთის გადაგდებას ახერხებ ისეთ ყოკლად უმიზნო და უსარგებლო საქმეზედ, როგორიც არის წაბურვა და მილოცვა, რატომ ორი-სამი მანეთის გადაგდებას ვერ ახერხებ ისეთ აუცილებელ სავალდებულო საქმეზედ, როგორიც არის ავათმყოფი ცოლ-შვილის აქიმობა?! ამასთან, ესეც უნდა იცოდე, რომ ხსენებულ ავათ-მყოფობის მიზეზებში არ შეიძლება წილი არ ედვას იმათ საცხოვრებელ სახლთა უსუფთაობას, რომლის თავიდგან აცილება (აშორება) ერთობ შენზედ ჰკიდია. შენ გიდგია დღეს ერთი ოდა და მეორე ისლით დახურული სამზადი სახლი. პირველში შენი ოჯახობა დღესასწაულებს ატარებს მხოლოდ და ისიც მაშინ, როცა სტუმრები ჰყავს; დანარჩენ დროს ისინი (გარდა ღამე მოსვენებისა) სამზად სახლში ატარებენ. აქედგან ცხადია, რომ ხაშმის თავიდგან ასაცილებლად, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამზადი სახლის წმინდათ დაჭერა. მაგრამ რანაირად შეიძლება იქ სიწმინდე და სიფაქიზე, სადაც ადამიანთან ერთად ცხენი, ძროხები და კრუხები თავიანთი წიწილებით იმყოფებიან!? აი, ნამდვილათ ამ უკანასკნელის მიზეზია შენი ცოლ-შვილის ასეთი ხშირი ციებ-ცხელება. შენ თუ გინდა, ასეთი ავათ-მყოფობისგან შენი ოჯახობა დაიხსნა, საქონლის და წიწილებიანი კრუხებისთვინ სხვა (ცალკე) თავშესაფარი უნდა გაიჩინო და სამზადი სახლი კი მუდამ წმინდათ და ფაქიზათ იქონიო. ქვევით შენ სჩივი, რომ ზენა ქარი სახლების სახურავს წელიწადში საძჯერ-ოთხჯერ მიოხრებს ხოლმე და ხელმეორედ სახურავათ მიხდისო. რას იზამ, ჩემო ბეჟან! ბუნების მოვლენას წინ ვერ აღუდგები, რადგანაც ამისთვინ შენ არც ცოდნა შეგწევს და არც შეძლება. ამ შემთხვევაში, უფრო სარგებლობაში იქმნები, თუ ისლის მაგივრად, ქერაბინით და რკინით გადაჰხურავ სახლებს. თუ ეს არ შეგიძლია, ყავრით მაინც უნდა დაჰხურო ისინი; მაგრამ, როგორც ყავრის, ისე ისლის სახურავიც დიდად ნაკლები როდი ჯდება ქერაბინის სახუ-

რავზედ! გარდა იმისა, რომ ისლის და ყავრის სახურავებს ქარი უფრო იოლად (ადვილათ) არღვევს, ვინემ ქერაბინის და რკინისას, ისინი ცეცხლისაგანაც ძლიერ საფრთხილოა (განსაკუთრებით ისლის სახურავი). მეორე, შენ შეგიძლია ისლის სახურავების რიცხვიც შეამცირო. მაგალითად: საწისქვილეს, საღორეს, სამარნეს და თავლას მიწის სახურავი გაუკეთო ამ ნაირად: ჯერ ზემოხსენებული შენობები ზევიდგან სხვენიკით უნდა ჩაქერო (ჩაიაიტაკო), ამას ზედ უნდა მოაყარო ბურბუშელა ანუ ნაფოტები (ამის სამაგიეროს სიმინდის ჩალის ღერებიც კი გაგიწევს). შემდეგ უნდა გაზილო მიწა ისე, როგორადაც ამას აკეთებენ ფაცხის შესალესად (ყველას სჯობია წითელი მიწა); ასე მომზადებული ტალახი სხვენზედ დაყრილ ბურბუშელას უნდა მოახხა და კარგად მოგლისო სხვენის სივრცე. ამ ნაირად მოგლესილ სხვენს თავზედ უბრალო მიწაც უნდა მოაყარო და მაშინ შენ მიიღებ (გაიკეთებ), შენივე მუშაობით, სახურავს, რომელიც წვიმასაც მოიკავებს, თბილიც იქნება და ქარიც ვერას ავნებს. ასეთ სახურავიან კონახებს უსათუოთ ფანჯრები უნდა გაუკეთოთ სინათლისათვინ.

ახლა დროა შევეხ ით შენს (ოჯახში) შრომა-მოქმედების თავ-და-რიგსაც. ზემოთ მე შენ გითხარი, რომ დღევანდელი მოთხოვნილების დროთა შესაფერად დაკმაყოფილება თხოულობს შენგან საზოგადოთ დიდ შრომას, სარგებლიანი მუშაობის შერჩევას, ცოტა მუშაობით ბევრის გაკეთებას და დამაზარალებელი ჩვეულების ან სულ გადაგდებას ან და იმათი დროთა შესაფერად გადაქმნას-მეთქი. ამ უკანასკნელზედ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, იმათგანში შენ, სამწუხაროდ, ამდენს ხანს ვერც ერთი ვერ შეგისრულებია, იმისდა მიუხედავათ, რომ ამაების შესრულება შენგან არა ვითარ მეტ ცოდნას და მუშაობას არ მოითხოვდა! პირიქით, იმას ერთი-ორად შეეძლო გაეადვილებია შენი დღევანდელი შრომა და ტანჯი. ამ ნაირად შენ,

ქვემოხსენებულში ახალს და გაუგებელს ვერას ნახავ, რადგანაც მე აქ ისეთ რამეებზედ მინდა მიგითითო ხელი, რომლის მოძმედება არამც თუ შენ, არამედ მამა-შენს და ბაბუა-შენსაც კარგად შეეძლოთ და თუ ამდენს ხანს ასე არც ერთს არ გიმოქმედნიათ, ამის მიზეზი თქვენგან ზარალ-სარგებლიანი მოქმედების გაურჩევლობა და ოჯახში შემოსავალ-გასავალის რაოდენობათა არ ცოდნა ყოფილა ყოველთვინ და დღესაც ეს არის. მაგალითისთვინ შორს არ დაგვჭირდება წასვლა. ზემოხსენებულის დასამტკიცებლათ საკმაოა ავიღოთ შენი შრომა-მოქმედება, თუნდა ღვინის დაყენების შესახებ და ვნახოთ, თუ რამდენი მეტი მუშაობა გჭირდება შენ იმის გამო, რომ საწნახელი მარანში არა გაქვს მოწყობილი: ვენახი (ბაღი) უდგას (დაშორებულია) შენს საცხოვრებელ სახლს ექვსასი ფეხის ნაბიჯზედ, ხოლო მარანი კი ბაღს—ას ნაბიჯზედ, ე. ი. მარანსა და საცხოვრებელ სახლს შუა ხუთასი ნაბიჯია. შენ კი, ჩემო ბეჟან, საწნახელი დღეს სახლის დერეფანში გიდგია და ამიტომაც, ყურძნის პირდაპირ მარანში მიტანის მაგივრად, ჯერ თავის ზურგით გადაგაქვს სახლში, იქ საწნახელში სწურავ და დადუღების შემდეგ გადმოგაქვს ღვინო საწყვებით მარანში, რომელიც იქვე გვერდით უდგია ვენახიან ბაღს! უკეთ რომ ვთქვათ, იმის მაგიერ, რომ ყურძენი პირდაპირ მარანში, ას ნაბიჯზედ, მიგეზიდა, იქ დაგეწნიხა და იქვე ჭურჭებში ჩაგესხა, შენ დღეს ეს უკანასკნელი ათას ას ნაბიჯზედ გადაგაქვს! მაშასადამე, თუმც ხსენებული ყურძნის გადატანა ას ნაბიჯზედ მოითხოვდა შენგან ერთი დღის მუშაობას, მაშინ ამავე ყურძნის გადაზიდვა ათას ასი ნაბიჯის მანძილზედ (სახლში მიზიდვა, დაწნეხა და იქიდგან მარანში გადმოტანა!) თხოულობს შენგან თერთმეტ-ჯერ მეტი დროის მუშაობას ანუ ერთი დღის მაგივრად თერთმეტი დღის შრომას. ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ შენ, მარანში საწნახლისა უქონლობით, ერთი დღის მუშაობას თერთმეტი დღის მუშაობას ანდომებ და ამის შემდეგ კიდევ გიკვირს

შენი სილარიბე!.. განა ასეთი მუშაობით შეიძლება ვინმე მდიდარი გახდეს?!, მის დღეშიაც არა და, აი, რატომ: ამ ნაირი მუშაობით დაყენებული ღვინო არამც თუ ორ და სამ მანეთად ფუთი, არამედ ათ-ათ მანეთადაც რო გაჰყიდო, მაინც ზარალში იქნები, რადგანაც იმაზედ შენი ამოდენა შრომა გაცილებით მეტი ღირს, ვინემ ეხლანდელი მისი ფასოვნება. რასაკვირველია, ჩემო ბეჟან, შენ რომ ერთი დღის სამუშაოს მართლა ერთ დღესვე ათავებდე და დანარჩენი ათი დღის მუშაობას სხვა რისამეს გაკეთებას ანდომებდე, მაშინ შენც მდიდარი იქნებოდი!..

ქვევით სხვათა შორის შენ სჩივი, რომ მარტო ეზოს შემოსაღობავ სარ-წკნელში ორმოც-და-ათი მანეთი გამავიდაო; პოლო იმათი გამოზიდვით საღობავ ადგილამდის თვრამეტი დღის ჩემი მუშაობა მოინდომაო!.. და მერე ვისი ბრალია ეს? შენ, რომ წინეთ ჭკუა-დახედული მუშაობა გცოდნოდა, დღეს ეს არც ერთი არ მოგივიდოდა... მაგრამ წარსულზედ ეხლა ნაღვლობა გვიანღაა. ეპლა ისევ სჯობს მომავალზედ ვიფიქროთ და აწინდელი, წინდაწინვე მოფიქრებული მუშაობით (იქ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება) მაინც ვიხსნათ ჩვენი თავი ზემოხსენებულ ყოვლად უმიზნო ხარჯისა და მუშაობისაგან. რანაირათო? იკითხავ შენ. აი, რანაირად: შენი ეზოს სივრცე, ვენახიანა, ხომ ოთხს ქცევას აღემატება. ამოდენა ადგილის გარშემო შენ (გარდა ორიოდე ყოვლად უსარგებლო თხმელასი) არც ერთი სასარგებლო ხე არ გიდგია! მე გირჩევ შენ უსარგებლო ხეებისგან სულ გაანთავისუფლო ის ადგილი და მის ადგილას ბჟოლები შემოარგა, სადაც ოთხასზედ მეტი ბჟოლა თავისუფლად დაეტევა. ორი წლის შემდეგ ასეთი ახალ-დარგული ბჟოლების ფოთლებიდგან სარგებლობა შეიძლება, ხოლო ხუთი-ექვსი წლის შემდეგ იმათგან წკნელ-სარების მოსხეპაც შეგეძლება. შენ თითონ არ იწერები, რომ შარშან აბრეშუმობის დროს, ჩემმა მეზობელმა კოწიამ, სამ-სამი მანეთი აიღო თითო ძირი ბჟოლას ფურცელშიო და

მე კი საყიდად გამახდაო. შე დალოცვილო, ეოწიას თუ კი სამ-სამი მანეთი მისცეს ბჟოლაში, შენ ხომ, ასეთსავე ბჟოლის ფურცელში, მანეთს ან მანეთ-ნახევარს ყველა სიხარულით მოგცემდა, და მაშასადამე, წანეთ რომ მოკვეფიქრებია ამოდენა ბჟოლების დარგვა, დღეს შენს ოჯახს ექვსას მანეთამდის წმინდა შემოსავალი ექნებოდა?! გარდა ამისა, თვითეულ მეოთხე-მეხუთე წელიწადს, იმათი (ბჟოლების) წკნელ-სარებისგანაც გექნებოდა შენ ორას მანეთამდის შემოსავალი, ამასთან ის ორმოცდა-ათი მანეთიც ჯიბეში დაგრჩებოდა, რომელიც შენ უკვე დაგიხარჯავს წკნელ-სარების საფასოდ და აღარც შენი თვრამეტი დღის შრომა და ტანჯვა იქნებოდა საჭირო, რადგანაც წკნელ-სარები (უყიდლათ და უტანჯველათ) საღობავ ადგილზედ თავის-თავათ იქნებოდა მოტანილი (ბჟოლები საღობავ ადგილზედ თუ კი გექნება დარგული, დასხეპის შემდეგ, რასაკვირველია, საღობავზედვე თავის თავათ იქნება მოტანილი).

ქვევით შენ ამბობ, რომ ადგილი ცოტა მაქვს და სამუშაოდ არ მყოფნისო. მით უფრო ჭკუა-დახედული მუშაობა გმართებს შენ, რომ ამ ცოტა ადგილს ბევრი და მეტი შემოსავალი მოატანიო! აი, სწორეთ ამ უკანასკნელისთვის არის საჭირო, რომ ეს პატარა ადგილი უბრალო რამეებით არ იყოს მოკავებული და არც ერთი ნამცეცა ადგილი, უსარგებლოდ მომცდარი. მაგალითად, ვსთქვათ, რომ შენ შენის ადგილების გარშემო უკვე შემორგული გაქვს ბჟოლები. მაგრამ, რადგანაც დღეს შენ ადგილის სიცოტავეზედ სტირი, ამიტომ საჭიროა რაიმე სარგებლობა იმ პატარა ადგილებისგანაც გამოადნო, რომელნიც ბჟოლებსა და ბჟოლებს შუა არის დატოვებული. აი, აქ შენ უსათუოდ გინდა ჭკუა და კარგი მოფიქრება, რადგანაც ასეთ ადგილებზედ ისეთი რამ უნდა დაირგას, რომლებსაც არც ბჟოლის ჩრდილისა ეშინოდეს და არც იმათი ზრდის ხელის შეშლა შეეძლოთ. ამასთან სასურველია, ადვილი სამუშაოც იყოს ეს და მაინც და მაინც

არც პირუტყვები ეტანებოდნენ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ესენი ძნელი დასაცავი იქნება ამ უკანასკნელებისგან. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, ყველამ თავიანთი ადგილის თვისებისა და კვალად უნდა გამოიძებნოს შესაფერი მცენარე დასარგავათ და მოსაშენებლად. მაგრამ, რადგანაც შენი ეზოს მიწა ყოველ-გვარი მოსავლისთვინ ფრიად ნაყოფიერია და საზოგადოთ მცენარეებისთვის კარგი, ამიტომ გირჩევ, ჩემო ბეჟან, ხსენებულ ბჟოლებს შორის ბოროწეულები ჩარგა. ეს უკანასკნელი (იმათი ერთი-მეორეზედ წარგვა შეიძლება) შენი ეზოს გარშემო ათას ძირამდის მაინც დაეტევა. თუ თვითეული ძირიდგან ოც-ოც კარგ ბოროწეულის კაკალს ვიანგარიშებთ (ერთმა ძირმა სამოც-ოთხმო ამდის შეიძლება მოიტხას), ათასი ძირიდგან თამამად შეგვეძლება მივიღოთ ოცი-ათას ბოროწეულის კაკალზედ მეტი. ეს კი თითო-თითო კაპეიკადაც რომ დაჰყიდო, ერთ ორას მანეთამდის შემოსავალი შენს ოჯახს (წლიურად) ამ ბოროწეულებისგანაც ექნება. ესენი, შენ, ყველა, ხომ ღობის (შიგნიდგან) პირპირა გექნება წარგული. და ეხლა შენ ამ ღობეს გარედამაც ბარდს (მაყვალას) თუ შემოარგავ, უსარგებლოდ არც ეს ჩაგიარს, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს-რა, მომავალში ღობის მაგიერობას მაინც გაგიწევს. იქნება აქ შენ იკითხო: „რაო მაინცა და მაინც ბოროწეულების და ბჟოლების დარგვას მიპირდებიო!“ აი, რათ გიპირდები: ერთი, რომ ბოროწეულს უბრალო ჩრდილის არ ეშინია და ამასთან არც ბჟოლის ზრდის ხელის შეშლა შეუძლია მას. მეორედ, ის სათუთი არ არის და ამიტომ შრომა მოვლასაც ნაკლებს მოითხოვს შენგან. მესამედ, იმათი წარგვა ერთი-მეორეზედ შეიძლება და ამ ნაირად, ვიწრო (პატარა) ადგილზედ ბევრის დატევა. მეოთხეთ, იმათ საქონელი (პირუტყვნი) არ ეტანება და ამიტომ ბოროწეულებს შეუძლია (სხვა სიკეთესთან ერთად) ღობის მაგიერობაც გაგიწიოს და მეხუთეთ-კი იმიტომ, რომ იმას საზოგადოთ კარგი ფასი აქვს და ამასთან ადვილი შესანახიც

არის. ახლა რაც შეეხება ბჟოლებს, იმათგან შემოსავალი ხომ უტყუარია, რადგანაც (რაც უნდა უმოსავლო წელიწადი იყოს) წკნელ-სარები და ფოთლები ყოველთვის შეგიძლია მიიღო მათგან. ხოლო ამ უკანასკნელთა ფასოვნება (ღირებულობა), რამდენიც მეტი დრო გადის, იმდენათ სულ უფრო და უფრო ზევით იწევს. მართალია, ამოდენა ბჟოლების ფურცელი ერთათ იქნება ვერც კი გაჰყიდო, მაგრამ ამ შემთხვევაში შენ შეგიძლია დანარჩენი საზიაროთ გასცე პარკზედ. ამასთან, თუ შენი მეუღლე, ირინე, სამოცი მანეთის აბრეშუმს აკეთებდა მაშინ, როცა მას ბჟოლის ფურცელი საძებარი და შორიდგან მოსატანი ჰქონდა, რატომ შენ დღეს (ირინესთან ერთად) ვერ შესძლებ სამასი მანეთის საღირალ აბრეშუმის კეთებას?!

კარგი დაგემართოს ესენი ყველა კარგი იყოს, მაგრამ სად ვიშოვნო მე ამოდენა ბჟოლ-ბროწეულების ნერგებიო? იქნება სთქვა შენ! ასეთი ადვილი საშოვარი, ჩემო ბეჟან, სხვა რა არის ქვეყანაზედ?! წრეულს რომ ერთი კოთხო (6 გირი) ბჟოლის კაკალი დასთესო შენ, გაის გაზაფხულზედ, ხსენებული ნერგები ათასობით გექნება. თეთრი ბჟოლის გაშენებას უფრო ეცადე, ვინემ შავ-ბჟოლისას, რადგანაც პირველი უფრო მარგებელია აბრეშუმის ჭიისთვის, ვინემ მეორე. რაც შეეხება ბროწეულს, იმისი, როგორც დათესვა, ისე მოშენებაც შეიძლება. ჯაგალითად, საკმაოა მოსჭრათ ბროწეულის ყლორტი (ამონაყარი), ბზეკალივით გადმოკაკვოთ და ორივე თავები მიწაში ჩაუსოთ, რომ ორივე თავებში ბროწეულმა ამოიყაროს. და ნუ თუ ეს რაიმე მძიმე შრომას შეადგენს?! აი, სწორეთ მეც ამ უკანასკნელი მოსაზრებით გირჩევ შენ ბჟოლ-ბროწეულის დარგვა-მოშენებას. ამ ნაირად, ზემოხსენებული მცენარეების მოშენება გვიქადის (გვპირდება) ჩვენ ათას-ორას მანეთამდის წლიურ შემოსავალს. და ეს კი ისეთი ვიწრო ადგილის წყალობით, რომელიც ამდენ ხანს მარტო ღობეებით იყო მოკავებული! მაშასადამე,

ის სამუშავო ადგილი, რომელშიაც შენ დღე-და-ღამ ოფლს აქცევდი, ჯერ კიდევ (ისევ ხელ-უხლებელი) შენსავე განკარგულებაშია. მაგრამ, სანამ ამ შენი ადგილის (უფრო სარგებლიანათ) დამუშავების საზვრას შეუდგებოდეთ, ვნახოთ ჯერ, თუ რა შემოსავალი გქონდა შენ ამ უკანასკნელის წყალობით აქნობამდის. შენ სახნავ-სათესს შეადგენს დღეს ხუთი ქცევა ადგილი (მეექვსე ქცევა ხომ ვენახს უჭირავს). მამა-შენის და ბაბუა-შენის დროს ქცევა ადგილი ოთხმოც ფუთამდის სიმინდს იძლეოდა. დღეს იგივე ადგილი, მომოდულების (დაღალულობის) გამო, ორმოცდა-ათ ფუთამდის ძლივს იძლევა. ასე რომ, სულ ამ ხუთი ქცევა სახნავ-სათესიდგან შენ ღებულობ მხოლოდ ორას ორმოც-და-ათ ფუთამდის სიმინდს; რაც ფულათ რომ ვაქციოთ (ფუთი ათ-ათ შაურათ), შეადგენს ას-ოცდა-ხუთ მანეთს. მაგრამ ამ ფასში, რომ ვიანგარიშოთ შენგან განაყიდი სიმინდი, თავის მოტყუება არ იქნება ეეს?! მე მგონია, რომ კი, და აი რატომ: შენ დღეს ღარიბი კაცი ხარ, ფულები არა გაქვს; ამისდამიუხედავათ, სხვა-და-სხვა არა სასურველი ჩვეულების გამო, სახარჯავი (ფულათ) ბევრი გდევს. უფულობის გამო (სიმინდის) მაზანდის აწევას შენ არ შეგიძლია მოუცადო; მით უფრო, რომ ასეთი საჭიროება, როგორიც არის „მისალოცავი“ და „წასაბურავი“, არაოდეს არ შედის შენს გაჭირებაში. ამიტომაც შენ თავისი აკლადიდება (წლის ნამუშევარი) თითო ფუთობით მიგაქვს დუქანში და იქ მედუქნეს პირიქით ეხვეწები, რომ მან ფუთში შვიდ-შვიდი შაური მაინც მოგცეს, მისი ღვთის გულისა! ვინიცობაა *), თუ ოდესმე ფასმა აიწია, მაშინ შენ სიმინდი არამც თუ გასაყიდათ, არამედ (ხშირათ) თავისთვინ საჭმელადაც არა გაქვს... ამ ნაირად, შენ, წლის ნამუშევრიდგან (სულ ერთიანათ რომ ვიანგარიშოთ), ას-ოც-და-ხუთი მანეთის მაგივრად ოთხმოც მანეთამდის ძლივს ღებულობ!..

---

*) „ვინ იცის“ მაგივრად „ვინიცობას“ ხმარობენ სოფელში.

აი შენი ხუთი ქცევა ადგილის შემოსავალიც! დღეს შენ თუმცა გაკვირვებს ასეთი მცირე მოსავალი, მაგრამ ამდენხანს შენ თავისთვინ ერთი კითხვაც არ მიგიცია იმის შესახებ, თუ რა არის ამის მიზეზი?! შენ, ჩემო ბეჟან, კარგად მოგეხსენება, რომ წინეთ მიწა უყი იყო (მსუქანი) და ამასთან დასვენებაც მეტი ჰქონდა მას. დღეს კი უადგილობის გამო აგერ ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც შენმა სახნავ-სათესმა მოსვენება რაა, არ იცის! რის გამო ის დღეს, დაღლილი და ბარაქა გამოლეული, მოსავალსაც (ნაყოფს) უსუსურს იძლევა. მაშ, სანამ ამ უკანასკნელის მოცემასაც არ მოგისპობდეს, საჭიროა ის ან დააპატიო (მოანაკელო), ან და რამოდენიმე წელიწადს სრულებით მოასვენო (გაუშვა). მაგრამ, რადგანაც პირველი თხოვლობს შენგან მეტ შრომას და მომზადებასაც, ამიტომ გირჩევ მეორე საშუალებას მიჰმართო; მხოლოდ კი იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელიდგანაც, ე. ი. სახნავ-სათესის მოსვენებიდგანაც, გამოადნო შენ რაიმე სარგებლობა. შენ გაქვს დღეს თავისუფალი ხუთი ქცევა ადგილი. შენ თუ ამ ხუთ ქცევა ადგილში იონჯას (ამ ბალახს შენც იცნობ) დასთესავ, უეჭველია, რომ ამოდენა ადგილის ბალახი ექვსშვიდ ძროხას (წელიწადში) თავზედ საყრელად ეყოფა; რადგანაც, თუ რომელიმე ბალახი სხვაგან ერთხელ-ორჯერ შეიძლება მოვიდეს წელიწადში, იონჯა-ბალახი შენს ადგილებში სამჯერ-ოთხჯერ შეიძლება მოითიბოს იმავე დროს განმავლობაში *). ამ ნაირად, მე შენ გირჩევ ხსენებულ ადგილებში ბალახი დასთესო და ამასთან ექვსი სული ძროხაც გაიჩინო; მხოლოდ კი იმ პირობით, რომ ეს ძროხები კარგის ჯიშისანი ყოფნენ, თორემ ორი და სამი სული ძროხა შენ ყოველთვინ გყავდა, მაგრამ ისინი, სამწუხაროთ, სამივე ერთ კარგ ძროხად არას დროს არ ღირებულან. ამიტომაც შენ

*) ჩვენში ბალახის მოსვლას ბუნება უწყობს ხელს, თებერვლის დამლევიდგან გიორგობისთვის დამლევამდის.

მათგან ზარალი თუ არა, არც რაიმე სარგებლობა გინახავს მის დღეში; რადგანაც შენ იმათზედ ხარჯი და ცდენა იმდენივე გაქვს, რამდენსაც მოითხოვენ შენგან კარგი ჯიშის ძროხები. აბა ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს: რა ხეირი უნდა მოგცეს შენ ისეთი ძროხების რჩენამ, რომლებსაც თითო ბოთლი რძის მოცემაც არ შეუძლიანთ დღეში?! კარგი ჯიშის ძროხა დღეში ერთხელ კი არა, სამჯერ იწველება და ერთი ბოთლი რძის მაგივრად, ერთ ვედრო რძეს იძლევა, ე. ი. 16 ბოთლსა. თითო მოწველაზედ ოთხს, თუ მეტი არა, ორ-ორ შაურიან ყველს მაინც მოგცემს. ამისდა მიხედვით ერთ კარგ ძროხას დღეში თორმეტ ყველამდის შეუძლია მოგცეს! მაგრამ ჩვენ თითო ძროხიდგან დღეში თორმეტის მაგივრად, რვა-რვა ყველი ვიანგარიშოთ და იგიც თითო შაურიანი. ამ ნაირად ერთი კარგი ჯიშის ძროხა მოგცემს დღეში, უკანასკნელი, რომ ვსთქვათ, ორი აბაზის ყველს, თვეში თორმეტი მანეთისას და წელიწადში კი ას-ორმოცდა-ოთხი მანეთის ყველს. მაგრამ შენ თუ ექვსი ძროხა გეყოლება, მაშინ, რასაკვირველია, ისინი ექვსჯერ 144 მანეთის ყველს მოგცემენ, ე. ი. წელიწადში ექვსი კარგი ჯიშის ძროხა რვაას-სამოცდა-ოთხი (864) მანეთის ყველს მოგცემენ. საიდგანაც ამოდენა ყველის მიღება შეიძლება, იქიდგან 60—80 მანეთის ნადღლის გაკეთებაც კი შეიძლება და ყველა ამაების ხელობა, შენმა ცოლმა, ირინამ ხომ მშვენივრად იცის? ახლა შენ ნადღლის ფასსაც თუ მიუმატებ იმ ყველისგან შემოსულ 864 მანეთს, მიიღებ წლიურად (ამ ექვსი სული ძროხის წყალობით) ცხრა-ას-ორმოც (940) მანეთამდის შემოსავალს. რა თქმა უნდა, ამ საქმეში შენ უსათუოდ უნდა ამოღდგე (რინეს მხარში, თორემ ყველა ამაების გაკეთება მისთვის გასაჭირი იქნება. ზარმაცს და სერიოზული საქმის უჩვევ ადამიანს ეოველთვინ ეზარება რაიმე ახალი ბოქმედების (საქმის) დაწყება და თავიანთი სიზარმაცის და მოუნდომლობის მისაფუჩეჩებლად, თავ-გამოდებით დაეძებს რაიმე თავის ვასა-

მართლებელ საბუთს (მიზეზებ!)... ნუ გეწყინება, ჩემო ბეჟან და თუ შენ ერთ ასეთ ადამიანთაგანს ეკუთვნი, უეჭველია, იკითხავ: „სად შემიძლია ვიშოვნო მე ექვსი ძროხის საყიდი ფულებიო?!“ აი, სწორედ ამ პირველი და უკანასკნელი მიზეზის მოსაწყვეტად, ცოტას ხანს კიდევ ვითხოვ შენს ყურადღებას. იმისთანა საქმის გასაკეთებლად, რომლისგანაც, გარდა სარგებელისა, ზარალს არას დროს არ ნახავ, არც ვალის აღების უნდა გეშინოდეს შენ. მაგრამ აკ საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელის აღება, შენ, თითქმის არც კი გჭირია; რადგანაც შენ, (გარდა ზემოხსენებულ ოჯახის დამაზარალებელ საყოლისა, იმ პირუტყვებსაც თუ კი გაჰყიდი, რომლებისგანაც, თუ ზარალი არა, არც რაიმე სარგებლობა გაქვს), მაშინ ამაებისთვინ (ძროხების სასყიდათ) საჭირო ფულებს შენსავე ოჯახში მოიხერხებ. მე მაქვს სახეში შენი ორი ძროხა ხპოიანათ და სამი დეკნები (დეკეულები). ესენი ყველა, ერთი-მეორეზედ, ოთხმოც მანეთად ყოველთვის გაიყიდება და წლიური (იმათთვინ საჭირო) 50 მანეთის ხარჯიც ოჯახშივე დაგრჩება. ერთ 70 მანეთად შენი ცხენიც გაიყიდება თავისი უნაგირით, და ის 35 მანეთის ხარჯიც, რომელიც მის რჩენას სჭირდებოდა წელიწადში, შენვე დაგრჩება. ხუთ მანეთამდის იმ სამ თხაშიაც აიღებ, რომლებიც შენსავე ნამუშევარს გიოხრებენ ყოველ-წლობით. ამას კიდევ თუ მიუმატებ შენი ღორების ღირებულობას და მათთვინ საჭირო ხარჯის ფასოვნებას, რაც სულ 55 მანეთამდის შეადგენს, მაშინ უსათუოდ დარწმუნდები, რომ შენ 300 მანეთამდის შენს ოჯახშივე შეგიძლია მოუყარო თავი ფულს. ყველა ამას თუ კიდევ ცოტას წაუმატებ, მეტი აღარც შენ დაგჭირდება ხსენებული ძროხების საყიდლათ. ეხლა თავიდგან მოვიგონოთ, თუ რა სარგებლობა და შემოსავალი ექნება ოჯახს ზემოხსენებული მოქმედებისგან:

ოჯახს რჩება სარგებელი:

	მანეთი.
1) წასაბურავის და მილოცვის გადაგდებით	90
2) ხარჯიანი ტირილის მოსპობით . . .	200
3) დამაზარალებელი პირუტყვების გაყიდვით (ეოგელ წლობით). .	92
4) მარანში საწნახელის მოწყობით შრომა უმჩატდება 12-ჯერ (სახეში გვაქვს ღვინის დაუკნება).	
5) სამარხი კასსის დაარსებით შემთხვევითი შემოსავალი	500
6) ექვსი ქცევა ადგილის გარშემო ბჟოლ-ბროწეულის შემორგვით (ეოგელ წლიური შემოსავალი) . .	1150
7) მეექვსე-მეშვიდე წელიწადს იმათის (ბჟოლების) წკნელ-სარებისგან (დრო-გამოშვებითი შემოსავალი) .	300
8) შენს ადგილებში ბალახის დათესვით და ექვსი ჯიშიერი ძროხის შეძენით (წლიური შემოსავალი) .	940

სულ კი, გარდა შემთხვევითი და დრო გამოშვებითი შემოსავლისა, შენს ოჯახს ექნება წლიური შემოსავალი 2090 მანეთამდის. ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ იმ ექვსი ქცევა ადგილიდგან, რომლისგანაც შენ, დღე-და-ღამ მუშაობით, მხოლოდ 125 მანეთამდის ძლივს შემოგქონდა ოჯახში, დღეს ასეთი მუშაობით შეგიძლია შემოიტანო 2090 მანეთამდის!..

უეჭველია, რომ ამოდენა (2090 მ.) შემოსავალის შემწეობით შენი ოჯახიც მალე წამოდგება ფეხზედ (ხელს მოითბობს, შეძლება მოემატება) და მაშინ ხომ შენც წელ-გამართული იქნები ქონებრივის მხრით! ასეთ ქონებრივ გაუმჯობესობას, რასაკვირველია, ოჯახის მოთხოვნილებათა შეცვლაც მოჰყვება. მაგრამ შენ თუ გინდა, ჩემო ბეჟან, რომ ხსენებული ქონებრივი გაუმჯობესობა ხანგრძლივი გამოდგეს, ის კიდევ უფრო გაუმჯობესდეს, მაშინ, ოჯახის მოთხოვნილების შეცვლასთან ერთად, შენი ძველებური აზრი და შეხედულებაც უფრო დროს შესაფერათ უნდა შესცვალო,

თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შენ ისეთივე განსაცდელი მოგელის, რომელშიაც უკვე იყავი მამის-შენის, გლახუნის, გარდაცვალების შემდეგ. ამიტომაც. თუ ამდენ ხანს შენი აზრი ის იყო, რომ შავლას მარტო სოფლის ოლა გაეთავებია და შემდეგ თოხით შენვე ამოგდგომი ყა გვერდში, დღევანდელ პირობებში კი ასეთი აზრი, გარდა ზარალისა და მიუტევებელის ცოდვისა, შენთვის სასირცხოც იქნება. აქ შენ არ იფიქრო, რომ ეგ შენი აზრი ოდესმე მოსაწონი ყოფილიყოს!.. არა, ასეთი უგუნური აზრი და შეხედულება ყოველთვინ სამარცხვინო და საზარალო ყოფილა, იყო და არის; მაგრამ ასეთს შენს საქციელს ამდენს ხანს ცოტათ თუ ბევრათ ამართლებდა შენივე ქონებრივი შეუძლებლობა; მაგრამ რაკი დღეს ეს უკანასკნელი მიზეზიც აღარ გაბრკოლებს, ამიტომ გირჩევ შენი ქალ-ვაჟის გამოზდას მაღალ სასწავლებელში შეეცადო, რადგანაც ამას დღეს, გარდა ზნეობრივის ვალისა, შენივე ინტერესებიც მოითხოვს. თქმა არ უნდა, რომ ყველა ამაების შესრულება შენგან საგრძნობელ ხარჯსაც მოითხოვს და, მაშასადამე, თუმცა აქედგანვე რამე არ მოიფიქრე და შენს შესაფერს საშუალებას არ მიჰმართე, ერთი დაქვეითება შენს ოჯახს, უეჭველია, კიდევ მოუწევს (რასაკვირველია, ქონებრივის მხრით). და თუ რა ძნელია შემდეგ დაწეული ოჯახის წამოყენება, ეს გამოცდილი, ჩემო ბეჟან, ვგონებ, შენც საკმაოთ გაქვს.—„მეტი რაღა მოფიქრება შემიძლია მეო“,—იქნება სთქვა შენ! მაგრამ რატომ, ჩემო ბეჟან! თუ კი ოდესმე საქმის გამოკვლევა და მოფიქრება გჩვევია შენ, ესენი დღეს უფრო უნდა შეგეძლოს, რადგანაც ახლა ამაებისთვინ შენ დროცა გაქვს და (მონაფიქრების სისრულეში მოსაყვანათ) შეძლებაც. დღეს შენს ოჯახს, როგორც ზემოთა ვსთქვით, წელიწადში 2090 მანეთამდის აქვს შემოსავალი და ნუ თუ ასეთ შეძლებულ ოჯახის პატრონს, როგორიცა ხარ შენ, გაუჭირდება თავისი ორი შვილის რიგიანად გამოზდა?! მე ვფიქრობ, რომ მისდღემჩიც არა

და აი რატომ: ვისაც შვილების რიგიანათ აღზრდის დიადი მნიშვნელობა აქვს შეგნებული, იმას არამც თუ ამოდენა შემოსავალი, არამედ, ამის მეხუთედიც რომ არ გააჩნდეს, მაინც არას დროს არ დასჯოვებს თავის შვილებს გამოუზდელს და უსწავლელს; ამისთვის კი მხოლოდ ერთადერთი მონდომება და ხელის განძრევაა საჭირო. ამის დასამტკიცებლათ მე შემიძლია შენსავე მეზობლებზედ მიგითითო. აქ მე სახეში მყავს შენი მეზობელი ლაზარე, რომელსაც ამ ოთხი-ხუთი წლის წინეთ ორი-ათას მანეთამდის ჰქონდა გასესხებული. შენ, უეჭველია, კარგათ გახსოვს, თუ რამდენი ვეხვეწეთ და ვემუდარეთ მას, მაგრამ თავისი ვაჟის სასწავლებელში მიცემაზედ მაინც ვერ დავითანხმეთ!.. მეორე მხრით ავიღოთ შენი ნათლი-მამა, როსტომი, რომელსაც არამც თუ ორი ათასი მანეთი, არამედ ორმოცი მანეთიც არ ენახა ერთათ თვალით, მაგრამ მან იმდენი მოინდომა, იმდენი თავი გადადვა და იმეცადინა, რომ თავისი შვილი პარმენი გამოუზდელი და უსწავლელი მაინც არ დასტოვა. და მერე რა იყო ამის მიზეზი, რომ ერთს შეძლება ჰქონდა, მაგრამ შვილი მაინც არ გამოზარდა; მეორეს, თუმცა არაფერი გააჩნდა, მაგრამ სამაგიეროთ იმან არც ვალი და ვახშის აღებას შეუშინდა, არც შრომა-ტანჯვას და შვილი უსწავლელი მაინც არ დასტოვა! ამის მიზეზი, რასაკვირველია, პირველის გაუგებლობა და უმეცრება იყო, ხოლო მეორესა კი მეტი მიხვედრა-განვითარება და მეტი გონივრული შეხედულება საქმეზედ. მერე ვინ წააგო, ან ვინ მოიგო ასეთი მოქმედებით? რასაკვირველია, რომ პირველმა წააგო: ლაზარეს, როგორც ფულით გასუნაგებულს, პირში ნერწყვი მოუვიდა და ამ ორი ათასი მანეთის (ერთ წელიწადს) ოთხი ათასად გარდაქმნა მოინდომა! აი, სწორეთ ამ მიზნით, მან გააღო სოფელში ერთი პატარა დუქანი და თავისი უსწავლელი შვილიც შიგ დააყენა; მაგრამ დახე უბედურებას: ორი წლის განმავლობაში, ლაზარეს, ოთხი ათასი მანეთის მაგივრათ, დუქანში, ოცი

მანეთიც ალარ დახვდა!!. რაღა ქნა როსტომის შვილმა?— როსტომის ნასწავლმა შვილმა კი ორი-სამი წლის განმავლობაში მასზედ დანახარჯი ვალიც უკვე გაისტუმრა და ამასთან სამასოთხას მანეთამდის ეხლაც ყოველ წლობით შემოაქვს ოჯახში. ამიტომაც როსტომის ოჯახი დღეს გაუმჯობესებული, კმაყოფილი და ბედნიერია, ხოლო მოხუცებული ლაზარე კი (ოჯახობითურთ) სილარიბის გამო გაჭირებაში და განსაცდელშია. მაშ, ეცადე, ჩემო ბეჟან, რომ შენც ლაზარესავით არ მოგივიდეს. ამ ნაირად, მე დარწმუნებული ვარ, რომ შენისთანა შეძლებულ კაცს (თუ კი მოინდომებს) ყოველთვის შეუძლია შვილის გამოზდა, თუ მაღალში არა, საშუალო სასწავლებელში მაინც. მართალია, შენ ორი შვილი გყავს გამოსაზრდელი და ამიტომ იმათი (ორივეს) მაღალს სასწავლებელში გამოზრდა იქნება ვერ შესძლო; მაგრამ სანამდის შენი შვილები მაღალ-სასწავლებლამდის მივიდოდნენ, მანამდის ათითორმეტი წელიწადი მაინც გაივლის და ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში შენ ისე ვერ მოაწყობ თავის მუშაობას, რომ ეხლანდელი შენი ოჯახის შემოსავალი ერთი-ორად გაჰხადო?! თუ ხუთი ქცევა ადგილის გვლიშამ მარტო ბეოლაბროწეულების შემორგვით და მასში უბრალო ბალახის დათესვით შესძელი შენ ორი ათას მანეთამდის წლიური შემოსავლის გაკეთება, ნუ თუ ამავე ადგილში (ბალახის მაგივრად) უფრო სასარგებლო მცენარეების (ხეხილების) მოშენებით ვერ შესძლებ შენ ხსენებული შემოსავლის გაორებას და გასამებას?! მე ვფიქრობ, რომ შენ სულ ადვილათ შეიძლებ ამას და აი რა მოსაზრებით: შენს განკარგულებაშია დღეს ხუთი ქცევა ადგილი *), რომელშიაც ბალახი გითესია. ამოდენა ადგილში

---

*) შე აქ იმ მეექვსე ქცევა ადგილს, რომელშიაც შენ ვენახი გაქვს შენებული, არ ვეხები, რადგანაც თავიდგანვე მე ხუთ ქცევა ადგილთან მქონდა საქმე. ამიტომაც ამ ვენახის შესახებ მოფიქრებას და მის გაუმჯობესობას შენგე განდობ, ჩემო ბეჟან.

შენ ბალახი იმისთვეს როდი დაგითესავს, რომ ამ უკანასკნელს ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლოს შენთვის, არამედ იმიტომ, რომ ადგილი მოგესვენებია და ამ მოსვენებით შემდეგ მისგან უფრო მეტი სარგებლობა გამოგედნო. მაგრამ, რადგანაც ეს ადგილი დღეს უკვე შემოკავებულია (შემოლობილი), ამიტომ შენ შეგიძლია ამით ამ თავიდგანვე ისარგებლო და სანამ ადგილი დაისვენებდეს, მომავალი მუშაობის საქმე უფრო სასურველად გაიწალდო (გაიკეთო). რა თქმა უნდა, მე აქ სახეში მაქვს ხეხილების მოშენება, რადგანაც სხვა ჭირნახულის მოყვანა მასზედ ადგილთა მოსვენების წინააღმდეგი იქნებოდა და ამასთან მაშინ არც ბალახი გვექნებოდა ძროხებისთვინ. დიახ, ხეხილები უნდა მოშენდეს, მაგრამ რა ნაირად? აი, ბეჟან, აქ შენ კარგად უნდა დაუფიქრდე საქმეს, რომ ის (ნამოქმედარი) საბოლოოდ გლახათ არ გამოვიდეს. — „ამი ვარჩევ რომელიმე ხეხილთაგანს და დავიწყებ რგვას ამ შენმოლობილ ადგილშიო“,—იქნება სთქვა შენ. მაგრამ საქმეც იმაშია, ჩემო ბეჟან, რომ ერთი და იმავე ხეხილით (ერთგვარით) ამოსენა ადგილის გამსება არ ივარგებს. ეს შენც ხომ კარგად იცი, რომ ერთი და იმავე ხეხილის მოსავალი, ერთ და იმავე დროს იქნება ყოველთვინ მოსაწევი. და მაშ, საჯ შეგეძლება შენ ამოდენა ხეხილის ერთად დაკრება და ბაზარზედ გატანა?! ამიტომაც უმჯობესია ამნაირად გაისარჯო; ერთ ქცევა ადგილზედ ჯერ, შენ, უნდა დასთესო ან და წაარგა უბრალო ალუბალი, რომელიც შენის ეზოს ახლომახლო ათასობით მოიპოვება და შემდეგ, როცა ისინი ცოტას წამოიზდება, დაამყნა იმათზედ ის კახამბალი, რომელიც აპრილის პირველ რიცხვებში უკვე დამწიფებულია *). ასეთი ბალი, ერთ ქცევა ადგილზედ, სამას-ორმოცდა-ათამდის თავისუფლად დაეტევა. ამათი ნაყოფი (ბალი) ყოველთვინ ძარ და

*) ასეთი ბალი ქ. ოზურგეთში მოიპოვება, ხოლო რაც შეეხება დამუვნას, ამის ხულობა თითეულმა თქვენგანმა უკეთ იცის.

სამ ფასში იყიდება, რადგანაც ის ისეთ დროს მოდის, როცა სხვა ჩვეულებრივი ბალის ჭაჭანებაც არსად არის. თუ შენ თითოს იკისრებ იმათ დაყიდვას, იმ შემთხვევაში ითითო ძირი ასეთი ბალისა მოგცემს შემოსავალს თუთხმეტ მანეთზედ არა ნაკლებ; თუ არა და მყიდველნი თითო თუმანს ადგილზედვე მოგცემენ სიხარულით თითო ძირ ბალში. მაგრამ ჩვენ ათი და ხუთმეტი მანეთის მაგივრად ხუთ-ხუთ მანეთს დავყაბულდეთ თითო ძირ ბალში. ამისდა მიხედვით, სამას-ორმოცდაათი ძირი ბალისაგან ჩვენ შეგვეძლება მივიღოთ ათას-შვიდას ორმოც-და-ათ მანეთამდის წლიური შემოსავალი. ასეთი საადრევო ბალის მოწევას შენ აპრილშიც მოათავებ. მეორე ქცევაზედ შენ ქვიშნა ბალი უნდა მოაშენო, რომელიც, თუ მეტი არა, 400-დგან ოთხას-ორმოცდა-ათამდის მაინც დაეტევა და თითო ძირიდგან (შემოსავალი) თორმეტ-თორმეტი აბაზის მეტიც, რომ არ ვიანგარიშოთ, ერთ ათას მანეთამდის შემოსავალი ქვიშნა ბალისგანაც გექნება. ამ ბალის კაკლების დახმობაც შეგიძლია შენ (გაძხმარი ქვიშნა ბალის ნაყოფს ზამთარში, გაცილებით მეტი ფასი აქვს) და ამნაირად, როცა მოგესურვება, მაშინ გაჭყიდი მას. ამაების მოწევას მაისშივე მოასწრობ. მესამე ქცევაში შენ უნდა გააშენო ისეთი კარგი ჯიშის ატმები, რომლებისგანაც ტკბილეული კეთდება ხოლმე (კონსერვი). თუ თავის დროზედ ასეთი ატმის თესლი (ბურკა) ვერ იშოვნო, იმ შემთხვევაში შენ შეგიძლია ჯერ უბრალო ატმები მოაშენო და შემდეგ ამ უბრალო ატმებს კარგი ჯიშის ატმები დაამყნა ზედ. ხუთი-ექვსი კაკალი ასეთი ატმისა ერთ ისეთ ბანკა (ჭურჭელია, რომელიც უბრალო თუნუქიდგან კეთდება) ტკბილეულს (კონსერვს) გააკეთებს, რომელიც ათი შაურიდგან სამ აბაზამდის ეღირება. ქცევაზედ ასეთი ატამი ოთხას ორმოცდა-ათამდის სულ თამამად დაეტევა. თუმცა თითეული ატმის ხეს თამამად შეუძლია მოისხას სამას კაკალზედ მეტიც, მაგრამ ჩვენ ერთიმეორეზედ, სამასის მაგივრად, სამოც-სამოცის კაკლის მეტს

ნუ ვიანგარიშებთ ძირზედ (ამას ასე იმიტომ ვანგარიშობ, ჩემო ბეჟან, რომ შენს ეჭვიანობას ბოლო მოვუღო). ასეთი ანგარიშით, ერთი ძირი ატამი მოგვცემს ხუთი მანეთის საღირალ ტკბილეულობას, ხოლო ოთხას-ორმოცდა-ათი ძირი კი ორი ათას-ორას-ორმოცდა-ათი მანეთისას. ტკბილეულობის გასაკეთებლად რამოდენიმე მანეთის შაქარიც დაგჭირდება შენ *)... ყველა ამაების მოქმედებას შენ ივლისში (კვირიკო-

---

*) ატმის გასაყიდი ტკბილეულობის გაკეთება ი რ ო გ ო რ შეიძლება: ჯერ უნდა აიღო ერთი ვედრა ანუ თექვსმეტი ბოთლი წმინდა წყალი და ჩაუშვა რაიმე ასადუღებელ ჭურჭელში (კარდალში). შემდეგ შიგ უნდა ჩაყარო ცხრამეტი გირი შაქარი, შემოჭიდო ცეცხლზედ და ადუღო ათ წამს. შემდეგ ძირს უნდა ჩამოდგა და აცალო კარგათ გაცივება. ამ ნაირად მიიღებ შენ მოსქო შაქრის წვენს (სიროპს). ეხლა ატმები ლამაზათ უნდა გასწმინდო, ე. ი. ზედა კანი უნდა შეიოთალო, შემდეგ შუაზედ უნდა დაჰპოთ და თითეული ასეთი ატმიდგან ფერთხილათ ბურკა უნდა ამოიღო ისე, რომ ამ ბურკას ატმის ნამცეციც არ უნდა გამოჰყვეს. ამ ნაირად დამზადებული ატმები შემდეგ უნდა ჩაწყო გამორეცხილ და კარგად გამოშრალებულ ფუნუქის ბანკაში ისე, რომ ატმები ზურგით ბანკის კიდეებზედ უნდა იყოს შიწყობილი და კანაპობი პირი კი შიგნით უნდა იყურებოდეს. (ატმის ზურგ შუა და ბანკას კედლებ შუა თავისუფალი ადგილი არ უნდა იყოს დარჩენილი). ბანკა, რასაკვირველია, პირამდის ატმებით არ უნდა იყოს ამსებული. როცა ამ ნაირად ბანკებში ატმებს დაამზადებ, შემდეგ იმათ თავზედ უნდა დაასხათ ის სქელი და გაცივებული შაქრის წვენი, რომელიც შენ უკვე მომზადებული გექმნება წინ-და-წინ. მაგრამ ისე კი. უნდა დასხათ, რომ ბანკის ფლათ გაგსებას ორი თითის დადება მაინც აკლდეს. შემდეგ ფუნუქის ასეთ მომზადებულ ბანკას ფუნუქისვე თავსახურავი ისე კარგათ უნდა შეამოაწებო ანუ შემოაფინო (ტუკიის წყალობით), რომ ბანკიდგან ჭაერს არა გზით არ შეეძლოს ამოსვ-

ბისთვეში) შეიძლებ. მეოთხე ქცევაზე შენ უნდა გააშენო ისეთი კარგი ვაშლები, რომლების ნაყოფი კარგი გადასატანგადმოსატანიც იყოს და ამასთან კარგი შესანახიც. თუ შენ ასეთი ვაშლების ჯიშს აარჩევ, რომლებიც დიდრონ ხეებათ იზდებიან (ასეთი დიდი ვაშლის ხე ერთი შენც გიდგია ეზოში), მაშინ ასეთი ვაშლის ხე ორას ძირზედ მეტი არ დაეტევა ქცევაზედ; მაგრამ სამაგიეროთ თითეული ასეთი ძირი ოცი მანეთის ნაყოფს მაინც მოგცემს. შენ კი თითეული ასეთი ვაშლიდგან ათი მანეთის მეტიც რომ არ იანგარიშო, ერთ-ორი-ათას მანეთამდის ამ ვაშლებიდგანაც გექნება წლიური შემოსავალი. ამ საქმეს შენ ენკენისთვეში მოიმოქმედებ *). ეხლა დაგვრჩა მეხუთე ქცევა მიწა, რომელზედაც უმჯობესია მოაშენო ხეჭიჭური მსხალი, რადგანაც ის ერთი, რომ გვიან (ოქტომბერში) მოდის, მეორედ, ქარის არ ეშინია და მესამედ, როგორც თითონ იცი, ზამთრისთვინ ადვილი შესანახია. ეს უკანასკნელი იმდენი დაეტევა ქცევაზედ, რამდენიც ვაშლი და ამასთანავე შემოსავალიც იმდენი ჩავაგდოთ, რამდენიც ვაშლიდგან, ე. ი. ორი-ათას მანეთამდის **). სულ ამ ხუთი

ლა. ასე თავ-გადასავისული კონსერვიანი ბანკა შემდეგ ადუღებულ წყალში უნდა ჩადგა და გაჩერო შიგ (ადუღო ქვაბში) ათ წამს. ამ ათი წამის შემდეგ ის მდუღარიდგან უნდა აშოიღო და სადმე ცივს და დატულ ადგილას შეინახო. აი, ამნაირად შეგიძლია შენ დაკეთო ატმებიდგან ათასობით კონსერვები.

*) თუ რა დროს უმჯობესია ვაშლების დაკრეფა, ამის შესახებ იხილე „მოგზაურის“ დამატება „გამოსადეგი ცნობანი“, წიგნი მეექვსე.

**) ამ ორ ქცევა ადგილში, რომელშიაც მსხალი და ვაშლი გაქვს გაშენებული (ხესილებს შორის), უჯდებოდა, ისეთი ადგილებიც ბევრი დარჩება, რომლებზედაც ბადჩეულობის მოყვანა თამამად შეიძლება და ამ ნაირად იმათგან კიდევ სარგებლობის გადმოღნობა!.. ესენიც შენთვინ მოშინდვია, ჩემო ბეჟან.

ქცევა ადგილთა ხილეულობის ფასოვნება (საადრეო ბალი — 1750 მან., ქვიშნა ბალი—1000 მ., ატამი — 2250 მ., ვაშლი —2000 მ., მსხალი —2000 მ.) ადის ცხრა ათას მანეთამდის! ახლა შენ, უეჭველია, განცვიფრებული იკითხავ: «ეს ყველა კარგი, მაგრამ ძროხებს რაღა უყავით, თუ იმათ მოსპობას მიპირდებითო?!» არა, ჩემო ბეჟან, ძროხებისგან შენ ისეთი უტყუარი შემოსავალი გაქვს, რომლის ბედ-ილბალიც სხვაზე უფრო უზრუნველ-ყოფილია ბუნების სხვა-და-სხვა მედიდურობის და ზედ გავლენისაგან. ამიტომაც იმათის არამც თუ მოსპობას, არამედ, თუ მეტი არა, ერთი-ორად (ე. ი. თორმეტამდის შეძენას) გამრავლებას მაინც გიპირდები. რაც შეეხება იმათ სარჩენ ბალახს, ამისთვინ, აი როგორ უნდა მოიქცე: როგორც კი შენს ადგილებში, ხეხილები მორჩება და ცოტა წამოიზრდება, შენ მაშინვე სხვა ადგილი უნდა გაიჩინო სათიბად. ბალახისთვინ შენ შეგიძლია, ხუთმეტ ქცევამდის, ზეგანი ადგილი აიღო იჯარით და ახლო მომავალში ისინი შენთვინ შემოიყიდო. ასეთი ხუთმეტი ქცევა ადგილის იჯარით აღება წელიწადში, სულ რომ ბევრი ვსთქვათ, ას-ოც მანეთამდის არ დაგიჯდება, მაგრამ მე მაინც (ყოველ ეჭვს გარეშე, რომ დარჩეს) ამ ხუთმეტ ქცევა ადგილს ას-ორმოცდა-ათ მანეთად ვანგარიშებ წელიწადში. ამნაირად, ხუთმეტი ქცევა ადგილის იჯარით აღებით და კიდევ ექვსი სული მეწველი ძროხების შეძენით, შენ წინანდელ შემოსავალს ერთი ცხრა ას-ორმოც მანეთამდის კიდევ მოემატება. სულ ამ ექვსი სული ძროხების შეძენით და ხეხილების მოშენებით ექნება შემოსავალი შენს ოჯახს ცხრა-ათას ცხრა-ას-ორმოც მანეთამდის. ამას კიდევ თუ მიუმატებთ წინანდელ ორი ათას ოთხმოც-და-ათი მანეთის შემოსავალს, რომელსაც ჩვენ ვღებულობდით ბჟოლა-ბროწეულის მოშენებით და ექვსი სული ჯიშიერი ძროხების შეძენით, მივიღებთ თორმეტი-ათას ოცდა-ათ მანეთამდის. მაგრამ ყველა ამას წმინდა შემოსავალი რომ დავარქვათ, შეცდომა იქნება და აი რატომ: ხუთმეტი

თუმანი შენ აგერ მარტო სათიბ ადგილში გაგიდის წელიწადში. სამას ოცდა-ათ თუ ორმოცდა-ათ მანეთამდის შენ ერთხნობით გჭირდება ექვსი სული ძროხების საყიდლათ. ამ ნაირად შენ მომავალში თორმეტი სული ძროხა გეყოლება და იმათ მოვლას ეხლა მარტო ირინეც ვეღარ შესძლებს (შენც აღარ გცალია იმის მისახმარებლად დღეს). მაშასადამე, რომ ძროხებისგან ზემოხსენებული სარგებლობა მიიღოს ოჯახმა, ამისთვინ საჭიროა ერთი კაცის დაქირავება და იმათზედ მიპირება, რაც ათი თუმანი მაინც დაგიჯდება წელიწადში. თუ ორი მუშა წლიურად არ დაიქირავე, ამოდენა ხეხილების რიგიანათ მოვლას მარტო შენ ხომ ვერ შესძლებ?! ერთი ოცი თუმანი, რასაკვირველია ამათვინაც დაგჭირდება. გარდა ამისა, ხეხილების დაკრეფაზედ (მოწევაზედ) და ატმებიდგან ტკბილეულობის დაკეთებაზედაც დაკჭირდება შენ (თუმცა-ღა დროებით) მუშების დაქირავება, რაუბშიაც, ადვილი შესაძლებელია, სამას ორმოც-და-ათ მანეთამდის დაგეხარჯოს. კონსერვების დასაკეთებლათ იქნება ერთი ორასი მანეთის შაქარიც დაგჭირდეს. შეიძლება, ზოგიერთი ხილეულობის ბაზარში გატანაც მოგიწიოს შენ (თუმცა-ღა წინანდელი ანგარიშით, ზემოხსენებულ ფასებს შენ ეზოშივე მოგცემს მსყიდველი) და ამას, რასაკვირველია, ხარჯი მოუნდება. ამასთან, იქნება, გადატან-გადმოტანაზედაც გაგიფუჭდეს რამოდენიმე მანათის ხილი, ესენი ყველა საანგარიშოა და, რომ შენ გულ-ნაკლულათ არ დარჩე, ამ უკანასკნელი საჭიროებისთვის (მოსალოდნელი ზარალიანა) გადავდვათ შვიდას მანეთამდის. ძროხების ყიდვიანა, რომ ვიანგარიშოთ, სულ წლიური გასავალი გექნება შენ ორი ათასოც-და-ათ მანეთამდის, ხოლო შემოსავალი კი (მთელი ღირებულობა მოსავალისა) თორმეტი ათას ოცდა-ათ მანეთამდის. აქედგან შენ თუ გინდა შეიტყო ოჯახის წლიური წმინდა შემოსავალი, იმ შემთხვევაში ზემოხსენებულ მთელ მოსავალთა ღირებულობას უნდა გამოაკლო ის ორი ათას ოცდა-ათი მანეთი, რომელიც

შენ დაგიხარჯავს მთელი მოსავალის მოწევაზედ და იმათ გადატან-გადმოტანაზედ და აი, ეს იქნება ოჯახის წმინდა შემოსავალიც. ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ზემოხსენებული მოქმედების გამო (წინეთ შემოსავალი რა იყო არც ქე იკოდი შენ) დღევანდელი შენი ოჯახის წმინდა შემოსავალი ათი-ათას მანეთს აღემატება! აქ თუ შენ კარგად ჩაუკვირდები საქმის ვითარებას, უსათუოდ დაინახავ (დარწმუნდები), თუ როგორ შეიძლება ფულიდგან ფულებისავე გაჩენა! როგორც მოგეხსენება, ამას წინეთ, შენს ოჯახში სამას მანეთამდის ძლივს მოუყარეთ თავი. ამ სამასმა მანეთმა ჩვენ მოგვცა საშუალება, რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ოჯახის წმინდა შემოსავალი (ნუ დაივიწყებ, ჩემო ბეჟან, რომ წინეთ ოჯახის შემოსავალი რამოდენჯერმე აღემატებოდა და ამიტომაც შენს ოჯახს მუდმივ ვალი და ვახში ახრჩობდა) ორი ათას მანეთამდის აგვეყვანა. ხოლო ამ უკანასკნელის შემწეობით კი იგივე შემოსავალი (შვიდ-რვა წლის განმავლობაში) ათი-ათას მანეთამდის ავიდა (გადიდდა!). ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ იმ სამასმა მანეთმა, რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ისეთი რამეები გააკეთა, რომელთა წყალობით დღეს შენს ოჯახს (წინანდელი ვალის და ვახშის მაგივრად) ათი-ათას მანეთამდის წმინდა შემოსავალი აქვს!.. ამას შემდეგ, იმედია, შენც დამერწმუნები, ჩემო ბეჟან, რომ, თუ კი (რამოდენიმე ხნის განმავლობაში) სამასი მანეთიდგან კი შევსძელით ათი-ათას მანეთამდის წლიური შემოსავლის გაკეთება, მაშინ ნუ თუ ათი-ათასი მანეთიდგან უფრო ადვილათ არ შეიძლება სამოცი თუ სამოცდა-ათი ათასი მანეთის მიღება?! მაგრამ რას იზამ, რომ ამაებისთვინ შენ არც ცოდნა გყოფნის, არც გამოცდილება! შენ, ჩემო ბეჟან, არამც თუ სამოცი ათასის, არამედ ათი ათასი მანეთის გაძღოლასაც ველარ ძლებულობ და ამიტომაც თუ ვინმე მცოდნე დროზედ არ დაიხმარე, უეჭველია, ეს შემოსავალი, ადრე თუ გვიან, ხელიდგან გამოგეცლება. დიახ, აქ გჭირია დახმარება, აქ

გინდა შენ, ჩემო ბეჟან, მცოდნე და განვითარებული კაცი და აი, სწორეთ ამ გასაჭირ დროზედ მოგისწრობს შენ შენი (მაღალ სასწავლებელში გამოწვრთნილი) ნასწავლი შვილი, შავლა, რომელიც თავისი ცოდნით და გამჭრიახობით უსათუოთ შესძლებს ამ ათი ათასი მანეთიდგან, არამც თუ სამოცი ათასის, არამედ ასი ათასი მანეთის შექმნასაც.

აი, ასეთ მოქმედებას ჰქვია, ჩემო ერთგულო მეზობელო, ოჯახში კარგი თავ-დარიგიანი, სარგებლიანი მუშაობის შერჩევა და ცოტა დროის შრომა-მოქმედებით ბევრის გაკეთება, რომლებსაც შენც სულით და გულით გისურვებ.

მაშ გაუმარჯოს სოფლელ მუშას!..

შენი მარად კეთილის მსურველი ტ. ართმელაძე.

შენიშვნა: „მოგზაურის" რედაქცია ახლო მომავლისთვის ამზადებს წერილს ჰურის მოუვანის შესახებ ბოსტნურის წესით. ამ წესით მოუვანილი ჰური ერთი ათად მეტს მოსავალს იძლევა და ამიტომ იმედია უმნიშვნელო არ იქნება ბეჟანისთანა შეგნებული მეურნე მუშებისათვის. რედ.

ჰიგიენა-მკურნალობა.

დიფტერიტი

(ჩვენებურად ყალათმა, ხუნაგი ანუ ყელჭირვება)

ამ ჭირის ცნობა, მისგან თავის დაცვა და მისი წამლობა *).

1. რაგვარი ჭირია დიფტერიტი და როგორ შეეურება იგი ადამიანს.

საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეში დიფტერიტს ზოგან ხუნაგს ეძახიან, ზოგან ყელჭირვებას, ზოგან ყალათმას და სხვ... დიფტერიტით უფრო ხშირად ბავშვები ხდებიან ავად, ასე, ორი წლიდან ხუთმეტამდე, მაგრამ ეს ჭირი შეიძლება ძუძუთა ბავშვს, დიდებსა და მოხუცსაც კი შეხვდეს.

დრო და ჟამი დიფტერიტს არ გააჩნია, მაგრამ უფრო ხშირად კი ეს ჭირი ვრცელდება შემოდგომობით და ზამთრობით, როდესაც სიცივის გამო ხალხი დახშულს ოთახებში იბუდებს.

დიფტერიტი გადამდები ჭირია, სახადივით გადადის ერთისგან მეორეზე, თუ ერთი გახდა ავად, იმისგან მეორე და

---

*) ამ სტატიის შედგენის დროს ჩვენ ვისარგებლეთ უველა საუკეთესო წერილებით ამ სეხის შესახებ და უმთავრესად სახალხო ბროშურით, შედგენილი დოქტორის ა. ბუტკევიჩის-მიერ. ი. ა.

მესამე ხდება ავად და ხშირად მთელს უბანს და მთელს სოფელსაც მოედება ხოლმე. ახლა ისაა საკითხი, რა ჭირია ეს დიფტერიტი და საიდან ჩნდება იგი?

ჰაერი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც თევზი წყალში, ყოველთვის წმიდა, სუფთა როდია. ადამიანის თვალს შეუძლია მსხვილი მტვერი დაინახოს, მაგრამ რამდენი ურიცხვი რამ ირევა ჰაერში, რომ ჩვენი თვალი ვერ ხედავს, ამას ვინ მოსთვლის! აი თქვენ ზიხართ ოთახში და გგონიათ, რომ წმინდა ჰაერით სუნთქავთ, მაგრამ ჭბა დააბნელეთ ოთახი და კარი ან ფანჯარა ცოტათი გამიაღეთ იმდენად, რომ მზის სხივი შემოვარდეს და ნახავთ რამდენი რამ ირევა იმ ჰაერში, რომლითაც თქვენ სულდგმულობთ. დიაღ, ჩემო ბატონო, ჰაერში მილიონობით ირევიან წვრილმანი, თვალთ-უხილავი ცოცხალი არსებანი, რომელთაც მეცნიერულად ბაკტერია ეწოდება. რომ ავიღოთ ეს თვალისთვის უხილავი მტვერი და იმნაირი იარაღით გავშინჯოთ, რომელიც საგანს ერთი ათასად ადიდებს (მიკროსკოპით), მაშინ ადვილად დავინახავთ იმ ბაკტერიებს და მათს სახე-მოყვანილობას. ბაკტერიები სხვადა-სხვა გვარია, ზოგი რკალივით მრგვალი, ზოგი ჩხირებს ჰგავს, რომელთა შორის ზოგი მრუდე და მოკაკულია და სხვ...

სადაც მეტი სიმყრალე, ჭუჭყი და უწმინდურება-უსუფთაობაა, სადაც ათასი რამე იხრწნება, ლპება და ჰაერს შხამავს, ბაკტერიებიც იქ ჩნდებიან, ხარობენ, ფუთფუთებენ, ფუფუნებენ. ამ გვარად ბაკტერია-მიკრობები ქალაქ ადგილას უფრო მეტია ჰაერში, ვიდრე სოფლად; სახლში, ოთახში (დახურულ ჰაერში) უფრო მეტი ირევა, ვიდრე გარედ (ღია-ჰაერში). აქედან ადვილი მისახვედრია, რომ მთა-ადგილებში, სადაც მტვერი არ ხვდება, ჰაერი გაცილებით უფრო სუფთა და მკურნებელია. ათასნაირ ბაკტერიებს შორის, რომელნიც ჰაერში ფუსფუსებენ, ყველა ჩვენი მტერი როდია; ზოგი მათგანი, პირიქით, სასარგებლონიც არიან ადამიანისთვის, მაგრამ ღმერთმა თქვენს მტერსაც აშოროს ის ბაკტერიები, რომელ-

ნიც ადამიანს შხამად ედებიან. ეს მავნე ბაკტერიები შეატა-ნენ თუ არა ადამიანის სხეულში, წამსვე იჩენენ თავს და ჭირად ედებიან. სხვა-და-სხვა გვარი ბაკტერია სხვა-და-სხვა გვარი ჭირის დედაა.

ასე და ამ გვარად ადამიანს ყოველთვის გარს არტყია აუარებელი რაზმი თვალისთვის უხილავი დაუძინებელი მტრისა, რომელთანაც ბრძოლა მაგრე ადვილი არ არის. აქ ვერც მკლავი გასჭრის და ვერც ხმალი, ვერც თოფი და ვერც ზარ-ბაზანი. ამ მტერთან საბრძოლველად ერთად-ერთი იარაღი, რომელიც ჩვენთვის ღმერთს მოუნიჭებია, ეს ჩვენი ჭკუა-გონებაა და უნდა გონივრულად ვისარგებლოთ იმ საშუალებით, რა საშუალებაც ჩვენთვის მეცნიერებს აღმოუჩენიათ.

ახლა, რასაკვირველია, იკითხავთ: თუ კი მაგდენი თვალთ-უხილავი ჭირი და მტერი თავს გვახვევია, რატომ ყოველთვის და ყველანი არ ვხდებით ავადაო? აი ამის პასუხი: ბაკტერი-ები ყოველთვის არ მრავლობენ იმდენად ჰაერში, არც ყოველთვის აქვთ იმდენი ძალა, რომ ადამიანი სძლიონ, და არც კაცი შეხვდება ხოლმე ყოველთვის ისე სუსტი, რომ მისმა ჯანმა ვერ მოინელოს თავისი თვალთ-უხილავი მტერი.

ხოლო ბრძოლა მაშინ არის გამწვავებული, როცა ადა-მიანს შეეყრება გადასადები ჭირი და როცა ამ ავადმყოფის გარშემო ბაკტერიები გუნდ-გუნდათ ფუთფუთებენ. აქ მათი შხამი იქამდე ძრიელი და ცხოველია, რომ კარგი ჯანი უნდა ჰქონდეს ავადმყოფის მომვლელს, რომ მათ გაუძლოს და ჭი-რი არ გადაედოს. ავადმყოფისა ჭირიანია, შხამიანია ნერწყვი, ოფლი და ცხვირის სითხე—ცინგლი. მეტადრე ადვილად გა-დაედება ხოლმე ჭირი იმას, ვინც დაღლილი და მოქანცუ-ლია, დარდისა და ბოროტისაგან დალაჩრულია, უძილობით დასუსტებულია ანუ ჭამა-სმა რიგიანი ჯერა აქვს და საზოგა-ოთ დაჯანდაგებულია. ლოთობით დაღლილს კაცსაც და აგრეთვე გაციებითაც გალახულს ჯანს ადვილად ერევა ეს ჭირი, ხშირად ბაკტერია და მისი შხამი კაცის გვამს შეატა-

ნენ ხოლმე წყლულიდან ანუ რამე ჭრილობიდანაც, და რა წამსაც ბაკტერიები შეატანენ ადამიანის სხეულს, იმ წამსვე საშინლად მრავლდებიან, ავადმყოფს აჟრჟოლებს, შეამცივნებს, მერე სიცხეს მისცემს, ხოლო ის ადგილი, საიდანაც შხამმა შეატანა სხეულს, სივდება, ენთება, უწითლდება და წყლულდება.

დიფტერიტის ბაკტერია, რომელსაც მეცნიერები დიფტერიტის ჩხირებს ეძახიან, რადგან ჩხირებს ჰგვანან, უფრო ხშირად ადამიანს ყელში ედება, ყელში ბღარტობს, მრავლდება, შხამს აჩენს და სწამლავს ადამიანს. თუ კაცს ტანზე სადმე ჭრილობა ან წყლული აქვს, ბაკტერია არც ამ ადგილს დაიწუნებს. რას სჩადის დიფტერიტის შხამი ადამიანის სხეულში და რა საშუალება გამოიგონა კაცმა მასთან საბრძოლველად, ამას ქვემოდ გავიგებთ.

2. აღწერა ავადმყოფობისა და მისი ნიშნები.

ამ ათიოდე წლის წინეთ, გადამდებ ჭირთა შორის დიფტერიტი ყველა ჭირზე უსაშინელესი ჭირი იყო, დიფტერიტი უფრო მეტს ხოცდა ბავშვებს, ვიდრე ქუნთრუშა, რადგან, მაშინ არც დიფტერიტისა და არც ქუნთრუშის წამალი არ იცოდნენ, ახლა კი მადლობა ღმერთს, წამალი ნაპოვნია და დიფტერიტი აღარ არის ისეთი საშინელება, როგორც წინეთ იყო. მაგრამ დიფტერიტისაგან ავადმყოფის მოჩენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა დროზედ უშველით, როცა დასაწყისშივე მიასწრობთ წამალს. თუ რომ ჭირმა უკვე ფეხი მოიკიდა, მაშინ, სამწუხაროდ ვეღარც ახალი გამოგონილი წამალი უშველის რასმე.

ამიტომ ავადმყოფობის ნიშნების ცნობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დროზედ მიასწროს კაცმა წამალი და სადსარი. დიფტერიტის ცნობა კი მაგრე ადვილი არ არის, რადგან დასაწყისში ავადმყოფობა თითქმის შეუმცნეველად იწყება.

რომ არ დავკარგოთ დრო და ჭირს იმ თავითვე, დასაწყისშივე შე-ვებრძოლოთ, უნდა ყოველთვის, როცა ბავშს სიცხეს მისცემს და თან ყელის ტკივილს სჩივის, ყლაპას უშლის, უძნელდება, მაშინათვე გაეშინჯოს ყელი, საყლაპავი, მეტადრე თუ ხმა დადის, რომ თქვენს გარშემო მეზობლებში და უბანში ბავ-შვები ყელის ტკივილით ავად ხდებიან და იხოცებიან, ეაშინ ნურც ერთს წამს დროს ნუ დაჰკარგავთ და ბავშვის ყელი დოქტორს გააშინჯვინეთ.

პატარა ბავშვების ყელის გაშინჯვა ადვილია მაშინ, როცა ბავშვი ყვირის. მოზდილი ბავშვი კი დასვით სინათლის პირდაპირ, პირი დიდათ გააღებინეთ, მხოლოდ ენას კი გარედ ნუ გამოჰყოფს, მერე ჩაის კოვზის ტარით ანუ ხის კოვზის პტყელის ტარით დააჭირეთ ენის ზურგს და ძირს დასწიეთ იმდენად, რომ საყლაპავთან პაწია ენა (საკლიტე) გამოჩნდეს. მაშინ კარგად გაშინჯეთ საყლაპავის აქეთ-იქიდან ჩამოსული ჯირკვლები. თუ სუმბუქად შესივებული ჯირკვლები დაფარულია მოყვითალო ანუ ზოგჯერ ნაცრის-ფერი ხალებით (აბლაბუ-დასავით), მაშინ იცოდეთ, რომ დიფტერიტია. ამიტომ გამო-

უცდელ, უცოდინარ კაცისთვის მეტად ძნელია გაარჩიოს დიფტერიტია თუ უბრალო ყელის ტკივილი, მაშასადამე, ყოველთვის სჯობს და მოვალენიცა ვართ, რა წამსაც შევამჩნიოთ, რომ ყელში ჩამოსულ, დასიებულ ჯირკვლებზე აბლაბუდასავით რაღაცა ფრად აქვს გადაფარებული, მაშინათვე დოქტორს გავაშინჯოთ ბავშვის ყელი. ის კი უნდა აღვნიშნოთ და ადვილი შესამცნევიც არის, რომ დიფტერიტი დასაწყისშივე სხვაფრივ მიმდინარეობს და უბრალო ყელის ტკივილი სხვაფრივ.

აქ თქვენი ყურადღება უნდა მიაქციოთ შემდეგს: მოგეხსენებაი, რომ ქუნთრუშამაც ყელის ტკივილი იცის და ძრიელაც წაგავს მყრალ დიფტერიტს, მაგალითად: ქუნთრუშით ავადმყოფს ყელი იმ გვარადვე ჩამოსდის, ჯირკვლები უსივდება და ზედ ეფინება ნაცრის-ფერი აბლაბუდა და ისე უზვიადდება, როგორც მყრალ დიფტერიტის დროს და ბავშვს მყრალი სუნი ამოსდის პირიდან.

მაგრამ რა სატკივარიც უნდა იყოს, თუ კი ყელის ტკივილით დაიწყება და იმავე დროს მტკივან ადგილზე ყელში აბლაბუდასაებ დაეფინება, ვიდრე ექიმს აჩვენებდეთ, ისე მოე-

ქეცით, როგორც ნამდვილ დიფტერიტს, კარგა მყოფი ბავშვები ავადმყოფს გააშორეთ და სრულებით ნუ მიაკარებთ ყელ-მტკივან ბავშვებს, ვიდრე ავადმყოფობა გამოირკვეოდეს; სჯობს მეტი შიში სქამოთ, ტყუილ-უბრალოდ თავისიანებსაც გულები დაუხეთქოთ, ვიდრე დრო დაჰკარგოთ და ბოლოს სანანურად გაგიხდეთ და ნამდვილ დიფტერიტს შვილი დაახრჩობინოთ.

დიფტერიტით დიდებიც ხდებიან ავად, მაგრამ უფრო ხშირად ეს ჭირი ბავშვებს ხვდება ორის წლიდან, ვიდრე ათ წლამდე; ძუძუთა ბავშვებს კი პირველ წელს და მეტადრე ექვს თვემდე ძრიელ იშვიათად ხვდება დიფტერიტი.

დიფტერიტი შეხვედრის წამიდან არ იჩენს ხოლმე თავს, უნდა გაიაროს ორმა ან ხუთმა დღემ, რომ ნამდვილმა დიფტერიტმა თავი იჩინოს, ხოლო მისი გამოჩენის უტუარი ნიშნები ესრის ყელში აბლაბუდა და ტანში სიცხე. შეიძლება, რომ დიფტერიტიან ავადმყოფს დიდი სიცხეც არ მისცეს, ძრიელ ხშირად უბრალო ყელის ტკივილის დროს უფრო დიდს სიცხეს მისცემს ხოლმე. ხოლო ის კი უტყუარია, რომ დიფტერიტის დროს ბავშვი უფრო ცუდათ გრძნობს თავს, თუ გინდ პატარა სიცხეც ჰქონდეს; მადა ეკარგება, სუსტდება, დუნდება, ჩულივით ხდება და სულ ძილი მოსდის; ეს იმიტომ, რომ დიფუერიტის შხამი, ყელში გაჩენილი, ავადმყოფის სისხლსა და ხორცში ერევა და სწამლავს მთელს სხეულს.

ერთსა და იმავე დროს, აბლაბუდიან ყელის ტკივილთან, კისრის ჯირკვლებიც სივდება და უფრო იმ მხარეს უჭერს, რა მხარესკენაც ყელში სიმსივნე სჭარბობს; ჩვეულებრივი დიფტეროიტის დროს კისრის ჯირკვლები ძრიელ არ უსივდებიღ, ხელით რო შეეხო, თითქოს ტყავის ქვეშ გორაობენო. ამისთანა სიმსივნე ჯერ ყურის უკან იწყება, იქვე ახლოს ქვემო ყბის და ყურის ძირთან. ყბა-ყურის ისეთი დიდი სიმსივნე, როგორც ქუნთრუშამ იცის, დიფტერიტის დროს არ

მოხდება. ჩვეულებრივი დიფტერიტი, თუ კარგა ხელი შეუწყე და დროზე უწამლე, უფრო ხშირად მშვიდობიანად გაივლის: ავადმყოფობის დაწყებიდამ ერთი კვირის დამლევს ყელში აბლაბუდა თან-და-თან კლებულობს, დნება, თხელდება და ბოლოს ცოტ-ცოტათი შორდება ანუ ერთბაშად მთელი ნაჭერი აბლაბუდისა მოეძვრება ხოლმე მტკივან ადგილს. ამ დროს მტკივანს ადგილს ნაჩხაპნებივით ეტყობა, რის გამოც ყლაპვას ახლა უფრო უშლის, უძნელდება, ვიდრე მაშინ, როცა აბლაბუდა ჰქონდა გადაკრული. ნაჩხაპნ ადგილებზე ხშირად სისხლიც გამოჩნდება, მაგრამ ჩქარა უმთელდება დაიარავებული ადგილი და ორი კვირის შემდეგ, ავადმყოფობის დასაწყისიდან, ბავშვი სრულებით იკურნება, რჩება.

ყველაფერი, აქ რაც ვსთქვით, ეს ჩვეულებრივ დიფტერიტს შეეხება, ხოლო რა ემართება მურალი დიფტერიტით ავათმყოფს, ამას ქვემოდ ნაამბობიდამ გავიგებთ.

საქმე სულ სხვაფრივ მიდის გაძლიერებულ მურალ დიფტერიტის დროს. შეიძლება დიდი სიცხე არც კი მისცეს, ან სრულებით არც კი გააცხელოს ბავშვი, მაგრამ ტანჯვა კი დიდი აქვს. ავადმყოფი ბავშვი მოწყენილია, აღარაფრის ხალისი არა აქვს, აღარც თამაშობისა და აღარც გასართობისა, თვალები ებინდება, სისუსტისაგან თავს მაღლა ვეღარ იღებს, არ ჭინჭყლობს და უფრო ან სძინავს, ან ისე მიბნედილია. ამისთანა მდგომარეობაში სიკვდილი ყოველ წამს მოსალოდნელია, რადგან დიფტერიტის შხამით მოწამლული გული ძგერას შეაჩერებს და შედგება, ისე, როგორც საათი დადგება ხოლმე.

მურალი დიფტერიტის დროს ყელში დასიებული ჯირკვლები უწყლულდება, მჯამელა იარსავით ლეშება და ხირიდგან მუტად მძიმე, მურალი, მძორის სუნი ამოსდის ბავშვს. აი ამიტომ უძახიან ამ რიგ დიფტერიტს მურალ ყალთმას, მურალ ყელის ჭირვებას, კისერზე ყბის ძირის ქვეშ იმ გვარადვე მაგრად უსიგდება ჯირკვლები, როგორც ქუნთრუშის დროს, სიმსივნე

მყრალი დიფტერიტის დროს რამდენადმე თუმცა ნაკლებია, მაგრამ ამ მაგრად დასიებულ ჯირკვლების გარშემო ტყავი უშუპდება, რომელიც ვრცელდება ზევით ლოყამდე და ქვევით ყელზე და თითქმის მკერდამდე და გულამდე ჩამოდის. დიდად შეშუპებული ადგილი, ახლო სიკვდილის ნიშნად ითვლება. როგორც ქუნთრუშის დროს, ჯირკვლების სიმსივნე შეიძლება მორბილდეს და დაუჩირქდეს, გამოერწყოს და ეს ადგილი დიდად დაუწყლულდეს და ტყავ-გადაძროვილი ხორცი გამოჩნდეს, მაგრამ მყრალი დიფტერიტის დროს საქმე აქამდე არ მიაღწევს ხოლმე, რაც გან ავადმყოფი უფრო ადრე ესალმება წუთი-სოფელს.

ყელიდან დიფტერიტის აბლაბუდა შეიძლება ცხვირის ნესტოებში გადაედოს. ცხვირი ეცობა, უსივდება, თანვე სდის მწვავე ლორწო, ცინგლი და რასაც კი ეს სითხე მოხვდება, მჭამელივით ედება. ხშირად ეს შხამიანი ლორწო ზემო ტუჩსა სჭამს, აწყლულებს და ზემოდან აქაც დიფტერიტის აბლაბუდა ეფინება, ზოგჯერ დიდი სისხლის დენაც იცის, იქამდე ძრიელი, რო შეიძლება სიკვდილამდე მიიყვანოს, ყელში დასიებულ ჯირკვლების გამო და დაცობილ ცხვირის გამო, ავადმყოფი ძლივს-ღა სუნთქავს პირღია და თან ყელში ახოხინებს, ახრიალებს, ძლივს-ღა ლაპარაკობს და მისი სიტყვის გაგება ძნელი ხდება. დიაღ, საშინელი რამ ჭირია მყრალი დიფტერიტი! ავადმყოფის მშველელი ერთი ღმერთია და, მეორე, მისი ძრიელი ბუნება.

პატარა ბავშვებს ხშირად დიფტერიტი ცხვირში შეეყრებათ და არა ყელში. დიფტერიტიანი სურდო წინამორბედი ნიშანია მძიმე დიფტერიტისა, რადგან შემცნეულია, რომ ვისაც კი ამ გვარი სურდო სჭირდა, მეტი ნაწილი იხოცებოდა. ცხვირთან ერთად დიფტერიტი ხშირად ყურსაც დაუჭერს და ფეთქვის დროს ყურიდანაც ისეთი სითხე, ლორწო სდის, როგორც ცხვირიდან, რის შემდეგაც ყურის სიმძიმე დიდხანს დარჩება ხოლმე და ან სრულიადაც ყრუვდება ავადმყოფი.

დიფტერიტით შეიძლება თვალებიც ასტკივდეს ბავშვს. დიფტერიტის აბლაბუდა დიფტერიტიან ავადმყოფს შეიძლება მოედოს სადმე ტანზედაც, დაავადებულ ადგილზე, ე. ი. იარაზე, დაძეწკილ-დაჩხაპნილ ადგილზე და სხვ. დიფტერიტს აგრეთვე შეუძლია არამ თუ ყელიდამ ზევით ცხვირში ავიდეს, არამედ ქვეითაც სასუნთქელში, სასულემდე უწიოს და ყანყრატო დაუჭიროს. ამ გვარ დიფტერიტს დოქტორები კრუპს უძახიან.

კრუპი (ყელ-ჭირვება) დიაღაც დიდად საშიში და სიცოცხლის სწრაფად მომსპობი ჭირია, იმიტომ რომ უვიწროესი ადგილი სასუნთქავ მილისა (ხორხი, ყანყრატო) სივდება, ენთება და ზედ რო აბლაბუდა ეფინება, ეს თან-და-თან უცობს სასუნთქავ მილს, ჰაერს აღარ უშვებს ფილტვებისკენ, ავადმყოფი სუნთქვას ველარ ახერხებს და იხრჩობა. ტყუილად კი არ ეშინიანთ და გული უსქდებათ, შიშის ზარს სცემს მშობლებს, როცა კრუპი გამოაჩნდება ხოლმე ბავშვებს. კრუპი შეიძლება თან დაჰყვეს, ჩვეულებრივ დიფტერიტსაც და მყრალ დიფტერიტსაც.

კრუპი იმით იწყება, რომ დიფტერიტით ავადმყოფს ბავშვს თან-და-თან ხმა ეცლება, ეკარგება, ყვირის და ხმაწასული ხრინწიანად ძლივს-ღა ლაპარაკობს და თან ხველა აუტყდება. ხველა დასაწყისში გვიან-გვიან მოსდის, მერე კი უხშირდება, ძრიელდება, ბოხი და ხრინწიანი ხველა აუტყდება, თითქოს ძაღლი ჰყეფამსო, ისეთი ხმა ამოაქვს. თან-და-თან სუნთქვაც უძნელდება, უშლის; სუნთქვის დროს ხრიალი შორიდანაც კი ისმის, ავადმყოფს დიდის გაჭირვებით, სტვენით შეაქვს ფილტვებში შესუნთქული ჰაერი.

თუ ბავშვმა ვერ მოახერხა და ყელში მოდებული აბლაბუდა თან-და-თან ხორხად ვერ ამოიღო და ვერ გასწმინდა გზა ჰაერისათვის, მაშინ სული უფრო და უფრო ძრიელ უგუბდება, ბავშვი შფოთავს, სწუხს, იტანჯება, სახე ულურჯდება; თვალებზე ეტყობა, რომ ბავშვს ეშინია, ხელებით

კისერზე ეხვევა და თავი უკან გადააქვს. სიკვდილი ან ამ შფოთვის დროს სწრაფად უსწრობს ხოლმე, როცა სული უგუბდება, ან არა და იმ დროს, როცა ბავშვი მოიქანცება, მიიბნიდება, თითქოს დამშვიდდაო, სუნთქვა უსუსტდება, მიძინებულია, მკრთალ, ფერ-წასულ სახეზედ თვალები და ტუჩები გარშემო ულურჯდება, შუბლზე ცივი ოფლი ● მოსდის და წუთი-სოფელს ესალმება.

კრუპი სულ ოთხ-ხუთ დღეს გასტანს, ზოგჯერ მთელი კვირაა ავად ბავშვი და იშვიათად რომ მეტი დრო გასტანოს, რადგან ან კვდება, ან რჩება. თუ რომ ყელში აბლაბუდა ადვილათ ეცლება და ბავშვს ნახველით, ხორხით ადვილად ამოაქვს და ყელი თან-და-თან ეწმინდება, მაშინ რაღა თქმა უნდა, სულის ხუთვა ბავშვს ნაკლებ ექნება, ხველა უკლებს, ურბილდება და ავადმყოფი იკურნება, გადარჩება ხოლმე ამ საშინელი ჭირის კლანჭებს.

დიაღ, კრუპი ისეთი საშინელი რამ ჭირია, რომ ერთი წამიც არ უნდა დაჰკარგოთ და მაშინათვე დოქტორს დაუძახოთ. ზოგჯერ ისე გაძნელდება ხოლმე კრუპის მორჩენა, რომ ბავშვი აშკარად იხრჩობა, ვერა წამალი ველარ შველის და საქმე ყელის გაჭრამდე მიდის. გარედან, ყანყრატოს ქვემოდ, ყელს ცოტათი გაუჭრიან და გაჭრილში ვერცხლის მილს ჩაუდგამენ, რომ მილით შესძლოს სუნთქვა. ამ მილით იქამდე სუნთქავს ბავშვი, ვიდრე ყელში ჭირი ცოტათი მაინც მოეშვება, სასულე გაეწმინდება და ბავშვი ადვილად დაიწყებს ჩვეულებრივად სუნთქვას. მერე კი მილს გამოუღებენ, გაჭრილს ადგილს ადვილად უმთელებენ და ბავშვი მორჩენის გზას ადგება.

დიფტერიტის შემდეგ, როცა აბლაბუდა ყელიდან გადაეცლება, ათიოდე დღის ან ნახევარ თვის შემდეგ, სატკივრის დაწყებიდან, ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ავადმყოფი ცხვირში ნილნილს დაიწყებს, ლაპარაკს წმინდათ ვერ ახერხებს და ჭამა-სმის დროს საჭმელი ან წყალი ცხვირში ამოს-

დის; ეს შედეგია დიფტერიტისა და ბევრს ავადმყოფს ბევრი რამ დაჰყვება ხოლმე, ზოგს ხელ-ფეხი უდუნდება, სიდამბლე მოსდის, ზოგს თვალი უსუსტდება და სხვ. და სხვ. ყველა ეს ხდება დიფტერიტის შხამისაგან, რომელიც მთელს სხეულს სწამლავს. არც ერთი ავადმყოფობის შემდეგ ამისთანა არაფერი ემართება ავადმყოფს, ეს ნიშნეულად გქონდეთ და თუ გაიგოთ, რომ თქვენს უბანში ბავშვებს ავადმყოფობის შემდეგ ცხვირში ნილნილი დასჩემდაო, ან ხელ-ფეხის სიდამბლე დაემართაო, დაუდუნდაო და სხვა, ეს უტყუარი ნიშნებია და ნამდვილად იცოდეთ, რომ თქვენს უბანში დიფტერიტი მოარული ყოფილა და ამიტომ უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს ბავშვებს, მეტადრე მათ ყელს დიდი ყურადღება მიაქციოთ. დიფტერიტისაგან მორჩენილს რაც რომ ზემო ნათქვამი დაჰყვება, ორ-სამ კვირაში გაუვლის ხოლმე, მაგრამ თუ რომ გულის სიდამბლე, მოდუნება (პარალიჩი) დაჰყვა, ეს კი საშიშია, ბავშვი ისეთ დროს გამოეცლება კაცს ხელიდან, როდესაც არც კი რასმე მოელოდეთ. ზოგჯერაც დიფტერიტის შემდეგ ბავშვს მადა ეკარგება და ძრიელ სისხლ-ნაკლებად არის და ასე დიდხანს რჩება, თუ რომ კაი პატივი, კაი ჭამასმა და კარგი ჰაერი არა აქვს. დიფტერიტი ეოთსა და იმავე ავადმყოფს შეიძლება ორჯერ, სამჯერ შეხვდეს.

3. დიფტერიტის შრატით წამლობა.

ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ ახლა კი მადლობა ღმერთს, მეცნიერებმა აღმოაჩინეს დიფტერიტის ნამდვილი წამალიო. ვნახოთ რა წამალია ეს უებარი წამალი და რაგორ აღმოაჩინეს.

როდესაც რომელიმე მოარული ჭირი, ანუ რაიმე შხამი ადამიანს ტანში შესდის, და ადამიანი ავად ხდება, ამ დროს, თუმცა ჩვენ ვერ ვამცნევთ, მაგრამ საშინელი ბრძოლაა სხეულში, გაცხარებული ომია დაუპატიჟებელ მტერთან, წარ-

მოიდგინეთ შეკეტილი ციხე ხალხით და ჯარით სავსე; ვსთქვათ მტერმა შეანგრია ციხე და შეევარდა შიგ; რა ამბავი მოხდება ამ დროს ციხეში? რასაკვირველია, სასიკვდილოდ შეებრძვიან ერთმანეთს და გაიმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც ძლიერია—ან მეციხოვნენი გარეკენ მტერს, ან მტერი მათ დაიმორჩილებს, ციხეს დაიჭერს. სწორედ ასეთივე ამბავი ხდება ჩვენს სხეულში, როდესაც შემოგვესევა ხოლმე რაიმე ჭირი და შხამი: თუ ჭირი ძლიერია და სხეული დაჩაგრა, დაიმორჩილა, ადამიანი ლაჩრდება, კვდება, და თუ რომ სხეულმა დასძლია ჭირს, ადამიანი მორჩება, ჭირს გადარჩება, იკურნება. ამ გვარად, როდესაც ადამიანს ტანი უცხელდება, სიცხეს აძლევს, ეს იმისი ნიშანია, რომ სხეულში გაცხარებული, გახურებული ომია ჩვენი სხეულის დარაჯთა და მტერთა შორის. ამ ბოლოს დროს მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა საინტერესო საკითხი წამოაყენა: ავადმყოფს რომ სიცხეს აძლევს, თუ კი ეს იმისი ნიშანია, რომ ჩვენი ბუნება მტერს ებრძვის, სხეულს ახურებს, რომ ამ სიცხით მტერი გაჟლიტოს, მაშ რაღა ჭკუაა, რომ ეს სიცხე წამლებით გამოვუნელოთ ავადმყოფსაო, ესე იგი, მტერს რად უნდა დავეხმაროთ, რომ ჩვენი სხეულის მფარველ ჯარს სძლიოს? ამ აზრს ბევრი სწავლული ექიმი მიემხრო და ახლა მხოლოდ მაშინ აძლევენ სიცხის გამოსანელებელ წამლებს, როცა ავადმყოფი მეტი-მეტადა ხურს და საშიშია, ვაი თუ გულმა ვერ აიტანოს, ავადმყოფი ხელიდან არ გამოგვეცალოსო.

ასე და ამ გვარად მეცნიერთა კვლევა-ძიებამ ადამიანის სისხლში აღმოაჩინა, რომ როცა კაცს რამე გადასადები ჭირი შეეყრება, მაშინ ავადმყოფის სისხლში ბევრნაირი ნივთიერება სრულებით ახლად ჩნდება, რის წყალობითაც ჭირის შხამი სუსტდება, ძალას ჰკარგავს, ანუ სრულებით ისპობა, კვდება. სწორედ ეს ახალი ნივთიერება არის მფარველი ჯარი ჩვენის სხეულისა, რომელიც ხოცავს ჩვენს მტრებს. მეცნიერებმა ისიც შეამცნიეს, რომ რამდენადაც მეტი ურევია ის ახალი

ნივთიერება ადამიანის სისხლში, ე. ი., რამდენადაც მეტი ჯარი ჰყავს ჩვენს სხეულს, იმდენადვე ადამიანი ადვილად იხდის ყველა ჭირს და გადაარჩენს ხოლმე თავს მათ ბრჭყალებს. ბევრი კაციც იმდენად ბედნიერია, რომ ბუნებითვე, დაბადებითვე მის სხეულში დიდი თავდარიგია ჯართა რაზმისა რომელიმე ჭირთან საბრძოლველად. ამიტომაც ესა თუ ის ჭირი ამ ბედნიერ გვამს სრულებით არც კი ეკარება, აინუნში არ მოსდის. მაგრამ, საუბედუროდ, ბევრს კაცს ისე ცოტა ჰყავს დარაჯნი, ჯარის კაცნი, რომ ძრიელ ადვილად შეეყრება ყველა ჭირი და ვარამი; უბრალო რამ ჭირიც კი მათ ერევა, თან გადაიტანს ხოლმე. აი ყველა აქ მოყვანილ ფაქტების გამო მეცნიერები იმ უტყუარ დასკვნას დაადგნენ, რომ ადამიანს რამდენათაც მეტი ჯარი ჰყავს ამა თუ იმ ჭირის მოსაგერიებელი, იმდენად ადვილად იხდის ხოლმე ყველა ჭირსა და სახადს. იფიქრეს, იფიქრეს და ამ აზრს მოვიდნენ; მოდი ისეთი რამ მოვიგონოთ, რომ ვისაც სხეულში ჯარი ცოტა ჰყავს, გარედან შევასხათ, ჯარნი გავუძრიელოთ, რომ ჭირს ადვილათ სძლიოსო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ საიდან იშოვნონ ეს სასურველი ჯართა რაზმი?

მეცნიერებს შენიშნული ჰქონდათ, რომ რა ჭირიც ადამიანს ხვდება, ზოგიერთა პირუტყვიც იმავე ჭირით ხდება ავად. მაგალითად, დიფტერიტით ავად ხდებიან ღორები (ჩვენ მაშინ ხუნაგს ვეძახით), ცხენები (ჩვენ მაშინ ყალათმას ვეძახით). ისიც შენიშნეს, რომ ცხენი ძრიელ ადვილად იხდის ხოლმე ყალათმას (დიფტერიტს) და ეს თურმე იმიტომ, რომ მის სისხლში ძრიელ ბლომად ჩნდება ის ნივთიერება, რომელიც ადვილად აქარწყლებს დიფტერიტის შხამს. ამ გარემოებამ წამსვე ბედნიერი აზრი დაჰბადა. აუცრეს ცხენს დიფტერიტის ჩირქი და როცა შხამი კარგა გაუჯდა, ცხენს მაშინათვე სისხლი გამოუშვეს. ეს შხამიანი სისხლი ვერცხლის თასებში შეაგროვეს, ცოტას გააჩერეს და როცა სისხლი შედედდა (დაგუნდდა), გამოუშვა ლორწო, რომელსაც შრატი უწოდეს.

ეს შრატი დაწმინდეს, ასაცრელ შხაპუნაში ჩაასხეს, შხაპუნას წვერზე სიგრძეზე გახვრეტილი ნემსი ჩამოაცვეს და დიფტერიტით ავადმყოფს ტყავს ქვეშ შეასხეს, შრატი აუცრეს. ნაჩხვლეტ ადგილას ტყავი წამსვე აბურცდა, მაგრამ ისევ მალე გაირა და შრატი ადამიანის სისხლში შევიდა.

მეორე დღეს (24 საათში) ბავშვს სიცხე გამონელდა, ყელში ბლაბუდა თან-და-თან დაუდნა, გადაეწმინდა, ბავშვმა მოიხედა, მორჩენის გზას დაადგა.

წამალი და საღსარი უებარი აღმოჩნდა. თუ წინანდელი წამლობით ნახევარი მაინც კიდევ იხოცებოდა, ახლა კი, როცა შრატით აცრა დაუწყეს, ათში ერთი-ღა კვდება და ესეც იმიტომ, რომ თავის დროზედ არ ატყობინებდნენ დოქტორებს და ძალაუნებურად გვიან უცრიდნენ.

შრატით წამლობა კიდევ იმიტომაა კარგი, რომ მეტად სახერხოა, ის წვალება აღარ სჭირია, რაც წინად წამლობის დროს უნდოდა: ამით ყელი გამოივლოსო, ეს ყელში ჩასცხეთო, წაუსვითო, ეს დაალევინეთო, ერთი სიტყვით, ბავშვის პატრონები დატანჯულები იყვნენ. ყელის გამოვლება იშვიათია, რომ პატარა ბავშვმა მოახერხოს. ყელში წასმა, მართალია, სჯობს, მაგრამ ეგ მხოლოდ გამოცდილ ექიმს შეუძლია, ღრმათ ჩაიტანოს წამალი და ყელის წყლულს ყველგან მაგრა მოსცხოს. ძრიელ ხშირად მიზეზი ბავშვის სიკვდილისა ისა ხდება, რომ მშობლები თუმცა ასრულებენ ექიმის ბრძანებას, ექიმსაც ეუბნებიან: დიაღ, ბატონო, ორჯერ-სამჯერ წავუსვითო, მაგრამ წასმაც არის და წასმაც, მეტადრე ჭირვეულ ბავშვს ძნელად თუ რასმეს წაუსმენ. ამით ექიმიც სტყუვდება, მშობლებიცა და ბავშვი კი კვდება. ამას ყველაფერს ჩვენ გამოცდილებით მოგახსენებთ და თუ დიფტერიტის დროს აღარაა საჭირო ყელში წასმა, სხვა გვარი ყელის ტკივილიც ბევრია და ეცადეთ, რომ წამალი ნამდვილად მოხვდეს ყელში ანთებულ ჭირსა, ხოლო, რაც შეეხება შრატით აცრას, სწრაფად და სუფთად სრულდება:

ერთი წამი, ერთი ჩხვლეტა საკმაოა, რომ ავადმყოფი განიკურნოს, სიკვდილს გადაარჩინოს. ჩხვლეტისაგან ტკივილი კი იმდენად არის, რამდენიც უბრალო ნემსისაგან. მართალია, ზოგჯერ ორჯერ-სამჯერ დასჭირდება აცრა ავადმყოფობის დროს, მაგრამ ამდენი აცრა ძრიელ იშვიათად, მხოლოდ მძიმე ავადმყოფს სჭირდება.

პირველში, როცა დოქტორებმა დიფტერიტის მოარულის დროს სოფლის ბავშვებს შრატით აცრა დაუწყეს, ჩვენი უგუნური დედაბრები ავადმყოფ ბავშვებს მალავდენ, ვითომც სიბრალულით მოსდიოდათ: „იმათ კი არ დავაჩხვლეტინებ ჩემს ბავშვსაო?“ მაგრამ, როცა ხალხმა დახედა, რომ შრატით აცრილი დიფტერიტიანი ბავშვები თითქმის ყველანი მორჩნენ და აუცრელნი კი თითქმის ყველანი დაიხოცნენ, მაშინ მშობლებმა, ღვთის წყალობა გაქვსთ, თითონვე დაუწყეს დოქტორებს ძებნა და ხვეწნა—ჩვენს ბავშვთაც აუცერითო.

დიფტერიტის საწინააღმდეგო შრატი არამც თუ ავადმყოფებს არჩენს, მას შეუძლია კარგა მყოფიც გადაარჩინოს ამ ჭირსა. შრატით აცრა ისევე იხსნის და იფარავს დიფტერიტისაგან, როგორც ყვავილის აცრა ყვავილისაგან. ამიტომ, თუ რომ სახლში გაგიხდათ ვინმე ავად დიფტერიტით, ავადმყოფსაც უნდა წამსვე აუცრად შრატი და კარგა მყოფს ბავშვებსაც. კარგა მყოფთათაის შრატი სხვანაირია, ცოტათი ძალა ნაკლები აქვს. ამ გვარი აცრა სამ-ოთხ კვირას სჭრის. ასე უნდა დავიფაროთ ჭირისა და ნაცილისაგან ჩვენი ბავშვები.

4. წინათვე რა ზომები უნდა მიეიღოთ დიფტერიტის საწინააღმდეგოდ და როგორი მოვლა ეჭირვება ავადმყოფს.

დიფტერიტი გადასადები ავადმყოფობაა. გადამდები ჭირის შხამით სავსეა ავადმყოფის ნერწყვი და ფურთხი, ცხვი-

რის ლორწო — ცინგლი და ამოღებული ნახველი, მაგრამ ყველაზედ მეტი შხამი ყელში მოდებულ დიფტერიტის აბლაბუდაშია. ყოფილა შემთხვევა, რომ ბავშვის ყელის გაშინჯვის დროს, ავადმყოფის ნერწყვის წინწკლები ექიმს თვალებში ან ტუჩებში მოჰხვედრია და ამით დოქტორი ავად გამხდარა, დიფტერიტი შეჰყრია.

თუ რომ დიფტერიტიან ავადმყოფს უწმინდურად, დაუდევრად ინახვენ, ე. ი. ავადმყოფი იატაკზე ძირს აფურთხებს, ლოგინს სვრის ფურთხით, ცინგლით და მის გარშემო ყველაფერი მოსვრილია, მაშინ ნაფურთხი და ცხვირის ლორწო ძირს და ლოგინზე ყველგან ხმება, იფხვნება, მტვრათ იქცევა და ოთახის ჰაერი იმსება ამ შხამიანი მტვრით, რომელსაც ყველა იქ მყოფნი სუნთქავენ. რაღა თქმა უნდა, შესუნთქვის დროს ჭირი მაშინათვე ყელში სწვდება ადამიანს და წამსვე მოჰყვება ბღარტობას; თან შხამიან ლორწოს უშვებს და სწამლავს ადამიანის სისხლს და ხორცს. იგივე ზემო-ნათქვამი შხამიანი მტვერი გარშემო ყველას და ყველაფერს ედება: მაგალითად, თქვენ წახვედით სანახავად თქვენი მეზობლის ავადმყოფი ბავშვისა, შხამიანი მტვერი ტანისამოსზე უეჭველად დაგედებათ, მერე სადაც წახვალთ და თქვენი შხამიანი ტანისამოსისაგან სადაც მტვერი დასცვივა, იქ თქვენს უნებურად დიფტერიტი შეგაქვთ, ყველას ყელში მოედება ჭირი და თქვენის მიზეზით ვინ იცის რამდენი სული გამოესალმის წუთი-სოფელს.

აი ამიტომ თვითონ სვინიდისი გვავალებს, რომ თუ უბედურება გვეწვია, ავადმყოფი წესზე და რიგზე შევინახოთ, რომ სხვის სახლსაც არ გადავდოთ ჭირი. სოფელში რომ ერთს სახლს ცეცხლი წაეკიდოს, მთელი სოფელი დაეხვევა ხოლმე და იმას ცდილობს, რომ ცეცხლისაგან სახლი გადაარჩინოს და თუ ეს ვერ გადაარჩინა, ცდილობენ, რომ სხვა სახლებს მაინც არ მოედოს ცეცხლი და მთელი სოფელი არ

გადაიბუგოს. აი სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ მუდამ, როცა სოფელში გადასადები ჭირი სადმე თავს იჩენს.

დიფტერიტიან ავადმყოფს აი როგორი მოვლა უნდა: მის გარშემო რაც შეიძლება სიწმინდე და სისუფთავე იყოს, მალ-მალ მოუწმინდეთ ხოლმე ცხვირ-პირი სუფთა რამე ძონძით და მერე ეს გასვრილი ძონძები იმავ წამსვე დასწვით ცეცხლში. ფურთხისთვის დაამზადეთ ტაშტი ან რამე ნატეხარი და შიგ ნავთი ან კუპრი ჩაასხით და ავადმყოფს გვერდზე მოუდგით, რომ შიგ აფურთხოს ხოლმე როცა დასჭირდეს. ნაფურთხიანი ტაშტი ან ნატეხარი შორს გაიტანეთ, სადმე მიწა ამოთხარეთ და შიგ ჩამარხეთ. რადგან მეტად ძნელია, რომ ავადმყოფთან მყოფნი ბავშვნი ჭირს გადარჩნენ და არ შეეყარათ, მეტადრე თუ ერთი ოთახის მეტი არა გაქვთ, ამისთვის საჭიროა, რაკი სახლში ჭირი შემოსდგამს ფეხს, წამსვე სადმე შორს გააცილოთ დანარჩენი კარგა მყოფი ბავშვები. ასევე უნდა მოიქცეთ ქუნთრუშის და ყვავილის დროსაც. თუ დიფტერიტი ზაფხულში გეწვიათ, მაშინ ადვილად შეიძლება ავადმყოფი გარედ სადმე ეზოში დააწვინოთ, ან თავლა გექნებათ, ან რამე წნური ქოხი, ფარდული და სხვ. ავადმყოფის პატრონი და მომვლელი თითონაც არავის არ უნდა ეკარებოდეს, რადგან არამც თუ დაუბანელი ხელები აქვს ჭირიანი, ტანისამოსზედაც კი უსხედან ბაქტერიები. უნდა ხელები კარგა დაიბანოს, ტანთ გამოიცვალოს და ისე მივიდეს თავისიანებთან. ზამთარში კი, როცა არავითარი საღსარი არა გაქვსთ გააცალოთ კარგა მყოფნი ავადმყოფს, მაშინ დროს ნუ დაჰკარგავთ და დოქტორი მოიწვიეთ, რომ კარგა-მყოფებსაც შრატი აუცრას.

ქოხიდან ქოხში, სახლიდან სახლში, უბნიდან უბანში და სოფლიდან სოფელში ჭირს ისევ ხალხი ავრცელებს და აი როგორ: მეზობელი შეირბენს თავის მეზობელთან მოსაკითხად: „როგორა გყავს, გენაცვალე, ანდრო ან ბაბუკაო“, ან არა და რისამე სათხოვნელად, ან სასესხებლად შევა, ან

არა და ენის ქავილი აწუხებს, ახალი ჭორი იცის და თავის მეზობელს როგორ არ უამბოს და იმას კი აღარ ფიქრობს, რომ იქ ჭირით იმსება და თავის ბავშვებთან მიაქვს საფეშქაშოთ. ან თუ არა და შორის სოფლიდან მოუვლენ ნათესავები ჭირიანი სახლობის მოსაკითხათ ან სანუგეშებლათ ჭირსა შინა, ან ისე დღეობა რომ იქნება ჭირიან სოფელში, ხალხი კარგა მყოფი მოდის და დაერევიან ჭირიანებს, მერე წავლენ-წამოვლენ თავიანთ სოფლებში და სახლებში და არ გაივლის ორი-სამი დღე, რომ ამბავი მოდის, ამა და ამას, აქა და იქ ბავშვები ყელჭირვებით ავათ დაუხდნენო, მაგრამ რა იციან მათმა მშობლებმა, რომ თითონვე არიან ამის მიზეზნი, თითონვე მოიყვანეს ჭირი სახლში. იმის მაგალითიც ბევრია, რომ ბავშვს ტოლ-ამხანაგები მოსდიან სანახავათ, ან როცა დიფტერიტით კვდება, ბავშვები სანახავათ მოჰყავთ და მერე კი, ღმერთმა თქვენ მტერსაც აშოროს, თითქმის ყველანი ავათ ხდებიან და თავიანთ ძმებს და დებსაც შეჰყრიან ხოლმე ამ საშინელ ჭირს და იჟლიტებიან. სოფლის სოფლათ მაწანწალა ხალხიც ძრიელ ავრცელებს ჭირს: იმას თხოვარა მიუვა, ამას სალოცავათ მოსიარულე, ზოგანაც იციან სოფლის მენახირეს ჯერით პურს აჭმევენ და ამასაც სახლიდან სახლში გადააქვს ჭირი. ქალაქ ადგილებშიაც უარესი ხდება. მაგალითად, დაიჭირეთ სახლი, ან გამოიცვალეთ, ახლად სხვა სახლი დაიქირავეთ და იმ სახლში კი თქვენ რა იცით, რო დიფტირიტით იყვნენ ავათ—ისინი თითონ გადავიდნენ სხვა სახლში და ჭირი კი იქ დასტოვეს სამკვიდროდ, ბაზრობას და ბაზრებში საწყალი ხალხი ნაცვამ ტანისამოსს და ძველ-ძვულებს ყიდულობს თავის ბავშვებისთვის და ტანისამოსი კი ჭირით სავსეა, თურმე მათი პატრონი დიფტერიტით მომკვდარა და ნამკვდრევი ტანისამოსი არ კი დაუწვამთ, გაუყიდნიათ. ყოფილა შემთხვევა, რომ მერძევეს გაუვრცელებია ჭირი. თურმე მის სახლში დივტერიტით ავათ არიან და თითონ კი რძეს ატარებს და ვის სახლშიაც შევა, რძესთან ერთათ ჭირსაც მიართმევს

ხოლმე. არც ხელოსნები აკლებენ: მესარეცხე დედაკაცი, დერეკიკი, ხარაზი, დალაქი და სხვა, ყველას შეუძლია ჭირი შემოიტანონ, თუ კი იმათ სახლში დიფტერიტი უდგიათ.

ამდენ მაგალითებიდან აშკარათ ჩანს, რა რიგათ და რამ-დენათ ფთხილობთ უნდა იყოს კაცი, რო თავისი სახლი და ოჯახი ჭირისაგან დაიფაროს, გადაარჩინოს.

მაგრამ მარტო შენ რო ეცადო, არაფერი გამოვა, ძრიელაც რო უფთხილდე და ჩაიკეტო სახლში, მაინც ზემო მოყვანილ მაგალითებიდან ხო ხედავთ, რო ვერ გადარჩებით. ერთი ბრძნული ანდაზა ბძანებს: „თუ გინდა, რო ბედნიერი იყო, ეცადე, რო მეზობელი ბედნიერი გყავდესო“. აი როცა ამ ანდაზას სავსებით და სრულებით შევიგნებთ, მაშინ ყველა ბე-დნიერი ვიქნებით, აღარც ჭირისა შეგვეშინდება და აღარც მტრისა.

ქალაქებში ყურის მგდებელი უფრო მეტია და სოფელ-ადგილას კი აი როგორ უნდა მოიქცეთ: რა წამს სოფელში ყალათმამ (დიფტერიტმა) თავი იჩინოს და ვისიმე ბავშვი ავათ გახდეს, იმ წამსვე მამასახლისმა ან ნაცვალმა უნდა დაუძახოს ხალხს და ყველას გამოუცხადოს, რო ამა და ამ სახლში ჭი-რი გაჩენილა და არამც და არამც ბავშვები არ მიაკაროთ, თქვენც გაფთხილდით, იმ სახლში ნუ შეხვალთ, ნურც არა-ფერს ითხოვთ იმ სახლიდან და ნურც არავის მიიკარებთ იმ სახლის პატრონებს. ცნობის მოყვარე და თამაშის მოყვარე ხალხს უნდა თავში ჩაუნერგოთ, რომ ტყუილა-უბრალოთ ნუ დაეთრევაან ჭირიან ავათმყოფთან, ან მკვდრის საცქერლად. ხოლო ვინც ჭირმა იმსხვერპლა და თქვენი ჭირი წაიღო, მა-მასახლისმა ანუ უფროსმა კაცებმა უნდა ეცადონ, რომ იმ წა-მსვე დამარხონ მკვდარი და არაფერი ქელეხები და ტირილი არ გამართონ. დამარხვას უნდა მხოლოდ ისინი დაესწრნენ, ვინც საჭიროა საფლავი მოთხარონ და მიწა წააყარონ.

თუ ბედზე მარტო ერთი ბავშვი გახდა ავათ, დანარჩე-ნებს გაუფთხილდით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ან გა-

გზავნეთ სადმე, ჭირს მოაშორეთ, ან არა და მაშინათვე ააცრევინეთ დიფტერიტის საწინააღმდეგო შრატით. რომელ სოფელშიაც სკოლაა, და იმ სოფელში კი დიფტერიტია, მასწავლებელი უნდა ბეჯითად იყოს და თვალ-ყურს ადევნებდეს ბავშვებს: რა წამს ვისმე მოსწავლეთაგანს სიცხე მისცეს, იმწამსვე ბავშვი უნდა დაითხოვოს შინ და თანაც დოქტორს აცნობოს. აგრეთვე იმ სახლიდან, სადაც დიფტერიტი ედგათ, სამ-ოთხ კვირაზე ადრე (ჭირის გათავებიდან), სკოლაში მათი ბავშვი არ უნდა მიიღოს, აგრეთვე მოსწავლე ბავშვი, რომელიც დიფტერიტით იყო ავათ, მორჩენის დღიდგან სამ-ოთხ კვირაზე ადრე არ უნდა მიიღონ სკოლაში. მოხდება ხშირათ, რომ სოფელს მთლად მოედება ხოლმე დიფტერიტი, მაშინ სკოლა უნდა დროებით დაიკეტოს, ვიდრე ჭირი დაცხრებოდეს.

კარგი მოვლა ავადმყოფისა ყველაზედ უსაჭიროესია: როგორც დიფტერიტში, აგრეთვე ყველა გადამდებ ჭირსა და მოარულში, უნდა ეცადოთ რაც შეიძლება მეტი სუფთაობა იყოს ავადმყოფის გარშემო, თითონ ავადმყოფი ხომ რაღა ჩიჩინი უნდა ძრიელ სუფთად უნდა შეინახოთ. რა წამს დიფტერიტმა იჩინოს თავი სახლში, ოთახში რაც მეტი ბარგია სულ ყველაფერი მოაცალეთ, დროებით სადმე შეინახეთ—ამით ოთახში, საცა ავადმყოფი წევს, ჰაერი მეტი იქნება და მტვერი ნაკლები.

ქვეშაგები დიფტერიტიანს იმისთანა უნდა დაუგოთ, რომ ავადმყოფობის მერე ან დასაწვავად არ დაგნანდეთ ან და იმისთანა უნდა იყოს, რომ ადვილად გაირეცხოს მდუღარე წყლით; ამიტომ ტყავისას ნურას დახურავთ და ნურას დაუგებთ, მატყლიანი ლეიბ-დოშაკი და ბუმბულ-ყუთუკიანი ბალიშები ვაი თუ მერე არ გარეცხოთ და დიფტერიტის შხამი კი ძრიელ უჯდება ამისთანა ნივთებს.

გარდა ამისა, მეტად და მეტად საჭიროა ავადმყოფის ოთახში ჰაერი ყოველთვის წმინდა და სუფთა იყოს, როცა თბილა შეიძლება ჰაერის დასაწმენდათ მალ-მალ კარი და ფანჯარა გააღოთ, მაგრამ იმ პირობით კი რომ ავადმყოფი არ გააციოთ, არ გასჭვალოს. ზამთარში ვისაც ბუხარი გაქვთ ცეცხლს ნუ გამოლევთ ბუხარში და არ კი დახუროთ—როცა ცეცხლი ანთია ალსა და ბოლს თან ააქვს წამხდარი ჰაერი და მით ოთახის ჰაერი იწმინდება. მხოლოდ ცეცხლს ისე კი უნდა ხელის შეწყობა, რომ ოთახში ძრიელ არ დაცხეს, სითბო თანაბარი იყოს. ოთახში თუ ხან ცივა და ხან ნამეტანი ცხელა ეს მეტად მავნებელია არამც თუ ავადმყოფისთვის, კარგად მყოფისთვისაც კი.

დიფტერიტან ავადმყოფს მთელი ტანი ყოველ ცის-მარე დღეს უნდა გაუწმინდოთ მარილ-წყალით და თუ სიცხე აქვს დღეში ორჯერ-სამჯერ წაუსოთ კიდეც. მარილ-წყალის დამზადება აი ასე უნდა: ერთი ჩაის კოვზი მარილი ერთ სტაქან წყალში გახსენით, მერე აიღეთ ნახევარი ეს მარილის წყალი და ნახევარიც არაყი, აურიეთ და წაუსვით, პირი, ცხვირი და ყელი ავადმყოფს ყოველ დღეს უნდა რამდენჯერმე გაუსუფთაოთ. ყელი და პირი უნდა მალ-მალ ივლოს კირის წყალით, ან ისე, როგორც აფთიაქიდან მოგცემენ, ან არა და კირის წყალს კიდევ წყალი აურიეთ და ისე ივლოს ყელი და პირი. პატარა ბავშვებმა თუ ვერ მოახერხეს ყელის გამოვლა და ლაღი-ლაღი, იმას ცოტ-ცოტა ასვით იგივე კირის წყალი. ბავშვი თუ ჭირვეული არ არის და ნებას დაგყვათ, ვიდრე დოქტორი მოვიდოდეს, ყელში წაუსვით მაჯარი ნიორ-წყალი, ან ახლად გამოწურული ლიმონის წვენი. ჩვენში იციან და კარგადაც შველის—კოწახურის მაშარაბს წაუსმენ ხოლმე. უკეთესი კი იქნება კოწახურის მაშარაბს ლიმონიც დააწუროთ, აურიოთ და ისე წაუსვათ. ვისაც ხელად ესენი არა გეშოებათ-რა, ნავთი წაუსვით ყელში. ზევითაც ვსთქვით და ახლაც მოგახსენებთ, რომ წასმაც არის და წასმაც. სახლ-

ში ან კარანდაში გექნებათ, ან კალმის ტარი, ან არა და ამ გვარი ჩხირი გათალეთ, ზედ თავზე დაახვიეთ აფთიაქის ბამბა (ჰიგროსკოპიული), ძაფით კი ისე მაგრად დაამაგრეთ, რომ ბამბა ყელში არ ჩარჩეს. ამისთვის უკეთესია, ძაფი რო დაახვიოთ, ცალი წვერი ტარზე ხვევით წამოიღეთ, რომ ხელში გეჭიროთ. ჩხირზე გამაგრებული ბამბა მარჯვენა ხელში დაიჭირეთ და ამოავლეთ ერთ-ერთს ზემო ნათქვამ წამალში, ბავშვი სინათლის პირდაპირ დასვით და ყბა გააღოს რაც შეიძლება მეტად, მარცხენა ხელით ჩაის კოვზის ტარი დაა-ჭირეთ ენის ზურგის ყელისკენ ახლოთ, ამ დროს უთხარით ბავშვს დაიძახოს ა, ყელი მეტად გამოჩნდება და მარჯვენა ხელით რომ გამზადებული წამალი გიჭირავთ წამსვე გაბედულად წაუსვით, ჩასცხეთ ღრმათ ყელში (აქეთ-იქით მიუსვ-მოუსვით). მერე ბავშვს ნება მიეცით თუ უნდა გამოაფურ-თხოს.

თუ ავადმყოფი სუსტად არის, არაქათი არა აქვს, დაალევინეთ მაგარი ჩაი (კაი ჩაი იყოს, გირკანქა ორ-მანეთიანი), ან ყავა დაალევინეთ (ისიც მოკკო იყოს). ჩაის შეიძლება მიუმატოთ კარგი თავი წითელი ღვინო, ან არაყი, ან კონიაკი. ეს ყველაფერი ხნიერების შესაფერად უნდა, ძრიელ პატარა ბავშვს, რასაკვირველია, ბევრი არაყი და კონიაკი არ უნდა. ერთის სიტყვით, ეს სასმელები ჯერზე შეიძლება მიუმატოთ ნახევარ ჩაის კოვზიდან ვიდრე საჭმლის კოვზამდე, მაგრამ ჩვენი ქართველ ბავშვისთვის წითელი ღვინო შეიძლება მეტიც მიუმატოთ. ამ გვარი ჩაი დღეში ორჯერ-სამჯერ ასვით.

ავადმყოფობის შემდეგ ბავშს უნდა ჯანი გაუმაგროთ ხორცეული საჭმლით—ხორცი წვნით, ხორცი დაკეპილი (კატლეტი), ქათამი წვნით, ვარია მოხრაკული და სხვა. სასმელად ჩაი ლიმონით, ჩაი კონიაკ მიმატებული და ჩვენი კახური თავი ღვინო იმდენი, რამდენიც იამებოდეს, კუჭს კი ყური უგდეთ, ვინიცობაა ყაბზობა მისცეს, მუცელში შე-

კრას, უნდა რეზინის შხაპუნათი უკანა კარში ერთი ჩაის სტაქანი მოთბო წყალი შეასხათ. ეცადეთ კი, რომ რამდენიმე წამი ბავშვმა წყალი შეაჩეროს. მაშინათვე ნაწლევებს დაულბობს და ტანში გაიყვანს. თუ ერთი შესხმით რიგიანად ვერ ასაქმა, შეიძლება კიდევ გაიმეოროთ.

5. როგორ უნდა მოვსპოთ გადამდები ჭირი (დეზინფექცია).

დიფტერიტის (ყალთმის) შხამი იმდენათვე მძლავრი ცხოველი და ძრიელია, როგორც ქუნთრუშის შხამი, ესე იგი თუ კაი წამალი არ იცი, ვერაფრით ვერ დახოცავ ამ ორივე ჭირის ბაქტერია-მიკრობებს. თუ დასწვავ, მაშინ კი სიცოცხლე გაქვს გაანადგურო ეს შენი მტერი, მაგრამ ყველაფერს ხო ვერ დასწვამ: სახლს, ავეჯს, ტანთ-საცმელს და ქვეშსაგებს. არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ ვიდრე პოლის ფიცრები არ აგლიჯეს, ვერ გამოლიეს სახლში ჭირი. თურმე საცა ფიცარი ფიცარს უერთდება, იმ ნაპრალში ბუდობდენ დიფტერიტის ჭირის ბაქტერიები და, რასაკვირველია, ყოველთვის მტვერს ასდევდენ და ამ გვარად იმ სახლში დიფტერიტით ავადმყოფი არ ილეოდა. ტაშბოვის და სარატოვის გუბერნიის რამდენსამე მაზრაში აგერ შვიდი წელიწადი მეტია ვერას გზით ვერ გამოლიეს დიფტერიტის ჭირი და საშინელ მუსრს აღენს ნორჩს თაობას. არის სოფლები, სადაც დიფტერიტმა ისე სამკვიდროდ მოიკალათა, რომ მისი იქიდან გაძევება ვერას გზით ვერ მოახერხეს. ხან გამოჩნდება, ერთბაშად იფეთქავს, აინთება, ინავარდებს, მიჟლეტ-მოჟლეტავს რაც ბავშვები წინეთ გადარჩა და მერე ისევ ჩაქრება, მიჩუმდება.

ეს აი რად და როგორ ხდება. საკმაოა იმ სოფლის სახლებში, სადაც დიფტერიტი იყო, საიდანმე ახლად მოსული კაცი, რომელსაც დიფტერიტი არ სჭირებია, შევიდეს და მაშინათვე დიფტერიტი მზათაა—უცხო კაცს ორიოდ დღეში

ყელში წაუჭერს. რათა და იმიტომ, რომ დიფტერიტიან ავადმყოფს უსუფთაოდ ინახავდნენ, იმის ფურთხით მთლად სახლი მოთხუპნული იყო, მაგრამ რაკი შეშრობია, ვინღა დაგიდევს, ავადმყოფობის შემდეგ არაფერი არ დასწვეს, არაფერი არ გარეცხეს მდულარე წყალით, არაფერი გაამზევეს და გაბერტყეს, ოთახი არ დაცალეს და არ ჩამოგავეს. აი ამისთანა დაუდევრობით დიფტერიტის ჭირი შეიძლება მთელი ათი წლობით არ გამოილიოს სახლში.

ამიტომ მეცნიერება აი რას გვირჩევს:

1, რა წამს დიფტირიტიანი ავადმყოფი მოგირჩეთ, სახლი მთლათ დაცალეთ და კარი, ფანჯარა და ბუხ-ის სახურავი ყველა გააღეთ, რომ ქარმა დაუბეროს, მზის სხივებმა დაუაროს და ჰაერი გაიწმინდოს. რაც უფრო ძრიელ დაუბერამს ქარი და სახლის შხამიან ჰაერს სულ მთლათ გაიტანს, იმდენად უკეთესია. — ეს ჭკუაზე ახლოა. აბა ყური უგდეთ: ზაფხულობით, როცა ჩვენი სახლი ფარღალალა გდია, დიფტერიტის ჭირიც ფეხს ვერ იკიდებს, ხოლო აცივდება თუ არა ჩაბურულ, ჩათბუნებულ სახლებში ჰაერი იხშობა და ყველა ჭირიც მაშინ ჩნდება.

2, თქვენი სახლის, ოთახის იატაკი თუ ფიცრისაა ცხელ ნაცარტუტით გახეხეთ, კარგა გარეცხეთ და თუ რო იატაკი მიწისა ან აგურისაა ერთი პირი მიწა აიღეთ, და მერე წააყარეთ ერთი პირი კირი ან ნაცარი, აგურიც ახალი დააგეთ.

3, მთლათ სახლის კედლები კირით გაათეთრეთ და თუ შპალერები აკრია გამოცვალეთ.

4, ავეჯი, ქვეშსაგები, ტანისამოსი და ყოველივე, რასაც კი ავადმყოფი ეკარებოდა და რასაც კი მისი ფურთხი და უსუფთაობა რამ მოხვდა, ესე ყველაფერი ერთად მოაგროვეთ და სადმე ეზოში ან შორს ადგილას ცეცხლი წაუკიდეთ, დასწვით.

5, დაწვა უებარია, მაგრამ რაც დასაწვავად ვერ გაიმეტოთ, თუ კი ამ ნივთის გარეცხა შეიძლება, ჩააგდეთ მდულარე

ნაცარტუტაში და კარგად გამოხარშეთ და მერე კარგად გა-
რეცხეთ, გაავლეთ.

6, რაც არ ვაირეცხება, მაგალითად, ტყავი, ნაბადი, ბუ-
ხრის ქუდი და სხვ. უნდა სველ ჩარსავში, ზეწარში შეახვიოთ
და ცხელ ფურნეში ან თონეში ჩაჰკიდოთ, რომ ჭირი სიცხემ
დაბუგოს. თუ ესეც ვერ მოახერხოთ მზეზე დაჰკიდეთ მთელი
კვირაობით და ყოველ დღე ბერტყეთ.

როცა ყველა აქ ნათქვამს აასრულებთ, მაშინ შეგიძლი-
ანთ გულიც და სინიდისიც დაიმშვიდოთ და ისევ მშვიდობი-
ანად იცხოვრცთ თქვენს სახლში.

თუ დოქტორს მიიწვევთ, რომ იმან მოსპოს ჭირი, ის რა
თქმა უნდა უფრო ძრიელ წამლებს იხმარებს ჭირის მოსასპო-
ბლად და თქვენც უფრო გულს დააჯერებთ.

6. მოკლე ცნობანი დიფტერიტის შესახებ.

დიფტერიტი გადამდები ჭირია.

ჭირი უმთავრესად იმყოფება ადამიანის ნერწყვში, ნა-
ხველში და ცხვირის ლორწო-ცინგლში. ჭირი გადაედება ხო-
ლმე თითონ ავადმყოფისაგან, აგრეთვე იმ ოთახიდან, სადაც
იგი იწვა, იმ ადამიანისგან, ვინც მას უვლიდა და იმ ნივთები-
დან, რომელნიც მას ეგო, ეხურა, ეცვა ან მისი უწმინდურება
რამე მოხვდა და მის ახლო ეწყო.

შეყრის დღიდან ჭირი გამოაჩნდება ადამიანს ან მეორე
დღეზე, ან უფრო გვიან, ვიდრე შვიდ დღემდე.

დიფტერიტის ჭირი უეცრივ იწყება და ორ ნაირია:

1, დიფტერიტი ჩვეულებრივი (სუმბუქი)	2, დიფტერიტი მყრალი (მძიმე)
ნიშნები.	**ნიშნები.**
1- i დღე ავადმყოფობისა:	
სიცხე აქვს, ყელი სტკივა, ყლაპვას უშლის, ყელში—საყლაპავში წითლათ აქვს და საკლიტულეს (პატარა ენის) ერთ ან ორივე მხარეზე მოყვითალო ლაქები ეტყობა ანუ აბლაბუდასაებრ გადაჰფარვია.	სიცხე აქვს, ზოგჯერაც მაგდენად არ აძლევს სიცხეს ჯანი მოდუნებულია, ყლაპვის დროს სტკივა და შიგ ყელში (საყლაპავში) მონაცროფერო ლაქა ან აბლაბუდა ეტყობა.
2-რე დღე:	
სიცხე და აბლაბუდა ემატება, კისერთან ყბის ძირში ორივე მხარეს ჯირკლები უსივდება.	ყელში აბლაბუდა ვრცელდება, დასიებული ჯირკვლები უფრო სივდება, მაგრდება, ცხვირში უჭერს და ჩამოსდის, მთლად ჯანი გალახული აქვს და სისუსტეს გრძნობს.
3-მე და 4-ე დღე:	
სიცხე. ყელის აბლაბუდა იმდენად ვრცელდება, რომ ზოგჯერ საკლიტულეს, ფარავს, სასაშიაც ედება და საყლაპავის უკანა კედელზედაც გადადის, კისრის ჯირკვლები უდიდდება—სიმსივნე მატულობს.	აბლაბუდის ქვეშ უწყლულდება, ულპება, პირიდან სიმყრალე ამოსდის, დასიებულ ცხვირიდან ლორწო ჩამოსდის, მაგარი სიმსივნე კისერზე ფრო დიდდება და მის გარშემო პირის სახე და კისერი უშუპდება. ზოგჯერ ყურში ტკივილი გაჰკრავს, გაუელამს, ფე-

	თქამს, ძრიელი სისუსტე აქვს და მიბნედილია, სულ უნდა რო ეძინოს.
5-თე და სიცხე კლებულობს, ყელში აბლაბუდა თანდათან უდნება ანუ შორდება ნაჭრებად, ნაფლერთებად და ამასთანავე საცა აბლაბუდა ეცლება სისხლის წვეთები აჩნდება. ავადმყოფი მორჩენის გზას ადგია.	6-ე დღე: ავადმყოფი ძრიელ ცუდათ არის და სიკვდილი ყოველ წამს მოსალოდნელია. პირლია, ხრიალით ძლივს სუნთქავს, პირიდან საშინელი მყრალი სუნი ამოსდის, ცხვირიდან და ყურიდან ბაყლი ჩამოსდის, კისრის სიმსივნე მეტად უდიდდება და ადგილ-ადგილ ზოგჯერ სიმსივნე ურბილდება და საჩირქოთ უწყლულდება, ზოგჯერ სისხლიც იცის ყელიდან და ცხვირ დან.
7-დე და ყელში აბლაბუდა უფრო და უფრო ეწმინდება, ზოგჯერ რამდენიმე დღეში ეელი სუფთავდება, შედეგი მორჩენისა აქვს და ყოველთვისაც რჩება, მაგრამ თუ არაფერი უწამლიათ, ზოგჯერ სიკვდილით თავდება საქმე.	8-ე დღე: თუ წინა დღეებში მორჩენის გზას არ დაადგა, მეშვიდე და მერვე დღეს ძრიელ იშვიათად მიაღწევს და ძნელად თუ ამ დრომდე სიკვდილს გადურჩეს, ხოლო თავის დროზე თუ წამლობა და მოვლა კარგი ჰქონდა, რასაკვირველია, მორჩება. მორჩენის გზას რაკი დაადგება, ყელი და ცხვირი ეწმინდება, კისრის სიმსივნე უჩირქდება და იარა თავის დროს ურჩება, ზოგჯერაც იარა იმდენად ღრმავდება, რო ხორცი წითლათ სჩანს.

თუ გაუძნელდა სენი, სასუნთქელი მილი უვიწროვდება, ეცობა სიმსივნეს და ზედ გადაფარებულ აბლაბუდის გამო ხმა ეკარგება, ყელში უჭერს, ახრიალებს, ხველა ძაღლის ყეფას მიუგავს, თან-და-თან სუნთქვა უძნელდება, სულს ხუთამს და ბოლოს სამ ან ოთხ დღეს უკან, ზოგჯერაც ექვს დღეში ბავშვი კვდება, იხრჩობა, ანუ მორჩება უკეთუ მის ბედზე ნახველი ამოიღო, ამოუვიდა და სასუნთქელი მილი გაეწმინდა, რის შემდეგაც სუნთქვა გაუადვილდება.

ათი დღის ანუ ორი კვირის შემდეგ სენის დაწყებიდან ზოგჯერ თან დაჰყვება: ცხვირში ნიღნიღი (ცხვირში ლაპარაკობს), საჭმელ-სასმელი ზოგჯერ ცხვირში ამოსდის, აგრეთვე ხელ-ფეხი უდამბლავდება, უდუნდება.

ერთად-ერთი სიმედო საშუალება და უებარი წამალი დიფტერიტის და კრუპის წინააღმდეგ არის შრაკით ატრა. ამიტომ რაც შეიძლება სჩქარად, დაუყოვნებლივ, წამსვე მიმართეთ ხოლმე დოქტორს, თორე რამდენადაც დაგვიანებული იქნება ატრა, იმდენად უიმედოა ავადმყოფის მორჩენა.

ავადმყოფის მოვლა ზემოთაც ვსთქვით: უნდა მშვიდათ, მოსვენებით იწვეს ლოგინში, ოთახის ჰაერი ახალ-ახალი და წმინდა იყოს, საჭმელი სუბუქი და ადვილად მოსანელებელი: რძე, თოხლო კვერცხი და სხვ. ხოლო ჯანის გასამაგრებლად, ყუათისთვის კარგი ჩაი ასვით (გირვანქა ორმანეთ ნახევრიანი) ანუ მოკკოს ყავა. თუ დასუსტებულია მაშინ ღვინო უნდა ასვათ, როცა დიდი სიცხე მისცეს თავზე ცივ-ცივი ტილო ადევით (ცივი წყალი ან ყინული), მაგრამ მალმალ კი უნდა უცვალოთ, რომ ტილო ზედ არ შეშრეს და თავი უარესად არ გაუცხელოს, ტანზე წაუსვით მარილ-წყალი არაყში არეული, ან ძმარში ნარევი, ყელი, პირი და ცხვირი კირის წყალით უნდა მალ-მალ ივლოს, კირის წყალი ისე მთლიანი იხმარეთ,

როგორც აფთიაქში მოქცენ ან წყალი აურიეთ *). პატარა ბავშვებს, რომელთაც ყელის გამოვლება ვერ მოახერხონ, ცოტა-ცოტა, ერთი ჩაის კოვზის ოდენი, ჩააყლაპეთ ეს კირის წყალი და ცხვირის ნესტოებშიაც ჩააწვეთეთ ხოლმე. ყელში ყოველ დღე რამდენჯერმე წაუსვით ფრთით ნავთი, ან ახლად გამოწურული ლიმონის წვენი, ან მაშარაბი კოწახურისა, ხოლო კისრის ჯირკვლების სიმსივნეზე თბილ-თბილი ფაფა-ფუფა ადევით სელისა ან სხვა რისამე.

თუ კრუპი გამოაჩნდა, მაშინ ოთახში უნდა სუფთა და ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი იყოს. (ოთახის ჰაერს ორთქლით აი როგორ ამსებენ: აგური კეცივით გაახურეთ, ოთახის შუა დადეთ და ზედ წყალი დაასხით, ორთქლი და ბუღი აუვა, რომელიც ოთახის ჰაერს მოარბილებს და ადვილი სასუნთქელი გაუხდება ავადმყოფს. მხოლოდ ყური კი უგდეთ, რომ ოთახში ძრიელ არ დაცხეს. კრუპის დროს უნდა ეცადოთ ავადმყოფს ოფლი მოჰგვაროთ. ოფლს ადვილად მოჰგვრის ხოლმე ოფლის ჩაი, რისთვისაც იხმარება ჟოლო (მალინა), ან ცაცხვის ყვავილი, ან დიდგულას ყვავილი; თუ ხელად არც ერთი არ გეშოებათ, ცხელ ჩაიში ღვინო მიუმატეთ,

---

*) კირის წყალი შეგიძლიათ შინაც მოამზადოთ აი ამ გვარად: აიღეთ კაკლის ოდენა კოშტი უმქრალი კირისა (დამწვარი კირი, რომელსაც ჯერ წყალი არ მოხვედრია), ჩაგდეთ სტაქანში და ზედ ცივი წყალი დაასხით. კირი დაიშლება და წყალი რძესავებ გახდება. ეს კირის რძე დვინის ბოთლში ჩაასხით, მერე წყალი კიდევ დაუმატეთ, რომ უელოამდე აივსოს და კარგა მაგრა ანჯღრიეთ, მერე დადგით და ხელს ნუდა ახლებთ; ექვს საათს შემდეგ დახედამთ, რო კირს დაულეკია და ზემოდან კი ანკარა წყალია; წყალი ფრთხილად გადმოასხით მეორე ბოთლში და იხმარეთ, საძირალას ისევ წყალი დაასხით, კარგა ანჯღრიეთ და ახლა დაცადეთ 24 საათი, დაიწმიდება და კვლავ იხმარეთ. აი ამას ქვიან კირის წყალი.

ან რისამე მურაბა და თბილი ასვით, თან კი რასაკვირველია საბნით კარგა დაბურვა უნდა. როცა კრუპმა ყელში წაუჭიროს, ცხელ წყალში ტილო ასველეთ და ყელზე შემოადეთ, ან ქატო მოხარშეთ და ცხელ-ცხელი შემოადეთ (არც ისე ცხელი, რო დასწვას). ქალაქ ადგილას ადვილი საშოვნელია მუშამბა (компресная клеенка), რომელიც საგანგებოა გამაცხელებელ კომპრესებისთვის (согрѣвающ. компресы), მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, ის არის, რომ კრუპი მეტის მეტი საშიშო ჭირია და აუცილებლად დოქტორს უნდა დაუძახოთ და რაც შეიძლება მალე, რომ ტყუილა-უბრალოდ დრო არ დაკარგოთ.

აგრეთვე გახსოვდეთ ზემო ნათქვამი: რა წამს ეჭვი აიღოთ, რომ სახლში დიფტერიტით გაგიხდათ ვინმე ავათ, იმავ წამს დანარჩენ კარგა მყოფ ბავშვებს ან აუცერით, ან მოაშორეთ ისინი სახლს. მეზობლობაში კარგა მყოფი სახლი ჭირიან სახლს ნუ მიეკარებით. ჭირი ადვილად მოისპობა, თუ რო ავადმყოფს და მის გარშემო ყველაფერს სუფთად შეინახამთ, სახლს გაამზეებთ (კარი, ფანჯარა მალ-მალ გაიღეთ, რომ ოთახის მყრალი, ჭირიანი ჰაერი განიავდეს, ქარმა გარედ გაიტანოს), აგრეთვე, იატაკი, ტანისამოსი და ნივთები ავადმყოფისა ისე უნდა გარეცხოთ და გაასუფთაოთ, როგორც ზევით ვსთქვით, უფრო უებარ წამალს კი დოქტორი გასწავლით ან აფთიაქში მოქცემენ, რომლითაც გასწყვეტთ ჭირს და ქოქიან-ბუდიანათ ამოაგდებთ. ვინც ქალაქ ადგილას ცხოვრობთ, რა თქმა უნდა ყველაფერი და ყოველივე ხელთა გაქვსთ და დიდათ დამნაშავე იქნებით ღვთისა, სინიდისისა და კაცის წინაშე, რომ ყოველივე ღონე არ ილონოთ ჭირის წინააღმდეგ და მის მოსასპობათ. დიფტერიტი იმისთანა საზოგადო ჭირია, რომ მთელი სოფელი თუ ქალაქი *) მაშინათვე ცდილობს ჭირი მალე მოს-

---

*) ქ. თბილისში (ავლაბარში) ამ სენით ავათმყოფთათვის ცალკე საავათმყოფოა დაარსებული, სადაც ყველა ასეთს ავათმყოფსა

პოს, რომ მთელ ქალაქს და სოფლებს არ მოედოს, მაშასადამე, სიღარიბით თავს ვერავინ გაიმართლებთ, იმიტომ რომ რა წამს აცნობებთ ქალაქ ადგილას დოქტორს და სოფელში, თუ დოქტორი არა გყავთ, მამასახლისნი მთავრობისაგან დავალებულნი არიან წამსვე ღონე იღონონ და ავადმყოფი მოარჩინონ და თუ საუბედუროდ ვერას გახდნენ, მაშინათვე იმას იღონებენ, რო თქვენი სახლი უშიშარ ჰყონ და იქიდან აღარავის გადაედოს, აღარავინ გახდეს ავათ. აი ამ გვარად ეცადეთ, რო თქვენი დაუდევრობის მიზეზით არც თქვენი ოჯახი ჩააგდოთ განსაცდელში და არც თქვენ გახდეთ მიზეზი სხვათა უბედურობითა. საკმაოა მარტო და მხოლოთ ის წარმოიდგინოთ, რამდენი უმანკო სული, უდანაშაულო ბავშვი უნდა იმსხვერპლოს ამ საშინელმა ჭირმა, რომელსაც დიფტერიტი ჰქვიან სახელად, ხოლო ჩვენებურად ყალთმა ანუ ხუნაგი და ეელჭირვება.

ილ. ალხაზიშვილი.

მუქთად იდებენ და მუქთადვე სწამლობენ; ამიტომ ვისაც შეძლება არა აქვს, რომ ეოველი აქ ნათქვამი შეასრულოს, დაუეოვნებლივ აცნობოს ადგილობრივს ბოლიციას, რომელიც მაშინვე დაიბარებს საავთმყოფოდან ექთსა და ავთმყოფს დიდის სიფრთხილით წაიყვანენ საავთმყოფოში. ავთმყოფთან შეიძლება ღედაც დარჩეს.

რედ.

სამეცნიერო ნარევი.

ძველი რწმენა-წარმოდგენები

და

მეცნიერება.

პირველ წერილში *) ჩვენ ავხსენით „მეხანიკური მატერიალიზმი“, რომელიც დედა-აზრად დაედო ჩვენი დროის ბუნების-მეტყველ მეცნიერებას. ბუნება და მთელი ქვეყნიერება შესდგება მატერია და ეთერისაგან, რომელთაც სხვა-და-სხვა გვარი მოძრაობა სჭირთ. ეს მოძრაობაა ძირეული მიზეზი ყოვლისფრის, რაც-კი რამ ხდება და არსებობს ქვეყნიერებაზე. ქიმიური ნათესაობა, მიმზიდველობა, სითბო-სიცხოვლე, სინათლე, ელექტრონი და მაგნეტიზმი,—ყველა ეს ძალები, რომლებიც წარმოადგენენ ბუნების ათას-გვარ მოვლენათა და ვითარებათა ერთად-ერთ მიზეზს, ამ ეთერ-მატერიის მოძრაობას ნიშნავენ. ძველი რწმენა - ვითომც ბუნებაში მატერიისა და ეთერის დამოუკიდებლად არსებულ ძალა-მანქანებსაც ჰქონდეთ ადგილი, მეცნიერებამ უარჰყო; იწამა მხოლოდ ეთერ-მატერიის მოძრაობით წარმომდგარი ძალა; ძალა მატერიას არგუნა. იმავ წერილში ჩვენ მოკლეთ მოვიხსენეთ ის, თუ როგორ იწუნებს ამ გვარ სწავლას ზოგი-ერთი მოაზრე და სწავლული, რომელთ აზრით ეს მეხანიკური მატერიალიზმი

*) მეცნიერების დედა-აზრი (დამატება „მოგზაურის“ 7 და 8 №№-სა.

მეცნიერებას ყველგან და ყოველთვის ვერ გამოადგება ბუნებისა და ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაშია. რაა გონება? რათაა, რო მატერია და ეთერის მოძრაობა. ტვინს რო ეყრება გარედამ ნერვების საშუალებით, შიგ მოძრაობითვე არა თავდება და გრძნობა-წარმოდგენებსაც აჩენს, გარე ბუნებას ხატავს? საიდამ გაჩნდა პირველად ეთერ-მატერიის მოძრაობა,—თავისთავათ ხომ ვერ იწყობდა ამ მოძრაობას? რაა სიცოცხლე?—ეს კითხვები და ორიოდე სხვაც „ძირეული კითხვებია“ და მათი გარდაჭრა მეხანიკურ მატერიალიზმით ყოვლად შეუძლებელიაო, ამიტომ ორში ერთი: ან ამ კითხვების გარდაჭრაზე ხელი უნდა ავიღოთ სამუდამოთ და ამით მეცნიერების სისუსტე ვალიაროთ, ან არა და მეხანიკური მატერიალიზმი უარ-ვჰყოთ და ვიწამოთ, რო ქვეყნიერების სათავე და ყოვლისფრის ძირეული მიზეზი სხვა რამ ძალა უნდა იყოს, თავის-თავათ არსებული, და შევუდგეთ იმის გამოცნობას, თუ რაა ეს ძალა და რა ურთი-ერთობაა დამკვიდრებული მის და პირველ-ყოფილ ეთერ-მატერიის შორის. იქნება ეთერი და მატერია მხოლოდ მოჩვენებაა ჩვენთვის და ნიშნავს ამ მთავარ ძალის სხვა და სხვა გვარ ვითარებას, ყოფნის ყაიდას; მაშინ გონებაც ეს ძალა იქნება, მხოლოდ გარდასხვაფერებული, ან იქნება ამ ძალის ერთი მთავარი თვისებაო,—სჯიან მატერიალიზმის მოწინააღმდეგე მოაზრე და სწავლულები.

წინად, როდესაც მეცნიერება ჯერ საკმაოდ არ იყო განვითარებული, ამ თავის-თავად არსებულ ძალა-მანქანების გამოგონება იშვიათი არ იყო განთქმულ მოაზრეთა შორის და სხვილ-სხვილი წიგნებიც ხშირად იწერებოდა ამაზე, სადაც ქვეყნიერების ახსნა-შეგნება ისე იყო გამოყვანილი, თითქოს მართლაც და ყველაფერი, რაც რამ ხდება და არსებობს ქვეყნიერებაზე, ამ მანქანების ნამოქმედარი იყოს, ან მათი სხვა და სხვა ყაიდის ვითარება. ახლა კი, როდესაც გაძლიერებულმა მეცნიერებამ ასეთი მკვიდრი ნიადაგი მოიმტკიცა ბუნების და ქვეყნიერების ღრმა კვლევა-ძიებით, ეს ძალა-მანქანებზე სწა

ვლა ველარა ჰბედავს მეცნიერებასთან შეცილებას ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში და კმაყოფილდება მითი, რო ყველას არწმუნებს, ვითომც „ძირეული კითხვები", რომლებიც მეცნიერებას ჯერ ვერ გადაუჭრია, სამუდამოთ აუხსნელი ამოცანა იქნება მეხანიკური მატერიალიზმისათვისაო. ჩვენთვის საჭირო არაა სავსებით ვიცოდეთ, რა გვარია ეს სწავლა ძალა-მანქანებზე, რომელსაც ფილოსოფია ეწოდება. ჩვენ გვინდა მხოლოდ ავხსნათ ამ სწავლის არსებითი ხასიათი, მისი დედა-აზრი, რათა ამ დედა-აზრის და მატერიალიზმის ერთად შედარებით ნათლათ დავისახოთ ის ძირეული განსხვავება, რომელიც დაეტყო აზროვნობის ძველსა და ახალს მიმართულებას ბუნების და ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში; და რადგან ძველი მიმართულების სათავე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პირველ-ყოფილ ადამიანთ და მათ (თანამედროვე) აწინდელ ველურ ხალხთა აზროვნობაშია, ამიტომ ჩვენც მათ-მიერ ბუნების ახსნა-შეგნების განხილვით დავიწყებთ ამ ძველი მიმართულების გარკვევას.

1. მდაბიო ცრუ-მორწმუნება.

ვინ არ იცის, რო მთელი კაცობრიობა, რომელიც დედა-მიწის ზურგს ახვევია, ათას-გვარ ერის და რჯულის ხალხთაგან შესდგება. მათში ზოგი დიდია და ზოგიც პატარა, ძლიერ განათლებული, ან განათლებაში ძლიერ ჩამორჩომილი; ამიტომ, ზოგს გონების განვითარებით და შეგნებულობით თვისი ცხოვრება უფრო მოხერხებული და მოწყობილი აქვს, მდიდარია და მძლავრი; ზოგი ერი კი შეუგნებელია, უსწავლელი, ყველაფერში ჩამორჩომილი, სუსტი და ამიტომ ხშირად სხვის ხელშია, უფრო მძლავრისა. ამ ჩამორჩომილ ერებში მოდგმით ზოგი ისეთია, რო განათლების შეთვისება ადვილად შეუძლიან, რადგან გონება მოდგმით კარგი აქვს; და ზოგი ერიცაა, რო ძლიერ დაბალ მოდგმისაა და მთლად გა-

ნადირებული პირუტყვსავით სცხოვრობს. მაგრამ რა ერიც გინდა ავიღოთ,—ცოტად თუ ბევრად განათლებული, ან მთლად ჩამორჩომილი და განადირებული ერი,—ვნახავთ, რო ყოველ მათგანს უთუოდ სცოდნია ბუნების მოვლენის და ქვეყნიერების ახსნა-შეგნება. ასეთია ადამიანის გონების ბუნება, რო ყოველთვის, რაც ბუნებაში ხდება და რასაც ხედავს, მიზეზს უძებნის ადამიანი და ამგვარად ხსნის და იგებს ბუნების ვითარებას. რალა თქმა უნდა, რო გაუნათლებელ და განადირებულ ხალხთა-მიერ ახსნა-შეგნება თავიდამ ბოლომდე ცრუ და შეცდომილია, რადგან ამ ხალხებმა არც ბუნების ჩხრეკა და გამოკვლევა იციან და არც გონება უჭრით იმდენათ. ჩვენ ქართველ გლეხს, გონებით კარგ მოდგმისა', მაგრამ მთლად ჩამორჩომილს სწავლა-განათლებაში, რომ ვკითხოთ, იტყვის, მთვარე იმიტომ ბნელდება, რო გველაშაპი იჭერს მასაო და თოფს ისვრის შესაშინებლად; მიწის ძვრას თევზი ახდენს, რომელსაც დედა-მიწა დააქვს ზურგზედაო. პოლინეზიელების ფიქრით ბუნების სხვა და სხვა მოვლენას, სხვა და სხვა ღმერთი, თუ რალაც სულიერი ძალა აჩენს *): მცენარეთ ამოსვლა და ზრდა ერთი ღმერთის საქმეა, წვიმის მოყვანა მეორისა, ქარი მესამისა და სხვ. იმ ქვეყანაში ერთგან ვულკანი მოჩანს (ცეცხლის მფრქვევი მთა); იქაურ ხალხის თქმით შიგ რალაც დევი წევს და, სივიწროვით შეწუხებული, გადაბრუნ-გადმობრუნდება, მთას ანძრევს და ასე მიწის ძვრას აჩენსო. წინადცა და ქვეყანა ერთად იყვნენ და მხოლოდ შემდეგში გაჰყარა ღმერთმაო, სახელად რიიმ; მაჰუი-ღმერთმა კი დედა-მიწა ზღვიდამ ამოიღო და დააწესა დღე-ღამეო. ზოგი ერია, რო მზე ღმერთი ჰგონია, მთვარე მისი ცოლი, ცისკრის ვარსკვლავი კი მთვარის მოახლე. ველურ ხალხს არაფერი ცნობა არა აქვს ჰაერზე და ამიტომ ბევრს მათგანს ჰაერის დენა, ე. ი. ქარი

*) Letourneau—Sociologie.
Hartmann—Les peuples de l'Afrique.

და გრიგალი, რაღაც უჩინარი ავი სულის ფრენა და ლაზღანდაროობა ჰგონია. ელვა-ქუხილს მდევები აჩენენ, რომელთაც ზოგჯერ საშინელი ბრძოლის ატეხა სცოდნიათ და ელვას ესვრიან ერთმანერთსო. ჩვენ აქ მეტი ალაგი არა გვაქვს ამისთანა ათასი მაგალითი ჩამოვთვალოთ; რაცა ვსთქვით საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ, რა გვარად იქცევა ველური ხალხის გონება, როდესაც ბუნების სხვა და სხვა მოვლენის ახსნაშია. ყოველ მოვლენის მიზეზს ბუნების თვისებით კი არა ხსნის, როგორც მეცნიერება იქცევა, რადგან ბუნების თვისებისა მას არაფერი ესმის, არამედ ჰგონია, რო ყველაფერი რაღაც კეთილი თუ ავი სულით ხდება. რადგან ქვეყანაზე ბევრი ავარი მოვლენაა, ამიტომ ბოროტი და ავი სულიც მრავალია ბუნებაში; წვიმის მომყვანი სული კეთილია, რადგან წვიმა მცენარეთათვის სახეიროა; მზეც კეთილია, — ღმერთია; ღამე ბოროტი სულია; ქარი ავია, რადგან ხეებსა ჰგლეჯს და სახლებსა შლის; ცეცხლი კეთილი სულია,—უმისოდ ადამიანი ვერ გასძლებს; ხეს და ბალახს მისთვის ეკიდება, რომ ეს მისი საჭმელია; ძველმა ინდოელებმა ცეცხლი— „აგნი" გაალმერთეს და რამდენიმე საუცხოვო ლოცვაც შეადგინეს მის სახელობაზე. ამ გვარად ყოველი ბუნების მოვლენა გასულიერებულია ველური, თუ ძლიერ ჩამორჩომილ ერთა გონებაში. გონების ამ გვარ ქცევას—ბუნების გასულიერებას, სწავლულებმა ანიმიზმი უწოდეს, ესე იგი გასულიერება. მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვაჩვენეს, გონება ბუნების გასულიერებითაც არა ჯერდება მოვლენათა ახსნაში და ხშირად სულიერ ძალებსაც—დევებს, ავ და კეთილ სულებსაც იგონებს.

როგორ მოხდა, რო ადამიანს, რომელსაც თავდაპირველად არავითარი წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდა სულიერ ძალებზე, შემდეგში, ბუნების ახსნა რო დაიწყო, ეს, მანამდინ უცნობ სულიერ ძალთა წარმოდგენა გაუჩნდა გონებაში? ამის გამოცნობას ორი ინგლისელი სწავლული შეუდგა (ტეილორი

და სპენსერი) და მათი ახსნა თითქმის ყველა სწავლულისგანაა მოწონებული. ბევრ ველურ ხალხს (ბორნეოზე, ახალ-ზელანდიაში და სხვ.) ჰგონია, რო ძილში კაცის სული ხორცსა შორდება და აქა-იქ დაიარება; კაცის გამოღვიძება სულის დაბრუნებაზე ხდება. ადამიანს თუ ვინმე მოესიზრმა—ეს იმას ნიშნავს, რო იმ კაცის სული ინახულა მისმა სულმაო. სიზმარში ველური კაცი ხშირად ხედავს, რო სხვა და სხვა ადგილებში დაიარება, ნადიროობს, ლომი თუ რამე მხეცი შეებრძოლა, მტერს შეხვდა და სხვა; როგორ ახსნას ყველა ეს გამოღვიძებაზე, თუ არა იმით, რო ალბათ ჩემში რაღაცა არსებაა, უხორცო და ჩემი მსგავსი, რომელიც ძილში სხეულიდამ ამოდის და აქა-იქ დაიარებაო,—და ამ რაღაც მანქანას სული (სვლა) უწოდა. ეს რწმენა, რო ადამიანს თავისი სულიც აქვს, თითქმის ყოველ ველურ ხალხს გასჩენია გონებაში და, როგორც ვხედავთ, ამისი მიზეზი სიზრმის ნახვაა. სიზმარი ზოგმა პირუტყვმაც იცის, მაგ., ვირმა და ძაღლმა; ვის არ გაუგონია მძინარე ძაღლის ღმუილი და ყელში ჩამხვჩალი ყეფა? ძაღლს ადამიანსავით მეტი გონება რომ ჰქონდეს, უთუოდ სულს მოიგონებდა, მაგრამ გონება იმდენად არ უჭრის და ფიქრადაც არ მოსდის იკითხოს რასა ნიშნავს, რო ძილში ესა და ეს ვნახე, ესა და ეს მომივიდაო. ზულუსებს ჰგონიათ, რო ჩრდილი, რომელიც კაცს დასდევს მზიან დღეში, მისი სულიაო, და ამიტომ მკვდარმა ჩრდილი არ იცის, რადგან სული განშორებული აქვსო. ადამიანის სულის მოგონებიდამ ბუნების გასულიერებამდინ დიდი მანძილი არაა; კაცი დადის, სჭამს, საქმეს აკეთებს და მოძრაობს იმიტომ, რომ სული ამოქმედებს სხეულსა და სული რო შორდება,—სხეული მკვდარია, უძრავი; ბუნებაც უთუოდ ასეთი უნდა იყოს; ბუნებაშიც სხვა და სხვა სული რომ არ არსებობდეს, ბუნება თავის-თავად არარა მოვლენას არ გააჩენდა. „ველური ხალხის ფიქრით კაცის სხეულს მისი სული აცოცხლებს და ამოქმედებს; ბუნების სხვა

და სხვა მოვლენას-კი ბუნების სხვა და სხვა სულიერი არსება აჩენს, რაიც ბუნების სულს შეადგენსო" (ტეილორი).

ის დიდი განსხვავება სწავლა-განათლებაში, რომელიც არსებობს ჩვენი დროის ერთა შორის, არა ყოფილა წინად, ძველის-ძველ დროში, რადგან ყველანი ერთ-გვარად ჩამორჩომილნი და გაველურებულნი იყვნენ; მხოლოდ შემდეგში სხვა და სხვა გარემოებით ზოგი წინ წავიდა წარმატების გზაზე, მაგ., ევროპიელები, ზოგი ჩამორჩა და ზოგიც მთლად გაჰქრა განათლებულების ხელით, თუ სხვა რამ მიზეზით. რომ ვიკითხოთ ახლა, რა გვარი ახსნა და წარმოდგენა ჰქონიათ ბუნების ათას-გვარ მოვლენისა ჩვენი დროის ყველაზე განათლებულ ერებს მაშინ, როდესაც ესენიც ველურ ცხოვრებას მისდევდნენ,—ამის გამოსაცნობად, ძნელად მისახვედრი არაა, ჩვენი დროის ველურ ერებს უნდა მივმართოთ და მათს აწმყოში ევროპიელთა წარსულს მოვძებნით; და თუ ვიკითხეთ, როგორ უფიქრიათ იმავ ევროპიელებს მაშინ, როდესაც ველურ ვითარებას გადუდგნენ და პირველად მოწეს-რიგებულ ცხოვრებას დაადგნენ,—მაშინ ისტორიას უნდა მივმართოთ და გავიცნოთ—რა გვარი რწმენა-წარმოდგენა ჰქონიათ ბუნებაზე ამათ და სხვა ერებსაც იმ დროს. ამ გვარი ხერხით, ე. ი. სხვა და სხვა ველურ, ცოტად თუ ბევრად განათლებულ ერთა გაცნობით, ჩვენი დროის სწავლულები იკვლევენ რა და რა გზა გაუვლია კაცობრიობის გონებას ბუნების და ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში.

ჩვენ განვიხილეთ როგორა ხსნის ბუნების სხვა და სხვა მოვლენას და რა გვარი წარმოდგენა აქვს ქვეყნიერების რაობა-ვითარებაზე ყველაზე ჩამორჩომილ ველურ ხალხს და ვნახეთ როგორ და რა მიზეზით მოიგონა პირველად ადამიანის გონებამ მრავალ-გვარი სულიერი არსება და როგორ გაასულიერა ბუნების ზოგიერთი მოვლენა და საგანი (მზე, მთვარე, ქარი). ესაა ადამიანის გონების პირველი ხანა, პირველი ფეხის გადადგმა ბუნების ახსნაში. მაშასადამე, ჩვენი დროის განათ-

ლებულ ერებსაც იგივე წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ ერთ-დროს, პირველ ხანებში. ახლა ზოგიერთ სხვა ერებს რო დავაკვირდეთ, რომელთაც განათლების შუქი ცოტად მაინც მოჰ-ხვედრიათ და მეტ ჭკვა-გონებაში შესულან, იმავ ცრუ-მორ-წმუნებას ვნახავთ, მაგრამ დიდად განსხვავებულსა: გონება გა-ფაქიზებულა, მეტი ფიქრი დაუწყვია და უნახავს, რო ბუნე-ბის ათას-გვარ მოვლენას, ყოველს სათითაოდ, სხვა და სხვა სუ-ლიერი არსება კი არ აჩენს, არამედ ბევრი მოვლენაა, რო ერთი და იმავე მიზეზით ხდება, ერთი სულიერი ძალით ჩნდება; მაგ., წვიმას, თოვლს, ღრუბელს ცა-ღმერთი აჩენს, რომელიც დედა-მიწას გადაჰფარებია; ველურ ხალხს-კი ჰგონია, რო ყო-ველ ამ ას ცალ-ცალკედ სხვა და სხვა ძალა აჩენს. ამ გვარად სულიერ ძალთა სიმრავლე რამდენსამე ძალას უთმობს ალაგს ადამიანის ვონებაში; ათას-გვარი სულიერი ძალა რამდენიმე ძალა-ღმერთად იკეცება; ყველაფერი, რაც რამ ხდება ქვეყ-ნიერებაზე ამ რამდენიმე ძალა-ღმერთის მეოხებითაა. ბუნების გასულიერებას (ანიმიზმს) თავს ანებებს ადამიანის გონება და რამდენიმე ღმერთობაზე დგება. ამ რამდენიმე ღმერთობას ბოლიტეიზმი ჰქვიან. ძველ ეგვიპტელებს ღმერთებად ჰქონდათ მიჩნეული: სინათლე, სიბნელე, ცა და დედა-მიწა, ცეცხლი, მზე და მთვარე. ჩინელების ღმერთებია: მზე, მთვარე, მიწა, ცეცხლი და ამ ღმერთების მთავარი ღმერთი ცაა. ძველი სპარ-სელების აზრით ქვეყნიერებას განაგებს სინათლის და სიბნე-ლის ორი ღმერთი-ძალა ორმუზდი და არიმანი, რომელ-თაც მუდმივი ბრძოლა აქვთ ერთმანერთში.

ამ გვარად, როგორც ვხედავთ, ადამიანის გონების წარ-მატებით, სულიერ ძალთა რიცხვი თანდათან კლებულობს. ბოლოს ეს სულიერ ძალთა ამბავი მითი თავდება, რო გონე-ბა ჯათ სიმრავლეს უარ-ჰყოფს და სტოვებს მხოლოდ ერთს ძა-ლა-ღმერთს; ამ ერთ-ღმერთობას მონოტეიზმი ჰქვიან, მაგ., ქრისტიანობა და მაჰმადიანობა. არსებობს მხოლოდ ერთი ძა-ლა, ერთი ღმერთი; მან გააჩინა და დააწესა ყოვლისფერი;

მხოლოდ ერთი ძალა-ღმერთი განაგებს ქვეყნიერებას. — ანიმიზმიდამ, ე. ი. ბუნების გასულიერებიდგან წარმოსდგა პოლიტეიზმი და პოლიტეიზმი მონოტეიზმად შეიცვალა. ამ ხანას, როდესაც ადამიანის გონება ბუნებისა და ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში სხვა და სხვა სულიერ ძალას იგონებს, ან ერთ ძალა-ღმერთში ხედავს ყოვლის მიზეზს და გამჩენს, ამ ხანას თეოლოგიური ხანა ჰქვიან. ამ ხანაში მყოფი ადამიანი, როგორც ვხედავთ, ბუნების და ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში ბუნებისავე კვლევა-ძიებას სრულიადაც არ ეხება და კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რასაც მისი სუსტი გონება სჯის გარე-ბუნებაზე. მეცნიერება, რომელიც თვის სწავლას ბუნების კვლევა-ძიებაზე ამყარებს, ძალა-მანქანებს უარ-ჰყოფს, რადგან არა დროს არც ერთს კვლევა-ძიებას არავითარი ძალა-მანქანა ბუნებაში არ აღმოუჩენია. ბუნება და ქვეყნიერება ეთერის და ატომებიან მატერიისაგან შესდგება. ამ მასალას მოძრაობა სჭირს და ამით აიხსნება ყველაფერი, რაც რამ ხდება და არსებობს ქვეყანაზედა ქვეყნიერების მასალა არავის არ გაუჩენია და ვერც ვერავინ გააქრობს მას; იგი ყოველთვის ყოფილა და იქნება თვის დაუდეგარ მოძრაობაში, რომლის რაოდენობა მუდმივ შეუცვლელი იყო და იქნება. ყველა ამ ცოდნას, კვლევა-ძიებით აღმოჩენილსა, თეოლოგიური რწმენა-შეხედულება მოკლებულია, ამიტომ თეოლოგიური ცრუ-მორწმუნება თავიდამ ბოლომდინ უმეცრებას წარმოადგენს, რომელსაც იმ თავითვე მდაბიო ხალხი მისდევს თითქმის ყველგან, რადგან ყველგან მეცნიერულ სწავლასაა მოკლებული. არც ერთ დროს თეოლოგიური რწმენა-შეხედულება ისე გაძლიერებული არა ყოფილა, როგორც საშუალო საუკუნოებში დასავლეთ ევროპაში. მაშინდელი სწავლა-ცოდნა, რომელიც ბერებმა იგდეს ხელში, ამ თეოლოგიურ რწმენის მიმდევარი იყო; ეკლესიებში, სასწავლებლებში, ოჯახებში და მრავალ წიგნებში მხოლოდ ეს ერთად-ერთი სწავლა ბატონობდა და ხსნიდა ქვეყნიერების ვითარებას; მოცილედ არა-

ვინ ჰყავდა. ვინც ღრმა გონების სწავლული გამოჩნდებოდა ხოლმე, მისი ცდა იყო საღმთო წიგნებში ნაწერ თეოლოგიურ სწავლის ახსნა-გარკვევა და სხვა-და-სხვა საღმთო კითხვების გადაჭრა, მაგ., რა დრო იყო, რო ღმერთმა ქვეყნიერება გააჩინა: გაზაფხული, ზაფხული თუ შემოდგომა? ან რა ენაზე იწყეს ლაპარაკი ადამ და ევამ? და სადაც კი განთქმული სწავლული იყო ამ კითხვების გადაჭრაში თავს იტეხდა; არა ერთი და ორი კითხვა გამოუჩხრეკიათ საღმთო წიგნებში იმ დროის სწავლულებს და ბევრმაც გაითქვა სახელი ამ ფუჭი კითხვების გადაჭრაში.

ბუნების გასულიერება პოლიტეიზმად იცკალა, პოლიტეიზმი მონოტეიზმად და ყველა ეს ცვლილება ადამიანის გონების ზრდით და წარმატებით მოხდა. არ შეიძლებოდა არ შეჰხებოდა საშუალო საუკუნოებში გაძლიერებულ თეოლოგიურ სწავლას ადამიანის გონება თვის დაუდეგარ ზრდაში, რადგან ამ სწავლაში ბევრი რამ სიცრუეს უფრო წააგავდა, ვიდრე ნამდვილ და ეჭვ-მიუკარებელ სწავლას და ქვეყნიერებაზედაც ბევრი რამ ხდება ისეთი, რომელსაც ეს სწავლა ვერა ხსნიდა. ის ეჭვის თვალი, რომელიც გონებამ იცის და რომლის მიხვედრით ბუნების გასულიერება პოლიტეიზმად შეეცვალა და ეს უკანასკნელი მონოტეიზმად, შეუძლებელი იყო, ეს გონების ეჭვის-თვალი ამ გაძლიერებულ თეოლოგიის სწავლასაც არ შეჰხებოდა. აქა-იქ ზოგი-ერთ ღრმა გონებიან სწავლულმა ზურგი აქცია ამ სწავლას და ახლის საჭიროებაზე იწყო ლაპარაკი. მაგრამ ადვილი არ იყო თეოლოგიურ სწავლის სისუსტეზე ხმის ამოღება და წინააღმდეგობის გამოცხადება, რადგან ამ სწავლას ძრიელი მფარველი ჰყავდა: მეშინდელი სამღვდელოება, მართებლობა და ერის უმეტესობაც ამის მიმდევარი იყო. ამიტომ იყო, რო ყოველთვის, როცა აქა-იქ ვინმე ღრმა მოაზრე და ბასრ გონებიანი სწავლული ხმას იღებდა ამ სწავლის სიცრუეზე, ან რამე ახალ სწავლის დადგენას ჰბედავდა, შავს დღეს აყენებდა ამ სწავლულს იმ დროის გაძლიე-

რებული სამღვდელოება. ასეთი დღე დაადგა სახელ-განთქმულ მეცნიერს გალილეის, რომელიც დაამწყვდიეს და აწვალეს იმიტომ, რომ ამტკიცებდა—მიწა უვლის მზესაო გარშემო და არა მზე მიწასა, როგორც სწერია ურიების-მიერ მოგონებულ გარდმოცემაშიო. უფრო საშინელი დღე დაუდგა მეორე სწავლულს—ჯიორდანო ბრუნოს, რომელიც უშიშრად ყველგან—უნივერსიტეტებში და სწავლულთა შორის, სადაც კი შეიძლებოდა, ხმა მაღლა ჰქადაგებდა თეოლოგიური სწავლის სიყალბეზე; ეკლესიაში აღარ დაიარებოდა და არა რა სწამდა სამღვდელოებისა, რომელიც მისი თქმით უზნეო, ფლიდი, უმეცარი და აჯამი, მუქთა-მჭამელა, ორ-პირა, გაიძვერა და ხალხის მყვლეფავი იყო. ბოლოს, ბევრი დევნის შემდეგ, ხელში ჩაიგდო სამღვდელოებამ ეს თეოლოგიაზე აჯანყებული სწავლული და ხალხით გაჭედილ მეიდანზე დასწვა დიდის ამბით და წყევლით. მაგრამ ვერც ამ დაწვამ და ვერც სხვა ათას გვარ დევნამ ვერ შეაყენა თეოლოგიაზე აცრუებული გონება სხვა მრავალ სწავლულისა, რადგან ამ სწავლის სიცრუეს და არარაობას ყველა ნათლათ ხედავდა. მოწინავე გონებამ ძველი სწავლა უარ-ჰყო და ახალის დადგენას თხოულობდა. საიდამ და როგორ გაჩნდა ქვეყნიერება, თუ ყოველთვის ასე ყოფილა, როგორიც ახლაა? რისგან შესდგება ქვეყნიერება? როგორ აიხსნება ბუნების სხვა და სხვა მოვლენა? როგორ და საიდამ გაჩნდა ადამიანი და ათას-გვარი მცენარე და ცხოველები? ადამიანი მარტო სხეულისაგან შესდგება, თუ სულიცაა მასში? ამ კითხვებს და ბევრ სხვასაც თეოლოგიური სწავლა ვერ ხსნიდა ისე, რომ ეს ახსნა ჭკვასთან ახლოს ყოფილიყო. ადამიანის მოწინავე გონებას ეს კითხვები თან დასდევდნენ, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს გონება დაბადებითვე ღრმა და მძლავრი იყო.

II. თეოლოგია და ფილოსოფია.

პირველი კითხვა, რომელიც წინ დაესახა იმ დროის სწავლულთ ახალ სწავლის ძიებაში, იყო: რა გზით და საშუალებით უნდა შესდგეს ნამდვილი და ეჭვ-მიუკარებელი სწავლა ქვეყნიერებაზე? ეს კითხვა უდგა თავშივე იმ ახალ სწავლას, რომელიც თეოლოგიას მოჰყვა. ამ სწავლას ფილოსოფია უწოდეს. შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რო ფილოსოფიაც უარ-ყოფილ იქნა და ადამიანის მოწინავე გონება მესამე (თეოლოგია და ფილოსოფიის შემდეგ) სწავლის დადგენას შეუდგა — მეცნიერებისა. საჭიროა მოკლედ მაინც ავხსნათ რა გვარია არსებითი ხასიათი ფილოსოფიურ სწავლისა და სადა სცემს მისი დედა-აზრი; ჯერ-კი ზოგი რამ უნდა გავარკვიოთ.

პირველ წერილის დასაწყისში ჩვენ ვსთქვით, რო მატერია შესდგება მარტივ და რთულ საგნებისაგან. მარტივ საგნებს ელემენტები უწოდეს: რკინა, ტყვია, ოქრო, ვერცხლი, ალა, ვერცხლის წყალი, გოგირდი, ფოსფორი, ნახშირი, მჟავდანი, წყალდანი და სხვ. დედა-მიწის და აგრეთვე მთელი ქვეყნიერების მასალა — მატერია, ამ ელემენტებისაგან შესდგება, რომელთ რიცხვი 80-ზე ცოტა ნაკლებია. რთული საგნები ამ ელემენტების სხვა და სხვა გვარ შეერთებით წარმოსდგებიან. ელემენტები წვრილ და უჩინარ მარცვლებისაგან შესდგებიან — ატომებისაგან. ავიღოთ ახლა რომელიმე რთული საგანი, თუნდ წყალი; დავშალოთ ეს საგანი რამე ხერხით, — ვნახავთ, რო ორ ელემენტისაგან შესდგება — მჟავდანი და წყალდანისაგან; მჟავდნის ერთს ატომს ორი წყალდნისა დაუკავშირებია თავისთან და ასე გაჩენილა სამ-ატომიანი ჯგუფი — მოლეკულა; ერთ წვეთ წყალში ამისთანა მოლეკულა მრავალ მილიონობითაა. რომ ავიღოთ ახლა სხვა რთული საგნები ვნახავთ, რო ყველანი ამ გვარათვე ატომების ჯგუფებისაგან შესდგებიან, — მოლეკულებისაგან; გარჩევა მხოლოდ მბსშია, რო სხვა და სხვა რთულ საგნის მოლეკულაში ატო-

მების რიცხვი ერთგვარი არაა და არც ერთგვარ ელემენტებს ეკუთვნიან ყველანი. რათაა, რო მარტივი საგნები ერთდებიან და რთულებს აჩენენ? იმიტომ, რომ ელემენტების ატომებს რაღაცა შემაერთებელი ძალა აქვთ, რომელიც ზოგ ელემენტის ატომებში დიდია, მძლავრი, ზოგში-კი სუსტი. ელემენტების შეერთება რთულ საგნებად და მათი დაშლა მარტივებად ამ ძალის მეოხებით ხდება და აგრეთვე მის მეტ-ნაკლებლობით სხვა და სხვა ელემენტის ატომებში. რა გვარად იქცევა მეცნიერი მატერიის ამ გვარ შესწავლაში, მის ბუნების გამოძიებაში? ჯერ რთულ საგნებს შლის და შემდეგ მარტივებს აერთებს იმის გამოსაცნობად, თუ რომელ ელემენტებს სჭირთ შემაერთებელი ძალა. საგნების დაშლა და შეერთება ხომ მოვლენაა, ე. ი. ის, რაც ხდება. ამ სხვა და სხვა მოვლენის გარკვევაში მეცნიერი მათს საერთო წესს უკვირდება და აქედან დასკვნა გამოჰყავს სხვა და სხვა ელემენტის შემაერთებელ თვისებაზე; ეს თვისებაა მიზეზი მარტივ და რთულ საგანთა დაშლა შეერთებისა; თვისებაა მოვლენის გამჩენი. წყალდანი და მჟავდანი ერთდებიან და წყალს აჩენენ იმიტომ, რომ ეს ორი ელემენტი მონათესავეა, ერთმა ერთს ითვისებენ; წყლის მოლეკულის გაჩენაში ერთი მჟავდნის ატომი ორ წყალდნისას იკავშირებს იმიტომ, რომ ორი შემაერთებელი ძალა აქვს, წყალდნისას-კი ერთი. ასეთი თვისების ყოფილა ეს ორი ელემენტი და ამ თვისებით აიხსნება წყლის გაჩენა. ამის ცოდნით არა ჯერდება მეცნიერი და უფრო ღრმათ ჩადის თვის კვლევა-ძიებაში; თუ სხვა და სხვა ქიმიური მოვლენა ელემენტების თვისებით აიხსნება, ეს თვისება თავის რიგზე რიღათი უნდა ავხსნათ? პირველ წერილის ბოლოს ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ, რო ატომები ეთერის მორევს წარმოადგენენ, იმ ეთერისას, რომლითაც მთელი ქვეყნიერების სივრცე-მანძილია დაჭერილი; ყოველ ატომში ეს ეთერი მორევსავით გრიგლოვან მოძრაობაშია, რომელიც ხდება ისე, რო გარე მყოფ ეთერზე რაღაცა გავლენა აქვს და ამას შედეგად ის მოსდევს, რო სხვა

ატომი უახლოვდება ამ პირველსა. მაშასადამე, ქიმიური თვისების, ე. ი. ატომების შეერთების მიზეზი შინაგანი ბუნებაა ატომებისა. ამ გვარად მეცნიერებამ ქვეყნიერების მასალის — მატერიის კვლევა-ძიებაშა ჯერ სხვა-და-სხვა ქიმიური მოვლენა გაიცნო და შეისწავლა; შემდეგ მოვლენა ელემენტების თვისებით ახსნა და ამ თვისების ასახსნელად ატომთა ბუნების და შენობის გამოცნობას შეუდგა. მოვლენას თვისება აჩენს, თვისებას-კი მატერიის ძირეული ბუნება. რომ მიუხვდეს მეცნიერება ამ ძირეულ ბუნებას, მაშინ მას ეცოდინება სათავე მიზეზი ყოველ გვარ ქიმიურ თვისება და მოვლენისა. მოვლენა თვისებაზეა დამოკიდებული, თვისება-კი ატომთა ძირეულ ბუნებაზე, რომელიც არაფრის შედეგი არაა და არც არა რასზეა დამოკიდებული, იმას, რაც დამოუკიდებელია, არა რის შედეგი არაა და, პირიქით, თვითონაა ყოვლისფრის მიზეზი და სათავე, სუბსტანცია ჰქვიან. სუბსტანციის რაობა და ბუნება რომ გამოვიცნოთ, მაშინ შეგვეძლება ავხსნათ სხვა-და-სხვა თვისება და მოვლენა, რადგან თვისება სუბსტანციის ბუნების შედეგია და მოვლენა თვისებისა. მთელი ქვეყნიერების ვითარება და არსებობა სუბსტანციის რაობით აიხსნება; მასშია თავი მიზეზი და ამოცანა. ასეთია ეს განსხვავება მოვლენასა, თვისებასა და სუბსტანციას შორის.

ზემოთ ჩვენ ვსთქვით, რომ პირველი კითხვა, რომელიც დაესახა თეოლოგიაზე აცრუებულს მოწინავე გონებას ახალი სწავლის ძებნაში, იყო: რა გვარად და რა გზით უნდა შესდგეს მართალი და ეჭვ-მიუკარებელი სწავლა ქვეყნიერებაზე? ამ კითხვის გადაჭრაში ორმა სწავლულმა ისახელა თავი, — ინგლისელმა ბეკონმა და ფრანგმა დეკარტმა. ქვეყნიერების რაობა-ვითარებაზე ნამდვილი სწავლის დასადგენად, — სწერდა ბეკონი, — საჭიროა თავდაპირველად ბუნების ათას-გვარ მოვლენას დავაკვირდეთ და შევისწავლოთ; შემდეგ მათი მიზეზები უნდა გამოვიძიოთ, ე. ი. ის თვისება, რომელიც მოვლენას აჩენს, და რაკი ამას გამოვიცნობთ, მაშინ ქვეყნიერების სუბსტანცი-

ის, ე. ი. მიზეზთა-მიზეზის მიხვედრასაც შევძლებთო. ყველა ეს სწავლა უნდა შესდგეს ბუნების გამოცდით და კვლევით, და სხვა გვარი სწავლა, რომელიც ამ კვლევა-ძიებაზე არაა დამყარებული, ფუჭი და ცრუ სწავლაა. ამ გვარ გზას, ან ყაიდას, რომელიც ბეკონმა უჩვენა ადამიანის გონებას, ინდუკტიური გზა ჰქვიან, ან ინდუკტიური მეთოდი.

ძლიერ კარგი იყო ეს მეთოდი და ამ გზით ტარებაში ადამიანის გონება ძნელად თუ შესცდებოდა, მაგრამ საქმე ის იყო, რო ამ გვარად ქვეყნიერების გამოძიება დიდ დროს და შრომას ითხოვდა, რადგან საჭირო იყო ბუნების ათას-გვარ მოვლენის დაკვირვება და შესწავლა და ვინ იცის როდის მიაღწევდა ყველა ამას ადამიანის გონება? რა უნდა ექმნა რომელიმე ღრმა და ბასრ გონებიან მოაზრეს, რომელსაც თეოლოგიური სწავლისა არა-რა სჯეროდა და მოუსვენრად ითხოვდა ქვეყნიერებაზე ჭეშმარიტ სწავლას? ამ გვარი გონება ბეკონის მძიმე მეთოდით არა ჯერდებოდა და სხვას, მოკლე და ჩქარ მეთოდს ითხოვდა საშველად. ასეთ ყოფაში იყო ადამიანის მოწინავე გონება, როდესაც 1637 წ. ჰოლანდიაში ახალმა და ღრმა მოაზრე დეკარტმა თავისი თხზულება გამოაქვეყნა: »მეთოდზე სჯა« (Discours de la Méthode), რომელშიაც სხვა ახალ გზას, ახალ მეთოდს უჩვენებდა იმ დროის სწავლულებს ქვეყნიერების შესაგნებლად. ბეკონი ამბობს: ქვეყნიერების ასახსნელად საჭიროა თავდაპირველად ბუნებას დავაკვირდეთ და შევისწავლოთ რაც რამ ხდება ქვეყნიერებაზე, ე. ი. ათას-გვარი მოვლენა, და რა დასკვნაც მოჰყვება ამ შესწავლას, ეს იქნება ბუნების სხვა-და-სხვა თვისების გარკვევა; ამ თვისებათა საერთო დასკვნა-კი გვიჩვენებს სუბსტანციის ძირეულ ბუნებას, — მიზეზთა-მიზეზს. ამ გვარი ყაიდა იმასა ჰგავს, რო შვილები მაჩვენე როგორიც არიან და გეტყვი, რა დედ-მამაც ჰყოლიათ მათთა. მაგრამ შეიძლება აგრეთვე, დედ-მამა რო ვიცოდეთ, ვსთქვათ, რა გვარი იქნებიან მათი შვილები; დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო,

ნათქვამია. ასე სჯიდა დაახლოებით დეკარტი; მაშასადამე, შესაძლო იყო ქვეყნიერების ახსნაში სუბსტანციიდან დაეწყო თვისი სწავლა ადამიანს, სუბსტანციიდამ თვისებაზე გადასულიყო და თვისებიდამ მოვლენაზე. საჭირო იყო მხოლოდ როგორმე გონებას სუბსტანციისათვის მიეგნო, გაეგო მისი რაობა, ძირეული ბუნება და აქედამ დაესკვნა სხვა და სხვა თვისების ახსნა; შემდეგ, ისევ ამ თვისებათა მიხედვით, ქვეყნიერების ვითარება გაეგო, ე. ი. ათას-გვარი მოვლენა დაესკვნა. საჭირო აღარ იყო ბეკონის ხანგრძლივი კვლევა-ძიება, ან როგორც იმერლები ამბობენ ბუნებასთან „დიდი ხლაფორთობა". ასეთი იყო ეს მოკლე და ჩქარი მეთოდი, რომლის ხმარებას ურჩევდა დეკარტი იმ დროის სწავლულებს სამყაროს რაობა-ვითარების გამოსაცნობად, და ამას დედუკტიური მეთოდი უწოდეს.

«ძნელი კითხვების გადასაჭრელად გეომეტრებს ჩვეულება აქვთ გრძელ და ერთი-მეორეზე მიბმულ სჯისა და ანგარიშის ხმარებაო,—სწერდა დეკარტი,— და ამან მაფიქრებინა, რო ყოვლისფერი, რაც რამ ხდება ქვეყნიერებაზე ამ გზითვე შეიძლება ავხსნათ, რადგან ყველაფერი ერთი-მეორის შედეგიაო (les choses s'entre-suivent de même façon). მაშასადამე, საჭიროა მხოლოდ ღრმა ფიქრი და აზროვნობა ქვეყნიერების ახსნაში და არა ბეკონის ხანგრძლივი მეთოდი. თავდაპირველად უნდა მივუხვდეთ რა გვარია ქვეყნიერების სუბსტანცია, ნათლად და ცხადად შევიგნოთ მისი რაობა და აქედამ დასკვნის დასკვნაზე გადაბმით ავხსნათ ქვეყნიერების ვითარება, რადგან ყველაფერი სუბსტანციის შედეგია, მასზეა დამოკიდებული.

ასეთია ეს ორი მეთოდი—ინდუქცია და დედუქცია, რომლებიც ბეკონმა და დეკარტმა შემოიღეს სწავლაში. ბევრმა ბეკონის რჩევა ვაიგონა და უფრო ბევრმა დეკარტისა, რადგან ეს უფრო ადვილი იყო. ბეკონის ინდუკტიურ მეთოდით, ე. ი. ბუნების კვლევა ძიებით გაჩენილი სწავლა-მეცნიერებაა, რომელიც ხანგრძლივ კვლევა-ძიების შემდეგ მხოლოდ ჩვენს

დროში გაძლიერდა და შეუდგა უკანასკნელ დასკვნებს ქვეყნიერებაზე, ქვეყნიერების ძირეულ მიზეზებს. დეკარტის სჯა და ღრმა აზროვნობით წარმომდგარ სწავლას-კი ფილოსოფია ჰქვიან *). თეოლოგიურ სწავლის შემდეგ ფილოსოფია გაჩნდა, რადგან ჩქარი მეთოდის მიმდევარია, და ფილოსოფიის შემდეგ შესდგა მეცნიერება ბეკონის მძიმე ინდუკტიურ მეთოდით. ამ გვარია ეს დიდი და ძირეული განსხვავება, რომელიც დაეტყო ადამიანის მოწინავე გონების ორ მიმართულებას, — ფილოსოფიას და მეცნიერებას **). ერთი ღრმა ფიქრის და აზროვნობის მიმდევარია, მას რჩეულობს, მეორე-კი — მეცნიერებისა ბუნების კვლევა-ძიებაზე ამყარებს თვის სწავლას და ცალიერ აზროვნობას და სჯას არ ენდობა. ფილოსოფია სუბსტანციით იწყობს თვის სწავლას და მის რაობით ქვეყნიერების შეგნებას სცდილობს, მეცნიერება-კი მოვლენათა შესწავლიდამ თვისებაზე გადადის და თვისებიდამ მატერიის ძირეულ ბუნების გამოცნობაზე და ასე ცდილობს ქვეყნიერების ძირეულ მიზეზის მიგნობას. ჩვენ ქვემოთ ვიტყვით რაში გამოიხატა ფილოსოფიური სწავლის სიცრუე, აქ-კი საჭიროა ვიკითხოთ — რითი აიხსნება ის გარემოება, რო ამ სწავ-

---

*) ჩვენ აქ, რადა თქმა უნდა, ახალი დროის ფილოსოფიაზე ვამბობთ.

**) ძალიერ ხან-მოჯმული აზრია ბ. გორგაძისა, ყითომც მეცნიერება ფილოსოფიის მსახური იყვეს, ფილოსოფიას უმზადებდეს მშრალს ცოდნას სამეარო მთავარ კითხვების დასასკვნელად. ამას ჩვენს დროში მხოლოდ „ფილოსოფიის პროფესორები“ დაღადებენ. ტომსონს, მაკსველს, ჰელმჰოლტს, ჰერცს და ზოგ სხვასაც არათერის რიდი არა ჰქონიათ „სუბსტანციის„ ძებნაში რომ იევნენ და ისიც ლაბორატორიულად და მათემატიკის საშუალებით. (ბ. გორგაძის წერილი „ფილოსოფია და მისი პროგრესი“ გასულ წლის „მოამბე“ №№ 11 და 12.)

ლას, რომელსაც იმ თავითვე დაეტყო ეს სიცრუე, მაინც ასე დიდს ხანს (რაღაც 200 წლის განმავლობაში) უმეფია სწავლულთა შორის და ახლაც მოიპოვება ზოგიერთი მათ შორის, რო ამ სწავლის მიმდევარია. ამის მიზეზი ისაა, რო თუმცა ორთავესვე, მეცნიერებას და ფილოსოფიას, ერთი და იგივე მიზანი აქვთ—ქვეყნიერების რაობა-ვითარების ახსნა-გაგება, მაგრამ ფილოსოფია ითხოვს, რომ ეს სწავლა არ ეწინააღმდეგოს იმ ზოგიერთ რწმენა-წარმოდგენებს, რომელსაც შესჩვეია ადამიანის გონება და სული თეოლოგიურ ხანაში ყოფნის დროს. ძლიერაც რომ აცრუებულიყო ადამიანის გონება ამ ძველ რწმენა-წარმოდგენებზე, მაინც ადვილი არ იყო მისთვის სამუდამოთ და უცბათ ხელი აეღო ამაზე, „რადგან გონება ადვილად ვერ არღვევს იმ ქერქს, რომელშიაც დაჭერილი იყო მრავალ საუკუნეთა დენაში. ადათი, ჩვეულება, აღზრდა და თითემის ყოვლისფერი ცხოვრებაში ისეა დაყენებული და მომართული, რო ხელს უწყობს და ამაგრებს იმას, რაც ერთს თაობას წინა თაობისაგან დაჰყოლია—სხეულის, ზნეობრივ და გონებრივ სიავ-კარგეს; ბევრი დრო უნდა და ბევრიც ცვლილება ცხოვრებაში, რომ შეჩვეული ჭირი მთლად გაჰქრეს და შეუჩვეველს სიკეთეს მიეჩვიოს ადამიანი» *). ასე მოუვიდა დეკარტსაც სუბსტანციის ძებნა-მიგნობაში. სუბსტანცია ორიაო ქვეყნიერებაში,—მატერია და გონი; ადამიანი სხეულისაგან შესდგება, მაგრამ სხეულის გარდა მასში გონიცაა; გრძნობა, სურვილი, ფიქრი გონის საქმეა, მის არსებობას გვიმტკიცებსო. ზემოთ ჩვენ ავხსენით, რო სუბსტანციას ნიშნავს ის, რაც თავის-თავად არსებობს, დამოუკიდებელია და, პირ-იქით, თვითონ აჩენს ყველაფერს; და რადგან ეს ასეაო,—პასუხი გასცა დეკარტს მეორე სწავლულმა—გასსანდიმ,—როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ გონი, რომელიც კაცშია, მის სხეულს ამოქმედებს, ე. ი. მატერიასაო? მაგ., ჩემმა გონმა

*) André Lefêvre—La Philosophie.

მოინდომა, რომ მარკხენა თვალი დაიხუჭოს და მაშინვე იხუ-ჭება, — ხელი ავწიო — ხელსა ვწევ; გარდა ამისა მატერიასაც დიდი ზედ-მოქმედება და გავლენა აქვს გონზე: ტვინის დაშა-ვებას გონების დაზიანება მოსდევს შედეგად, მეტი ტვინი მეტ გონებას ნიშნავს. ცხადად სჩანს, რო ადამიანში მატერიასა (სხეულის) და გონს შორის დიდი დამოკიდებულება არსებობს. ბევრიც რომ ვუთხრათ ქვას: კადაბრუნდი, — არ გადაბრუნდება და ფეხი ან ხელი, ე. ი. ისევ მატერია, უნდა წავკრათ, რო გადაბრუნდეს; ცხადია, რო ჩემს გონებასა და ქვას შორის არავითარი დამოკიდებულება არაა, ჩემში-კი ეს მატერიის და გონების დამოკიდებულება და ზედ-გავლენა ნათლად სჩანს. როგორ უნდა ავხსნათ ეს დამოკიდებულება? ვსთქვათ, მატე-რია და გონიც ორივენი სუბსტანციებია; მაშინ მათის დამო-კიდებულების ახსნა ყოვლად შეუძლებელი უნდა იყოს, რად-გან სუბსტანცია დამოუკიდებელი რამაა და არაფერს მასზე გავლენა არ უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, ან ერთი უნდა იყოს სუბსტანცია და ან მეორე; ან მატერია, ან გონი.

ასე უპასუხა დეკარტს გასსანდიმ და ამტკიცებდა, რომ ქვეყნიერებას მხოლოდ ერთად-ერთი სუბსტანცია შეადგენს — მატერია, და გონი, თუ სული, მატერიის ვითარებას ნიშნავს, რთულს და სხვა-გვარად მოწყობილსაო, ე. ი. გონი მოვლე-ნაა და არა სუბსტანციაო. ასეთი გაჭირება დაადგა თავშივე დეკარტის სწავლას, და რომ აეცდინა ეს გაჭირება ისევ თე-ოლოგიურ სწავლას მიექცა. მატერია და გონს გარდა არის კიდევ ერთი სუბსტანცია ქვეყნიერებაზე — ღმერთიო; იმ თავი-თვე ყოვლის "ემძლებელმა ღმერთმა ისე დააწესა, რო მატე-რიასა და გონს ერთი-მეორეზე გავლენა აქვთ ჩვენშიო. ამ გვარად თავის სწავლაში სათავეშივე სამი სუბსტანცია აიჩინა დეკარტმა: ღმერთი, გონი და მატერია. გასანდიმ და მასთან სხვებმაც ცხადად ნახეს, რო ამ გვარი ხერხი, რომელიც დე-კარტმა იხმარა გაჭირებიდამ გამოსასვლელად, გონების ფან-დებს უფრო წააგავს, ვიდრე ჭეშმარიტი სწავლის ძიებას, რა-

დგან სამი სუბსტანციის მიღება და მათი ერთმანერთზე გავლენა და დამოკიდებულება გაუგებარი რამაა. და გონებას ეწინააღმდეგება თვისი ორპირობით. დეკარტი და გასსანდის გარდა ბევრი სხვა ფილოსოფოსიც გამოჩენილა შემდეგ სხვა და სხვა დროს და თითქმის ყველამ აღიარა, რო ყოვლად შეუძლებელია ქვეყნიერება ორ ან მეტ სუბსტანციისაგან იყოს წარმომდგარი და რო ძირეული რაობა ქვეყნიერებისა უთუოდ ერთი რამ უნდა იყოს, ერთი სუბსტანციაა, ან მატერია, ან გონი, ძალა, თუ სხვა რამ. ქვეყნიერება ორ სუბსტანციისაგან რომ იყოს წარმომდგარი, მაშინ მის ვითარებას ორ-პიროობა უნდა დასტყობოდა და არა მუდმივი და ერთ-გვარი წესიერება, კანონიერება; ნამდვილად-კი ბუნებაში სწორედ ასეა. ამ ერთ-წესიერებასა და კანონიერებაზეა დამყარებული მეცნიერება.

ფილოსოფიამაც სცნო და აღიარა, რო ქვეყნიერება ერთ სუბსტანციიდან უნდა იყოს წარმომდგარი. გარჩევა სხვა და სხვა ფილოსოფოსთა შორის ისაა, რო ზოგთ (მეცნიერების მომხრეთ) სუბსტანციად მატერია აქვთ აჩნეული, ზოგთ—გონი ან ღმერთი; ზოგი

ნიეთ, მატერიას მთლად უარ-ჰყოფს, — მოჩვენებაოა, და სუბ-სტანციად ძალა ან ენერგია ჰგონია (ენერგეტიზმი). შოპენჰა-უერის აზრით ქვეყნიერების სუბსტანცია რაღაც „ნებაა"; ასე რომ თავდაპირველად, როდესღაც, ქვეყნიერება არ არსებუ-ლა, ყოფილა მხოლოდ ეს „ნება"; შემდეგ ამ ნებიდამ წარ-მომდგარა მთელი ქვეყნიერება! ვინმემ რო წაიკითხოს ამ ფი-ლოსოფოსის სწავლა და მიჰყვეს კვალ და კვალ მის ღრმა და ბასრ მოაზროვნებას, ისე დააჯერებს გონების ფანდებით, რო ქვეყნიერება მართლაც ასე წარმოდგარა და აშენებულა, რო მკითხველი თავის თავს ველარ იცნობს. ამის შემდეგ სხვა ფი-ლოსოფოსის სწავლის კითხვას რო შეუდგეს, ნახავს, რო ესეც მართალი ყოფილა, ოუმცა მისი სწავლა შოპენჰაუერის სწავ-ლის მოპირდაპირეა და სულ სხვას ამტკიცებს; მაგ., თავდა-პირველად გონი არსებულა მარტოდ მარტოო და არა რაღაც „ნება" როგორც შოპენჰაუერს ჰგონია. იგივე დაემართება ხამ მკითხველს სხვა ფილოსოფოსთა სწავლის კითხვაში, — ყველა სწავლა მართალი ეგონება. ბოლოს შემდეგ დასკვნას უნდა დაადგეს: რადგან ეს ფილოსოფოსები თავის სწავლაში ერთი მეორის მოპირდაპირე არიან, ერთი ასე ხსნის ქვეყნიერების რაობა-ვითარებას, მეორე-კი სულ სხვა გვარად, და რადგან მათში ყველა მართალია, ამიტომ ყველანი სტყუიან და ფი-ლოსოფიაც გონების ჯამბაზობა ყოფილა და ცრუ-სწავლა, რომელიც იმიტომაა მოგონილი, რო ძველი თეოლოგიური რწმენა-წარმოდგენები დაიცვას და გაამართლოს.

მიზეზი ამ სიცრუისა ისაა, რო ფილოსოფია დეკარტის-მიერ შემოღებულ მეთოდითაა აშენებული, აზროვნობით და სჯითა, და არა ინდუკტიურ მეთოდით ნავალ ბუნების კვლე-ვა-ძიებით ფილოსოფოსი გონებას ენდობა და ჰგონია, რო თუ რამ აზრი ჭკვასთან ახლოა და არ ეწინააღმდეგება გონებას, ეს აზრი ბუნების სარკეა, ბუნების გამომეტყველი; და რომ ეს ყოველთვის მართალი არაა, ამას ერთი მაგალითიც გვიჩვე-ნებს: გონება გვეუბნება, რო შეუძლებელია ერთი და იგივე

საგანი, ერთს და იმავ დროს, იყოს კიდეც და არც იყოს მოძრაობაში, ე. ი. მოძრავიც იყვეს და უძრავიც; ეს ისე ცხადია, რო ამაზე ფიქრიც არაა საჭირო. მაშასადამე,—იტყვის ფილოსოფოსი,--ბუნებაშიც ეს ასე უნდა იყვეს და რა გინდ საგანიც ავიღოთ, ან უძრავი უნდა იყვეს, ან მოძრავი, და არა ერთი და მეორეც ერთს და იმავე დროს. ნამდვილად კი ბუნებაში ამ გვარი მაგალითები ათასობითაა: მეურმე ურემს რო უზის უძრავია, რადგან წყნარად ზის ურემზე, იქნება სძინავს კიდეც, და იმავ დროს მოძრაობაშიცაა, რადგან თან-და-თან უახლოვდება იმ ალაგს, საითაც ურემი მიდის. მკითხველი, ამ წიგნს წყნარად რო კითხულობს, საშინელი სისწრაფით ტრიალებს დედა-მიწის ღერძზე და იმავ დროს მზესაც უვლის გარშემო. ბუნებას გონების აზრებთან არაფერი საქმე არა აქვს და თუ მის ვითარების და რაობის გამოცნობა გვინდა, მასვე უნდა შევეკითხოთ კვლევა-ძიებით და არა გონებას. დედუციქ-ას მეცნიერებაც ხმაროობს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ცნება თუ აზრი, რომლისაგანაც დედუქტიურად რამეს დავასკვნით, ინდუკტიურის გზითაა ნაპოვნი და აღმოჩენილი, ბუნების კვლევა-ძიებით. ფილოსოფია ბუნების კვლევა-ძიებას ერიღება და დედუკტიურ მეთოდით აზროვნობის მიმდევარია იმიტომ, რომ ბუნებაში არა ჰპოულობს იმას, რასაც დაეძებს — ზოგიერთ თეოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა გამართლებას. თეოლოგიურ სწავლაზე აცრუებულა ადამიანის გონება, მაგრამ ამ სწავლის ზოგიერთი ნაშთი ისე მაგრათაა ჩანერგილი გონებაში, რო მისი უცბად მოშორება ღრმა ფილოსოფოსებსაც-კი უჭირდებათ და ამიტომ ქვეყნიერებაზე სწავლას ისე ადგენენ, რომ ეს სწავლა არ ეწინააღმდეგოს ამ ძველ ნაშთსა, ძველ ცრუ-მორწმუნებას. ასეთია ფილოსოფიის დედა-აზრი.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ როგორ გაჩნდა ბუნების თეოლოგიური შეგნება: ველურ და გონებით ჩამორჩომილ ხალხს ჰგონია, რო ქვეყნიერების ათას-გვარ მოვლენას სხვა-და-სხვა სულიერი არსება აჩენს, ან და სულიერ არსებას იმ თავითვე

ისე დაუწესებია და მოუმართია ქვეყნიერება, როგორც ახლაა. ეს რწმენა, როგორც ვსთქვით, გონების სისუსტისაგან წარმოსდგა; ცრუ-მოაზრობა იყო ცრუ-მორწმუნეობის მიზეზი. ეს თეოლოგიურ სწავლაზე ითქმის; ფილოსოფიაში-კი უკუღმა მოხდა: ძველ და ხან-მოჭმულ თეოლოგიურ რწმენის ნაშთს, რომელიც დაჰყოლია რომელიმე ღრმად მოაზრეს, ცრუ-მოაზრობა გაუჩენია, — ფილოსოფია. ცრუ-რწმენა და ცრუ-მოაზრობა ერთი მეორის მიზეზია, ერთი მეორის დანადარია, მსგავსია.

აქნობამდე, როდესაც რომელიმე ევროპიელი სწავლული კაცობრიობის გონების ზრდაზე ისტორიასა სწერდა, სადაც მკითხველს უამბობდა რა და რა გზა გაუვლია ადამიანის მოწინავე გონებას ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში მანამ მეცნიერება გაჩნდებოდა, ამ ისტორიაში იგი სხვა-და-სხვა ფილოსოფოსის სწავლის გადათვალიერებით სჯერდებოდა; ახლა-კი სწავლულები იმ აზრს დაადგნენ, რო ადამიანის გონების-მიერ გავლილ გზის გამოსაკვლევად საჭიროა თავდაპირველად სხვა და სხვა ჩამორჩომილ ერთა-მიერ ქვეყნიერების ახსნა-შეგნება გამოვიკვლიოთო, რადგან ეს დაგვანახვებს ადამიანის გონების პირველ ხანას ბუნების შეგნებაში; ესაა გავლილი გზის დასაწყისი და ფილოსოფია შემდეგში გაჩნდა. გარდა ამისა ნამდვილი ფილოსოფია რამდენიმე ასი წლისაა, მაშინ როდესაც თეოლოგიურ ხანაში ვინ იცის რამდენი ათი ათასი წელიწადი ყოფილა ადამიანის გონება. ამიტომაა, რომ ჩვენც ამ წერილში ჯერ თეოლოგიურ ხანაზე ვილაპარაკეთ და შემდეგ ფილოსოფიაზედაც ვთქვით ორიოდე სიტყვა. ანიმიზმიდამ წარმოსდგა თეოლოგია, და თეოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებმა ფილოსოფია გააჩინეს, რომელიც იგივე თეოლოგიაა, მხოლოდ აზროვნობით შემდგარი.

არამც თუ აფრიკის ანუ აზიის ერების, არამედ თვით განათლეიულ ევროპიელთა უმეტესობის გონებაც-კი ისევ ცრუ-მორწმუნეობის ხელშია, რადგან გლეხობა თითქმის ყველგან

სწავლა-განათლებას ჯერ კიდევ მოკლებულია; ჯერ მუქთი არაა ეს სწავლა და ამიტომ უფრო ქალაქებში ხეირობს: იქ დოვლათიც მეტია, მეტი ხალხიც და ბევრიც მოცლილია. ფილოსოფიაც ხეირობს აქა-იქ: სასწავლებლებში მეცნიერებასთან ერთად ფილოსოფიას და თეოლოგიასაც ასწავლიან. საფრანგეთში კონგრეგაციების სკოლებში ხომ უმეტესად თეოლოგიას მისდევდნენ. უნივერსიტეტებშიაც ბევრგან სამსავესვე ასწავლიან. შვეიცარიის უნივერსიტეტებში რო შეხვიდეთ, ნახავთ, რო ერთ დარბაზს (აუდიტორიას) კარებზე აწერია: თეოლოგია, მეორეს—ფილოსოფია, მესამეს—მეცნიერება. მეცნიერების აუდიტორიაში მეცნიერი ხშირად, სადაც ეხერხება, თეოლოგიას და ფილოსოფიას მასხრად იგდებს—ამ კედლებს იქით რასაც ასწავლიან სასაცილო რამეაო; კედლებს იქით-კი ფილოსოფიის და თეოლოგიის პროფესორები თავის მსმენელებს არწმუნებენ, რო მეცნიერება ღრმა სწავლა არაა, თეოლოგიის და ფილოსოფიის მორჩილი უნდა იყოსო, ამათი ნათქვამი არ უნდა უარ-ჰყოსო. არა ერთხელ და ორჯელ დაუმარცხებია გაცხარებულ ბრძოლაში გაძლიერებულ მეცნიერებას თავისი ორი მოპირდაპირე სწავლა-თეოლოგია და ფილოსოფია; ყველას სჯერა მეცნიერული სწავლა, დიდ ფულსაც ხარჯავს ყოველწლივ საზღვარ-გარეთ მთავრობა და საზოგადოება ამ სწავლის გავრცელებაზედ სოფლად და ქალაქად, ყველას უკვირს ამ სწავლის სიღრმე და ძლიერება და იმავ დროს ბევრს მაინც ჰგონია, რო თეოლოგია და ფილოსოფიაც აუცილებელი რამაა ადამიანის გონებისთვისაო. ზოგიერთა გონებას ისე გაიტაცებს ხოლმე სიზმარი, რო გამოღვიძებაზე მალე ვერ ფხიზლდება და რამდენიმე წუთს ბუნდათ სიზმარშიცაა და გაღვიძებულ სიცხადეშიც. სწორედ ამას წააგავს ზოგი-ერთ სწავლულთა გონება: მეცნიერების სწავლა სჯერა და იმავ დროს ფილოსოფია და თეოლოგიაც სწამს. სწავლა, რომელშიაც მრავალ ათას-წლობით იყო ჩაღრმავებული ადამიანის გონება, უცბად ვერ შორდება მას; ბუნებამ ხტომა არ

იცის და თან-და-თანობას მისდევს; ადამიანის გონების ბუნებაც ისე იქცევა; ცხადი კია ყველასათვის, ვინც ამ ჭირს ასცდენია, რომ თეოლოგიის და ფილოსოფიის უკან გამობრუნება და აღორძინება ყოვლად შეუძლებელია:

„გასრულდა მათი ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა“...

გონებას მხოლოდ მეცნიერულ სწავლისა უნდა სჯეროდეს.

„სამყაროს აწმყო ვითარება ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც შედეგი წარსულ ვითარებისა და გამჩენი მომავლისა. ვინმე გონებამ რომ შეიგნოს ბუნების ყოველი ძალა და გაიგოს რა ყოფა და მდგომარეობაშია ყოველ-გვარი საგანი, რომლისაგანაც შესდგება სამყარო, თუ მასთანვე ეს გონება იმდენად ღრმა და ფართოა, რო შეუძლიან დაანალიზოს ეს ათას-გვარი ცნობა, მაშინ ამ გვარი გონება ერთის დასკვნით, ერთის ფორმულით ვამოჰხატავს ქვეყნიერების უდიდეს და უმცირეს საგანთა მოძრაობას: ვარსკვლავთ და ატომთ ვითარებას. ცხადი იქნება მისთვის ყოველი: სამყაროს აწმყო, წარსული და მომავალიც“ *). ასეთია ის დიადი მიზანი, რომელიც აუჩინა მეცნიერებას სახელგანთქმულმა სწავლულმა ფრანგმა, სიმონ ლაპლასმა; ერთი ფორმულით უნდა გამოიხატოს სამყაროს ძირეული რაობა-ვითარება.

ინდუკციისა და დედუკციის გზით ნავალი ბუნების კვლევა-ძიება,—ასეთია ის გზა, რომელსაც მეცნიერება დაადგა შორეულ მიზნის მისაღწევად,—სამყაროს ფორმულის მისაგნებად. მიზნის სიდიადე გვეუბნება, რო მეცნიერება მისწრაფებით არც თეოლოგიას და არც ფილოსოფიას არ ჩამოუვარდება; მხოლოდ გზა, რომელსაც მეცნიერება დაადგა, ცხადად გვიჩვენებს—რა უპირატესობა უნდა ჰქონდეს მას მის მოპირდაპირე სწავლასთან.

---

*) Laplace: Essais philos. sur les probabilités.

III. ქვეყნიერების ძირეული კითხვები.

ბუნება და მთელი ქვეყნიერება შესდგება მატერია და ეთერისაგან, რომელთაც სჭირთ სხვა-და-სხვა მოძრაობა და აქედამ წარმოსდგა და ახლაც ჩნდება ყველაფერი, რაც-კი რამაა ქვეყნიერებაზე. ქიმიური ნათესაობა, მიმზიდველობა, სითბო-სიცხოველე, სინათლე, ელექტრონი და მაგნეტიზმი, ყველა ეს ძალები, რომლებიც წარმოადგენენ ბუნების ათას-გვარ მოვლენათა და ვითარებათა ერთად-ერთს მიზეზს, აი ეთერის და ატომებიან მატერიის მოძრაობას ნიშნავენ. ძველი რწმენა—ვითომც ბუნებაში მატერიის და ეთერის დამოუკიდებლად არსებულ ძალა-მანქანებსაც ჰქონდეთ ადგილი, მეცნიერებამ უარ-ჰყო; იწამა მხოლოდ ეთერ-მატერიის მოძრაობით წარმომდგარი ძალა; ძალა მატერიას არგუნა. ქვეყნიერების რაობა-ვითარება მისი მასალის მოძრაობით აიხსნება,—ასეთია ეს «მეხანიკური მატერიალიზმი», რომელიც დედა-აზრად დაედო ჩვენი დროის მეცნიერებას. ამ გვარ სწავლას, რომელიც ასეთ მკვიდრ ნიადაგზეა დამკვიდრებული, როგორიცაა ბუნების კულევა-ძიება, ფილოსოფია ველარ ეცილება და კმაყოფილდება მითი, რო ყველას არწმუნებს, ვითომც «ძირეული კითხვები», რომლებიც მეცნიერებას ხვდება აქა-იქ, მისთვის სამუდამო ამოცანა იქნებაო. მატერიის და ეთერის მოძრაობა ჩვენს ტვინამდინ ადის ნერვების საშუალებით და იქ იხატება ბუნების ათას გვარ წარმოდგენებად და ამ წარმოდგენათა სხვა და სხვა გვარ შეუღლებით ტვინში ჩნდება გონება. ამ გვარად გარედამ შეყრილ მოძრაობით ტვინში, ე. ი. მატერიაში, ჩნდებაგონება, რომელიც არც მატერიაა და არც მისი მოძრაობა. როგორაა, რო ტვინში მოლეკულების მოძრაობით არა თავდება ეს საქმე (გარე ბუნებისაგან მოძრაობის შეყრა) და გონებაცა ჩნდება შიგ? ამ კითხვის შესახებ ჩვენ იმავ წერილში მოგვიხდა მოყვანა ზოგი-ერთი სწავლულის მოსაზრება—ტინდალის, ტენის, დიუ ბუა-რეიმონის და სხვა. როგორაა, რო მატერი-

ის და ეთერის მოძრაობა ტვინში წარმოდგენებს აჩენს და გონებასა? რაა გონება? ეს კითხვები მეცნიერებისათვის სამუდამოდ აუხსნელი იქნებიანო,—ამბობენ ეს სწავლულები, ხოლო რო ეს კითხვა პირველი და მთავარი კითხვაა, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს, რადგან გონება ისაა, რითაც ბუნების და მთელი ქვეყნიერების რაობა-ვითარებას ვიგებთ და მასზე სწავლას ვადგენთ—მეცნიერებასა. რა ფასი უნდა ჰქონდეს ამ სწავლას, თუ კი თავშივე არ ედგმება მას ცოდნა იმისი, თუ რაა გონება? ასეთია ეს ძირეული კითხვა, რომელიც მეცნიერებისათვის აქამდის აუხსნელია.

მაგრამ ამ კითხვის გარდა არის კიდევ ორიოდე სხვა კითხვაც, რომელთ გარდაჭრაში ფილოსოფოსები ედავებიან მეცნიერებას, მაგ., რაა მატერია? ავიღოთ რამე მატერია, თუნდ შაბიამანი; რომ ვსთქვათ, შაბიამანი ისაა, რასაც ლურჯი ფერი აქვს, ასეთი გემო, მაგარია, ასეთი და ისეთია,—ეს ამ მატერიის განმარტება არ იქნება, რადგან ყველა ეს თვისება მატერიის და ეთერის მოძრაობას ნიშნავს და არა თვით მატერიასა: ლურჯია იმიტომ, რომ მზიდამ მოსული ეთერის ტალღა, რომელსაც უკუ-აგდებს შაბიამანი, იმ ზომის სისწრაფისაა, რომელიც ტვინში ლურჯად იხატება. სიმაგრეც მისი მოლეკულების ძლიერ წყნარ თრთოლვას ნიშნავს; გემოც მოლეკულების მოძრაობაა. რომ ვსთქვათ, მატერია ისაა, რასაც წონა აქვს, არც ეს გამოდგება, რადგან წონა მატერიის მიმზიდველობისაგანაა წარმომდგარი. ქვეყნიერებაზე მხოლოთ ერთი საგანი რომ იყოს, მაშინ მას წონაც აღარ ექნებოდა; მუდმივ ერთ-გვარიც არაა ეს წონა და მატერიის მეტ-ნაკლებლობაზეა დამოკიდებული: მეტი მატერია უფრო მეტის ძალით იზიდავს თავისკენ სხვა საგანსა. რომ ავიღოთ რომელიმე საგანი, რომლის წონა დედა-მიწაზე 10 გირვანქაა, მას მთვარეზე 2 გირვანქის წონა ექნება, მზეზე-კი 290, რადგან მთვარე მიწაზე პატარაა და მზე გაცილებით დიდი. წონა, ფერი, გემო და სხვა თვისებაც მუდმივ არაა მატერიაში და მხოლოდ

მოძრაობის შედეგია; მატერიის და ეთერის მოძრაობას ნიშნავს და არა თვით მატერიასა. ამიტომ კითხვა: რაღაა მატერია თავის-თავად?—ისევ კითხვად რჩება. ამ გვარად ვერც ქვეყნიერების სუბსტანცია (მატერია) ახსნა მეცნიერებამ და ვერც გონების რაობა, ე. ი. არ იცის, რაა ის, რითაც იგებს (გონება) და ის, რასაც იგებს (მატერია და მისი მოძრაობა). ორში ერთი: ან მატერიის და გონების რაობა უნდა ახსნას მეცნიერებამ; ან და, თუ ეს ვერ შესძლო, საქვეყნოდ აღიაროს, რო მისი სწავლა ქვეყნიერების რაობა-ვითარების ძირეულ ახსნას კი არა სცდილობს, არამედ ბუნების ათას-გვარ მოვლენა და თვისების ერთ-წესიერებას უკვირდება. მეცნიერებას თვისი ინდუკტიური მეთოდით შეუძლიან გამოიძიოს მხოლოდ მოვლენა და თვისება და არა სუბსტანციის ახსნა, რადგან მოვლენა და თვისება ჩვენთვის მოჩვენებაა, ე. ი. ტყუილი, და ტყუილი მართალს—სუბსტანციას ვერ გამოგვაცნობინებს. ამიტომ ისევ დეკარტის მეთოდია საჭირო, ღრმა ფიქრი და სჯა; მარტო ამ გზით შეიძლება სუბსტანციის გამოცნობა და, მაშასადამე, მთელი ქვეყნიერების ძირეულ რაობა-ვითარების ახსნა-შეგნებაცა. ფილოსოფია უნდა იყოს ნამდვილი და ერთად-ერთი სწავლა ქვეყნიერებაზე, მეცნიერების საქმე—კი მხოლოდ ბუნების ათას-გვარ მოვლენა და თვისების ახსნაა. ტყუილად-კი არ უწინასწარმეტყველა იმ თავითვე ერთმა ფილოსოფოსმა მეცნიერებას: შენ ვერა სწავლა ვერ მოგკლავსო, ვერც თეოლოგია და ვერც ფილოსოფია; შენვე გამოიჭრი ყელს, რო გაიზრდებიო; და ეს თითქოს ცხადდება: მანამ ზეზეურ სწავლას ეკიდებოდა—მოვლენა და თვისებასა—ძლიერ იმარჯვებდა მეცნიერება, მაგრამ ჩაღრმავდა თუ არა ქვეყნიერების ახსნა-შეგნებაში—თვითონვე იგრძნო ყელში დამიზნებული დანა: სწავლის თავი და ბოლო აერია; ვერ ახსნა ვერც გონება და ვერც მატერია.

ასე სჯის მეცნიერებაზე ზოგი-ერთი ფილოსოფიის მიმდევარი სწავლული და მოაზრე. ამის მიხედვით ზოგი-ერთი

მათ შორის ზოგიერთი იმ აზრისაა, რომ ქვეყნიერების რაობა-ვითარების ახსნა-შეგნებაში მეცნიერება უფილოსოფიოდ შორს ვერ წავა და ამიტომ მათი მორიგება აუცილებლად საჭიროაო; შევათანხმოთ ერთი-მეორეს და მაშინ ყველაფერს ადვილად გამოვიკვლევთ და გამოვიცნობთო. მაგრამ დაწვრილებით რომ მოვინდომოთ ამ „პროექტის“ გაცნობა, ვგონებ ვერც ერთი სწავლული ვერ იტყვის გარკვევით და ნათლად, როგორ უნდა მოხდეს ეს მორიგება ამ ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე სწავლისა; გაურკვეველი მითქმა-მოთქმაა ამის შესახებ, მეტი არაფერი.

ასეთია ეს ძირეული კითხვები: როგორაა, რომ გარე ბუნების მოძრაობა ტვინში წარმოდგენებად იხატება და აქედამ გონებაც ჩნდება შიგ? რაა მატერია? როგორ გაჩნდა თავდაპირველად მატერიის და ეთერის მოძრაობა, თავის-თავად ხომ ვერ იყოობდა ამ მოძრაობას? როგორ გაჩნდა პირველად სიცოცხლე დედამიწაზე! და ორიოდე სხვა კითხვაც. თუ რამდენად გარდაუჭრელია ეს კითხვები მეცნიერებისათვის, ამას ყველაზე ნათლად მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს. ამ გვარი ვითომც-და გარდაუჭრელი და სამუდამოდ აუხსნელი კითხვა წინად ერთი და ორი არ ყოფილა, რომ თეოლოგიის და ფილოსოფიის მომხრეთა სასიხარულოდ, გზაში დაჰხვდრია მეცნიერებას უფსკრულ და გაუვალ ხეობასავით და მხოლოდ შემდეგში ღრმა სწავლის ხიდი გადუგდია ზედ ძლევა-მოსილ მეცნიერებას და გამარჯვებული გაღმა გასულა; მაგრამ ადამიანის გონების „თვალ-ბედითი შავი ეჯრანი“—თეოლოგია და ფილოსოფია, ამით არ დაწყნარებულა და უკანიდამ მიუჩხავლია მეცნიერებისათვის: ეგ კლდე ხომ არაა—არხია; კლდეხევი იქით დაგხვდება და იქ გადაიხეჩებიო.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთი ძირეული კითხვის ისტორიას, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, რა მწვავე ბრძოლის აშლა სცოდნია ამ ორ მოპირდაპირე სწავლას, მეცნიერებას და თე-

ოლოგ-ფილოსოფიასა, და რა გვარად სწყდება რომელიმე ვი-
თომც და სამუდამოთ გარდაუჭრელი კითხვა.

IV. ძირეულ კითხვის გარდაჭრა.

საუცხოვო სანახავი რამ იყო სწავლულთა კრება, რომ-
ელიც მოხდა 1830 წელს პარიზის სამეცნიერო აკადემიაში. ძველ
თეოლოგ-ფილოსოფიურ სწავლას სასტიკ და დაუნდობელ ბრძო-
ლაში გამოეწვია თვისი მოსისხლე მტერი მეცნიერება, რომ-
ელიც სინორჩივეშივე რაღაც უცნაურ ძალას იჩენდა და, სა-
დაც-კი მოუხდებოდა, დიდი გაბედულობით აცხადებდა, რო
ჩემი სწავლა თეოლოგ-ფილოსოფიურ სწავლას ეწინააღმდეგე-
ბაო. კრებაზე მრავალ სწავლულთა შორის ბევრი სახელ-გან-
თქმული მეცნიერიც იყო და მათში კუვიე და ჟოფრუა სენტ-
ილერი; (Cuvier, saint Hilaire) პირველი ძველი ცრუ-მორწმუ-
ნოების მიმდევარი, მეორე-კი ახალი მეცნიერული სწავლის
მოსარჩლე. რაღაც აკადემიურ მოხსენებაზე სენტ-ილერმა სი-
ტყვა ჩამოაგდო იმის შესახებ, რო ყველაფერი, რაც-კი რამაა
ცოცხალი დედა-მიწაზე, ე. ი. მცენართ და ცხოველთ სხვა
და სხვა ჯიში და გვარეულობა, ყოველი ცალ-ცალკედ და
სხვა და სხვა დროს კი არაა გაჩენილი, არამედ ერთს ჯიშს
და გვარეულობას მეორე გაუჩენია, ერთი მეორისაგანაა წარ-
მომდგარიო; ამიტომ ჩვენთან ძლიერ ახლოს იქნება, რომ
ვსთქვათ, რო თავდაპირველად დედა-მიწაზე ცოცხალი ბუნე-
ბა ერთგვარი იყო და მხოლოდ შემდეგში, სხვა და სხვა გა-
რემოებით, ამ ერთგვაროვნებისაგან მრავალგვაროვნება წარმოსდგაო.
ყველასათვის ცხადი იყო, თუ სადა სცემდა ამ გვარი სწავლა:
რადგან ადამიანიც ცოცხალი არსებაა, ამიტომ ესეც ცალკედ
კი არაა გაჩენილი ყოვლის შემოქმედ ძალით, არამედ სხვა
ცხოველისაგან უნდა იყოს წარმომდგარი; ცოცხალ ბუნების
მრავალ-გვაროვნებაც ყოვლის შემქნელ ძალის ნაღვაწი-კი არაა,

არამედ თვით ბუნების ნამოქმედარიო. ამ გვარი სწავლა ხომ ძირს უთხრიდა თეოლოგიას და არც ფილოსოფია ეთანხმებდა ამასა, რადგან იმ თავითვე თეოლოგია და ფილოსოფია ერთი მეორის მომხრეა; სახელი სხვა და სხვა აქვს, სახრავი კი ორთავეს ერთი. ახალ სწავლას — ცოცხალ ბუნების წარმოდგმაზე სენტ-ილერი შეყრილ სწავლულთ ისე აცნობდა და უცხადებდა, თითქოს არც-კი ერიდებოდა იმის, რო მათ შორის ასეთი მძლავრი მეცნიერი იჯდა, როგორიც სახელოვანი კუვიე იყო, რომელიც სწორედ ამ ახალი სწავლის მოპირდაპირე იყო და ამტკიცებდა, რო ცოცხალი ბუნების სხვა და სხვა გვარეულობას არა-რა ნათესაობა არა აქვთ ერთმანერთში და სხვა და სხვა დროს არიან ცალ-ცალკედ გაჩენილიო. წარმოსდგა კუვიე და გულ-მოსულად უპასუხა სენტ-ილერს, რო თქვენი სწავლა უსაქმო გონების ფანტაზიებს უფრო წააგავს, ვიდრე ჭეშმარიტ სწავლას და არც ახალი ხილია ამისთანა მეცნიერობა, რადგან ეგევე ძველი დროის არისტოტელსაც წარმოუთქვამსო. ასტყდა მწვავე კამათობა ორ სწავლულთა შორის, რომელმაც კარგა ხანს გასტანა და შიიზიდა მთელი ქვეყნიერების სწავლულთა ყურადღება, რადგან ბრძოლა ჰქონდა მეცნიერების ორ კერძო აზრს კი არა, არამედ მთელი მეცნიერების ერთ უდიდეს სწავლას და ძველ თეოლოგ-ფილოსოფიურ ცრუ-მორწმუნოებას; ძირეული კითხვა იყო გარდასაჭრელი — ცოცხალი ბუნების გაჩენასა და წარმოდგმაზე და ყველა გრძნობდა რა განსაცდელში იყო ორი მე რძოლი სწავლა-შეხედულება. ბრძოლიდამ გამარჯვებული კუვიე გამოვიდა და დამარცხდა ახალი სწავლა ცოცხალ ბუნებაზე — ტრანსფორმიზმი (გადასხვაფერება), მაგრამ არა დიდის ხნით.

ადვილად წარმოსადგენია თუ რა სიხარულში იყვნენ ძველი ცრუ-სწავლის მიმდევარნი და როგორა სჯიდნენ მეცნიერებაზე; ბ ისი საქმეა, — გაიძახოდნენ გამარჯვებულები, — მოვლენისა და თვისების ახსნა შეგნება და არა ბუნების ძირეულ კითხვის გადაჭრაო. ცოცხალ ბუნებაშიც იკვლიოს მხოლოდ

ის, რაც ამ ბუნების რაობა-ვითარებას ეხება, ე. ი. რა და რა ᲯᲘᲨᲘ და გვარეულობაა დედა-მიწაზე, მათი გარჩევა და სხეულთ შენობა-ვითარება; ხელი აიღოს იმის გამოცნობაზე, თუ როგორ გაჩნდა თავდაპირველად დედამიწაზე ცოცხალი ბუნება და როგორ წარმოსდგა მისი ათას-გვაროობა, რადგან ამას საღმთო-წერილი გვიხსნის ძლიერ კარგათ და მხოლოდ ეს უნდა გვწამდეს. ამ გვარად ახალი დამარცხებული სწავლა სწავლულთა უმეტესობამ მიივიწყა და ვერც ერთი მათგანი ველარ ᲰᲑᲔᲓᲐᲕᲓᲐ ამაზე ხელ-მეორედ სიტყვა აღეძრა.

ასე გასტანა 1859 წლამდინ, როდესაც ინგლისში ახალი წიგნი გამოვიდა „ᲯᲘᲨ ᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲛᲐᲖᲔ“, რომლის უცნობ ავტორს ერქვა დარვინი. ახალ სწავლულს 5 წელიწადი ემოგზაურა სხვა და სხვა შორეულ ქვეყნებში, შეესწავლა იქაური მცენარე, ცხოველები და ინგლისს დაბრუნებაზე მრავალი წლების განმავლობაში შინაურ ცხოველთა გაშენებით და ღომა გამოძიებით აუარებელი მასალა შეეგროვებინა კუვიეს-მიერ დამარცხებული სწავლის აღსადგენად. წიგნი ისე გონივრად იყო დაწერილი, ახალი სწავლის დამამტკიცებელი საბუთები ისე უხვად და მოსწრებულად იყვნენ მოყვანილნი, რო მოკლე ხანში ყველა ევროპიელ ენაზე გადაითარგმნა და გაცხარებული კამათობა აშალა მრავალ სწავლულთა შორის. ამ გახურებულ ბრძოლაში დარვინიც ჩაერია; ჩემი წიგნი ახალ სწავლას სავსებით კი არ შეიცავს, არამედ ამ სწავლის წინაა სიტყვაა და მოჰყვა სხვა თხზულებათა გამოქვეყნებას, მათ შორის „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲩᲘᲜᲐᲖᲔᲓᲐᲪ“, რომელშიაც ღრმა სწავლასთან, საბუთების ზღვა იდგა. მოკლე ხანში მხარი მისცა დარვინს სხვა მრავალმა გამოჩენილმა სწავლულმაც. გონების ძველ მიმართულებას ასეთი დამარცხება მხოლოდ ასტრონომიისაგან მოსვლია და სხვა არა რა სწავლისაგან. ცოტა ხნის შემდეგ ახალმა სწავლამ უნივერსიტეტებშიაც მოიკიდა ფეხი, ე. ი. ოფიციალურს სწავლაში. აღარა რის რიდი არა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ქალაქ იენის ᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ სწავლულს ᲰᲔᲙᲙᲔᲚᲡ ამ გვარი სიტყვა

წარმოეთქვა სტუდენტების წინაშე პროფესორის კათედრიდამ: „ძირამდინ რომ ჩავყვეთ ძველ სწავლას, რომელიც ცოცხალ ბუნების ვითარებას და წარმოდგმას რაღაც უცნაურს ძალა-განგებას აწერს, ვნახავთ, რო ამ სწავლას ორ-პირი წარმოდგენა ჰქონია საერთოთ ბუნებაზე, რაიც ეწინააღმდეგება ბუნების ძირეულ ერთ-გვაროობას და კანონიერებასა. ფილოსოფოსები, რომლებიც ამ გვარ სწავლას ადგენან, იძულებულნი არიან იწამონ, ვითომც, ქვეყნიერება ორ სხვა და სხვა ბუნებას წარმოადგენდეს: მკვდარ და ცოცხალსა, რომლებშიაც პირველი ბუნებისავე თვისებით აიხსნება, მეორე კი რაღაცა უცნაური ძალა-განგებითაო“.

მაგრამ ძველი სწავლა-წარმოდგენების მტროობა ამ გამარჯვებითაც არ ასცდა მეცნიერებას. ცოცხალ ბუნების ჯიშ-გვარეულობის წარმოდგმა—მისჩხავლა შავმა ყორანმა,—არც ისეთი ძირეული კითხვაა, რომ მისი გადაჭრა შენც არ შეგ. ძლებოდაო; ძირეული კითხვა ისაა—როგორ გაჩნდა თავდა-პირველად დედა-მიწაზე ის პირველ-ყოფილი ერთ-გვარი ცოცხალი ბუნება, რომელიც შემდეგში თან-და-თან, მრავალ ათას საუკუნეთა დენაში, მრავალ ჯიშ-გვარეულობად გარდასხვაფერდაო?

პირველს წერილში ჩვენ ვსთქვით, რო ტვინი მრავალ მილიონ მარცვლებისაგანაა შემდგარი; იმავ მარცვლიანობას წარმოადგენს ადამიანის მთელი სხეულიც და ყველა ცხოველებისაც, მხოლოდ ეს მარცვლები სხვა და სხვა გვარია; ერთი ჯურის მარცვალი სხვა ჯურის მარცვლისაგან თვისი ფორმით განირჩევა და აგრეთვე იმ მოლეკულების ფორმულითაც, რომლებიც მასშია. მაგრამ რა ჯურის მარცვალიც და მისი მოლეკულები ავიღოთ, ვნახავთ, რო ყველანი მხოლოდ ოთხი ელემენტის ატომებისაგან შესდგებიან: ნახშირმანის, მჟავდანის, წყალდანის და აზოტისაგან; ამ ოთხში მნიშვნელობით პირველობა ნახშირმანისაა; როგორც ადამიანში ძვლები ხორცის აერთებელები არიან (ჩონჩხზეა ხორცი მიკრული), აგრეთვემ

ამ მოლეკულებშიც, ე. ი. ატომთა ჯგუფებში, ნახშირმანის ატომები ამ დანარჩენ ატომებს იკავშირებენ, მაგ., ასე:



ეს ნახშირმანიანი მოლეკულები მხოლოდ ამ ცოცხალ ბუნებაშია და სხვაგან, მკვდარ ბუნებაში, ე. ი. მიწაში, ქვებში, მადნეულობაში და სხვ. არ მოიძებნებიან. საქმე აქ მხოლოდ მოლეკულების შენობაშია და არა თვით ატომებში, რადგან ნახშირმანის, მჟავდანის, წყალდანის და აზოტის ატომები მკვდარს ბუნებაშიაც ურიცხვოთაა; მცენარეებსა და ცხოველებში ეს ატომები განსაკუთრებულ პლანზე არიან შეერთებულები. მაშასადამე, ძირეული რაობა მკვდარი და ცოცხალი ბუნებისა ერთი და იგივეა, ერთი მასალისაა, გარჩევა მხოლოდ შენობაშია. ამ ცოცხალი ბუნების მოლეკულები ხშირად ძლიერ რთულდება; ზოგი-ერთი რამდენიმე ას ატომისაგანაა შემდგარი და ისიც მეტად დახლართულის ფორმით აწყობილი; ამიტომ ადვილად მისახვედრია, რა ძნელი უნდა იყვეს გამოცნობა იმისი, თუ როგორ და რა წესზე არიან მოწყობილ-მორიგებული ეს ატომები ასეთ რთულ მოლეკულაში და მასთან ასეთ უჩინარ რამეში, რომლის რიცხვი, მაგ., ერთს წვეთს სისხლში მრავალ მილიონამდინ ადის. ეს გარემოებაა, რო ასე უძნელებდა ქიმიას ცოცხალი ბუნების მასალის შეგნებას და ბევრიც მტრულად ამბობდა, რო ამ ბუნებაში რამე უცნაური ძალა თუ არა მუშაობს, და არ აწყობს ატომებს სხვა და სხვა პლანზე და ყველა ეს ქიმიურ ძალის მეოხებით ხდება, ე. ი. თავის-თავად, რატომაა, რო ქიმია ამ მოლეკულებს ვერა ჰქმნის თავის ლაბორატორიაშიო? ბოლოს ეს გაჭირებაც აიცდინა მეცნიერებამ და ახლა ცოცხალ ბუნების ზოგი-ერთ მოლეკულას ქიმიკოსიც აჩენს მკვდარი ბუნების მასალისაგან.

ყოველი ორგანიზმი, მცენარე თუ ცხოველი, როგორც უკვე ვსთქვით, მარცვლებისაგან შესდგება; ორგანიზმი ამ მარცვლების კოლონიას წარმოადგენს. სახელმწიფო კაცთაგან შესდგება, რომლებიც სხვა და სხვა ხელობის არიან: მიწადმომქმედი, ვაჭარი, ხელოსანი, მოელე, ჯარის კაცი და მთავრობა, ორგანიზმშიც სხვა და სხვა ჯურის მარცვლებს სხვა და სხვა სამსახური თუ ხელობა აქვთ აჩენილი. ამ კოლონია-ორგანიზმის გარდა ბევრი ისეთი მცენარე და ცხოველია, რო მხოლოდ ერთი მარცვლისაგანაა შემდგარი, ერთად-ერთი მარცვალია, ცალკე და თავისუფლად სცხოვრობს, ხშირად დამპალ წყალში, ამიტომ მათი ხილვა პატარაობის გამოთ მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება. ზოგი მცენარე და ცხოველიცაა, რო მარცვალს კი არ წარმოადგენს, არამედ მოლეკულების უფორმო ხროვას, — პროტოპლაზმასა; მაშასადამე, ერთ-მარცვლიან ცხოველსა და მცენარეში ამ პროტოპლაზმის ფორმა აქვს მიღებული, მარცვლად შემდგარი, დიდი ორგანიზმები კი ამ მარცვლებისაგან შემდგარ სახელმწიფოს წარმოადგენენ, რომელშიაც სხვა და სხვა ჯურის მარცვალს სხვა და სხვა სამსახური აუჩენია. მაშასადამე, ძირეულად ცოცხალი ბუნების მასალა ყველგან ერთ-გვარია — პროტოპლაზმა; ესაა დასაწყისი ცოცხალი ბუნებისა.

ცოცხალ ბუნებაზე სწავლა-ბიოლოგია, სამი კითხვის ძიებაშია: რაში გამოიხატება ცოცხალი ბუნების რაობა-ვითარება? როგორ წარმოსდგა მისი მრავალი ჯიშ-გვარეულობა პირველ-ყოფილ ერთ-გვარ პროტოპლაზმისაგან? როგორ გაჩნდა პირველად ეს პროტოპლაზმა დედა-მიწაზე? ეს სამივე კითხვა სადავო საგნად შეიქმნა მეცნიერებისა და ძველი ცოდნა სწავლისათვის და ახლაც არ დამცხრალა ეს ბრძოლა. ცოცხალი ბუნების რაობა-ვითარების კვლევა-ძიებამ აღმოაჩინა, რო ძირეულად მისი მასალა მკვდარი ბუნებისაგან არაფერით არ განირჩევა: ერთშიც და მეორეშიც იგივე ქიმიური ატომებია; გარჩევა მხოლოდ ზეზეურია: ცოცხალში სხვა პლანზე შეერ-

თებულან. ვითარებაც ორივეშივე ძირეულად ერთია: ატომ-მოლეკულების მოძრაობას ნიშნავს; ყოველისფერი, რაც რამ ხდება ორგანიზმში, მატერიისავე თვისებით აიხსნება. ამაზე ფილოსოფია შეეჭრძოლა მეცნიერებას: მაშ გონება რაღაა? ესეც მატერიის თვისება ხომ არაა? ამაზე ჩვენ ორიოდე სიტყვა პირველ წერილში ვსთქვით. მეორე კითხვის (ჯიშ-გვარეულობის წარმოდგმაზე) გადაჭრით ხომ, ვნახეთ, როგორ გაიმარჯვა დარვინის თეორიამ, თუმცა შემდეგში აღმოჩნდა, რო ამ სწავლასაც ესაჭიროება ზოგი-რამ მცირე შესწორება. მესამე კითხვის, პირველ-ყოფილ პროტოპლაზმის და პირველ ორგანიზმების გაჩენის თაობაზედაც, ძლიერ ხშირია ახლაც მწვავე კამათობა. ცხადი კია ყველასათვის, რო ქიმია ადრე თუ გვიან მიუხვდება იმ წესს, რა წესითაც მკვდარი მასალა პროტოპლაზმად იცვლება, ე. ი. რა წესზე უნდა მოხდეს ატომების თან-და-თანი შეერთება, რომ ასეთ თუ ისეთ პლანზე აწყობილი პროტოპლაზმის მოლეკულა შესდგეს. ორი გარემოებაა, რო ხელს უშლის ამის გამოცნობას: ჯერ კარგათ არ იციან, რა ყოფაში იყო ჰაერი და დედამიწის ზურგი იმ დროს, როდესაც ბუნებისავე მასალისაგან როგორღაც პროტოპლაზმა წარმოსდგა პირველად; არც ქიმიაა საკმაოდ ჩაღრმავებული ცოცხალი ბუნების მოლეკულათა გამოცნობაში, რომლებიც, როგორც ვსთქვით, ძლიერ რთული შენობის არიან. მოცდაა საჭირო; ერთი და ორი მეცნიერი არაა, რო ახლაც ამის კვლევა-ძიებაშია და ყველა დარწმუნებულია, რო ქიმიკოსიც შეჰქმნის თვის ლაბორატორიაში იმას, რაც ბუნებას თავის-თავად გაუჩენია როდესღაც ქიმიურ ელემენტების ნახშირმანის, მჟავდანის, წყალდანის და აზოტის ერთად რაღაცა პლანზე შეერთებით, რადგან „არა ვითარი ძირეული განსხვავება მკვდარსა და ცოცხალ ბუნებაში, არც არა საზღვარი ორთა შორის არაა დაწესებული.—ორშივე ერთ-გვარი ქიმიური ელემენტებია, რომლებიც ერთ ღა იმავ კანონებს ექვემდებარებიან. ცოცხალი ბუნების მასალა მკვდარისაგან წარმოსდგება და ისევ თვის საერთო დედას—დედა-მიწას უბრუნდება, მიწად იქცევა;

გარჩევა მხოლოდ ისაა, რომ ცოცხალ ბუნებაში მასალა უფრო რთულია და მალე იშლება“ *).

ასეთი დასასრული ეძლევა ამ ძირეულს და ვითომც მეცნიერებისათვის გარდაუჭრელ კითხვას ცოცხალ ბუნებაზე. ბევრ სხვა კითხვასაც, რომელიც ამ 40—60 წლის წინ გაუგებარ კლდე-ხევად უხვდებოდა აქა-იქ მეცნიერებას, ეგივე ბოლო მოეღო და ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ ის ორიოდე კითხვაც, რომელიც ზოგთათვის წყვდიადით მოცული და მიუგნებელი ამოცანაა, ადრე თუ გვიან ყველასათვის ნათლად გარდაიჭრება.

შოვიგონოთ ახლა საშუალო საუკუნეები, როდესაც ყველაფერი ძლიერებული თეოლოგია ასე მკაცრად სდევნიდა ყველას, ვინც-კი მისი წინააღმდეგი სწავლის დადგენას ჰბედავდა. გალილეი აწვალეს, იმიტომ, რომ ამტკიცებდა მიწა უვლის მზეს გარშემო და არა მზე მიწასა; ჯიორდანო ბრუნო, რომელიც ხან-მოჭმულ სწავლას უარ-ჰყოფდა, მეიდანზე დასწვეს დიდის წყევლით და ამბით; ბევრ სხვა სწავლულსაც შავი დღე გაუთენა ძლევა-მოსილმა თეოლოგიამ. შევადაროთ ეს ძველი დრო ჩვენს საუკუნეს, — განსხვავება დიდია და ნათლად მოწმობს მეცნიერული მეთოდის სიძლიერეს. ოფიციალური სწავლა, ათას-გვარი სამეცნიერო დაწესებულება, მრავალი პერიოდული გამოცემა, სწავლულთა სიმრავლე, — ყველა ეს მეცნიერების მიმდევარია დასავლეთ ევროპაში და მხოლოდ მისი სწამს. სამეცნიერო ლიტერატურის სიმდიდრეს ვინ ლა მოსთვლის. აღარაა ის ძლევა-მოსილი თეოლოგია და, დაუძლურებულმა მრავალჯერ დამარცხებით, ყველგან დაუთმო ადგილი მეცნიერებასა: ბუნების მოვლენათა ახსნაში, სამყაროს შენობის და მის ძირეულ რეალურ-ვითარების გამოკვლევაში, დედა-მიწის გა-

*) Letourneau — Biologie.

ჩენის, მის წარსულის, აწმყო და მომავლის გარკვევაში, ცოცხალი ბუნების წარმოდგმა და მისი რაობის შეგნებაში, სიზრმით გაჩნდა ცრუ-მორწმუნეობა და სიზმარსავითვე ფუჭი გამოდგა; სიზრმის ნახვით პირველ-ყოფილ ადამიანმა სული მოიგონა, თავის-თავი გაასულიერა; შემდეგ, გონების განუვითარებლობით ბუნება თავის-თავს მიამსგავსა, ბუნებაც გაასულიერა; ასე წარმოსდგა ანიმიზმი, პირველი ფეხის გადადგმა ადამიანის გონებისა ბუნების ახსნაში; ანიმიზმი, პოლიტეიზმი და მონოტეიზმი, (ბუნების გასულიერება, მრავალ-ღმერთობა და ერთ-ღმერთობა) ასეთია ის სამი, ერთი-მეორის შიმყოლი კვალი, რომელიც გაუვლია ადამიანის გონებას თეოლოგიურ ხანაში. თეოლოგიას ფილოსოფია მოჰყვა, გონება დროთა სვლაში განვითარებულა, მეტი მრაზრობა დაუწყია და აღარ უკმარია თეოლოგიის დაუმტკიცებელი, დოგმატიური ძწავლა ქვეყნიერებაზე და მოუთხოვნია, რომ ეს სწავლა ჭკვა და გონების შესაფერიც ყოფილიყო, რადგან სარწმუნო მხოლოდ ისაა, რაც ჭკვასთან ეხლოაო. მაგრამ ძველ ცრუ-მორწმუნეობას, რომელიც გამჯდარი იყო ადამიანის გონებაში მრავალ საუკუნეთა დენაში, ისევ თავისი გაუტანია და ჭკვა თვის მოყმედ გაუხდია, ასეთია ფილოსოფია. ერთი და ორი ფილოსოფოსი არ გამოჩენილა ევროპაში და ყოველს მათგანს მხოლოდ ძველი ცრუ-მორწმუნეობის ძირეული ნაშთის გამართლება ჰქონია აზრად. განგება, ყოვლის შემოქმედი ძალა, სამყაროს რაღაც გონება, სამყაროს „ნება“; — ყველა ეს ერთი და იგივეა, ცრუ-მორწმუნეობა ან ცრუ-მორწმუნეობის ნაშთი. არ შეიძლებოდა ამ სწავლასაც ეჭვი არ მიჰკარებოდა, რადგან თვით ფილოსოფიაში მრავალ-გვარი მიმართულება იყო, ხშირად ერთი-მეორის წინააღმდეგი, და ბევრგან თვისი ორ-პირობით ბუნებისა და ქვეყნიერების შეუსაბამოც. ფილოსოფიაც უარ-ყოფილ იქმნა და გონება მეცნიერულ სწავლას მიეცა, რომელიც ბურების ხანგრძლივ კვლევა-ძიების შემდეგ, მხოლოდ ჩვენს დროში გაძლიერდა. მაგრამ ადამიანის გონების

ძველი მიდრეკილება ასე ადვილად ადგილს ვერ უთმობს ახალსა და ამიტომაა, რო ახლაც ზოგ სწავლულს შეხვდები აქაიქ, რო მეცნიერებას მთლად არ ენდობა და ჰგონია, რო ეს სწავლა უფილოსოფიოთ „ძირეულ კითხვების“ გარდაჭრას ვერ შესძლებს, ამიტომ ერთი-მეორეს უნდა შევათანხმოთ და მოვარიგოთო; მაგრამ, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ვერვინ იტყვის გარკვევით, ფაგვარად უნდა მოხერხდეს ეს მორიგება. მგელმა თხას რომ უთხრას დავძმობილდეთო, თხას მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეუძლიან ამაზე: ძლიერ კარგი, მხოლოდ ჩემსავით ძოვნას შეეჩვიე და ხორცის ჭამას სამუდამოდ თავი დაანებეო. ფილოსოფია და მეცნიერების დაძმობილებაც მხოლოდ ერთის პირობით შეიძლება: მეცნიერების მეთოდი უნდა შეითვისოს ფილოსოფიამ—ბუნების კვლევა-ძიება და უარჰყოს თვისი უსაგნო მოაზრობა სამყაროს შეგნებაში; ამას კი ფილოსოფია ვერ იზამს, რადგან მეცნიერების მეთოდი რომ შეითვისოს მეცნიერებად შეიცვლება და ეს ხომ თავისი თავის უარ-ყოფლობა იქნება. მეთოდის შეუცვლელად-კი მათი მორიგება ყოვლად წარმოუდგენელია; ან სად გაგონილა „თხა და მგელი ერთად სძოვდეს!“.

ბევრი რამ აქვს კიდევ გამოსაცნობი და გამოსაკვლევი მეცნიერებას; ერთი და ორი კითხვა არაა, რო გაცხარებულ კამათობას შლის ხოლმე სწავლულთა შორის, მაგრამ ის, რაც აქამდინ ახსნა და შეიგნო მან, საუკეთესო თავდებია მისი, რომ მეცნიერებას წინ ვერაფერი დაუდგება სამუდამოთ: მერმისი მხოლოდ მისია. მატერიის ერთ-გვაროობა მთელს სამყაროში, ატომების თეორია, ელემენტების ქიმიურ შეერთებით წარმომდგარი საგანთა ათას-გვაროობა, მატერიის და ეთერის მოძრაობით ძალების ახსნა და მათი გარდაქმნა ერთმანერთში, სიცოცხლის რაობა-ვითარების ახსნა მატერიისავე თვისებით, ტრანსფორმიზმი ცოცხალ ბუნებაში და ევოლიუცია მთელს სამყაროში,—ასეთია თავი და თავი სწავლა სამყაროს რაობა-ვითარებაზე იმ დიდებულ ტაძარში, რომელსაც მეცნიერება ჰქვიან,

და რომელსაც დედა-ბოძად ოთხი ძირეული ცნება აქვს დადგენილი: 1) მოვლენათა მეხანიკური ბუნება, 2) მატერიის ინერცია, 3) მატერიის და ენერგიის გაუქრობლობა და 4) ეთერის არსებობა.

ალ. კვერკველაძე.

ფონოგრაფი

და

მისი გამოყენება ;ტნოგრაფიისთვის.

დიდებულ ედისონის-მიერ გამოგონილ მანქანებს ეკუთ-ნის ერთი საყურადღებო მანქანაც — ფონოგრაფი (ბერძნული-სიტყვაა: ფონეზმა და გრაფს—ვსწერ) ანუ ხმის ჩამწერი მან-ქანა. ცვილისაგან გაკეთებულ მტკაველის სიგრძე ცილინ-დრებზე ამ მანქანის საშუალებით იწერება ყოველ-გვარი ხმა როგორც სულიერ არსებისა, ისე უსულო საგნებისა, მაგალი-თად: ადამიანის ლაპარაკი, სიმღერა, ტირილი, სიცილი, სტვენა, საკრავების ხმა, მანქანების სტვენა, ბრახუნი და სხ. ეს მან-ქანა წარმოგვიდგენს თავისებურს ქაღალდს, რომელზედაც გადაგვყავს ჩვენი აზრი, განსხვავება მხოლოდ ის გახლავსთ, რომ ქაღალდზე მელნისა და კალმის საშუალებით გამოვხა-ტავთ ჩვენს ნაფიქრს, ფონოგრაფში კი უნდა ხმამაღლა ჩავ-სძახოთ, რის აღბეჭდვაც გვნებავს. შეგვიძლია შევადარეთ აგრეთვე ფოტოგრაფსაც. ფოტოგრაფის საშუალებით გადაღე-ბული ჩვენი სახე შეგვიძლია ცხრამთას იქით გავუგზავნოთ თუნდა უცნობსაც, რომ ამ უცნობს შეეძლოს ჩვენს უნახავად წარმოიდგინოს, თუ რა სახისა ვართ. აქამდე შორიდან მარტო ჩვენის სახის დანახვა შეიძლებოდა, ახლა კი ფონოგრაფის სა-შუალებით გვიადვილდება ჩვენგან დიდის მანძილით დაშორე-ბულ ჩვენს მოკეთეს ჩვენი ხმაც გავაგონოთ და ვაამოთ. მერე რა იყოფად! ფონოგრაფის ცილინდრზე ჩავსწერავთ, რაც გვი-ნდა (თუნდა მოკითხვას და ნახვის ნატვრას), ჩვენს ნებაზე ვაფსწერთ და დავსწერთ ხმას, თითქო ჩვენს წინ მდგომ ადამი

ანს ველაპარაკებოდეთ, თუ მოგვეგუნე'ება, გავიცინებთ, ორიოდ საოხუნჯო რასმე ჩავურთავთ, მერე ამ ცილინდრს ფრთხილად გავახვევთ და ფოსტის მოხელეს ჩავაბარებთ—გეთაყვა, ეს ცილინდრი მავან ალაგას გამოგზავნეთ. რა თქმა უნდა,—თქვენს ნაცნობსაც უნდა ჰქონდეს მანქანა. ჩასდებს თქვენს გამოგზავნილს ცილინდრს, დაატრიალებს და ააჩიკჩიკებს. თან წინ, თუ ენებება, თქვენს სურათსაც დაიდგამს, რომ ილუზია მეტი იყოს და უფრო ადვილად წარმოიდგინოს თავისი ძვირფასი ბოსაუბრე... ოლონდაც რომ სასიამო წუთებს გამოსცდისს..

მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი მიწერ-მოწერა ჯერ-ჯერობით ძვირადა ჯდება და მხოლოდ შეძლებულთათვის თუ არის ხელმისაწდომი. ვაჭრობაში, მეტადრე ტკანასკნელ ხანში, გავრცელდა ცილინდრები, რომლებზედაც დაწერილია საუკეთესო მომღერალთა ნამღერალი ხმები, პირველ ხარისხოვან მსახიობთა მონოლოგები, ოპერების ნაწყვეტები, ორკესტრის ხმა და მ. სხ. თუ მანქანა გაქვსთ, შეგიძლიანთ შეიძინოთ ასეთნაირად დაწერილი ცილინდრი თითო ხუთ-ექვს შაურად და თქვენს ოთახში სტუმრები დაატკბოთ სხვა და სხვა საუკეთესო სიმღერის სმენით. გარდა ამისა, ზოგიერთებმა ხელობად გაიხადეს ქალაქ-ქალაქ ატარონ ფონოგრაფი ცილინდრებით და მსურველთ შაურად მოასმენინონ ესა თუ ის ხმა.

ეს ეს ხასიათი ჰქონდა ფონოგრაფს დღემდე, ასეთნაირად იყენებდნენ ამ ყოვლის მხრივ შესანიშნავ გამოგონებას ედისონისას. ხოლო ეს რამდენიმე წელიწადია, სცდილობენ ამ მანქანას მეცნიერებისათვისაც გააწევინონ სამსახური. ჰფიქრობენ, რომ ექიმობისათვის ფასდაუდებელი იქნება ფონოგრაფი. რადგან სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან გამოწვეული სხვა-და-სხვა ხმა ხველებისაგ სულთქმისა, ვნესა-კივილისა—ნიშანდობლივი ამა თუ ამ სენისათვის, ამ ნარალზე უკეთესად არავის შეუძლია აღნიშნოს და დაიცვას სამუდამოდ სახელმძღვანე-

ლოდ. ამავე იარაღის საშუალებით შეიძლება აღიბეჭდოს განვითარება ხმისა და ბგერათა ადამიანის ამა თუ იმ ასაკში, ცვლილება მისი ადამიანის სხვა და სხვა გვარ სულიერ მდგომარეობის დროს: აღელვებისა, მწუხარებისა ან მხიარულების ხანში და სხ. და სხ.

დიადი იქმნება სამსახური, რომელსაც ფონოგრაფის მანქანა გაუწევს ლინგვისტიკას, უცხო ენათა შესწავლა-გამოკვლევის საქმეს. ამა თუ იმ ენის ანბანის საშუალებით უმეტეს შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია გამოიხატოს სისწორით ხმები რომელისამე სხვა ენისა, შეიგნოს კაცმა ზედმიწევნით და სისრულით ამ ენის ხასიათის ნიშანდობლივი თვისება. ჯერ ხანად ძალაუნებურად მოწამენი ვართ იმ მოვლენისა, თუ როგორ მახინჯდება ესა თუ ის ენა, მისი ფონეტიკა, როცა ვცდილობს ამ ენის ანბანი სხვა ენის ანბანის საშუალებით გამოვხატოთ. გარდა იმისა, რომ ენას ვამახინჯებთ, ჩვენი ცდა ხშირად სასაცილოცა ჯდება. მაშასადამე, ფონოგრაფი, რომელსაც შეუძლია აღბეჭდვა ყოველგვარის ხმისა, შეიქნება თავისებური ანბანი ამა თუ იმ უცხო ენისა, ანბანი სწორი, ტყუილი და, მაშასადამე, სასურველი. ლინგვისტიკასთან ხომ ფოლკლორი ანუ ზეპირსიტყვაობაც არის მჭიდროდ დაკავშირებული. ეროსაც და მეორესაც საიმედო მხატვარი და გამომთქმელი უჩნდება.

ფონოგრაფის მეცნიერულად გამოყენება ევროპაში სულ რამდენიმე წელიწადია რაც დაიწყეს. 1899 წ. ვენის სამეცნიერო აკადემიამ გადასწყვიტა დაეარსებინა აკადემიასთან ეგრეთწოდებული ფონოგრაფიული არქივი. სადაც თავმოყრილია ყოველივე მასალა ფონოგრაფის შემწეობით შევსებული. ამასვე შეუდგნენ ინგლისშიაც. პარიზში ამ საქმის მეთაურობა იკისრა 1900 წელს აქაურმა საანტროპოლოგიო საზოგადოებამ. ამ საზოგადოების წევრმა ლ-რმა აზულემ საზოგადოების კრებას წინადადება მისცა ფონოგრაფი შეეძინათ, მსოფლიო გამოფენის დროს პარიზში უცხოქვეყნელების ჩამოსვლით ესარგებ-

ლნათ და მასალა შეეკრიბათ. მართლაც, გამოფენის დროს აუარებელ მასალას მოეყარა თავი, რადგან ხალხი ჩამოსული იყო როგორც ევროპის ყველა სახელმწიფოებიდან, ისე მათს კოლონიებიდან. ამ მასალას საანტროპოლოგიო საზოგადოებაში ცალკე განყოფილება უჭირავს, ფონოგრაფიულ მუზეუმად წოდებული.

უცხოეთის მაგალითი, არც ჩვენშიც დარჩა მიუბაძველად. შარშან ზაფხულს ორი ფონოგრაფისტი მუშაობდა საქართველოში: ერთი (ბ-ნი ფალიაშვილი) «ქართველთა შორის წერვ-კ. საზოგ.» მინდობილობით და საფასით, ხოლო მეორე—(ბატ. არაყიშვილი) თავისის ხარჯით, რამდენადაც ვიცით, ჯერ-ჯეროობით. ხალხო სიმღერების შევსებას ჰქონდა ყურადღება მიქცეული. ხალხო სიმღერები კი, როგორც ვიცით, ერთი დარგია ხალხის გონებრივის ცხოვრებისა და მისის განვითარებისა. ვინ ამბობს, ჯერ-ჯეროობით, ჩვენის უსახსრობის ამბავი რომ მოგეხსენებათ, ჩვენგან ეგეც ბევრია. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამაზე არ შევჩერდებით და თავს მოვუყრით სხვა მასალებსაც, როგორც, მაგ., მეგრულის (ლაზურის), სვანურის, ინგილოურის და სხ. კილოკავების გადაღებას, ზეპირ-სიტყვობას და მ. ს. უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება გამოუკვლევი არ დაგვრჩეს არც ერთი კუთხე ჩვენის სამშობლოსი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენსავით გულმტკივნეულად და ადვილად (ადგილობრივი პირობები) ჩვენს ქვეყანას სხვა ვერავინ გამოიკვლევს. მერე თუ შეძლებანებას მოგვცემს, შეგვიძლია (და საჭიროც არის) კავკასიის სხვა ერებშიაც გადავიტანოთ მუშაობის ასპარეზი.

ფონოგრაფის საშუალებით მუშაობა და კარგის ღირსების მასალის შეკრება არც თუ სულ ადვილი საქმეა. უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრი დარკოლება—მოსალოდნელი თუ მოულოდნელი—გადაეღობება წინა ჩვენს განზრახვას და ასე თუ ისე ხელს შეგვშლის. და რადგან ეს საქმე ჩვენში ახალია, რადგან გამოცდილება იმდენი არა გვიქვს, საჭიროა სხვების

გამოცდილებით ვისარგებლოთ და ამრიგად უფრო ნაყოფიერ გყოთ ჩვენი შრომა, დაბრკოლებას იმიტომ ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში ინტელიგენციასთან, ე. ი. საზოგადოებისა-ნაწილთან, რომელსაც ესმის ჩვენის შრომის აზრი ან ადვილად გავაგებინებთ ჩვენს განზრახვას, საქმე იშვიათად გვექნება. უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ფონოგრაფი უნდა ვატაროთ მივარდნილ ადგილებში, ცენტრებს მოშორებით, იქ, სადაც ჩვენთვის საჭირო მასალა ჭირვანდელის სიწმინდით არის დაცული; ტრიალი მოგვინდება მდაბიოთა შორის, რომელთაც თქვენის მანქანის ნალაპარაკევი შეიძლება ეშმაკის ენად მოეჩვენოსთ და დაფრთხნენ, ან და თქვენ მოცლილ კაცად მიგიჩნიოსთ და არავითარი თანაგრძნობა და დახმარება არ აღმოგიჩინოსთ.

ჯერ დავიწყოთ იქიდან, რომ ფონოგრაფში ესა თუ ის მასალა უნდა ჩაიწეროს ოთახში ან სახლში, ყოველგვარ ხმაურობას მოშორებით. სოფელს თუ გნებავსთ ვააგებინოთ, რაც გინდათ მისგან, სიტყვიერ ახსნის შემდეგ, თქვენ თვითონ ჩაამღერეთ ან ჩაილაპარაკეთ ფონოგრაფში და მერე ქვენი ნალაპარაკევი ანუ ნამღერევი მასაც გააგონეთ და აუხსენით, რომ მისი ნალაპარაკევიც ასეთი გამოვა. როცა მისის ნათქვამის ჩაწერას მოახერხებთ და მერე მასვე მოასმენინებთ, რა თქმა უნდა, ეამება, ამით წახალისდება და ეცდება სხვა რამეც ჩაგაწერინოსთ. როცა ზღაპრისა ან რამე სცენის ანაკიდევ სიმღერის ჩაწერას მოისურვებთ, საჭიროველია ჯერ ათქმევინოთ, რომ იცოდეთ წინდაწინ, რა ხმით დააწყებინოთ ან ცილინდრი დაიტევს ყველაფერს თუ არა? არ უნდა იქმნეს დავიწყებული ჩვენებურის ზარის, მოთქმით ტირილის, ჩამოლოცვის და სხ. ხმა, როგორც დამახასიათებელი ჩვენის ხალხის ცხოვრებისა. ამ შემთხვევაში ერთი დაბრკოლება გადაგელობებათ წინ, რომლის ძლევა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გამოცდილი მოლაპარაკე ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, „მოქარგულის ენისა“ პატრონი და გულმოდგინე ფო-

ნოგრაფისტი ხართ. საქმე ის გახლავსთ, რომ საეგრელოს სამურზაყანოში (სვანეთშიაც ასე იქნება) ქალი, თუ სატირელი არაფერი აქვს, სახლში მოთქმით არ იტირებს, მათში ცრუმორწმუნეობაა: უმიზეზოდ ტირილი არ ვარგა, ვინმე მოგვიკვდება და სატირელი გვექნებაო. ზარის შესახებაც ამავე უარს იტყვიან კაცები, ეს ამ შემთხვევისათვის დიდი რასტატობაა საჭირო, რომ ამდენის საუკუნოებით შესისხლხორცებული რწმენის უსაფუძვლობა აუხსნათ. ფონოგრაფისტმა არ უნდა დაივიწყოს აგრეთვე ჩვენებურ საკრავების: დაირის, ჩონგურის, ჭიმონის (აჭარაში), სტვირის, სოიანარის (ლორჭემი საეგრელოში) და სხ. ხმების ჩაწერაც.

ერთი რჩევაც სასურველია ფონოგრაფთან ერთად ფოტოგრაფიული იარაღიც გქონდეთ, რომ ხმის სურათთან ერთად სახის სურათიც გადაიღოთ იმ ადამიანისა, რომელსაც ფონოგრაფში ჩააწერინებთ რასმე. რო დაჰპირდეთ, ერთს სურათს მოგცემო, ალბა გვგონია, სიამოვნებით არ დადგეს ფოტოგრაფის წინ. გადიღებთ აგრეთვე სურათს სჯიბავისას. ყველა ამისათვის საუკეთესო შემთხვევა იქნება დღეობა, ტირილი, ქორწილი, ბაზრობა და მ. სხ. შეკრებულება.

ქვე შევნიშნავთ, რომ ფონოგრაფის ცილინდრები სამთლისაა, რომელზედაც ადვილად მოქმედებს სიცხე-სიცივე. სანამ ვიხმარდეთ, სამი თვე ისე უნდა დავაკადოთ და მხოლოდ მერე ვსაკადოთ მისი სიკვეთე.

დაგვრჩა ბოლოს დავურთოთ ნიმუში კითხვათა ფურცლისა, რომელსაც შესაფერი პასუხები უნდა ჩაერთოს და რომელიც შეიძლება შევსებულ რეპნას ადგილობრივ პირობებსა გავლენით რაიმე ახალ კითხვებით.

ფონოგრაფით ხმების ჩაწერის საქმე ჩვენში ჩვენმა საპატიო დაწესებულებამ „წერა-კით. გამავრცელ. საზოგადოებამ“ ითავა. იმედი გვაქვს იგივე საზოგადოება განაგრძობს ღირსეულად ამ საშვილი-შვილო საქმეს და იგივე იკისრებს ეროვნ. პირებისაგან შეგროვილი მასალა თავის საფარველ ქვეშ მიი-

ლოს. ამ კითხვათა ფურცლებზედ დიალაც შესაფერი იქნება მისი, როგორც ერთად-ერთ ჩვენებურ სამეცნიერო დაწესებულების, სახელი იყოს დაბეჭდილი. ეს გარემოება უფრო იმით იქნება სასარგო, რომ ჩვენს პროვინციებში მყოფნი გულშემატკივარნი ჩვენის ერის ყოველმხრივის შესწავლის საქმისა. ზნეობრივად ვალდებულად ჩასთვლიან შეძლებისა და კვალად დახმარება აღმოუჩინონ „საზოგადოების“ წარმომადგენელს, მათ შორის სამუშაოდ მოსულს.

აი ეს ნიმუშიცა:

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ფონოგრაფიული მუზეუმი.

ფონოგრაფი №.

1)—ენა

— კილოკავი

— გეოგრაფიული სახელწოდება იმ ადგილისა, სადაც ჩაიწერა.

— რა არის ჩაწერილი (ცალკე ფრაზები, ბაასი, სცენა წიგნიდან წაკითხული).

2) **სიმღერა** (რა ხასიათისა: სატირალი, საქორწილო, მუშაობისა, საარშიყო, სამგზავრო თუ სხვა).

3) **საკრავის ხმა** (ერთისა თუ რამდენისამე ერთად, სიმიანი საკრავი თუ საბერველი, სახელწოდება).

4) სახელი და გვარი ფონოგრაფზე გადაღებულ ადამიანისა, სქესი, წლოვანება, საღ დაიბადა, საღ დაიბადნენ მისნი მშობელნი (დედ-მამა) და საღ სცხოვრობდნენ, ხელობა.

5)— საღ ჩაიწერა.

— როდის ჩაიწერა.

6)— ამ ფურცელზე მიკერებული ტექსტი დაბეჭდილია თუ ხელნაწერი.

7)— ფონოგრაფზე გადაღებული ადამიანის ფოტოგრაფიის სურათი.

8)— ჩამწერის სახელი და გვარი.

— ხელობა.

ამ გვარად შეკრებილი მასალა რიგზე რომ დაიწყება, „საზოგადოების“, თუ ინებებს, შეუძლია მიწერ-მოწერა გამართოს სხვა-და-სხვა საზოგადოებებთან, რომელთაც ფონოგრაფიული მუზეუმები უკვე დაიარსეს და სთხოვოს ფონოგრაფიულ მასალის გაცვლა-გამოცვლა (ფონოგრაფის ცილინდრების გაგზავნ-გამოგზავნით), რაზედაც ყველანი დიდის სიამოვნებით დასთანხმდებიან. და ამ სახით გაადვილდება ამა თუ იმ ხალხის ეტნოგრაფიულად თუ ლინგვისტიურად შესწავლა-გაცობა.

თ. სახოკია.

სოფელი მეტეხი და მისი ნაშთი.

თბილისიდამ გორისაკენ ორმ წაბრძანდეთ რკინის გზით, გაივლით კასპის სადგურს თუ არა, თქვენს ყურადღებას ძალაუნებურად მიიზიდავს მტკვრის მაღალ მარჯვენა კიდით მშვენივრად ამართული დიდი, გუმბათიანი ტაძარი, გარ-შემორტყმული ბაღ-მინდვრებიანი კოპწია სოფლით. აი ეს სოფელი და ტაძარი გახლავს **მეტეხი**, რომლის აღშენებას ბატონიშვილი ვახუშტი მიაწერს ვახტანგ გორგასლანს, როცა ამბობს:

„აქა, მტკვრის კიდეს, არს მონასტერი ყოვლად წმიდისა, გუნბათიანი, დიდი, **მეტეხი**, კეთილ-შენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო“.

სოფელი მეტეხი საკმაო მოზრდილი სოფელია და გაშენებულია, როგორც ვსთქვით, მტკვრის მარჯვენა მაღალ კიდით, უხვად არის შემკული ბაღ-ვენახით, მშვენივრად შემუშავებული სახნავებით, სარწყავი წყლით და წყაროებით. აქვს სასოფლო-სკოლა, მოზრდილის ხეხილის ბაღით და ბოსტნით, რომლის მოსავლელად სკოლას ჰყავს განსაკუთრებული მებაღე, ჰყავს მასწავლებელი, ორი მღვდელი და სხვ.

თუ საიდამ და როგორ წარმოსდგა ამ სოფლის და ტაძრის სახელი „მეტეხი“, ამას ჩვენი შეისტორიენი და ხალხის გადმოცემა სხვა და სხვანაირად გვიხსნიან. ხალხი, მაგ. ამბობს:

„როცა გორგასალი ჯერ კიდევ პატარა ყოფილა, ქართლს დასცემია ბაყათარ ოსი, მოუტაცნია ვახტანგის და და ხარჭად წაუყვანიაო. ამ ამბავს ვახტანგს დედა არ უმხელდა დროშდინ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ყველაფერი გამოაშკარავაო. ერთხელ ვახტანგი თამაშობდა ტოლებში და რაღაც მიზეზის გამო ერთს ძოთამა მეთაგანს სილა გაუწნა. გულ-მოსულმა

გალახულმა უთხრა: „აქ რას იკრივები, თუ ყოჩაღი ხარ, წადი. შენი და დაიხსენ ოს ბაყათარისგან, რომელსაც ის ხარჭად უჩისო“. ეს სიტყვები, ისე სწყენია ვახტანგს, რომ მაშინვე წამოსულა შინ, მისულა დედასთან, თავი კალთაში ჩაუდვია და უთხოვნია: „ძუძუ მომეცი, დედი, უნდა უკანასკნელად მოვწოვო და სიჭაბუკეს გამოვეთხოვოო“. დედას მიუცია. ვახტანგს კბილები მოუჭერია ძუძუსთვის და თან უთქვამს: „მითხარი სად არის ჩემი და, თორემ ძუძუს მოგაკვნეტამო!“ დედა ჯერ უარზე მდგარა, მაგრამ ვახტანგი რო არ მოჰშვებია, ყველაფერი დაწვრილებით უამბნია და ბოლოს უთქვამს: „ამ ამბავს, შვილო, აქამდისინ გიმალავდი და ახლა, როცა გატყობ, რომ დავაჟკაცდი, შენ იცი როგორ უშველი დას და ქართლსაო“.

ვახტანგი ამის შემდგომ ბევრითად შესდგომია მზადებას, ჯარის მოგროვებას და სხვათა შორის დისათვისაც მიუწერია საიდუმლო წერილი თავისს გნძრახვაზე. დას პასუხად მოუწერია: „ბაყათარი, ძმაო, გოლიათი კაცია. მას ბევრი ფალავანი გამოუსარჩენია ამ წუთისოფლისათვის და უშჯობესია შენს გნძრახვას თავი დანებოვო. მაგრამ, თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია, გატყობინებ, რომ ბაყათარის მოკვლა მარტო იღლიაშე დაჭრით შეიძლებაო, რადგან ეს მუდამ ჯაჭვ-აბჯრით ჩაცმული დადისო.

ვახტანგმა მოამზადა ჯარი თუ არა, კაცი გაუგზავნა ბაყათარს და გამოუთხოვა საომრად. ბაყათარი ჯავრისგან ცეცხლსა ჰყრიდა, თავი მოუყარა ოსებს და წამოვიდა ვახტანგზე, რომელიც იდგა იქ, სადაც ახლა მეტეხის ტაძარია. მოვიდა ბაყათარი და დადგა მტკვრის მეორე კიდეზედ. ვახტანგმა ვერ მოიწვია ის საბრძოლველად. ბაყათარმა ჩამოართვა ფიცი, რომ სანამ წყალში გამოვიდოდე, ისარი არ მესროლოვო და შეაგდო ცხენი მტკვარში. „მოაპობს ცხენი მტკვრის ტალღებსა და ვახტანგი კი თვალს ბარ ამბორებს გალაღებულს ოსსა, რომელიც თავს ძლივს უჭერდა ცხენსა. აი ვახტანგმა თვალი მოჰკრა, რომ ბაყათარს ღილიაში ღია ადგილი ეჩანა, იქითკენ და თვალის დახამხამებაში ოსემარჯვედ სტყორცნა ისარი ბაყათარს, რომ იგი სასიკვდილოდ დაჭრილი ცხენიდამ გადმოვარდა და,

მტკვრის ტალღებმა ქვეით გააქანეს. გადრკა ოსის ჯარი. ვახტანგი კვალ-და-კვალ მიჰყვა მათ, შევიდა ოსეთში, დაიპყრო იგი და გაანთავისუფლა დაო.

აი ამ ფიცის მოსანანიებლად აგო ვახტანგმა ხუთი ტაძარი—აღმოსავლეთისკენ წილკნისა, სამხრეთისკენ სიონისა (თბილისში), დასავლეთისკენ ერთაწმიდისა, ჩრდილოეთისაკენ სამთავისისა და ამათ შუაც—მეტეხის ტაძარიო, რომელსაც უწოდა ეს სახელი ნიშნად იმისა, რომ აქ **მე ვტეხე** ფიციო, ამბობს ხალხი. სულ სხვანაირად გვიხსნიან ჩვენი მეისტორიენი ამ სახელწოდებას. მათის აზრით, ეს სახელწოდება წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან **„მეტეხოს**, რომელიც ნიშნავს სადგომს (подворье), მაგრამ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სახელი მეტეხი საქართველოში ქრისტიანობის მიღებამდინაც ხმარებობდა და თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ორივე მეტეხები (თბილისისა და გორისა) წარმოადგენენ ფრიალო, ჩატეხილ კლდეს, უნდა ვიფიქროთ (ასევე განმარტავს ამ სახელწოდებას მურავიოვი თავისს თხზულებაში „Грузія и Арменія“), რომ ორივე მეტეხმა მიიღო ეს სახელი თავის ადგილმდებიარობისა გამო, ანუ თვით მეხის დატეხვისაგან, რომელიც ამ ადგილებში ხშირად იცის. ტაძარი მეტეხისა, დღევანდლამდე კარგად შენახულა, მაგრამ ვახტანგ გურგასლანის ნაშენებს ზედ სხვა ნაშენებიც მრავლად ატყვია. აიხსნება ეს, რასაკვირველია, დროთა განმავალობაში ტაძრის დარღვეულ ადგილების შეკეთებისა და განახლებით. თვით ჩონჩხი კი თვით გურგასლანის დროის ნაშენობისა დღევანდლამდე კარგად ეტყობა ტაძარს: იგი ნაშენია მშსენიერის თლილის ყვითელის ქვით და შემკულია დიდად ხელოვნურის ჩუქურთმებით ტაძრის ოთხსავე კედელზე. განახლებულია სამჯერ: პირველად მეფე ლუარსაბ პირველისგან (1534—1558), მეორედ იოთამ ამილახვრის ძის კათალიკოზ პატრიარქ ნიკოლოზისაგან მეჩვიდმეტე საუკუნეში და მესამეჯერაც ჩვენს დროში.

ლუარსაბ მეფეს ჩვენის აზრით ეკუთვნის დარღვეულის გუმბათის აშენება. ამას მოწმობს ასომთავრული ხუცური წარწერა, რომელიც დღევანდლამდე დაცულია ამ გუმბათზე. აი შინაარსი ამ წარწერისა:

ᲯᲥᲔ ᲘᲩᲔ ᲰᲔᲯ — დიდებითა ღვთისათა მეტეხ-
ᲩᲔ ᲘᲩᲜᲔ ᲰᲐᲕᲥ — თა ღვთის-მშობ-

ԳԵՆԷՔ ԷՆ ԴՈՎԴ ელსა ხელ ვყავ
ԿՈՎԿՈՎԱՑ Է. შენებად ა-
ՑՆՑԻ ՈՐ ՕՐՀՆԷԻ დიდვე, ერმერთო, ორსავ
ԵՐՀԱԿՆԷ ԱՎՈՎԻ ცხოვრებასა მეფეთ
ԱՎՈՎ ԶԵՆԻ მეფე ლუარსაბ.

უკანასკნელ, მეტეხის ტაძარი ჩვენს დროშიაც განუახლებიათ, მაგრამ რკინის სახურავი ისე ცუდად გაუკეთებიათ, რომ ქარს იგი მალე ისევ ძირს გადმოუგდია და ტაძარს დღეს ხელ-ახლად უჭირს სახურავის გაკეთება, თორემ წვიმა და თოვლი ხეირს არ დააყრიან. ჩვენდა სასიხარულოდ, ეკლესიას ამ ჟამად ისეთი მეცადინე მღვდელი ჰყავს, მამა ისიდორე კვიჟინაძე, რომ იგი იმედია ტაძრის ამ ერთს დიდს ნაკლსაც შეავსებს და მით დაუცვავს მომავალს თაობას წინაპართა ნაშთს. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ ამავე მღვდელს ეკლესიისათვის დიდი გალავანი შემოურტყამს, ეზო გაუსწორებია, საეკლესიო-სახლის აგება დაუწყია და ტაძრის სახურავის სამრეკლოს განახლებისთვისაც დიდად მეცადინეობს.

მეტეხის ტაძარში აქამომდე დაცულია შემდეგი ნივთები: ხუცური სახარება, ეტრატზედ დაწერილი, რომლის გადაწერას ბ-ნი საძაგელოვ-ივერიელი მიაწერს 1049 წელს და სხვა ბევრი ნივთები, ყველა წარწერებით. ეს ნივთები და წარწერები მას წერილი და მოყვანილი აქვს „მწყემსში“ (1891 წ. № 16—17). იქვე განმარტებული ზემოთ-მოხსენებული წარწერა გუმბათისა, მაგრამ ლუარსაბის მაგივრად წაკითხულია Ц (ბაგრატი), ეს შეცდომაა. არ არის იქ მოყვანილი მხოლოდ წარწერა ირაკლი მეორის შვილის ფარნაოზის ცოლის ანნასაგან აბრეშუმის დიდს ხელსახოცზე ოქროს ასოებით ამოკერილი წარწერა და ამიტომ მოგვყავს იგი აქ.

„ეჰა შენ ხერუვიმთა უპატივოსნესო და ტათა უერცელესო და ღრუბელო სულ მცირე რომელმან იტვირთე იგი მარგალიტისა შენსა მტრფობელი სამარადისო სამსახურებაჲ შენთა, სირცხოთა შთამონასქისა სანატრელისა სიდ საქართველოს მეფისა ირაკლი მეორისა ძისა უფლის წულისა ფარნავოზის ფერცხალი და თანაზორაი,, ქსნის ერისთავის გიორგის ასული ანნა ბიძღვნი თითთა ნაღვაწსა ამას კვარცხლბეკად იატაკისა შენისა შეიწირე ესე ვითარცა ოდესმე ძემან მწყალილი ქვრივისა მის და ნაცვლად ბვაგე მადლი და საფარველი შენი და ცხოვრებისა ჩვენისა განგრძობა ძით და ასულით ჩვენით და საუკუნესცა ცხოვრება საუკუნო მოგვანიჭე ჩვენ. აგვისტოს კა: წელსა. ჩყბ. ქ-კს უე (21 აგვისტოს, 1802 წ.).

გამოვიდა ახალი ქართული სურათებიანი წიგნი

ივანე როსტომაშვილისა

ნეკრეკი

ანუ

ქართული ანბანი

ს

პირველი საკითხავი წიგნი

პატარებისთვის და დიდებისთვის.

ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად.

ფასი სამი შაური.

ვინც ათს ცალს ან მეტს ერთად იყიდის, წიგნი დაეთმობა 10 კაპეიკად.

ქალაქს გარეთ მცხოვრებლებს წიგნი შეუძლიანთ დაიბარონ ივანე როსტომაშვილისაგან შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ, Межевая ул. № 72. Ивану Павловичу Ростомашвили.

Ქ 802
1902

განცხადება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების შუამდგომლობით სოფელ ხარაგაულში მივიღეთ მთავრობისაგან ნებართვა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გახსნისა. ხამკითხველო კიდეც გაიხსნა, მაგრამ საშუალება მისი როგორც ფულით, ეგრეთვე წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით ამ თავიდგან ისეთი უმნიშვნელოა, რომ მკითხველთა მცირედ რიცხვსაც ვერ დააკმაყოფილებს; ამისათვის მივმართავთ თქვენი ჟურნალის საშუალებით ყველა საზოგადოებას და იმ პირთ, რომელთაც გული შესტკივა ეოველ ამ ნაირ დაწესებულებისათვის და ვთხოვთ შემწეობა აღმოგვიჩინონ რითაც კი შეიძლება ამ საქმის გაღონიერება. რომ მან მიაღწიოს თავის სიმპატიურ მიზანს. ქართული რედაქციები, დარწმუნებული ვართ, უფასოთ თუ არა, დაკლებულის ფასით მაინც დაგვითმობენ თავიანთ გამოცემებს, რითაც იგინი დიდს და დაუვიწყარ შემწეობას მისცემენ ნორჩს და ასალ დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. სრული მოიმედე თქვენი ჩვეულებრივი ეურადღებისა ამ თავითვე უღრმეს მადლობას შემოგწირავთ.

ს. ხარაგაულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საზოგადოების რჩევის თავმჯდომარე

კნეინა ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა.